


ახანაწეთის უძველესი
მატიერიალური კულტურა

ცოში I



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant B-07-10). All ideas expressed herewith are those of the author. and may not represent the opinion of the Foundation itself“.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

**NATIONAL MUZEUM OF GEORGIA
OTAR LORTKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION**

**THE ANCIENT MATERIAL
CULTURE OF ABKHAZETI**

VOL I

**G.PKHAKADZE, G. GRIGOLIA,
L.NEBIERIDZE, L.**

PUBLISHING HOUSE


„GLOBAL-PRINT+“

Tbilisi 2013

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი**



**შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი**



**აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა
ტომი I**

**ბ. ფხაკაძე, ბ. ბრიგოლია,
ლ. ნეზიერიძე**

ბამონცემლობა „გლობალ-პრინტი“

თბილისი 2013

UDC (უაკ) 903(479.224)
ა - 932

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი პასუხისმგებელი რედაქტორი
ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ. მ. ბარამიძე

რეცენზენტი

ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ. (აკად. წევრ. კორ.) ბ. ლორთქიფანიძე

1 ტომის რედაქტორი: პროფ. ბ. ფხაკაძე

ნაწილობრივ მუშაობდნენ: გ. ფხაკაძე, გ. გრიგოლია, ნ. ნებიერიძე.

მხატვარი თინა ყაზახიშვილი

ტექნიკური ასისტენტი ვერა ბლიაძე

გამოცემის რედაქტორი მარინე მარკოზაშვილი

ტექნიკური რედაქტორი ალექსანდრე კუზანაშვილი

გამომცემლობა

„გლობალ – პრინტი+“

© აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა. ტომი I. 2013 წელი.

ISBN 978-9941-0-5674-1 (ორივე ტომის)

ISBN 978-9941-0-5675-8 (პირველი ტომის)

ს ა რ ჩ ე ჯ ი

CONTENTS

ნინათქმა	8
Preface.....	8
შესავალი	10
Introduction.....	10
თავი I. აფხაზეთის ძველი ქვის ხანის ძეგლები (პალეოლითი). გ. გრიგოლია	12
Chapter I. Paleolithic Monuments of Abkhazeti. G. Grigolia	12
§1. ძველი ქვის ხანის ძეგლების შესწავლის მოკლე ისტორია	12
§1. The History of Study of the Old Stone Age Monuments	12
§2. აფხაზეთის ქვედა პალეოლითი.....	15
§2. The Low Paleolithic Monuments in Abkhazeti	15
§3. აფხაზეთის ზედა პალეოლითი.....	42
§3. The Upper Paleolithic Monuments in Abkhazeti	42
ლიტერატურა	64
Bibliography	64
ტაბულების აღწერილობა	72
Description of Plates	72
ტაბულები	75
Plates	75
თავი II. აფხაზეთის მეზოლით-ნეოლითური კულტურები. ლ. ნებიერიძე.....	159
Chapter II. Mesolithic-Neolithic Cultures of Abkhazeti. L. Nebieridze.....	159
§1. საკითხის შესწავლის ისტორია და მეზოლით-ადრენეოლითური მღვიმური ძეგლები....	159
§1. The History of Study of the Issue and Mesolithic-Early Neolithic Cave Monuments	159
§2. „ღია“ ნეოლითური ნამოსახლარები	
§2. The Neolithic Open Settlements	
ლიტერატურა	187
Bibliography	187
ტაბულების აღწერილობა	192
Description of Plates	192
ტაბულები	192
Plates	192
თავი III. აფხაზეთის ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები. გ. ფხაკაძე.....	244
Chapter III. Aeneolithic and Early Bronze Age Monuments of Abkhazeti. G. Pkhakadze	244
§1. აფხაზეთის ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორია.....	244
§1. The History of Study of the Aeneolithic and Early Bronze Age Archaeological Monuments of Abkhazeti.....	244
§2. აფხაზეთის ენეოლითური ძეგლები.....	246
§2. The Aeneolithic Monuments of Abkhazeti.....	246
§3. აფხაზეთის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები	254
§3. The Early Bronze Age Monuments of Abkhazeti.....	254
ლიტერატურა	274
Bibliography	274
ტაბულების აღწერილობა	275
Description of Plates	275
ტაბულები	276
Plates	276
ტომის I-ის რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)	276
The Summary of Volume I (in English)	276

წინათქმა

წინამდებარე ნაშრომი „აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა“ დაფინანსებული პროექტია შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2010 წელს (B+07-10) სამი წლით (2010-2012 წწ).

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრში.

ნაშრომის მიზანს შეადგენდა ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევის შექმნა აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურის შესახებ ძველი ქვის ხანიდან ანტიკურ ხანამდე.

სამწლიანი კვლევების შედეგად არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყდნობით (ნასახლართა ტოპოგრაფია და არქიტექტურა, სამაროვნები და დაკრძალვის წესები, სამეურნეო კერები – ბრინჯაოს და რკინის მეტალურგია, ლითონის იარაღები, კერამიკა, პალეობოტანიკური და პალინოლოგიური მასალები და სხვა) შეიქმნა ობიექტური, მეცნიერული ნაშრომი ორ ტომად. საკუთრივ არქეოლოგიური მასალების გარდა განხილულია აფხაზეთის უძველესი ისტორიის ისეთი საკვანძო საკითხები, როგორცაა ყოველ კონკრეტულ არქეოლოგიურ ეპოქაში – მეურნეობა და მეურნეობის სახეობანი, მიმდინარე ეკონომიკური ძვრები და სოციალური პროცესები, კულტურულ-ისტორიული ურთიერთობანი გარე სამყაროსთან, ყოფისა და სულიერი ცხოვრების დამახასიათებელი კომპონენტები და სხვ.).

პროექტის მონაწილეთა ავტორობით 2011 წელს გრანტის პროექტის მეორე წლის პროგრამული გეგმის შესაბამისად გამოქვეყნებულ იქნა კრებული „აფხაზეთი II“ და ამავე წლის 21 დეკემბერს ჩატარდა კრებულის პრეზენტაცია და სამეცნიერო კონფერენცია.

პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მალხაზ ბარამიძე**.

პროექტში მონაწილეობდნენ:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურანდა ფხაკაძე**.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ გრიგოლია**.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ლამარა ნებიერიძე**.

დოქტორი **ლეილა წითლანაძე**.

დოქტორი **ნინო დოლიძე**.

ისინი წლების მანძილზე იყვნენ აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. მ. ბარამიძე) წევრები, ამიტომაც ბუნებრივია ის დიდი მნიშვნელობა, რაც მათ მიერვე მოპოვებული მასალების გააზრებას და ინტერპრეტაციას ენიჭება.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ორტომეული „აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა“ არის ფაქტიურად აფხაზეთის ისტორიის უძველესი ეპოქების მთლიანობაში, თანმიმდევრულად, სისტემატიურად და მეცნიერულად შესწავლის პირველი ცდა.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის სიძველეთა კვლევა კარგა ხანია მიმდინარეობს და ამ საქმეში გარდა აფხაზი მკვლევარებისა მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით ქართველ და რუს მეცნიერებს, ჩვენ დღემდე არ გვეგულება არცერთი ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომი მიძღვნილი საკუთრივ აფხაზეთის არქეოლოგიისადმი, სადაც ასახული იქნებოდა ცალკეული არქეოლოგიური ეპოქების კვლევა, მეურნეობის ხასიათი, ნასახლართა არქიტექტურა, სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-ისტორიული პროცესები. თუმცა არსებობს სხვადასხვა პერიოდის ძეგლების შესახებ პუბლიცირებული ანგარიშები და ცალკეულ ძეგლებს მიძღვნილი ნაშრომები (ლ. სოლოვიოვი, მ. ტრაფში, ვ. ბჟანია, გ. შამბა, ი. წვინარია და სხვ.).

2006 წელს გამოქვეყნდა ალ. ბლაჟბასა და სტ. ლაკობას „აფხაზეთის ისტორია“ (რუსულ ენაზე), რომელიც თავისი აგებულებით უფრო სახელმძღვანელოს ხასიათს ატარებს და ამ წიგნის მცირე ნაწილი არქეოლოგიას ეხება, სადაც თვითოეულ ეპოქას ერთი ან ორი გვერდი აქვს დათმობილი. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ეს ნაშრომი ბევრ არაობიექტურ ინფორმაციას შეიცავს, სრულიად უგულვებელყოფილია ქართველ მკვლევართა რაიმე დამსახურება აფხაზეთის სიძველეთა კვლევის საქმეში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ორტომეული არის ობიექტურ არქეოლოგიურ მონაცემებზე დაფუძნებული მეცნიერული ნაშრომი, რომელიც თავისუფალია ტენდენციურობისა და მიკერძოებისაგან. ამ მხრივ ჩვენს ნაშრომს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ორტომეულის პირველი ტომი სამი ეპოქის შესწავლას ეძღვნება: პალეოლითი (გ. გრიგოლია), მეზოლით-ნეოლითი (ლ. ნებიერიძე), ენეოლით-ადრებრინჯაოს (გ. ფხაკაძე).

მეორე ტომში მოცემულია შუა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქების ძეგლები, ნასახლარები, სამაროვნები და მათი კვლევის შედეგები (მ. ბარამიძე, ლ. წითლანაძე, ნ. დოლიძე).

თანამშრომლების (მ. ბარამიძე, გ. ფხაკაძე, გ. გრიგოლია, ლ. ნებიერიძე, ლ. წითლანაძე, ნ. დოლიძე) მიერ დასახული ამოცანა ითვალისწინებს ყველა არქეოლოგიური კულტურისა და ისტორიული სიტუაციის შესწავლას ყოველ კონკრეტულ არქეოლოგიურ ეპოქაში.

აფხაზეთის ტერიტორია კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით საქართველოს მატერიალური კულტურისა და ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ბუნებრივია მას ახასიათებს ცალკეული ლოკალური თავისებურებანი, მაგრამ მისი მოწყვეტა ერთიანი დასავლურ-ამიერკავკასიური გარემოსა და განვითარების გზიდან მცდარი და ანტიმეცნიერულია.

ნაშრომს აქვს წინათქმა, შესავალი, საერთო რეზიუმე, ბიბლიოგრაფია, ტაბულები და მათი აღწერილობა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ჩვენი ორტომეული აფხაზეთის შესახებ არის ამ მიმართულებით პირველი ცდა, ამიტომ ის არ შეიძლება სრულყოფილი იყოს და ალბათ გარკვეული ხარვეზებისგანაც არ იქნება დაზღვეული.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი პროექტით გათვალისწინებული ნაშრომი დიდად წაადგება საკუთრივ აფხაზეთისა და მთლიანად კავკასიის არქეოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეს. გამოადგება სპეციალისტებს, მეცნიერ-მკვლევარებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს, აგრეთვე ძველი ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

მალხაზ ბარამიძე
გურანდა ფხაკაძე
გურამ გრიგოლია
ლამარა ნებიერიძე
ლეილა წითლანაძე
ნინო დოლიძე

შესავალი

აფხაზეთის ტერიტორია შავზღვასა და კავკასიონს შორისაა მოქცეული, ამიტომაც აქ შესანიშნავადაა შერწყმული ზღვისა და მთის ჰავა. აფხაზეთის გეოკლიმატური პირობები, ვერტიკალური ზონალობა, ტბებისა და მდინარეების სიუხვე, მრავალფეროვანი ფლორა, ფაუნა და მშრალი კარსტული მღვიმეები თავიდანვე იძლეოდა აქ ადამიანთა უძველესი დასახლებისა და საქმიანობის შესაძლებლობას. ამიტომაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველა არქეოლოგიური ეპოქა – პირველხარისხოვანი ძეგლები, წარმოდგენილია ძველი ქვის ხანიდან გვიან შუასაუკუნეებამდე.

აფხაზეთის არქეოლოგიური ძეგლები თავიდანვე მჭიდრო ურთიერთობაშია გარე სამყაროს მატერიალური კულტურის მასალებთან. უკვე ახალი ქვის ხანიდან (ძვ. წ. IX-VI ათასწ.) მწარმოებული მეთურნობის ერთგვაროვანი განვითარების ხაზი დასტურდება მთელი დასავლეთ საქართველოს-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მატერიალურ კულტურაში. კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა კიდევ უფრო მკაფიოდ მჟღავნდება მომდევნო ეპოქებში. ადრებრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. IV ათასწ. შუახანები; III ათასწ.) მთელი აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის კოლხეთის დაბლობსა და მთისწინა ბორცვოვან ზოლში ერთგვაროვანი კულტურაა გავრცელებული, რომლის შემადგენელი ორგანული ნაწილი აფხაზეთის მასალებია და რომელიც თავისი მძლავრი მინათმოქმედ-მესაქონლეთა მეთურნობით, ძალზე განვითარებული მეტალურგიული და სამთამადნო წარმოებით ერთ-ერთი მონიწივე კერაა ცირკუმპონტოს კულტურულ-ისტორიულ ზონაში. გვიან ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. XIV-XI სს), მთელ კოლხეთში, აფხაზეთისა და აჭარის ტერიტორიების ჩათვლით გავრცელებულია ძალიან ცნობილი კოლხური კულტურა, რომელიც ჩრდილო კავკასიურ ყოვანურ კულტურაზე ადრინდელია და რომლის საფუძვლები ჯერ კიდევ კოლხეთის ადრებრინჯაოს ხანაშია დაფიქსირებული.

ამავე პერიოდში შეინიშნება დემოგრაფიული აფეთქების სურათი და გარკვეულად ისახება „პროტოურბანისტული ცივილიზაცია“ დამახასიათებელი დასახლებებით, ხელოსნური წარმოებით. პერიოდის ბოლოსთვის მოსახლეობა გადადის რკინის მეტალურგიაზე. იწყება მაგნეტიტური ქვიშიდან რკინის მადნის მიღება. ამ პროცესს ასახავს ე. წ. „დიუნური დასახლებები“ (ძვ. წ. VIII-VI სს) ზღვის სანაპირო ზოლში. ამვარად, სახეზეა ყველა არსებითი ნიშანი კოლხური სახელმწიფოს საბოლოო ფორმირებისათვის.

ძვ. წ. VI ს. კოლხეთი უკვე ადრემონათმფლობელური სახელმწიფოა თავისი ქალაქებით – გიენოსი, დიოსკურია, ხოლო მომდევნო ხანისთვის ზიგანიოსი, პიტიუნტი. ამ პროცესში გარკვეული როლი ითამაშა ბერძნულმა კოლონიზაციამ. კოლხეთში ბერძენი მოახალშენენი სამოსახლოდ ირჩევენ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უკვე ათვისებულ ტერიტორიას. ამით კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის მოდელი განსხვავდება დასავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მოდელიდან. ბერძნული და შემდგომ რომაული გარნიზონების გავლენით კოლხეთის მოსახლეობა განიცდის მხოლოდ უმნიშვნელო ელინიზაციას. ახალ წელთაღრიცხვის დასწყისისთვის აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს ქრისტიანული მოძღვრება და იგი ხდება კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი. ამ პერიოდიდან მთელი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს ქრისტიანული არქიტექტურა. მატერიალური კულტურა ძირითადად ერთგვაროვანია, თუმცა წინა პერიოდების მსგავსად ინარჩუნებს ვიწრო ლოკალურ, რეგიონალურ ზოგიერთ თავისებურებას.

წიგნში ძირითადად წარმოდგენილია ქართველი სპეციალისტების მიერ აფხაზეთში შესწავლილი ძეგლების მიმოხილვა და საქართველოს მუზეუმებში დაცული ნივთიერი მასალა. ასეთი მოკლე მიმოხილვაც კი აშკარად გვიჩვენებს, რომ აფხაზეთის ტერიტორია მატერიალური კულტურის (მასზე დაყრდნობით ეთნოსის) თვალსაზრისით ზოგიერთი ლოკალური თავისებურების მიუხედავად, ერთიანი ქართული მატერიალური კულტურის ორგანული, განუყოფელი ნაწილია, მისი მოწყვეტა ქართული გარემოდან მცდარია და ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციისაგან გამოყოფილია კავკასიონის მთავარი ქედის დასავლეთი ნაწილით. დასავლეთით მას შავი ზღვა ესაზღვრება, აღმოსავლეთით

და დასავლეთით მდინარეები ენგური და ფსოუ. აფხაზეთის ტერიტორია შეადგენს 7600 კვ. მ-ს, რაც საერთოდ საქართველოს 12.3%-ს წარმოადგენს.

უძველესი ეპოქის მანძილზე აფხაზეთი როგორც ცალკე ტერიტორიული ერთეული არ არსებობდა და ისტორიულ კულტურულ-ეკონომიურად შედიოდა დასავლეთ საქართველოს ან უფრო ზუსტად კოლხეთის ან კოლხური მატერიალური კულტურის გავრცელების არეალში. მატერიალური კულტურის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე ეს ტერიტორია როგორც ჩანს დასახლებული იყო ქართველური (ძირითადად მეგრული) ტომებით. აფხაზეთის უდიდესი ნაწილი, 74% მთაგორიანი ზოლია და ებჯინება კავკასიონს. მეორე ნაწილი კი ეშვება (განსაკუთრებით ჩრდილოეთი) შავი ზღვისკენ. ძირითადი ნაწილი მთა-ბორცვოვანი ზოლისა წარმოადგენს კოლხეთის დაბლობის უშუალო გაგრძელებას, შავი ზღვის გასწვრივ. მანძილი ზოგ მონაკვეთში 10-15 კმ აღწევს (მდინარე ფსოუს გასწვრივ), ნაწილი კი სოხუმის სამხრეთ-დასავლეთით სწორხაზოვან ზოლს ქმნის, რომელიც ზოგ მონაკვეთში უბებების და კონცხების სახით (სოხუმის და გაგრის უბებები, ფსოუს ქვაბული).

ძალზე რთული და ხშირია ჰიდროლოგიური ქსელი, რომელიც ფაქტიურად ფარავს მთელი აფხაზეთის ტერიტორიას. ბევრია ტბები: რინა, დერიკვარა, ამიში, ყვარაში, პატარა რინა, ამტყელი, ცისფერი ტბა ინკითი და სხვ. მდინარეებიდან აღსანიშნავია ფსოუ, ბზიფი, კოდორი, გუმისთა, კელასური, ლალიძგა, ენგური და სხვ.

აფხაზეთი სუბტროპიკული სარტყელის ჩრდილოეთ ნაწილშია მოქცეული და კავკასიონის ქედი იცავს მას ჩრდილოეთის ცივი ქარების შემოჭრისაგან. ამის გამო ამინდი განსაკუთრებით თბილია და ნოტიო. ტერიტორიის დიდი ნაწილი (55%) ტყით არის დაფარული, რომელშიც დაფიქსირებულია 2000 მეტი სახეობის მცენარე: მუხა, რცხილა, წიფელი, წაბლი, კაკალი, ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, ბზა და სხვა. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი როგორც ბარის, ისე მთის ზოლის ცხოველთა ჯიშები: ჯიხვი, არჩვი, შველი, თხა, დათვი, მელა, ტურა, მაჩვი, კვერნა, ციყვი, კურდღელი და სხვ. არქეოლოგიურ მასალებში ვხვდებით ფორმებს, რომლებიც გავრცელებული ყოფილა ადრეულ ხანებში, ამჟამად კი გადაშენებული და ზოგიერთი თითქმის გამქრალია. მაგ. კავკასიური დომბა, გამოქვაბულის დათვი და სხვა. ფრინველთაგან გავრცელებულია არწივი, მიმინო, შავარდენი, ორბი, კავკასიური მურთხი, ხოხობი, მწყერი, თოლია, ოფოფი და სხვა.

აფხაზეთის ტერიტორია მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ტყვარჩელის და ბზიფის ქვანახშირის საბადოები. კავკასიონის მთიანეთში მრავლად არის სპილენძის, ტყვიის, თუთიის და დარიშხანის საბადოები. ძველი გამონამუშევრებიდან ყველაზე მეტად ცნობილია ბაშკაბცარას გამონამუშევარი. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეგიონის მეტალურგიის ჩასახვისა და მისი შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

ამგვარად ამჟამად, რომ ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინება აუცილებელია უძველესი პერიოდების ყოფის, კულტურის და მეორნეობის შესწავლის საქმეში.

აფხაზეთის უძველესი ძეგლებისა და მატერიალური კულტურის შესწავლა უკვე რამდენიმე ათეულ წელს ითვლის და ამ საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით, როგორც თვითონ აფხაზ მკვლევარებს (მ. ტრაპში, ლ. სოლოვიოვი, მ. ივაშჩენკო, ვ. ბჟანია, შ. ინალიფა, ზ. ანჩაბაძე, ი. ვორონოვი, ი. წვინარია, გ. შამბა და სხვა), ასევე ქართველ მეცნიერებს (ა. კალანდაძე, ბ. კუფტინი, გ. ნიორაძე, ნ. ბერძენიშვილი, ო. ჯაფარიძე, ა. აფაქიძე და სხვ.). ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის ექსპედიციის (ხელმძღვანელი პროფ. მ. ბარამიძე) ღვაწლი, რომელიც 15 წლის მანძილზე თხრიდა და სწავლობდა აფხაზეთის სიძველეებს, რომლის შედეგადაც არაერთი პირველხარისხოვანი ძეგლი იქნა აღმოჩენილი და გამოკვლეული.

მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამისა დღემდე არ არსებობდა საერთო, განმაზოგადოებელი ნაშრომი აფხაზეთის არქეოლოგიის, მისი უძველესი კულტურების შესახებ და სწორედ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო ამ ხარვეზის შეძლებისდაგვარად შევსებას ისახავს მიზნად.

თავი I

აფხაზეთის კველი ქვის ხანის კვლევა

§1. აფხაზეთის კველი ქვის ხანის კვლევის შესავლის მოკლე ისტორია

საქართველოს ძველი ქვის ხანის ძეგლების გავრცელების თვალსაზრისით კლასიკური ქვეყანაა. ამ მხრივ განსაკუთრებით მონინავეობს ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასია ანუ თანამედროვე აფხაზეთის რეგიონი. ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემებით გამორჩეულმა ჩვენი ქვეყნის ამ ნაწილმა ქვის ხანის სპეციალისტების ყურადღება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში მიიპყრო, როდესაც აქ საველე-არქეოლოგიური საძიებო სამუშაოები წამოიწყო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა საკავშირო ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი აკად. ი. მეშჩანინოვი (Замятнин С. Н. 1961). ექსპედიციის მუშაობის საწყის ეტაპზე (1934 წ.) ერთ-ერთი დამოუკიდებელი რაზმის ხელმძღვანელად დაინიშნა კავკასიის პრეისტორიის გამოჩენილი სპეციალისტი პროფ. ს. ზამიატინი. მომდევნო (1935 წ.) წელს ეს რაზმი გადაკეთდა დამოუკიდებლად მომუშავე ექსპედიციად, რომელსაც ეწოდა „შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიცია“ (Замятнин С. Н. 1937).

ხსენებული ექსპედიციის განსაკუთრებულ მეცნიერულ ავტორიტეტზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ მის მუშაობაში იმთავითვე (1935-1938 წწ.) მონაწილეობდნენ პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის ისეთი გამოჩენილი სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ: ლ. სოლოვიოვი, მ. პანიჩკინა, პ. ბორისოვსკი, ა. კალანდაძე, ვ. ფეოდოროვი, ი. შჩერბაკოვი, ი. კრასნოვი და სხვ.

ექსპედიციამ პირველივე წლებიდან ფართოდ გაშალა საძიებო სამუშაოები, რამაც მოიცვა კავკასიის შავიზღვისპირეთის დიდი ნაწილი სოჩი-ადლერის რაიონიდან მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროს ჩათვლით. ამ პერიოდში ამიერკავკასიის შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი იქნა 40 ქვის ხანის ძეგლი, აშელის ხანიდან მოკიდებული მეზოლით-ნეოლითური ხანის ნამოსახლარებით დამთავრებული (ტაბ. I). რამდენადაც იმ დროისათვის აშელური ხანის ძეგლები საერთოდ უცნობი იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, იმთავითვე საყოველთაო სამეცნიერო ყურადღების ცენტრში მოექცა ქ. სოხუმის მახლობლად მდებარე სოფ. იაშთხვა, რომლის ტერიტორიაზე იქნა მიკვლეული ქვედაპალეოლითური ხანის ყველაზე უფრო უძველესი ძეგლები (Замятнин С. Н. 1937).

ექსპედიციის სენსაციურმა აღმოჩენებმა დღის წესრიგში დააყენა ამიერკავკასიის შავიზღვისპირეთში არსებული მეოთხეული გეოლოგიური ნალექების შესწავლის საკითხი ქვის ხანის ძეგლებთან მიმართებაში. ამ მიზნით ცნობილი გეოლოგების (ვ. გრომოვი, ლ. სოლოვიოვი, გ. მირჩენკო და სხვ.) ეპიზოდური მონაწილეობის გარდა ექსპედიციაში მუდმივად ჩაერთო საკავშირო გეოლოგიური ინსტიტუტის სპეციალური ექსპედიცია პროფ. ე. შანცერის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეიმუშავა მწყობრი თეორია ამიერკავკასიის ზღვიური ტერასებისა და იქვე მოპოვებული არქეოლოგიური ნაშთების ასაკობრივი თანხვედრის შესახებ (Шанцер Е. В. 1940: 57). ქვის ხანის პრობლემატიკით დაინტერესებული ყველა მკვლევარი, არქეოლოგი იქნებოდა ეს, გეოლოგი თუ პალეონტოლოგი, ცალკეული მათგანი ყოველგვარი მეთოდური ხერხების გამოყენებით ცდილობდა შეეხსო და გაეშუქებინა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი საზოგადოების დასახლების დროის, განვითარების ეტაპების, ეკონომიკური თუ სოციალური დონის, ქვის დამუშავების ტექნიკური ტრადიციების, უცხო ქვეყნების ძეგლებთან მგავსება-განსხვავებებისა და სხვა საკითხები.

ამ რიგის საკითხების მართებულად გაშუქების შესაძლებლობას იმთავითვე ართულებდა და ართულებს აფხაზეთის ძეგლებზე მასალების გავრცელების თავისებური ხასიათი. როგორც ცნო-

ბილია ზღვიურ ტერასებზე პალეოლითელი ადამიანის ღია ცისქვეშ არსებული ნამოსახლარების კვალია შემონახული, რომლის კულტურული ფენების სტრატოგრაფიული მდგომარეობა ადგილზეა აშლილი, ან განადგურებულია ეროზიული და სხვა ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებითა თუ ადამიანთა კულტურული საქმიანობის შედეგად. ყოველივე ამის გამო აფხაზეთის ძეგლების დიდი უმრავლესობა მოკლებულია მყარ დამატარებელ კომპონენტებს.

ამ არსებითი ხასიათის ნაკლოვანების გამოსწორების მიზნით ფართო და ხანგრძლივი (1958-1968 წწ) არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის ძირითადი მიზანი იყო როგორც ზღვისპირა ზოლის ტერასებზე ისე ხმელეთის სიღრმეში არსებული უამრავი (in situ) ფენების შემცველი ძეგლების ძიება (Берძენიшвили Н. З. 1959: 159-181; ბერძენიშვილი ნ. 1979: 13-39).

უძრავი ფენებიდან მომდინარე, სუფთა კომლექსების შემცველი ძეგლების მიკვლევის მიზნით შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა სოფელ ზედა იაშთხვას პლატოზე, ხოლო ახალი ძეგლების ძიების მიკვლევა-შესწავლის საქმიანობა წარმართა მდ. მდ. კელასურისა და კოდორის ხეობებში.

სოფ. იაშთხვასა და მის შემოგარენში 1961-1965 წლებში საკმაოდ საინტერესო სამუშაოები აწარმოა პროფ. იგორ კორობკოვმა, რომელმაც არსებითად ყურადღება გაამახვილა ს. ზამიატინის მიერ ცალკეულ უბნებში აღმოჩენილი ძეგლების მასალათა განლაგებასა და ტექნიკურ თავისებურებებზე და გამოთქვა არა ერთი ორიგინალური ვარაუდი (Коробков И. И. 1967: 94; Коробков И. И. 1965).

აფხაზეთის პალეოლითური ძეგლების როგორც აღმოჩენის ისე მომდევნო პერიოდში ს. ზამიატინთან ერთად თუ დამოუკიდებლად ჩატარებული საძიებო სამუშაოების წარმატებით განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ადგილობრივ გეოლოგს ს. სოლოვიოვს.

1933 წელს გეოლოგიური სამუშაოების დროს ს. სოლოვიოვს პირველყოფილი ადამიანის ნაკვთები ქვის იარაღ-ანატაკეცები შეუგროვებია ქ. ოჩამჩირისა და იაშთხვას ტერიტორიაზე, რომელიც გადაუცია ს. ზამიატინისთვის (Соловьев А. Н. 1971: 5, 22).

როგორც ჩანს ეს მასალები საფუძვლად დაედო მომდევნო (1934-1938) წლებში ს. ზამიატინის ხელმძღვანელობით მომუშავე არქეოლოგიურ ექსპედიციის ფართო ასპარეზზე გაშლას, როდესაც აღმოჩნდა ახალი ძეგლები: გვარდა, კელასური, აპიანჩა, ქვემო ლემსა, იაგიში, ოტაპი, მოქვა, ილორი, აჩიგვარა, ცხირი, ჭუბურხინჯი და სხვა (Замятин С. Н. 1937; Коробков И. И. 1967: 194).

უფრო მოგვიანებით ს. სოლოვიოვმა, როგორც დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა დამოუკიდებლად გააგრძელა აფხაზეთის უძველესი ხანის ძეგლების საკვლევადიებო საქმიანობა, რომელსაც შედეგად მოყვა მრავალი, ღია ცისქვეშ მოწყობილი და მღვიმური სადგომების – ცივი მღვიმისა და კეპ-ბოლაზის (აფიანჩა) აღმოჩენა და ნაწილობრივი შესწავლა (Соловьев Л. Н. 1987).

აფხაზეთის არქეოლოგიურ და მეოთხეული გეოლოგიის პრობლემატიკას ს. სოლოვიოვმა ცალკეული წერილების გარდა მიუძღვნა მონოგრაფიული გამოკვლევა – პირველყოფილი საზოგადოება აფხაზეთის ტერიტორიაზე (Соловьев Л. Н. 1971) და კატალოგური ხასიათის სოლიდური ნაშრომი – აფხაზეთის ქვის ხანის ძეგლები (Соловьев Л. Н. 1987).

ასე რომ ს. სოლოვიოვის დამსახურება აფხაზეთის უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში, როგორც არქეოლოგიისა ისე გეოლოგიისა, უთუოდ თვალსაჩინოა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული პირველყოფილი საზოგადოების უძველესი ძეგლების

ძიებასა და შესწავლაში გარკვეული დამსახურება მიუძღვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელსაც ხელმძღვანელობდა გურამ გრიგოლია.

1963-1964 წლებში ექსპედიციამ ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის წინმსწრები საძიებო სამუშაოები ჩაატარა ზუგდიდის, წალენჯიხისა და გალის რაიონებში, სადაც აღმოჩენილ სხვადასხვა პერიოდის ძეგლებს შორის რამოდენიმე ათეული ძველი ქვის ხანით თარიღდება. ესენია აშელ-მუსტიური და ზედაპალეოლით-მეზოლითური ასაკის, როგორც მღვიმური ისე ღია ნამოსახლარები და ცალკეული აღმოჩენათა პუნქტები (გრიგოლია გ., ბარამიძე მ. 1964; გრიგოლია გ. 1974; გრიგოლია გ. 1978; გრიგოლია გ. 1979).

ასევე გ. გრიგოლიას დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ერთი ათეული ახალი ძეგლის აღმოჩენა აფხაზეთის ზღვისპირეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

გ. გრიგოლიამ ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელმძღვანელი აკად. ა. აფაქიძე) მონაწილეობის დროს (1970), მდ. ბზიფის ხეობაში, ბიჭვინთის კონცხზე და მისი შემოგარენის ტერიტორიაზე საძიებო სამუშაოების ჩატარებაში უანგარო დახმარება გაუწია აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტს ზაურ აგრბას. ამ პერიოდში აშელ-მუსტიური ხანის ნამოსახლარი ძეგლები აღმოჩნდა: სოფ. ხეივანში, „ხიშბას მინდორზე“, „ბზიფი-1“-ში, ბზიფი-2“-ში, „ბზიფი-7“-ში, „ალახადი-2“-ში, „ალახადი-3“-ში და სხვ. (Григолия Г. К., Агрба З. В. 1971; გრიგოლია გ., აგრბა ზ., 1971: 3-5) (ტაბ. I).

აფხაზეთის უძველესი ძეგლების არსენალი მნიშვნელოვნად გაამდიდრა აფხაზეთში მცხოვრებმა პედაგოგმა გიორგი ხუბუტიამ, რომელიც 60-იანი წლებიდან ჯერ როგორც ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტი, ხოლო შემდეგ, როგორც მეცნიერ-თანამშრომელი სისტემატიურად აწარმოებდა საძიებო სამუშაოებს ქვის ხანის ახალი ძეგლების გამოვლენის მიზნით.

გ. ხუბუტიამ ოცი წლის (1966-1986) განმავლობაში გალისა და ოჩამჩირის რაიონებში მოგვიანო ძეგლებთან (ზედა პალეოლითი, ნეოლითი) ერთად აღმოაჩინა აშელური ხანის ხუთი ღია სადგომი (კირილის მთა, ოსირე, ოჭაკე, არადუ და არასადიხი), მოგვიანებით ეს საინტერესო მასალები პროფ. კარლო კალანდაქსთან ერთად შეისწავლა, დაათარილა და შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში (ხუბუტია გ., კალანდაძე კ. 2006: 11-13).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის ქვის ხანის ძეგლების შესწავლის საქმეში მეტნაკლებად მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ადგილობრივ მომუშავე ყველა არქეოლოგს (ვ. ფაჩულია, ვ. ბუანია, ი. ცვინარია, ს. შამბა, მ. შამბა, ი. ვორონოვს და სხვ.) მიუხედავად იმისა აფხაზეთის არქეოლოგიური კულტურის თუ რომელი პერიოდით არის დაინტერესებული ცალკეული მათგანი, ან უშუალოდ აფხაზეთში ეწევა სამეცნიერო საქმიანობას თუ მის მომიჯნავე რეგიონებში (Воронов Ю. Н. 1969).

აფხაზეთის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა და ველზე შემუშავებული საძიებო მეთოდური ხერხების ჩამოყალიბებამ, საეტაპო ბიძგი მისცა აფხაზეთის უახლოეს თუ შორეულ რეგიონებში ანალოგიური ძეგლების კვლევის საქმიანობას. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ ვ. გრომოვი, რომელმაც აფხაზეთში შესრულებული გეოლოგიური სამუშაოების შედეგად დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით რამოდენიმე ქვედაპალეოლითური ძეგლი აღმოაჩინა მდ. დესნაზე (Громов В. И. М., 1948). იგივე შეიძლება ითქვას პ. ბორისკოვსკიზე, რომელმაც 1935 წელს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობის შემდეგ ანალოგიურ ძეგლებს მიაკვლია მდ. დნესტრის ხეობაში. ამას მოყვა სომხეთის დიდი აღმოჩენები, 1946 წელს ჯერ ს. ზამიატინისა და მ. პანიჩკინას მიერ არზნიში (Паничкина М. З. 1950) და შემდეგ ა. სარდარიანის აღმოჩენები მთა ბოგუტლუზე (Сардарян С. А. 1954), რომელიც სატანიდარის სახელით არის ცნობილი.

რამდენადმე მოგვიანებით ა. ფორმოზოვმა საყურადღებო ქვის მასალები შეაგროვა ქ. მაიკოპის მახლობლად მდ. ფორტეპიანკასა და მდ. პსეკუპსეს ხეობებში (Паничкина М. З. 1961). კიდევ უფრო შედეგიანი აღმოჩნდა საძიებო სამუშაოების გადატანა აფხაზეთის მეზობლად მდებარე ადლერის რაიონში (კრასნოდარის მხარე), სადაც 1936 წელს მდ. კუდესტას ხეობაში აღმოჩნდა ნავალიშენსკის გამოქვაბული და ქ. სოჩიდან სამხრეთით 15 კმ დაშორებით, მდ. მზიმთას ხეობაში აღმოჩნდა მრავალფენიანი (აშელი-ზედაპალეოლითი) გამოქვაბული, რომელიც არსებითად შესწავლილი იქნა ს. ზამიატინისა და მ. პანიჩკინას მიერ (Замятнин С. Н. 1940: 100-101). მოგვიანებით ძიება გაგრძელდა და ეს ძეგლი მთლიანად იქნა გათხრილი მ. პანიჩკინასა და ე. ვეკილოვას მიერ (Паничкина М. З., Векилова Е. А. 1962: 37-43; Векилова Е. А. 1967: 80-85).

ამავე რეგიონში, მდ. აღმოსავლეთ ხოსტას ხეობაში 1939 წელს ორფენიან მუსტიურ ძეგლს მიაკვლია დ. კრაინოვმა, რომელსაც მან ვორონცოვის მცირე გამოქვაბული უწოდა. ეს გამოქვაბული 1964-1965 წლებში გათხარა ვ. ლუბინმა, სადაც აღმოაჩინა დაკბილული მუსტიეს ორიგინალური ძეგლი (Лубин В. П. 1966). აქვე აუცილებელია აღინიშნოს ადლერის რაიონში მოღვაწე მხარეთმცოდნე-გეოგრაფის ნ. გუმილევსკის დამსახურება, რომელმაც მდ. მზიმთას ხეობაში აღმოაჩინა კაზაჩებროდის ზედაპალეოლითური გამოქვაბული და მდ. ფსოუს ხეობაში მიაკვლია აშელ-მუსტიური ხანის სადგომებს. ეს ძეგლები 1950-1951 წლებში შეისწავლა და გამოაქვეყნა ლ. სოლოვიოვმა (Соловьев Л. Н. 1971: 6).

საყურადღებო მუსტიური მასალები აღმოაჩინა ი. კორობკოვმა სოფ. კრასნოვოდსკთან მიკველელი ხოსტის გამოქვაბულის გათხრის დროს (Коробков И. И. 1962).

ერთი სიტყვით ს. ზამიატინის აღმოჩენებმა სრულიად ახალი ეტაპი შექმნა ადამიანის უძველესი წარსულის შესწავლის საქმეში როგორც კავკასიაში ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ აღმოჩენებს დღესაც კი არა თუ არ დაუკარგავს მნიშვნელობა, არამედ ძალზე გაზარდა ქვის ხანის ძეგლების კვლევის გეოგრაფიული არეალი კავკასიაში და კიდევ უფრო იმატა ადამიანის უძველესი წარსულის მეცნიერული კვლევის პრობლემატიკის ნაირგვარობამ.

§2. აფხაზეთის ძველ კალეოლითი

კაცობრიობის უძველესი ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართა შორის, როგორც კავკასიაში ისე მის ფარგლებს გარეთ, კარგად არის ცნობილი პროფ. სერგეი ზამიატინის სახელი (1899-1958).

ს. ზამიატინმა ძველი ქვის ხანის პერიოდი არა მარტო გაამდიდრა მანამდე სრულიად უცნობი, უძველესი ძეგლებით, არამედ არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა პირველყოფილი ადამიანის შორეული წარსულის ამსახველი ისტორიის პრობლემატიკას (Замятнин С. Н. СА., 1937; Замятнин С. Н. 1937).

ს. ზამიატინმა აფხაზეთის აღმოჩენების საფუძველზე ნათლად დაასაბუთა, რომ კავკასია ისეთივე პერსპექტიული რეგიონია, როგორც აფრიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და დასავლეთ ევროპა, კაცობრიობის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ს. ზამიატინის მიერ შავიზღვისპირეთის ტერასებზე 1934-1938 წლებში აღმოჩენილი ძეგლები იმთავითვე მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში, რამდენადაც მათი თანადროული უძველესი ძეგლები საერთოდ სრულიად უცნობი იყო მაშინ მთელს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ძეგლების თარიღთან დაკავშირებული პრობლემატიკის კვლევის პროცესში ბუნებრივია მთავარი ყურადღება გამახვილდა ძეგლების ვერტიკალური გავრცელების, მისი ზონალობის, გეოგრაფიული არეალის, აღმოჩენილი მასალის მორფოლოგიური თავისებურებებისა და სხვა ანალოგიურ საკითხებზე.

როგორც ზემოთ ითქვა ს. ზამიატინის მიერ 30-იან წლებში შავიზღვისპირეთში აღმოჩენილია 40-ზე მეტი ძველი ქვის ხანის ძეგლი, რომელთა შორის 33 აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული, ზღვიურ ტერასებზეა გამოვლენილი და ღია ცის ქვეშ არსებული ნამოსახლარების ტიპის ძეგლებს წარმოადგენენ (Замятнин С. Н. 1937) (ტაბ. I).

ამ აღმოჩენებმა მთელ საბჭოთა კავშირში მაშინ არსებული ქვის ხანის ძეგლების საერთო რაოდენობა 1/3-ით გაზარდა, ხოლო ასაკობრივი თვალსაზრისით, რომლის თანადროული, ანალოგიური ძეგლები სრულიად უცნობი იყო ჩვენში, კავკასია და კერძოდ საქართველოს შავიზღვისპირეთი მომენტალურად მოექცა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

აფხაზეთში აღმოჩენილი ნამოსახლარები თანმიმდევრულად არის განლაგებული ზღვის სანაპიროს გასწვრივ. მათი ერთი ნაწილი წარმოდგენილია უფრო მდიდარი მასალით, ხოლო მეორე ნაწილი დაფიქსირებულია შედარებით მცირე მონაპოვრებით და საჭიროებს დამატებით მასალების მოძიებას და შესწავლას (Замятнин С. Н. 1937: 3-8).

პარალელური-შესადარებელი მასალის ნაკლებობის ან საერთოდ არ არსებობის მიუხედავად ს. ზამიატინმა მოპოვებული ქვის ნაკეთობათა ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური მონაცემებისა და ზედაპირის დაცულობის (პატინა, გამოფიტვა, გადალესვა და სხვ.) მიხედვით ძეგლები დაჰყო სამ ქორონოლოგიურ ჯგუფად, რომელთაგან პირველში მოაქცია უძველესი, მუსტიეს ხანაზე ადრეული (აშელი, კლექტონი) ძეგლები: იაშთხვა, ქიურდერე, ბირცხი, გვარდა, აპიანჩა, კოლხიდა, აჩიგვარა, გუდაუთა, გალი და ჭუბურხინჯი. ამ ძეგლების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა (ანასტასიევკა, სოხუმი, ლეჩკოპი და სხვ.) მასალის კამერალური დამუშავების შემდეგ (Замятнин С. Н. 1961: 71-72).

შედარებით უფრო მარვალრიცხოვანია მეორე ქორონოლოგიურ ჯგუფში შემავალი მუსტიეური ხანის ძეგლების რაოდენობა. ესენია: ახბიუკი, კელასური, ლეჩკოპი, ეშერი, ბზიფი, კალდახვარა, ბარძიში, ოთხარა, ლიხნი, გუდაუთა, სოხუმი, იაშთხვა, ახბიუკი, აფიანჩა, ლემსა, იაგიში, მაგანა, ოტაპი, ოჩამჩირე, ილორი, აჩიგვარა, გალი, ცხირი და სხვ. (ტაბ. I). ეს პუნქტები ვრცელდება აფხაზეთის მთელ ზღვისპირეთში და შეიძლება ითქვას მათი რიცხვი ყოველდღიურად მატულობს (Замятнин С. Н. 1961: 72).

ზამიატინის მიხედვით მეორე ჯგუფის ძეგლების ასაკის განსაზღვრაში არსებითი მნიშვნელობა გააჩნია იმ ფაქტს, რომ თითქოს ამ ძეგლების მასალების ერთი ნაწილი აუშლელ (in situ) მდგომარეობში გვხვდება ზღვიურ მესამე (30-40 მ) ტერასაზე და ზევით, თუმცა ცალკეული ერთეულები გვხვდება ქვედა ტერასებზეც, ჩამორეცხილი სახით. ზოგ შემთხვევაში მუსტიეური მასალები გვხვდება იმავე ტერიტორიებზე, სადაც აღმოჩენილია უფრო ადრეული მასალებიც (Замятнин С. Н. 1961: 72).

მესამე ქორონოლოგიური ჯგუფის ანუ ზედაპალეოლითური ძეგლები აფხაზეთის ზღვისპირეთში სადღეისოდ როგორც წესი მიკვლეულია ღია ცისქვეშ, ზღვიური ტერასების ზედაპირზე: ლეჩკოპში, გალში, იაშთხვაში და ა. შ.

აფხაზეთის ზედაპალეოლითური ხანის მასალებს, განსაკუთრებით კი გალის აღმოჩენის შემდეგ მის მეცნიერულ გათხრა-შესწავლას დიდი მნიშვნელობა გააჩნია კაცობრიობის ამ მნიშვნელოვან ეტაპთან დაკავშირებული პრობლემატიკის გასაშუქებლად, რაზეც შეძლებისდაგვარად შემდგომში გვექნება საუბარი.

ამჟამად ძირითადი ყურადღება ეთმობა აფხაზეთის ქვედაპალეოლითურ მასალებს, განსაკუთრებით მის არქაულ ნაწილს, რომლის დათარიღების საკითხი, სათანადო პარალელური მონაპოვრების მიუხედავად, იმდენად სწორად განსაზღვრა ს. ზამიატინმა, რომ მას დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა.

ახლად აღმოჩენილი ძეგლების ასაკის საკითხის მართებულად გარკვევის მიზნით ს. ზამიატინმა პირველმა სცადა პალეოლითური ხანის ქვის მასალის ზღვიურ ტერასებთან კავშირში

განხილვა (Замятнин С. Н., 1937: 6, 9). ამავე საკითხს ფართოდ შეეხო: ე. შანცერი, ვ. გრომოვი, ლ. სოლოვიოვი, ა. ებერზინი და ა. შ.

გეოლოგიური დაკვირვების საფუძველზე ე. შანცერმა აფხაზეთის ძავიზღვისპირეთში გამოჰყო მეოთხეული ხანის, სხვადასხვა ქრონოლოგიური ასაკის, სხვადასხვა აბსოლიტური სიმაღლის მქონე ხუთი ტერასული საფეხური (ტაბ. II, 1), რომლებზეც თავს იყრის შესატყვისი პალეოლითური მასალები (Шанцер Е. В. 1939; Евоже, 1940).

აფხაზეთის ახალი აღმოჩენების გეოლოგიური ასაკის საკითხს დიდი ყურადღება დაუთმო პროფ. ვ. გრომოვმაც, რომელმაც ფაქტიურად გაიზიარა ე. შანცერის მიერ გამოთქმული ვარაუდები და ყველა ტერასულ საფეხურს, მათი გეოლოგიური ასაკის შესაბამისად მიაკუთვნა სათანადო არქეოლოგიური მასალები ზედა პალეოლითიდან მოკიდებული აშელური კომპლექსების ჩათვლით (Грамов В. И. 1936; Евоже, 1940).

აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლების გეოლოგიური დათარიღების საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვის არქეოლოგ მ. ვოევოდსკის, რომელიც შეეცადა დაეცვა ე. შანცერის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და მეოთხეულის ქვედა საზღვარი გადაეტანა პლეისტოცენის სიღრმეში დაახლოებით მინდელის გამყინვარებამდე (Воеводский М. В. 1952: 9-47). ამავე საკითხს ფართოდ შეეხო გეოლოგი ლ. სოლოვიოვი (Соловьев Л. Н. 1940: 101-105), პალეონტოლოგი ა. ებერზინი (Эберзин А. 1940: 65) და სხვ.

ამრიგად, პირველ ხანებში აფხაზეთის ზღვისპირა ტერასების შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა მეოთხეული ტერასების წარმოშობისა და მათზე ადამიანის სინქრონულად დასახლების მწყობრი გეოლოგიური და არქეოლოგიური მონაცემებით არგუმენტირებული საყოველთაოდ გასაგები და მისაღები სქემა, რომელიც ასე გამოიყურება:

I ტერასა, ზღვის დონიდან 5-6 მ სიმაღლეზე მდებარეობს, რომელზეც აღმოჩენილია ბრინჯაორკინის ხანის ძეგლები.

II ტერასა ზღვის დონიდან 15-30 მ სიმაღლისაა და უმეტეს შემთხვევაში მასზე ზედაპალეოლითური ნაშთებია დადასტურებული.

III ტერასის აბსოლიტური სიმაღლე 30-60 მ-ია, სადაც თავს იყრის მუსტიერული ნაშთები.

IV ტერასის სიმაღლე 60-80 მ-ს უტოლდება და III ტერასის მსგავსად მუსტიერული ხანით თარიღდება.

V ტერასა 80-120 მ სიმაღლეზე მდებარეობს და უძველესი ხანის (შელი (?), აშელი) მასალები სწორედ აქ იყრის თავს (ტაბ. II, 1-2).

სამწუხაროდ ამ კონცეფციამ დიდხანს ვერ გაუძლო დროის გამოცდას და ახალი გეოლოგიურ-პალეონტოლოგიური (Эберзин А. 1940: 131-136; Соловьев Л. Н. 1940: 101-105; Федоров П. В. 1963: 79-83) და არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე (Соловьев Л. Н. 1959: 183-192) დღის წესრიგში დადგა მისი კრიტიკულად გადასინჯვის აუცილებლობა.

აფხაზეთის მეოთხეული ზღვიური ტერასების ჩამოყალიბების პროცესების დაკავშირების მცდელობა მდინარეულ (კოდორი) ტერასულ წარმონაქმნებთან შეუძლებლად მიაჩნიათ ქართველ მეცნიერებს პროფ. დ. წერეთელს და პროფ. ლ. მარუაშვილს (მარუაშვილი ლ. 1956: 71-78). მათი აზრით ახალი მასალების გარეშე ამ რიგის საკითხებზე მსჯელობა ამჯერად ნაკლებად შესაძლებელია.

ამ საკითხში მეცნიერთა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის ფაქტი, რომ აფხაზეთში აღმოჩენილი ძეგლების დიდი ნაწილი ღია ცისქვეშ არსებულ ნამოსახლართა ნაშთებს წარმოადგენენ. მათი კულტურული ფენების უძრავი მდგომარეობა დარღვეულია და დროთა განმავლობაში მასალები განადგურებულია სხვადასხვაგვარი ბუნებრივი მოვლენების, ეროზიისა თუ ადამიანის ზემოქმედების შედეგად. ამიტომ მათი აღმოჩენის ტერასული საფეხურები და თვით მასალა არსებითად მოკლებულია ურთიერთდამათარიღებელ კომპონენტებს.

დროთა განმავლობაში ნამოსახლარების რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად, არქეოლოგიური ნაშთების გავრცელების თავისებური ხასიათი სამწუხაროდ უცვლელი რჩება.

ამ მხრივ ტიპიური ვითარებაა დადასტურებული ქ. სოხუმის მახლობლად მდებარე რეგიონში, მისგან ჩრდილოეთით 2 კმ-ზე არსებულ ერთ-ერთ უძველესი ხანის მონუმენტურ ძეგლზე, რომელიც იაშთხვას სახელით არის ცნობილი (ტაბ. I).

იაშთხვა არის თითქმის ყველა პერიოდის ნამოსახლარებით წარმოდგენილი მასშტაბური ძეგლი, არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელს კავკასიაში. იგი მოქცეულია იაშთხვას, ბირცხის, ახ-ბიუკის, ოტაპისა და სხვა დაბალ მასივებს შორის არსებულ გავაკებაზე, რომლის საერთო სიგრძე 70-100 ჰექტარით განიზომება. ამ გავაკების, ანუ სულ ზედა V ტერასის ზედაპირი უშუალოდ ებმის მთა იაშთხვის სამხრეთ კალთებს, რომლებზეც განლაგებულია იგივე სახელწოდების სოფლები: ნითელი იაშთხვა, ქვემო იაშთხვა, ზემო იაშთხვა და სხვ. იაშთხვას ქედის სამხრეთ ფერდობის ანტიკლინალური ნაოჭები წარმოდგენილია დანიური ასაკის კირქვებით, რომელიც მდიდარია კაჟის შრეებითა და აქედან მომდინარე კაჭრებით. როგორც ჩანს იაშთხვას კაჟის შრეების დაშლის შედეგად წარმოდგარმა დელივიურმა ნალექებმა ადრევე მიიქცია უძველესი ადამიანის ყურადღება და ალბათ ეს უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი საფუძველი აქ წარმოშობილი ვრცელი სამოსახლოების, სადგომ-საწარმოების, მონადირეთა სადგომებისა თუ სხვა ანალოგიური წარმონაქმნებისა, რომელთა ნაშთები კონგლომერატული ძეგლების სახით არის წარმოდგენილი (Замятнин С. Н. 1961: 75-77; Коробков И. И. 1971: 71; Соловьев Л. Н. 1971: 21-23).

ამ ტერიტორიაზე თავს იყრის ქვედაპალეოლითური ხანის დიდძალი მასალა, რომელიც ს. ზამიატინის და ყველა მეცნიერის კვლევის ძირითად რეგიონს წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც, სადაც არქეოლოგიური მასალა ერთმანეთის მეზობლად განლაგებულ უზნებად თავმოყრილ ბუდეებს ქმნის და მთლიანობაში იაშთხვას სახელით ცნობილი ეტალონური ხასიათის ძეგლის სახით არის წარმოდგენილი.

ს. ზამიატინმა აფხაზეთის ქვის ხანის ძეგლების შესწავლის პროცესში, ქ. სოხუმთან, ზღვის დონიდან 80-140 მ სიმაღლის მდ. გუმისტას IV-V ტერასებზე სოფ. მიხალოვსკაიას მიმართულებით მიმავალი გზის ორსავე ნაპირზე, მთა იაშთხვასა და მთა ბირცხს შორის მოქცეულ გავაკებულ ტერიტორიაზე ზედაპირული მასალების მიხედვით ერთმანეთისგან ოდნავ გამიჯნულ 14 ადგილსა-პოვნელს მიაკვლია (ტაბ. III) (Замятнин С. Н. 1961: 76-78).¹

აქ ზედაპირულად დასავლეთ და აღმოსავლეთ ცხუმურას (მდ. სოხუმკა) მდინარისპირა ჭრილებში მდიდარი მასალა იქნა მოპოვებული. ალბათ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ კავკასიის არცერთ ძეგლს არ დათმობია არქეოლოგთა იმდენი ყურადღება, როგორც ცალკეული ადგილსა-პოვნელი პუნქტებისაგან შედგენილ იაშთხვას ნამოსახლარს.

იაშთხვას ზოგიერთი პუნქტი მეტ-ნაკლებად ერთი დროის (მუსტიე, აშელი) ერთფეროვანი მასალით არის წარმოდგენილი, ზოგი კი შედგება წინარე მუსტიეური, მუსტიეური და ზედა პალეოლითური ქვის ნაკეთობათა კონგლომერატისგან. როგორც სწორად შენიშნავენ იაშთხვა ამ მხრივ რთული ძეგლია. აქ თავმოყრილია ძველი ქვის ხანის ყველა პერიოდის ძეგლები შელი-აშელის ხანიდან მოკიდებული ზედა პალეოლითის ჩათვლით. მათთვის ნიშანდობლივია ყველა ის ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური თავისებურებანი, რაც დამახასიათებელია მთელ აფხაზეთში აღმოჩენილი ძეგლებისათვის, მიუხედავად იმისა, რომელი ასაკისა და შინაარსისაა ესა თუ ის ძეგლი. ამიტომ არის, რომ სავსებით სამართლიანად **იაშთხვა** ეტალონურ ძეგლად არის მიჩნეული (Коробков И. И. 1965: 76).

¹ როგორც ადგილობრივი გეოლოგი ლ. სოლოვიოვი აღნიშნავს 1930 წელს, როდესაც მას იაშთხვის ძეგლისთვის მიუკვლევი, ცალკეული პუნქტების რაოდენობა 17-ს შეესატყვისებოდა და არა 14-ს, როგორც ეს ზამიატინს აქვს მითითებული (Соловьев Л. Н. 1971: 26, рис. 2).

იაშთხვის ტერიტორიაზე ჩატარებული საკვლევადიებო სამუშაოების შედეგად, სხვადასხვა ექსპედიციების მიერ დიდძალი მასალაა დაგროვილი ქვის იარაღ-ხელსაწყოებისა და მათი ნარმოების ნარჩენების სახით. მასალები მიმოხილულია ყველგან იაშთხვის თხემზე, ნიაღვრის მიერ ჩახრამულ ადგილებში, 80-140 მ სიმაღლის ქვედა პლეისტოცენური ასაკის ჩაუდურ ტერასებზე და მდ. ცხუმურას დასავლეთ და აღმოსავლეთ მდინარისპირა ქრილებში.

როგორც მოპოვებული მასალები მოწმობენ ადამიანი აქ ადრეული აშელის ხანაში დასახლებულა და აქვე გაუვლია განვითარების ყველა საფეხური ადრეული აშელიდან მოკიდებული ზედა პალეოლითის ჩათვლით.

იაშთხვას ქვედა პალეოლითური ხანის იარაღების დასამზადებლად როგორც წესი ადგილობრივი დანიური იარუსის უხეში კირქვიერი კაჟია გამოყენებული. იაშთხვას ქვის საწყისი საწარმოო პროცესს საფუძვლად უდევს უფორმო კაჭრებით წარმოდგენილი: კუბისებური, პირამიდისებური, პოლიედრიული (მრავალნახნაგა), დისკოსებური, პრიმიტიული იერის ნუკლეუსები (ტაბ. IV-V). ასეთი ნუკლეუსებისაგან არის მიღებული იაშთხვის მასალის ძირითადი ნაწილი კლექტონური იერის მოკლე და ფართო ანატკეც-ანამტვრევების სახით (ტაბ. VI-VII) სახით. მათი ნიშანდობრივი თავისებურებაა 110°-140°-ით დახრილი ვრცელი დარტყმის სიბრტყე და რელიეფური ატკეცვის ბურცობი, რომელსაც ხშირად მთელი ქვედა სიბრტყის ნახევარი უკავია. ანატკეცების დიდი უმრავლესობა შემთხვევითი მოხაზულობისაა, მასიურია და ერთ ნაწილს ზედაპირზე შერჩენილი აქვს კაჭრის ქერქი. ამ რიგის არქაული მასალის ზედაპირი დაფარულია მონაცრისფრო, თამბაქოსფერი ან მოყვითალო ფერის პატინით. მეორადი დამუშავება იშვიათია არქაული მასალისათვის და თუ კი ასეთი რამ არსებობს, ამ შემთხვევაში რეტუში არ არის თანამიმდევრული და მიუყვება ანატკეცის ბუნებრივ მოხაზულობას (ტაბ. VI, 1-3). ზოგიერთი განსაკუთრებით მასიური ანატკეცების ესა თუ ის კიდე გაფორმებულია ფართო, ციცაბო ანატკეცებით (ტაბ. VI, 3; VII, 3, 7). ს. ზამიატინი იაშთხვას მზა ნაწარმთა კატეგორიაში განიხილავს ორი სახის იარაღს: ნვეტანებსა და საფხეკებს. ნვეტანებად იგი მიიჩნევს მოგრძო ანატკეცებს, რომლის ორი გვერდის შეხვედრის კუთხეში ასიმეტრიული, ბლაგვი შვერილია წარმოქმნილი (ტაბ. VIII, 1-4). ამ იარაღების გვერდები მხოლოდ მცირე მონაკვეთებზეა გაფორმებული. ჩვენი აზრით ეს იარაღები არ შეიძლება ტიპიურ ნვეტანად მივიჩნიოთ. მათ შორის ერთი, რომლის შვერილი ფართო, მასიური ანატკეცის შუაშია აღმართული და ორივე სიბრტყიდან არის რეტუშირებული, უფრო სახვრეტად ან ბურღისებურ იარაღად შეიძლება ჩაითვალოს (ტაბ. VIII, 1).

სახოკები ერთ-ერთი წამყვანი სახეობაა იაშთხვას არქაული კომპლექსის შემადგენლობაში. სახოკებად მიიჩნევა ყველა ის ანატკეცი, რომლის ერთი, ორი ან რამოდენიმე გვერდი რეტუშირებულია ზედა ან ქვედა სიბრტყიდან ან ხმარების ნიშნები ეტყობა (ტაბ. IX). ყველა შემთხვევაში რეტუში პრიმიტიული ხასიათისაა და აშკარად ჩანს, რომ მისი დანიშნულება ის კი არ არის, რომ ანატკეცს მისცეს სასურველი იარაღის ფორმა, არამედ მხოლოდ ინერციით მიჰყვება ანატკეცის კონტურებს.

დასრულებულ იარაღთა შორის რაოდენობრივი თვალსაზრისით გამოირჩევა მასიურ ანატკეც-ანამტვრევებზე, ბრტყელ ქვარგვალეებზე და დათხელებულ კაჭრებზე გაფორმებული, ჩოპერისა და ჩოპინგის მსგავსი ცალმხრივი და ორმხრივი უხეში, ტლანქი საჩეხი იარაღები (ტაბ. X, 1-3).

ამ ტიპის იარაღებიდან განსაკუთრებით ორმხრივ დამუშავებულ ნიმუშებს ანუ ბიფასებს ს. ზამიატინი ხელცულებად გამოყენებულ იარაღებად განიხილავს (Замятин С. Н. 1961: 80-82). მისი აზრით ეს ნიმუშები წარმოადგენენ დაუსრულებელ ნუკლეუსებს, რომელთა მეორადი დამუშავებით, შესწორების შედეგად შეგვეძლო მიგველო ხელცულები (Замятин С. Н. 1961: 80-82, таб. X, 1; XI, 1; XIII, 1,4-5; XVII,1).

ტიპიური ხელცულები იაშთხვას ნამოსახლარზე სხვა ნაწარმთან პროცენტული შედარებით

მცირეა, სულ 10 თუ 11 ერთეულია ნაპოვნი, მაგრამ ყველა მათგანი მიუხედავად იმისა თუ როგორი მოყვანილობისაა – ოვალურია, ნუშისგულის ფორმისაა თუ მსხლისებურია, მაინც ხელცულის ტიპური ნიმუშია (Замятнин С. Н. 1961: 80-82), რომლებიც აშელური დროის ყველა მონაკვეთს შეიძლება მიეკუთვნოს (ტაბ. XI, 1-2; XII, 1-2). ანალოგიური იარაღები აღმოჩენილია კიურდერეში, აჩიგვარაში, გალში, ჭუბურხინჯში, რეჩხოცხირში და ლესელიძეში. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ნუშისგულის ფორმის ხელცულის კლასიკურ ნიმუშს, რომელსაც გააჩნია მორკალული ყუა და მახვილი წვერის შემქმნელი ტოლფერდა სამკუთხედისებური გვერდები. მისი სიგრძე 14 სმ-ია, სიგანე – 8 სმ-ია, ხოლო სისქე ყუასთან – 5.5 სმ-ს აღწევს. იგი აღმოჩენილია 1953 წელს კარაგანდულ ტერასაზე, ზედაპირულად. აღმოჩენის ადგილის დამუშავების ტექნიკისა და ზედაპირის დაცულობის მიხედვით ლ. სოლოვიოვი იარაღს გვიანი აშელის ხანით ათარიღებს (Соловьев Л. Н. 1959: 185, таб. I,1).

იაშთხვის ბიფასურ იარაღებსა და ხელცულებს ი. კორობკოვი ახლო პარალელებს უძებნის ლევანტის ნამოსახლარ ჯუბ-ჯანინის მასალებთან. ასეთივე მსგავსებას ნახულობს იგი იაშთხვისა და იზრაელის მაიან-ბარუხთან და უბეიდ-ლატანის ანალოგიურ ნაკეთობებთან (Коробков И. И. 1989; 1995), რაც თითქოს მაინიშნებს მათ კულტურულ და ქრონოლოგიურ სიახლოვეს. იაშთხვის ცალკეული იარაღებისათვის პარალელების ძიებისა და მათ საფუძველზე სათანადო დასკვნების კეთების ი. კორობკოვისეულ მცდელობას არ იზიარებს ვ. ლუბინი და სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ ვიდრე ბოლომდე არ იქნება შესწავლილი და გამოქვეყნებული იაშთხვის მასალები, მათ პარალელებზე და აქედან გამომდინარე ზოგადი ხასიათის დასკვნებზე მსჯელობისას მეტი სიფრთხილე აჯობებდაო (Лубин В. П. 1998: 156).

აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხელცულის ტიპის იარაღთა შორის ზომებით, ზედაპირის უხეში დამუშავების ტექნიკით, მაგისტრალური ხაზის ტეხილობით, ზედაპირის დაცულობით და სხვა ყველაზე უფრო არქაული იერისაა ჩვენს მიერ რეჩხო-ცხირში აღმოჩენილი იარაღის ნიმუში, რომელიც შეიძლება ნინარე აშელური ხანითაც დაგვეთარიღებინა (ტაბ. XIII), მაგრამ მისი თანმხლები ლევალთალური იერის მქონე მასალის გათვალისწინებით ამის გაკეთება მიზანშეწონილად არ მივიჩნევთ.

როგორც ზემოთ ითქვა ღია ცისქვეშ მოწყობილ სადგომებზე, დარღვეული კულტურული ფენებიდან მომდინარე ზედაპირული მასალების მიხედვით ძეგლის საიმედოდ დათარიღება რასაკვირველია რთული საკითხია. ზედაპირული მასალის მექანიკური გაყოფა ადრეულ-პრიმიტიულ და მოგვიანო კომპლექსებად რასაკვირველია შეიძლება, მაგრამ მათი გამოყენება მსხვილი ქრონოლოგიური საფეხურების შიგნით დატალური ქრონოლოგიური დაყოფის და კულტურული კუთვნილების მაჩვენებლად დაუშვებელია, როგორც ამას ადრე ჰქონდა ადგილი იაშთხვის აღმოჩენის მომენტში (Замятнин С. Н. 1937), როდესაც იაშთხვის მასალებში გამოიყოფოდა შელის საფეხური (Соловьев Л. Н. 1971: 22-28). იაშთხვის კომპლექსში შელური ასაკის მასალების გამოყოფის ტენდენცია აშკარად შეინიშნება ნ. სოლოვიოვის (Соловьев Л. Н. 1971: 26-31), ნ. ბერძენიშვილის (1959; 1979), ს. კალანდაძის (1964, გვ. 1) და სხვა მეცნიერთა შრომებში. რაც შეეხება ს. ზამიატინს, თავის მოგვიანო ხანის ნაშრომებში იგი აღარ საუბრობს შელურ საფეხურზე და იაშთხვის მასალის ჰაბიტუსისა და პირველადი თუ მეორადი დამუშავების პრიმიტიული ნიშნების გათვალისწინებით არ გამორიცხავს, რომ საერთო მასალიდან შეიძლება გამოიყოს შედარებით უფრო ძველი ადრეაშელური ხანის ნაკეთობანი (Замятнин С. Н. 1961: 82).

უდაოა, რომ **იაშთხვაში** და მის შემოგარენში არსებობს აშელური, მუსტიური და ზედაპალეოლითური ნამოსახლარი, მაგრამ სტრატეგრაფიული მონაცემების უქონლობის გამო ძეგლების უფრო დეტალური ქრონოლოგიური გრადაცია თითქმის შეუძლებელია.

არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ამ მიდამოებში გარკვეული გათხრითი სამუშაოე-

ბის ჩატარების შემდეგ უძრავ (in situ) მდგომარეობაში შემორჩენილი სტრატиграფიული ნიშნების მქონე ფენებიც იქნეს აღმოჩენილი. ასეთ უძრავ მდგომარეობაში შემონახული ადგილების ძიება და აუშლელი ფენებიდან მომდინარე მასალების მოპოვება დაისახა მიზნად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1958 წელს, როდესაც ნინო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალოდ ჩვენი მონაწილეობით მოხილული იქნა ვრცელი ტერიტორია მდ. გუმისტასა და მდ. ბესლეთს შორის მოქცეული სამი ტერასული საფეხური, რომლებიც უშუალოდ ებმიან ჩრდილოეთით აღმართულ მთა იაშთახვას სამხრეთ კალთებს.

ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია პალეოლითური ნაშთების ძიებას ყოველთვის ახდენდა ერთი სისტემით, რაც მდგომარეობდა მასალის აღმოჩენის ტოპოგრაფიული ნიშნულის ფიქსაციაში და მათი პალეოლანდშაფტის ქრილში განხილვაში.

პირველი სამუშაოები ჩატარდა სოხუმიდან **იაშთხვის** მიმართულებით, როდესაც დიდძალი მასალა მოვიპოვეთ ქვედა და ზედა იაშთხვაში, სოფ. თავისუფლებაში, მდ. გუმისტას მარცხენა სანაპირო ტერასებზე, მდ. ცხუმურას ხეობებში და სოფ. შრომაში. ამ მხრივ ყველაზე მდიდარი გამოდგა იაშთხვასა და მთა ბირცხს შორის მოქცეული მშრალი ხეობა, სადაც ნაირგვარ ქვის მასალასთან ერთად აღმოჩნდა კაჟის ხელნაჯახის კარგი ნიმუში (ტაბ. XIV, 1).

ხეობაში გაჭრილი საცდელი თხრილებით გაირკვა, რომ აქ ნიადაგი ორი გეოლოგიური პროცესის შედეგად არის წარმოქმნილი. ქვედა ფენა შექმნილია ალუვიური ნალექებით, რომელსაც გადაფარული აქვს დელუვიური წარმონაქმნის მძლავრი ფენა, დაკავშირებული იაშთხვა-ბირცხის ფერდობების ჩამორეცხვის პროცესებთან. ასეთი ფაქტი გამოვლინდა როგორც მშრალ ხეობაში ჩვენს მიერ გაჭრილ თხრილში (ტაბ. XIV, 2), ისე ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლის ეზოში, ჭაში გამოვლენილ ფენათა სტრატиграფიულ ქრილში. I სულ ზედა ფენას წარმოადგენს განიადაგებულ ჰუმუსს, რომლის სისქე მერყეობს 0.30-1.50 მ შორის. II ფენა წარმოადგენილია 1.50-3.0 მ სისქის დელუვიური წარმოშობის ყვითელი თიხებით. III ფენა ქვიშანარევი ქვარგვალეებითაა წარმოდგენილი, სისქით 15 მ არ აღემატება და ოდესღაც აქ მომდინარე მდ. გუმისტის ალუვიურ დანალექს უნდა წარმოადგენდეს (ბერძენიშვილი ნ. 1979: 16).

თხრილების საშუალებით კიდევ ერთხელ გაირკვა და დაზუსტდა, რომ როგორც იაშთხვა-ბირცხს შორის მოქცეულ ხეობაში, ისე მის მომიჯნავე ტერასებზე ქვედა პალეოლითური ნაშთები უკავშირდებიან მხოლოდ და მხოლოდ დელუვიური ნალექების ზედა ჰორიზონტებს, რომლებიც უშუალოდ ებმიან განიადაგებულ კორდოვან ფენას და მათ არაფერი აქვთ საერთო ტერასების ქვედა (III) ალუვიურ ფენასთან.

გაჭრილ თხრილებში გამოვლენილმა მონაცემებმა შეგვიქმნა სურვილი ზღვიურ უმაღლეს ტერასებზე აღმართული მთის (იაშთხვა) ფერდობებზე მასალების ძიებისა და მათ ეროზიულ ბაქნებზე გარკვეული გათხრითი სამუშაოების ჩატარებისა.

ა. კოზლოვის მიხედვით ბირცხისა და იაშთხვას მთათა გეოლოგიური წყება მესამეულის შუა პერიოდის (ზედა და ქვედა ცარცის იარუსები) საზღვრებში თავსდება, სადაც ძირითად ქანად ცარცული კირქვებია წარმოდგენილი. ეს კირქვები შეესილია ტურონ-სენომანური კაჟის: ხორცისფერი, ვარდისფერი, მონაცრისფრო კონკრეციებით და ზედა ცარცის დანიური იარუსის: მოთეთრო, რძისფერი და დაბინდული კირქვიერი კაჟით. სწორედ ამ ჯიშის მასალიდან არის დამზადებული იაშთხვის ვრცელი ნამოსახლარის ძირითადი მასალები. ეტყობა მასალის დიდმა მარაგმაც შეუწყო ხელი იაშთხვის მიდამოებში ქვის ხანის ადამიანის ხანგრძლივი დროით (აშელი, მუსტიე, ზედა პალეოლითი) დასახლებას.

მთა იაშთხვას ფერდობებზე და თხემზე მუშაობის პირველივე დღეს გაირკვა, რომ ამ მთის ყველა ნაწილი ინტენსიურად იყო მოფენილი ქვედა პალეოლითური მასალებით.

იაშთხვას უმაღლეს ნერტილში, ზღვის დონიდან 512 მ სიმაღლეზე გაჭრილმა თხრილმა ცხადყო, რომ აქ ქვედაპალეოლითური მასალა ღრმად არ ვრცელდება და უკავშირდება ამ მხარისათვის მეტად დამახასიათებელ, ადგილობრივ წარმოქმნილ ნითელ თიხებს (terra, rossa), ანუ ენნერულ ნიადაგებს. ნითელი თიხამინების ასაკისა და გენეზისის შესახებ მეცნიერთა შორის სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგი მათგანი მას რის-ვიუმის წარმონაქმნად თვლის, ზოგი კიმერიულს მიაკუთვნებს, ზოგს კი იგი პლეისტოცენის დასაწყისში წარმოქმნილად მიაჩნია (Громов В. И. 1948: 9-10). ჩვენის აზრით ამ საკითხში ყველაზე უფრო მისაღებია ს. კროკოსის მოსაზრება, რომელიც ენნერულ თიხამინებს დელუვიურ წარმონაქმნად თვლის და ასაკობრივად პლიოცენის (მესამეული) დასასრულს უკავშირებს (Крокоз В. И. 1927, вып. 5). როგორც მთის თხემზე გავლებული საძიებო თხრილების მიხედვით გაირკვა ეს ენნეროვანი ნიადაგები წარმოქმნილია კირქვის ძირითადი ქანების გამოფიტვა-დაჟანგვის შედეგად, იგი მესამეულის დასასრულის ასაკისაა და აქ ადამიანის ცხოვრება მოხდა ამ ნითელი შრის წარმოქმნის შემდეგ და ამდენად იგი კულტურულ ფენად ვერ ჩაითვლება (ბერძენიშვილი ნ. 1979: 18).

უძრავი კულტურული ფენების ძიების მიზნით მთა იაშთხვის ზედაპირზე სხვადასხვა ადგილას, უმთავრესად ქვის მასალების დაგროვების უბნებზე გაიჭრა შვიდი თხრილი. თხემის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფართობზე გავჭერთ I თხრილი, II თხრილი მდებარეობს აღმოსავლეთ ნაწილში, III თხრილი უფრო სამხრეთ ნაწილშია მოქცეული, IV-V თხრილები მესამე უბნის ფართობს ეკვრიან სამხრეთიდან, VI თხრილი თითქმის V უბნის გაგრძელებაა და VII თხრილი VI უბანს ემიჯნება სამხრეთის მხრიდან (ბერძენიშვილი ნ. 1979: 18-19, ტაბ. V).

ყველა უბნის ფართობი დაახლოებით 0.5 კვ კილომეტრს უდრის. გარდა ამისა ამავე ფართობის სხვადასხვა პუნქტში დამატებით გაიჭრა 50 მ-მდე მცირე ზომის საცდელი თხრილი და საძიებო სამუშაოებმა მიიღო დასრულებული სახე.

თხრილებში გამოვლენილ ფენათა სტრატეგრაფიული სურათი არსებითად ასეთია:

I კორდოვანი ფენა, 0.10-0.30 მ სისმძლავრისა.

II მოყავისფრო მჭლე თიხნარი, ნითელში გარდამავალი 0.30-0.55 მ სისქისა.

III მოყვითალო-ნითელი ენნეროვანი თიხები, 0.55-1.0 მ სიმძლავრის, რომელიც უშუალოდ ადევს დედაქანის ზედა ცარცული კირქვის წყებას.

თხრილებში ქვედაპალეოლითური მასალები გვხვდებოდა ზედაპირულად ჰუმუსში და II მოყავისფრო თიხნარ ფენაში, რომელიც უშუალოდ ებმის ნითელ ენნეროვან ნიადაგს. ამრიგად აქაც იგივე სურათი გამოვლინდა, რაც იაშთხვას ძირობაზე, სადაც ნითელი თიხები არ წარმოადგენს კულტურულ ფენას.

როგორც ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს იაშთხვაზე პალეოლითელი ადამიანის ცხოვრება იმ უძველეს პერიოდში დაიწყო, როდესაც კირქვები დედაქანის გამოფიტვით წარმოქმნილი ნითელი თიხამინის საბურველი თხემზე უკვე არსებობდა, რომელზეც დასახლდა უძველესი ადამიანი და წარმოიქმნა მოყავისფრო თიხნარი, ჩვენი ნუმერაციით რიგით II ფენა.

აღსანიშნავია, რომ იაშთხვის თხემის ცენტრალურ თხრილში გამოვლენილ რიგით II ყავისფერ თიხნარ ფენაში თავი იჩინა ნახშირის წვრილმა ფრაგმენტებმა, რაც ნ. ბერძენიშვილის მიერ მიჩნეული იქნა ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ნივთიერებად და თვით ფენა ჩაითვალა ოდესღაც აქ არსებული უძრავ მდგომარეობაში შემორჩენილი კულტურული ფენის ფრაგმენტად, სადაც მეტ-ნაკლები სისრულით დაცულია უძრავი ქვედა პალეოლითის კულტურული ფენები (ბერძენიშვილი ნ. 1979: 19-20).

რამდენადაც უშუალოდ ვესწრებოდით საცდელი თხრილების გაჭრის პროცესს, ჩვენ ვერ გავიზიარებთ გამოთქმულ ამ საყურადღებო მოსაზრებას. ჩვენი დაკვირვებით იაშთხვის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილი II ყავისფერი თიხნარი ფენა, რომელიც ადევს ენნეროვან მონითალო ფერის

ნიადაგს და მოქცეულია ჰუმუსური ფენის ქვეშ, წარმოქმნილი უნდა იყოს ამ ფენათა ნიადაგების შერევით, ხოლო მასში ჩართული ნახშირის ნამცეცების წარმომავლობის წყაროდ შესაძლოა ჩაითვალოს ბუნებრივი მოვლენებით (მეხი, ვულკანი) გაჩენილი ხანძარი. ეს ფენა, რომლის სისქე 0.55 სმ-ია, არ იძლევა არც სტრუქტურულ და არც კულტურული ქრონოლოგიური ნიშნით განლაგებულ სტრატოგრაფიულ სურათს. აქაც ისეთივე ნარევი (აშელი-მუსტიე) ქვის მასალა გვხვდება, როგორც ყველგან იაშთხვის მიდამოებში.

ამ შემთხვევაში ნ. ბერძენიშვილის მიერ სასურველის რეალურად წარმოდგენის სურვილი უფრო ჩნას, ვიდრე ფაქტიური ჭეშმარიტება.

ამრიგად, ჩვენის აზრით იაშთხვის მიდამოებში უძრავი კულტურული ფენების მიკვლევის მიზნით ჩატარებულმა გათხრებმა სამუშაოებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, თუმცა მომავალში ასეთი ბედნიერი შემთხვევის მიღწევა სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია.

სამწუხაროდ დადებითი შედეგი ვერ გამოიღო საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მცდელობამ მასალის თავმოყრისა და გავრცელების მიხედვით დაედგინა **იაშთხვის** ქვედაპალეოლითური ნამოსახლარის ცენტრალური უბნის ადგილმდებარეობა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ნიშნულების მითითებით.

მთა იაშთხვის თხემზე და მის სამხრეთ ფერდობზე ჩატარებული ტოპოგრაფიული სამუშაოების შედეგებისა და საცდელი გათხრებისას მოპოვებული მასალების გავრცელების საფუძველზე ნ. ბერძენიშვილის მიხედვით ამ მიდამოებში ქვედაპალეოლითელი ადამიანის უმთავრეს საცხოვრებელ ადგილად მთა იაშთხვის თხემი და ფერდები უნდა ჩაითვალოს. სწორედ აქედან, ეროზიული თუ სხვა ბუნებრივი ფაქტორების შედეგად უნდა მომხდარიყო კულტურული ფენის დიდი ნაწილის ჩამორეცხვა და მასალის დაგროვება მთა იაშთხვის ძირობაზე (ბერძენიშვილი ნ. 1959: 178-180; ბერძენიშვილი ნ. 1979: 20).

სრული ჭეშმარიტებაა, რომ იაშთხვის ყველა დონეზე გვხვდება ქვედაპალეოლითური მასალები. უმაღლესი წერტილი, სადაც აიკრიფა ქვის იარაღ-ანატკეცები მდებარეობს ზღვის დონიდან 505-507 მ სიმაღლეზე (II, IV უბანი) და აქედან მოკიდებული ყველა დონეზე V-IV ტერასების ჩათვლით, ყოველგვარი სტრატოგრაფიული მონაცემის გარეშე. იაშთხვის თხემზე და ფერდობებზე მოპოვებული ქვის მასალები სავსებით იდენტურია ტერასებზე არსებული კაჟის ნაწარმისა. აქ ერთად გვხვდება დისკოსებრი ნუკლეუსები, როგორც ორმხრივი (ტაბ. XV, 1, 3), ისე ცალმხრივად ატკეცილი (ტაბ. XV, 2), უხეში საჩეხი იარაღები, რიყის ქვისა (ტაბ. XVI, 1-2), რომელსაც ჩვეულებრივ ჩოპერებსა და ჩიპინგებს ვუნოდებთ. ამ ტიპის იარაღებს შორის გვხვდება ნუკლეუსების გადაკეთების შედეგად მიღებული საჩეხი იარაღები არქაული იერის მქონე დიდი ზომის, მასივური ანატკეცები (ტაბ. XVII, 1; XVIII, 1-2), სახოკები მორკალური პირით (ტაბ. XVII, 2-4), სახოკები ერთი (ტაბ. XIX, 1-2) ან ორპირა, ზოგჯერ ორმხრივ რეტუშირებული (ტაბ. XIX, 3-5; XX, 1-2) იარაღები. კარგად არის წარმოდგენილი მუსტიეური იერის ბლაგვწვერა წვეტანები (ტაბ. XX, 3-4), რომლებიც რეტუშირებულნი არიან, ხმარების შედეგად მიღებული ჩანატეხები გააჩნიათ ან დაუმუშავებელია და ლევალუაზური ტექნიკით მიღებულ სამკუთხა ანატკეცებს წარმოადგენენ (ტაბ. XX, 5-6). გარდა ამისა კოლექციაში შედის ნაირგვარი ანატკეცები, რომელთა შორის ზოგს ლევალუაზური ტექნიკური ნიშნები გააჩნია და ფაქტიურად მოგრძო სწორკუთხა ლამელებს ემსგავსებიან.

როგორც აღწერილი მასალიდან ჩანს იაშთხვის თხემზე და ფერდობებზე მოპოვებული მასალები ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური ნიშნებით სავსებით იდენტურია იაშთხვას თხემზე, ფერდობებზე და ძირობაზე არსებული ქვედა პალეოლითური მასალებისა. ამ ფაქტმა ნ. ბერძენიშვილს აფიქრებინა, რომ ამ დროის ადამიანის ძირითად საცხოვრებელ ადგილს მთა იაშთხვა, უფრო კი მისი თხემი წარმოადგენდა (ბერძენიშვილი ნ. 1979: 20), საიდანაც მასალის გადმორეცხვა-ჩამოტანის პროცესი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამდენად მისი ვარაუდით მთა

იაშთხვას მიმდებარე ტერასებზე ზედაპირულად მიმოხეული ნაშთების დიდი ნაწილი თხემიდან უნდა იყოს გადმოტანილი.²

ჩვენი აზრით ეს მოსაზრება ნაკლებად დამაჯერებელია და რაიმე არსებითი ხასიათის ფაქტიური საფუძველი არ გააჩნია. სამაგიეროდ უთუოდ საყურადღებოა შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ათწლიანი (1958-1968) მოღვაწეობის პროცესში იაშთხვას მიდამოებში საველე-საძიებო სამუშაოების (მათ შორის გათხრითი) შედეგად დაგროვილი ახალი მასალების მონაცემების გათვალისწინებითა და ზღვიური ტერასების ჰიფსომეტრული სიმაღლეებისა თუ სტრუქტურული აღნაგობის, გეოლოგიური სურათის გათვალისწინებით გამოთქმული სავსებით მისაღები მოსაზრება, რომლის მიხედვით პალეოლითის ხანაში, მოცემული რეგიონის გეომორფოლოგია დღევანდელთან შედარებით დიდად არ უნდა ყოფილიყო განსხვავებული და აქ ადამიანის დასახლების პერიოდში ტერასების ფორმირება უკვე განვლილი ეტაპი უნდა ყოფილიყო (ბერძენიშვილი ნ. 1979: 31).

ასეთი ლოგიკური დასკვნის შემდეგ ძნელია დაუშვა, რომ იაშთხვას, ბირცხის, ახბიუკის და ოტაპირ მთიან მასივებს შორის მოქცეული გავაკებული ტერიტორია, რომლის საერთო ფართობი ათეულობით ჰექტარით განიზომება, დასერილია პატარა მდინარეებით და ლეღებით, მდიდარია მცენარეული საფარით, ხასიათდება სასურველი მორფოლოგიით და ქვის ინდუსტრიისათვის საჭირო ნედლეულის ამოუნურავი-განუსაზღვრელი რაოდენობით, ყურადღების გარეშე დარჩენოდა აქ დასახლებულ უძველეს ადამიანს და სამოსახლოს შერჩევისას უპირატესობა მიენიჭებინათ ირგვლივ არსებული მთის მწვერვალებისათვის. ასეთი ვითარება არალოგიკურია, რასაც რეალურად არსებული მატერიალური კულტურის ნაშთების გავრცელების სურათიც არ ადასტურებს.

იაშთხვის ქვედაპალეოლითური მასალის შესწავლისა და მისი ქრონოლოგიურ-კულტურული გრადაციების გაშუქების თავლსაზრისით უთუოდ მნიშვნელოვანია პროფ. ი. კორობკოვის მიერ იაშთხვის ქვედა ზოლში და განსაკუთრებით მის ძირობაზე ჩატარებული საკმაოდ სოლიდური, შრომატევადი სამუშაოები, რომელმაც ღია სადგომებზე ზედაპირულად შეგროვილი მასალების ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით სცადა იაშთხვას ცალკეული ძეგლების ქრონოლოგიური დანაწევრება (Коробков И. И. 1967: 196). ი. კორობკოვის დაკვირვებით „დიდი იაშთხვის“ მიდამოებში პალეოლითური ნაშთები ლოკალიზებულია უბნებად და კონკრეტულ პუნქტში შემონახულია ინდივიდუალური ნიშნების მქონე, ინდუსტრიული კომპლექსები, სადაც თავს იყრის ქვის წარმოების თავისებური ნიშნების მქონე ნაშთები, წარმოდგენილი გარკვეული სტატისტიკური მაჩვენებლებით.

ჯერ კიდევ ს. ზამიატინის მიერ იყო ხაზგასმით აღნიშნული, რომ იაშთხვის ცალკეულ უბნებზე, სულ ზედა V ტერასაზეც კი, გვხვდება კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურისადმი დამახასიათებელი იარაღებისა და მათი წარმოების პროცესში დაგროვილი ნაშთების ნარევი (შელი, აშელი, მუსტიე, ზედა პალეოლითი) (Замятнин С. Н. 1961: 79).

მომდევნო ხანაში სხვადასხვა მეცნიერთა (ნ. ბერძენიშვილი, ს. სოლოვიოვი და სხვ.) საგანგებო მცდელობას, მათ შორის გათხრითი მეთოდების მოშველიებითაც კი (ბერძენიშვილი ნ. 1979: 13-40) არსებული შეხედულებების შეცვლა არ მოყოლია. ამ მხრივ არსებითად განსხვავებულია ი. კორობკოვის იაშთხვაზე ხანგრძლივი მოღვაწეობის შედეგები, როდესაც როგორც იგი აცხადებს იაშთხვის საცხოვრისის („დიდი იაშთხვა“) გარკვეულ წერტილში კერძოდ პუნქტ №4-ში, მდ. ცხუმურას მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე მიაკვლია ძეგლს, სადაც თავმოყრილია ქვედაპალეოლითური ხანის სხვადასხვა ტექნიკური (ტაიაკური-დაკბილული, ლევალუა-მუსტიური და ა. შ.) ტრადიციების მა-

2 იაშთხვას, ბირცხის, ჩერნიავესკის და სხვა გორაკების თხემებზე ერთეული იარაღების აღმოჩენის ფაქტს აღნიშნავს ს. ზამიატინი, ვ. გრომოვი და სხვ. (С. Н. Замятнин, 1961, стр. 76).

ტარებელი მასალების შემცველი ერთფენოვანი ნამოსახლარი (Коробков И. И. 1967: 199-206).

კორობკოვი განსაკუთრებით დაუინებით ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ამ პუნქტში მან მიაკვლია დაკბილული ტრადიციების მატარებელ ლოკალურ მუსტიურ ძეგლს, რომლის დაკბილვის ტექნიკური ტრადიციები უკვე აშელის ხანიდან იღებს სათავეს. მისი ვარაუდით ერთ დროს ადგილობრივ არსებული ერთიანი აშელური კულტურა მოგვიანო ხანაში იყოფა ორ ტოტად და ყალიბდება ორი განსხვავებული მუსტიური ინდუსტრია. ტაიაკურ-დაკბილული და ლევალუა-მუსტიური (Коробков И. И. 1966).

ამ საინტერესო მიგნებისათვის მეტი დამაჯერებლობის მინიჭების მიზნით ი. კორობკოვი იმონებს მეცნიერთა სოლიდურ საველე-არქეოლოგიურ კომისიას, რომელიც მას მიუწევია ველზე 1965 წელს ხსენებული აღმოჩენის დასადასტურებლად.³

ჩვენ არ ვიცნობთ ამ საკითხთან დაკავშირებულ კომისიის დასკვნას მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ამ კომისიის ერთ-ერთი ძირითადი წევრი ნ. ბერძენიშვილი ი. კორობკოვის ახალი მიგნების საკითხში მთავარი ოპონენტი. როგორც ცნობილია ნ. ბერძენიშვილი წლების (1958-1968 წ.წ) განმავლობაში მოღვაწეობდა იაშთხვას მიდამოებში, კარგად იცნობს ს. ზამიატინის აღმოჩენებს, საგანგებოდ მოიხილა ი. კორობკოვის მიერ აღმოჩენილი საყურადღებო უბანი, საცდელი შურფებიც კი გააკეთა ამ ადგილზე, მაგრამ მუსტიური ხანის ორი განსხვავებული ტექნიკური ტრადიციების მქონე გარკვეული კულტურის ნაშთების არსებობა ვერ დაადასტურა (ბერძენიშვილი ნ. 1979: 32-33).

სოჩა-სოხუმის შავიზღვისპირეთში და კონკრეტულად იაშთხვას მიდამოებში, ი. კორობკოვის მიერ აშელის ინდუსტრიის განვითარების შედეგად „დივერგენტული“ გზით ორი განსხვავებული მუსტიური: ტაიაკურ-დაკბილული და ლევალუა-მუსტიური კულტურების წარმოშობასა და პარალელურად ერთმანეთის გვერდით არსებობის თეორია (Коробков И. И 1966; Коробков И. И 1971: 80, 98-99) არ გაიზიარეს და კრიტიკულად განიხილეს ა. კალანდაძემ (Каландадзе А. Н. 1969: 15-16), ა. ფორმოზოვმა (Формозов А. А. 1973: 124) და ვ. ლუბინმა (Любин В. Т. 1977: 5-8, 200).

ამ მეცნიერებს შორის განსაკუთრებით პრინციპულია ვ. ლუბინი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა კავკასიის მუსტიური კულტურები და ამ ძეგლებს სოლიდური მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა (Любин В. Т. 1977).

ი. კორობკოვის ვარაუდები, რომ მოკლებულია რეალურ საფუძვლებს ამაში იოლად დავრწმუნდებით თუ დაკვირვებით შევისწავლით თუნდაც ს. ზამიატინის მოპოვებული მასალების გრაფიკული ჩანახატებს, რომლებიც გამოქვეყნებულია „ავხაზეთის პალეოლითის“ სახელით ცნობილ მონოგრაფიაში. ესენია: იაშთხვა, ლეჩკოპი, კელასური, ახბიუკი, ოჩამჩირე და სხვა ძეგლებიდან მომდინარე მუსტიური ხანის მასალებს. ამ ძეგლების ნამყვანი ფორმები: წვეტანები იქნება თუ სახოკები, დისკოსებური ნუკლეუსები იქნება ეს თუ დანებად გამოყენებული მოკლე და ფართო ანატეცები, მეორადი დამუშავების ნიშნებით, ამიერკავკასიის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში ფართოდ გავრცელებულ ტიპურ მუსტიური ინდუსტრიულ ძეგლებს წარმოადგენენ. რაც შეეხება ამ კულტურებში დაკბილული ინდუსტრიის გარკვეული ფორმების არსებობას იგი უნდა აიხსნას სოჩი-ადლერის რაიონში არსებული მღვიმური ძეგლების კულტურის მეზობლობითა და მათი გავლენის შედეგებით. ჩვენი აზრით ასევე ხელოვნური ჩანს ი. კორობკოვის მინიშნება მდინარე დასავლეთ ცხუმურას ტერიტორიაზე აშელის ხანის ერთფენოვანი შეურეველი, სუფთა მასალის შემცველი ძეგლის არსებობის შესახებ (Коробков И. И 1965: 196-197). მისი ვარაუდით ეს კომპლექსი მთელი რიგი დამახასიათებელი თავისებური ნიშნებით განსხვავდება კავკასიის სხვა

³ კომისიის შედგენილობაში შედიოდნენ: ბ. ბორისკოვსკი, ვ. ლუბინი, ი. კორობკოვი, ე. აბრამოვა, ბ. ერეციანი, ვ. მურატოვი, ვ. პეტრუნი, ა. კალანდაძე (თავჯდომარე), ლ. სოლოვიევი, თ. ბუგაინიშვილი და ნ. ბერძენიშვილი.

რაიონებიდან ცნობილ აშელური კულტურისაგან და უახლოვდება ლევანტის უბეიდურ-ლატამნის ტრადიციების მატარებელი ძეგლების კულტურას (Любин В. Т. 1998: 156). ი. კორობკოვის მიხედვით შავიზღვისპირეთის აშელური ძეგლებისათვის და მათ შორის იაშთხვისათვის ტიპიურია უხეში სახოკ-საჩეხი იარაღები, მორკალურ-ამოლარული გვერდებით, რომელთა შორის ხშირად შევრილია წარმოქმნილი (Коробков И. И 1967: 199, рис. 1, 3, 7, 8). მისივე დაკვირვებით ანალოგიური ნაკეთობანი საერთოდ უცნობია, ან ყოველ შემთხვევაში არ არის ტიპიური ცენტრალური კავკასიისა და არც ჩრდილო კავკასიის ძეგლებისათვის (Коробков И. И 1967: 199). უდაოა ეს კატეგორიული განცხადება არ შეესაბამება რეალურ ვითარებას.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია მსგავსი მასალები ხშირად გვხვდება ზემო იმერეთის (თუშაბრამიშვილი დ. 1962: 33), კახეთის (ბუგიანიშვილი თ. 1988: 18-37) და სამცხის (ახალქალაქი I-IV, ვალე-ჭორათი) აშელური ხანით დათარიღებულ ძეგლებში (გრიგოლია გ. 1965; გაბუნია მ. 1993: 5-7).

თუ დღეისათვის იაშთხვის რომელიმე თავისებურებაზე შეიძლება საუბარი ეს არის საერთოდ ბიფასური ფორმების და კონკრეტულად ხელცულების ნაკლებობა, რაც ასე ნიშანდობლივია დასავლეთ ამიერკავკასიის ყველა ძეგლისათვის. ამის ნათელსაყოფად შეიძლება გავიხსენოთ, რომ იაშთხვას ნამოსახლარისადმი საყოველთაო ყურადღების მიუხედავად და მისი კვლევის თითქმის ერთ საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე აღმოჩენილ ხელცულზე რაოდენობა ერთ ათეულს არ აღემატება.

ეს არის მართლაც ნიშანდობლივი თავისებურება და ამას ერთხმად აღნიშნავს, ყველა ვინც კი შეხებია დასავლეთ ამიერკავკასიის ქვედა პალეოლითური ძეგლებთან დაკავშირებულ პრობლემატიკას.

ამიტომ არის, რომ ყოველი ამ ტიპის იარაღის ახალი აღმოჩენა საგანგებო ყურადღებას იმსახურებს და ინდივიდუალური შესწავლის საგანი ხდება.

როგორც ცნობილია ხელცულებს, მათი ტიპოლოგიური და ტექნიკური ნიშნების გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძეგლის ასაკის დადგენისას. ზოგჯერ კი მათი პრობლემატიკური დატვირთვა კიდევ უფრო თამამი და შორს მიმავალია ვარაუდების გამოტანის საშუალებას აძლევს მკვლევარებს. საილუსტრაციოდ შეიძლება შევჩერდეთ სოხუმის მახლობლად, ტრაპეცის გორაზე აღმოჩენილი გულისფორმის, მოგრძო ლანცეტისებური ხელცულზე (Любин В. Т. 1998: 156, рис. 96, 2); რომელიც ი. კორობკოვის მიხედვით ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ლევანტის სადგომ დჯუბ-ჯანინის იარაღთან და სხვა მასალებთან ერთად იაშხვის კულტურას აახლოვებს უბეიდო ლატამის ტრადიციის მქონე მასალებთან (Любин В. Т. 1998: 156). საქართველოს შავიზღვისპირეთში (იაშთხვა, აჩიგვარა, გალი და ა.შ.) (ტაბ. XXI_{1,2}). ადრე აღმოჩენილ ხელცულებთან (Любин В. Т. 1998: 156, рис. 92,3; 96,2) ერთად ქრონოლოგიურ და ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა, საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი სამი ხელნაჯახი და ენგურის საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მიკვლეული ტიპოლოგიურად და ტექნოლოგიურად რამდენადმე განსხვავებული ხელცულის ერთი ნიმუში (ტაბ. XIII).

შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ერთ-ერთი ხელნაჯახი მიკვლეულია მთა იაშთხვას თხემზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ბერძენიშვილი ნ. 1979: 35-36. ტაბ. XXVIII). ხელნაჯახი ნუშისებური მოყვანილობის იარაღის კლასიკური ნიმუშია. იარაღი ბიფასურია, საერთო მოყვანილობით ასიმეტრიულია და სიგრძივ ჭრილში ნავისებურ კონტურს ქმნის.

იარაღი ერთი სიბრტყიდან საკმაოდ შემალღებულია, რაც ნაკლებად შეინიშნება მეორე მხარეს. იარაღი წვერისკენ თანდათან ვიწროვდება, თხელდება და ორპირა დანის ანუ ლანცეტისებურ მოყვანილობას ღებულობს. ხელცულის ორივე სიბრტყე სრულად არის ატკეცილი. კიდებიდან

შუა ნაწილისაკენ მიმავალი მეტნაკლები სიდიდის ანატკეცების ჩამოცილებით. სამუშაო ერთერთი გვერდი ზედა ნახევარში რეტუმით არის შესწორებული. მეორე გვერდზე კი შეინიშნება ხმარების შედეგად წარმოქმნილი ჩანატეხები. იარაღის ზედაპირი დაფარულია მოყვითალო ფერის სქელი პატინით მისი ზომებია: 12,5X7,0X5,5 სმ. (ტაბ. XXII).

იგივე ექსპედიციის მიერ ანალოგიური იარაღი აღმოჩენილია მთა იაშთხვასა და მთა ბირცხის გამყოფ მშრალ ხეობაში, საძიებო თხრილის გაჭრის მომენტში (ბერძენიშვილი ნ. 1979: 36). იარაღი ნაკეთებია მოთეთრო ფერის კირქვიერი კაჟის კონკრეციისაგან. საშუალო ზომისაა (11,8X9,0 სმ) და მოყვანილობით გულისა თუ ოვალურის მსგავსია. ორივე სიბრტყე ფართო ანატკეცებით აქვს გათლილ-გაჩორკნილი. კაჭრის ბუნებრივი ქერქი იარაღის ფართო და მასივური ყუის ზედაპირზეა შემორჩენილი. აქედან მოკიდებული მეორე ბოლოსაკენ იარაღის სიგრძივი გვერდები თანდათან ვიწროვდება და ბოლოში, მათი შეხვედრის ნერტილში წარმოქმნილია ბრტყელი ვიწრო, ოვალური თუ სწორი სამუშაო წვერი (5 სმ სიგანის). მეორადი დამუშავების კვალი იარაღის ერთ-ერთ კიდის მცირე მონაკვეთზე შეინიშნება, რაც შეიძლება შემთხვევითაც წარმოქმნილიყო იარაღის ხმარების პროცესში. (ტაბ. XIV, 1.)

როგორც უკვე ითქვა ხელცულის ორივე სიბრტყე ფართო ანატკეცებით არის დამუშავებული, რითაც გამოწვეულია მაგისტრალური ხაზის, რამდენადმე ტეხილი მიმართულება.

ასეთი არქაული ნიშნების გათვალისწინებით ნ. ბერძენიშვილი იაშთხვას ტერიტორიაზე აღმოჩენილ ხელნაჯახებს შორის ამ ნიმუშს უძველეს ნაკეთობად თვლის (ბერძენიშვილი ნ. 3. 1959: 174).

სხენებული ხელნაჯახის თაობაზე ნ. ბერძენიშვილი ეკამათება ი. კორობკოვს, რომელიც ტიპოლოგიური თვალსაზრისით ახლო მსგავსებას ხედავს აფხაზეთის გვიანი აშელის ხანით დათარიღებულ ე.წ. ლანცეტისებურ იარაღებთან (Коробков И. И. 1963: 79).

როგორც ზემოთ ითქვა იაშთხვას იარაღის არქაული ხანით დათარიღების საკითხზე მსჯელობისას ნ. ბერძენიშვილი ითვალისწინებს ხელნაჯახის დამუშავების ტექნიკურ ნიშნებს, რაც უფრო მეტად დამაჯერებელია (ბერძენიშვილი ნ. 1979: 37), ვიდრე ი. კორობკოვის ტიპოლოგიურ მხარეზე დამყარებული ვარაუდი, თარიღის შესახებ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ იაშთხვას ჩრდილო ფერდზე აღმოჩენილი კიდევ ერთი ხელნაჯახი, რომელიც რიგი ნიშნებით განსხვავებულია აფხაზეთში აღმოჩენილი ყველა სხვა ნიმუშისგან. ჯერ ერთი იარაღი დამზადებულია ლეგა ფერის ვულკანოგენური წარმოშობის, წვრილმარცვლოვანი ბაზალტისებური ქანისაგან, რომლის მსგავსი მასალის ნაკეთობები ძალზე იშვიათად გვხვდება აფხაზეთის კოლექციებში (ბერძენიშვილი ნ. 3. 1959: 175).

ეს იარაღი ყველაზე უფრო დიდი ზომისაა დღემდე აღმოჩენილ ყველა ხელნაჯახთან შედარებით. მისი სიგრძე – 22 სმ, სიგანე ქუსლთან 12 სმ-ია და წვერთან ახლოს 8 სმ უდრის. იარაღი ნუშის გულისებრი მოყვანილობისაა.

მას გააჩნია მასივური ქუსლი და ძალზე დათხელებული, მორკალული „წვერი“. ხელნაჯახის ორივე სიბრტყე დამუშავებულია ფართო და თხელი დიდი ზომის ანატკეცებით, რაც არ იწვევს მაგისტრალური ხაზის ტეხილობას და მისი სიგრძივი გვერდები და წვერი მართლაც ლანცეტისებურად თხელი და მჭრელია. იარაღის კიდებზე არ შეინიშნება მეორადი დამუშავების ნიშნები ან ხმარების შედეგად წარმოქმნილი ჩანატეხები. ხელნაჯახის მთელ ზედაპირს ფარავს თხელი მონაცრისფრო პატინა (ტაბ. XXIV, 2).

როგორც ჩანს იარაღის დიდი ზომებისა და წონის (2 კგ) გათვალისწინებით ნ. ბერძენიშვილმა პირველ ხანებში იგი შელური ხანის კუთვნი ნაწარმად მიიჩნია (ბერძენიშვილი ნ. 3. 1959: 175), თუმცა მოგვიანო ხანის ნაშრომებში ამ იარაღზე საუბრისას მის ასაკზე საერთოდ არ ამახვილებენ ყურადღებას (ბერძენიშვილი ნ. 1979: 37, ტაბ. XXX, 1).

ჩვენი აზრით ეს ხელცული როგორც ტიპოლოგიური ისე ტექნოლოგიური თვალსაზრისით იამთხვის გვიანაშელური ხანის ე.წ. ლანცეტისებური იარაღების ჯგუფში უნდა გაერთიანდეს, რომელსაც ი. კორობკოვი გვიანი აშელური ხანით ათარილებს (Коробков И. И. 1963: 79).

აფხაზეთის შავიზღვისპირეთის ქვედაპალეოლითური ძეგლების ასაკის, კონკრეტულად კი აშელური ნამოსახლარების ქრონოლოგიური გრადაციის საკითხების დასაზუსტებლად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გალის რაიონის აღმოჩენებს, რომელსაც ე.წ. სამურზაყანოს გორაკ-ბორცვოვან ზოლში ქონდა ადგილი 60-იან წლებში.

ს. ზამიატინის აღმოჩენების შემდეგ გალის რაიონში ქვის ხანის ძეგლების საძიებო სამუშაოები განაახლა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. გურამ გრიგოლია), რომელმაც 1963-1965 წლებში მდ. ერისწყლისა, მდ. ენგურის და მათ შენაკადთა ხეობებში 30-მდე ძველი ქვის ხანის ძეგლი აღმოაჩინა. გარდა ამისა, გამოავლინა 23 კარსტული ნარმოშობის გამოქვაბული თუ ფარდული, რომლებიც საყურადღებო ჩანან როგორც ისტორიული ისე სპელეოლოგიური თვალსაზრისით (გრიგოლია გ., ბარამიძე მ. 1964).

განსაკუთრებით საინტერესო და მრავალფეროვანი მასალა მოგვცა ე.წ. გარე სადგომებმა, რომლებიც ადამიანს ღია ცის ქვეშ მოუწყვია.

გარე სადგომები უმთავრესად მიკვლეულია მდ. ენგურისა და მდ. ერისწყლის სხვადასხვა (15-150 მ.) სიმაღლის ტერასებზე, რაც საშუალებას გვაძლევს მიახლოებით ვიმსჯელოთ კულტურული ნაშთების შესატყვისი პალეო-გეოგრაფიულ პირობებზე და მათ გეო-არქეოლოგიურ ასაკზე (ტაბ. XXIII).

საკვლევი რაიონის მდინარეული ტერასები და მათი გეოლოგიური აღნაგობა კარგად არის შესწავლილი უკანასკნელი 40-50 წლის განმავლობაში: ბ. მეფერტის (Меферт Б. Ф. 1931: 52-55), გ. დედარიანის (დედარიანის გ. 1955), ლ. მარუაშვილის, (მარუაშვილი ლ. 1960), დ. მამალაძისა, ა. მაკაცარიას (Мамаладзе Дж. И., Макацария А. П. 1968), ნ. მამაცაშვილი, რ. ხაზარაძისა (მამაცაშვილი ნ., ხაზარაძე რ. თბ., 1975) და სხვ. მიერ.

მდინარეების ენგური-ერისწყლის ტერასები სოფ. ჯვარი-ლიასა და სოფ. რეჩხო-ცხირის რაიონში, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების გათვალისწინებით საგანგებოდ შეისწავლა პროფ. დ. წერეთელმა სადაც სრულად არის მოცემული ქვის ხანის სადგომებზე გამოვლენილი ფენების გეოლოგიური დახასიათება თუ მდინარეების ენგურისა და ერისწყლის მეოთხეული ნარმონაქმნების აღწერა (წერეთელი დ. 1966: 1-12).

ჩვენი ექსპედიციის მიერ ენგურ-ერისწყლის ხეობებში მიკვლეული ძეგლები სამ დიდ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა: ქვედაპალეოლითური, ზედაპალეოლითურ და ნეოლითურ ხანის ძეგლები. მოპოვებული მასალების ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური ნიშნებისა და ზედაპირის დაცულობის (პატინა, გადაღესვა) მიხედვით ქვედა პალეოლითურ ძეგლებში იოლად იმიჯნება ერთი-მეორისაგან აშელური და მუსტიური ხანის მასალები (გრიგოლია გ. 1964: 10-14; გრიგოლია გ. 1966: 5-6).

სამწუხაროდ ამ რეგიონში აღმოჩენილი ძეგლების უმრავლესობაც ღია ცის ქვეშ მოწყობილი სადგომებია, თუ არ ჩავთვლით, სოფ. ენერფერდის გამოქვაბულს, რომელიც მდებარეობს კოდორის (სამეგრელოს) ქედის განშტოების „ჩხაპელკას“ აღმოსავლეთ ფერდობზე. სოფ. ენერფერდის მოსახლის სანდრო შონიას სახლიდან ჩრდილო-დასავლეთი 1 კმ-ზე პატარა წყლიან ხეობაში.

გამოქვაბული ნაპრალის ტიპისაა, მისი შესავალი მოქცეულია აღმოსავლეთისაკენ და შესავალიდან 10 მ. შემდეგ ორ ტოტად იყოფა. გამოქვაბულის ცენტრალური ღერძი ჯერ ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიემართება, ასე 20-30 მ. მანძილზე, შემდეგ დასავლეთისკენ უხვევს და ასეთი ტეხილობით, როგორც ამბობენ სოფ. მუჟავასთან გადის, ე.ი. 3 კმ იქით. გამოქვაბულის იატაკზე შუა ნაწილში მოედინება პატარა ნაკადული, რომლის მიერ ჩაჭრილია ჰუმუსირებული (20-30 სმ

სისქის) და ყვითელი თიხნარი ფენა 1 მ. სისქისა. ამ უკანასკნელის ზედა ნაწილიდან გამოვიღეთ მუსტიური იერის მქონე ერთი სწორპირა სახოკი (ტაბ. XXIV, 1).

იარაღისთვის გამოყენებულია მოთეთრო-მონაცრისფრო კირქვიერი კაჟის, მასივური სწორკუთხა ანატკეცი. სახოკის ერთი კიდე სწორხაზოვნად არის გაფორმებული, ჩანატეხებიანი, ციცაბო რეტუშით.

ასევე რეტუშირებულია მისი მომიჯნავე განივი გვერდიც, ამდენად იარაღი ორპირა სახოკად შეიძლება ჩაითვალოს. სახოკის მეორე სიგრძივ გვერდის დიდ ნაწილს კაჭრის ბუნებრივი ქერქი ფარავს. ასევე ბუნებრივი ქერქით არის დაფარული, ქვედა სიბრტყისაკენ დახრილი დარტყმის სიბრტყე. სახოკის ქვედა სიბრტყის ბოლოში ერთი ანატკეცია ჩამოცილებული, რომლის მსგავსი დეტალი რელიეფური ატკეცის ბურცობზეც შეინიშნება.

ამ აღმოჩენის საფუძველზე ივარაუდება, რომ გამოქვაბულში ადამიანის ცხოვრების, უფრო მეტყველი მასალების აღმოჩენის შესაძლებლობა არ არის გამორიცხული.

ერისწყლის ხეობაში აღმოჩენილი გარე სადგომებიდან უძველესია სამი: რეჩხი I 1-2, რეჩხი II და რეჩხი III 1-2 რომლებიც შესაბამისად აშელის, მუსტიესა და განვითარებული მუსტიეს ხანით თარიღდებიან. სამივე ძეგლი მდინარის მარჯვენა ნაპირის ტერასებზე მოწყობილი ე.წ. გარესადგომებია.

რეჩხი I მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფლის (გალის რ-ნი) ტერიტორიის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდ. ერისწყლის ქალისზედა 4-5 მ. სიმაღლის ტერასაზე, წყალსაცავი ჯებირის აღმოსავლეთით 60 მ მანძილზე (ტაბ. XXV, 1). ტერასა, რომლის ზედაპირზეც აიკრიფა მასალა, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 100 მ სიგრძისა და 50 მ სიგანისაა. მას დასავლეთიდან ჩაუდის პატარა წყლიანი ხევი, სამხრეთიდან ესაზღვრება მდ. ერისწყალი, აღმოსავლეთიდან შემოზღუდულია უსახელო მშრალი ხეობით, ჩრდილოეთით კი ეზღინება მდ. ერისწყალსა და რეჩხს შორის გაწოლილ წყალგამყოფ ბორცვოვან ზოლს.

სადგომის ტერიტორიაზე წყალსაცავი ჯებირის მშენებელთა მიერ გაშიშვლებულ ქრილში და ჩვენ მიერ 1965 წ. გათხრილი საცდელი შურფის ფლატეში მოჩანს ტერასის აგებულებაში მონაწილე დელუვიურ – ალუვიური წარმოშობის ფენების ურთიერთმონაცვლეობის შემდეგი სურათი (ტაბ. XXV, 2).

I ფენა (ზემოდან) სუსტად განვითარებული ჰუმუსური ნიადაგსაფარია.

II ფენა 1,0-1,5 მ სისქის დელუვიური გენეზისის მოყვითალო თიხებია, რომლის ზედა ნაწილში ჩართულია აშელისა და მუსტიური დროის მასალები.

III ფენა 2 მ სისქის ალუვიურ რიყნარს წარმოადგენს.

IV ფენა ასეთივე წარმოშობის 1,5 მ სისქის მოყვითალო ქვიშებია.

მასალა აიკრიფა უშუალოდ ტერასის ზედაპირზე იმ ადგილებში, სადაც ნიადაგი თავისუფალია კორდოვანი საფარისაგან და გაშიშვლებულია მოყვითალო-ცხიმოვანი თიხნარი. რამდენიმე ანატკეცი ვიპოვეთ აგრეთვე ბორცვოვანი ზოლის სამხრეთი კალათის ძირობაზე, რამაც მიგვინიშნა, რომ ტერასაზე მოხვედრილი მასალები უფრო ზედა დონეებიდან უნდა ყოფილიყო ჩამორეცხილი.

რეჩხი I-ის ტერიტორიაზე ზედაპირულად თუ საცდელი შურფების საშუალებით მოპოვებულ იქნა 52 კაჟის იარაღ-ანატკეცი, რომელიც ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე ორ ჯგუფად იყოფა. ერთი განეკუთვნება აშელურ ხანას (20 ერთეული), ხოლო მეორე მუსტიური ხანით თარიღდება (32 ერთეული).

რამდენადაც მასალა პირველად შემოდის მეცნიერულ მიმოქცევაში, შევეცდებით ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით თანმიმდევრულად აღვწეროთ ცალკეული ჯგუფის ტიპოლოგიური და ტექნიკური მხარეების განმსაზღვრელი ყველა ძირითადი მონაპოვარი.

რეჩხი I-ის მასალებიდან როგორც ტიპოლოგიური ისე ტექნოლოგიური და ქრონოლოგიური

თვალსაზრისით ყველაზე უფრო საინტერესოა ხელნაჯახი, რომელიც აშელური ჯგუფის ყველაზე არქაული და საყურადღებო მონაპოვარია. საერთო მოყვანილობით იარაღი თავბოლოგაფართოებული, მოგრძო ოვალის მსგავსია. ხელნაჯახის დასამზადებლად გამოყენებულია კირქვიერი კაჟის ქვარგვალი. იარაღი ორმხრივ არის დამუშავებული ფართო, მასიური განივი ანატკეცების ჩამოცილების გზით, რის გამოც ხელნაჯახის სიგრძივი გვერდების მაგისტრალური ხაზი საგრძნობლად ტეხილია. იარაღის ორივე სიბრტყე მკვეთრად ამოზურგულია და განივკვეთში რომბს ემსგავსება. სიგრძივ კიდეებს, ანუ სამუშაო პირს მეორადი შესწორების ნიშნები არ ეტყობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ-ერთი სიგრძივი გვერდის დაბლაგვულ მცირე მონაკვეთს, რომელიც კაჭრის ქერქით დაფარული ნაწილის გაგრძელებას წარმოადგენს. ხელნაჯახის ფართო ბოლოში მოწყობილ ბრტყელზედაპირიან მასიურ ქუსლს მთლიანად ფარავს კაჭრის ბუნებრივი ქერქი. ასეთივე ბუნებრივი ქერქი ფარავს აგრეთვე იარაღის ერთ-ერთ სიბრტყის ქუსლთან მომიჯნავე მონაკვეთს და ბლაგვი წვერის მცირე ნაწილს.

ხელნაჯახის ბლაგვი წვერი, ქუსლის მდებარეობა და მისი მოსაზღვრე კაჭრის ქერქიანი გვერდის ნაწილობრივ ციცაბო რეტუმით გაფორმება გვაფიქრებინებს, რომ იარაღი საჩეხი დანიშნულებით იხმარებოდა (ტაბ. XIII).

საერთოდ ხელნაჯახი საკმაოდ ტლანქია და მთელი რიგი ტექნიკური ნიშნებით არქაულ იერს ატარებს. მისი სიგრძე უდრის 17 სმ, სიგანე – 9,3 სმ-ია, ხოლო სისქე – 5,5 სმ-ს არ აღემატება.

ნუკლეუსი 2 ც. ლევალუაზური ტიპისა, სწორკუთხა მოყვანილობისა, ერთსიბრტყვიანი. ორივე შემთხვევაში მასალად გამოყენებულია კირქვიერი კაჟის, ოვალური ფორმის ქვარგვალები, რომელთა თავის გადამტვრევით შექმნილია ზურგისაკენ დახრილი წრიული დარტყმის მოედნები.

ერთ-ერთი ნუკლეუსის ატკეცის სიბრტყეს წარმოადგენს ფრონტალური უგრძესი გვერდი, რომლის კიდეებზე ასახულია წინასწარი მომზადების მიზნით ჩამოცილებული განივი ანატკეცების ნეგატიური ფაცეტები. ნუკლეუსის წინა სიბრტყეზე შემორჩენილია ერთი მოგრძო, სწორკუთხა მოყვანილობის ლევალუაზური ანატკეცის ნეგატიური ნახნაგები, ზურგი კი, მთლიანად კაჭრის ქერქით არის დაფარული. ნუკლეუსის ზომებია: სიგრძე – 14,3 სმ; სიგანე – 7,5 სმ; სისქე – 11 სმ (ტაბ. XXVI, 1).

მეორე ნუკლეუსის ატკეცის სიბრტყეს ორი მომიჯნავე გვერდი წარმოადგენს, საიდანაც ოთხი მოგრძო ლევალუაზური ანატკეცი ჩამოუცილებიათ. ნუკლეუსის ქვედა ბოლო წინასწარ მომზადების მიზნით განივი ანატკეცებითაა დამუშავებული. ნუკლეუსის სიგრძე – 12,6 სმ, სიგანე – 6,5 სმ-ს აღწევს, ხოლო სისქე – 7,7 სმ-ს არ აღემატება (ტაბ. XXVI, 2).

დისკოსებრი ნუკლეუსი, ცალმხრივი. მასალად გამოყენებულია მოყვითალო ფერის, კირქვიერი კაჟის ქვარგვალი. ნუკლეუსის წინა სიბრტყეზე გამოსახულია რადიალურად მიმართული ანატკეცების ნეგატიური ნახნაგები, რომლებიც ურთიერთშეხვედრის წერტილში გარკვეულ შემადღებას ქმნიან. ნუკლეუსის ზომებია: დიამეტრი – 7,5 სმ, სისქე – 3,5 სმ (ტაბ. XXVII, 1).

სახოკი, ჩამოყალიბებულია კირქვიერი კაჟის მომრგვალო ლევალუაზურ ანატკეცზე. იარაღის რეტუმირებულ პირს წარმოადგენს ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი, აგრეთვე მომიჯნავე გვერდების მცირე მონაკვეთები. იარაღის სწორხაზოვანი პირი ფართო ფაცეტოვანი რეტუმითაა გაფორმებული. მისი ზომებია: სიგრძე – 4,6 სმ, სიგანე – 3,8 სმ (ტაბ. XXVII, 2).

ანატკეცები მოგრძო, სწორკუთხა ლევალუაზური ტიპისა – 4 ც. მათ მისაღებად კირქვიერი კაჟია გამოყენებული. ყველა ანატკეცი პირველადი ან მეორადი ჩამოცილებისაა (ტაბ. XXVII, 3-4), რის გამოც ცალკეული მათგანი ორფერდა (2 ც), ან სამფერდაა (2 ც). ოთხივე ანატკეცის დარტყმის მოედანი სწორია და ოდნავ არის დახრილი ზურგისაკენ. ერთ-ერთი ასეთი ანატკეცის ქვედა ბოლოზე კაჭრის ქერქის ფრაგმენტია შემორჩენილი (ტაბ. XXVII, 4). მისი ზომებია: სიგრძე – 13; სიგანე – 6 სმ; სისქე – 2,2 სმ.

როგორც წესი, ყველა ანატკეცს, ისევე როგორც მთელ მასალას, მიწის ზედაპირზე ხანგრძლივად ყოფნის და მნიშვნელოვანი გადაადგილების ნიშნები არ ეტყობა.

ანატკეცები სამკუთხა, ლევალუაზური ტიპისა – 4 ც. ყველა ანატკეცი მეორადი ჩამოცილები-საა და ზედაპირზე დაუყვება წინამავალი ანატკეცის კონვეგენტური წახნაგები. სამი ანატკეცის დარტყმის სიბრტყე სწორია, გამონაკლისს წარმოადგენს ერთი ნიმუში, რომლის ოდნავ გვერდზე გადახრილი და ამოზურგული დარტყმის მოედანი დამატებით შესწორებულია. ამავ იარაღის ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი ადგილ-ადგილ წყვეტილი რეტუმით არის გაფორმებული. მისი ზომებია: 8X5,7X2,3 სმ (ტაბ. XXVIII, 1).

ანატკეცები არალევალუაზური – 5 ც. ყველა ანატკეცის ზედაპირი უსისტემოდაა დანახნაგე-ბული და მთლიანად თუ ნაწილობრივ კაჭრის ბუნებრივი ქერქი ფარავს. ასეთივე ქერქი ფარავს ერთ-ერთი ანატკეცის დარტყმის მოედანსაც. დანარჩენი ოთხი ანატკეცის სიბრტყე კი სწორია და ზურგისაკენაა დახრილი. მათი საშუალო ზომებია: 8,5X5,6X2,2 სმ (ტაბ. XXVIII, 2).

ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური მონაცემებით რეჩხი I-ის ადრეული ჯგუფის მასალა ლე-ვალუაზური ტექნიკური ტრადიციის ნიშნებს ატარებს და აშელური ხანით უნდა დათარიღდეს.

რეჩხი I-ის პალეოლითური სადგომის ტერიტორიაზე შეგროვილი მასალიდან, როგორც უკვე ითქვა, გამოიყოფა იარაღ-ანატკეცების მეორე ჯგუფი (32 ც), რომელიც როგორც გამოყენებული მასალის ხასიათით, ისე ტიპოლოგიურად და მთელი რიგი პროგრესული, ტექნიკური ნიშნებით აშკარად განსხვავდება აშელური მასალებისაგან.

ყველა მონაცემის მიხედვით, ეს ჯგუფი ქრონოლოგიურად განეკუთვნება მუსტიურ საფეხურს, ხოლო ტექნიკურად აღნიშნული ეპოქის ლევალუაზურ ფაციესს. მოპოვებულ მასალაში შედის:

პრიზმისებური ნუკლეუსები – 2 ც. მასალად ორივე შემთხვევაში მაღალხარისხოვანი (მოყავ-ისფრო და ნაცრისფერი) კაჟის ქვარგვალა გამოყენებული, იმ განსხვავებით, რომ ერთი სწორ-კუთხა მოყვანილობისაა (ტაბ. XXIX, 1), ხოლო მეორე კონუსურს უახლოვდება (ტაბ. XXIX, 2). ნუკლეუსების გამოყენებულ მონაკვეთს წინა სიბრტყე წარმოადგენს, საიდანაც ლამელები და მათი მსგავსი ანატკეცები ჩამოუცილებიათ. ორივე ნუკლეუსის გლუვი დარტყმის სიბრტყე ზურგისკენაა დაქანებული. მათი ზომებია: 7,2X4,7X2,4 სმ – 5,8X3,9X3,7 სმ.

წვეტანა – 3 ც. სამივე წვეტანა კირქვიერი კაჟის, სამკუთხა მოყვანილობის ლევალუაზურ ანატკეცზეა გაფორმებული. ერთ-ერთი მათგანი რამდენადმე ასიმეტრიულია. მისი ერთი მოხრილი სიგრძივი გვერდი ბუნებრივად შესქელებულია და დანის დანიშნულებით ხმარებისას საჩვენებელი თითისათვის მარჯვე საყრდენს წარმოადგენს. ამ ნიმუშის სწორი დარტყმის სიბრტყე ოდნავადაა შესქელებული (ტაბ. XXIX, 3). მისი ზომებია: სიგრძე 6,7 სმ, სიგანე – 3 სმ, სისქე – 1,1 სმ.

მეორე წვეტანა შედარებით მოკლეა და ბლაგვწვერა. მისი სიგრძივი კიდეები მცირე ზომის ჩანატეხებით დაკბილულია, მაგრამ ძნელია ითქვას, ეს შემთხვევითია თუ ხმარების შედეგადაა წარმოქმნილი, მით უმეტეს, რომ წვეტანა ნაგორები ჩანს. წვეტანის ოდნავ მორკალული დარტყმის სიბრტყე გულმოდგინედაა ფაცეტირებული (ტაბ. XXIX, 4). ზომებია: სიგრძე 5,7 სმ, სიგანე – 3,7 სმ, სისქე – 1,3 სმ.

მესამე წვეტანას წვერი აკლია, მაგრამ წაგრძელებული მოყვანილობის უნდა ყოფილიყო. მისი ერთი სიგრძივი გვერდი ნაწილობრივ რეტუმირებულია, მეორეს კი ხმარების შედეგად წარმოქმ-ნილი ჩანატეხები დაუყვება. წვეტანის ორფერდა დარტყმის სიბრტყე ნაწილობრივ შესწორებულია (ტაბ. XXIX, 5). მისი ზომებია: სავარაუდო სიგრძე – 6 სმ, სიგანე – 3,5 სმ, სისქე – 0,9 სმ.

ორპირა სახოკი. იარაღი ჩამოყალიბებულია მოყვითალო, ხალიანი კაჟის, მოგრძო, ფართო, ოვალური მოყვანილობის მქონე, ორფერდა ლევალუაზურ ანატკეცზე, რომელიც მკვეთრად არის მოხრილი ქვედა სიბრტყისაკენ. მისი დარტყმის მოედანი მთლიანად ფაცეტირებულია. საფხეკის ერთი სწორი გვერდი მთელ სიგრძეზე ჩანატეხებიანი რეტუმით არის გაფორმებული. როგორც

ჩანს, იარაღის ძირითად სამუშაო ელემენტს ეს ნაწილი წარმოადგენდა. ასევე მთელ სიგრძეზეა გაფორმებული საფხეკის მეორე მორკალული გვერდიც, მაგრამ ამ შემთხვევაში რეტუში უფრო მეტად ფხის მომცემია (ტაბ. XXIX, 6). სახოკის ზომებია: სიგრძე – 8,3 სმ, სიგანე – 3,4 სმ, სისქე – 1 სმ.

დანა-სახოკები – 3 ც. მათ შორის მხოლოდ ერთია გაფორმებული ლევალუაზურ მოგრძო, ორფერდა ლამელისებურ ანატკეცზე. მისი ორივე სიგრძივი გვერდი მეტნაკლები სისრულით რეტუშირებულ-დაკბილულია (ტაბ. XXIX, 7).

დარჩენილი ორი იარაღისათვის არალევალუაზური ანატკეცებია გამოყენებული, რომელთა ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი რეტუშირებულია, მეორეს კი კაჭრის ქერქი ფარავს (ტაბ. XXIX, 8-9).

აქვე შედის ლამელისებური ანატკეცები – 6 ც. ყველა მოგრძო, ოთხკუთხა მოყვანილობისაა. მათ შორის ერთი ორფერდა და სამი სამფერდაა (ტაბ. XXIX, 10).

არალევალუაზური ანატკეცები – 18 ც. სხვადასხვა ასაკის და ხარისხის კაჭრისა. უმრავლესობის ზედაპირს მთლიანად ან ნაწილობრივ კაჭრის ქერქი ფარავს ან უსისტემოდ არის ატკეცილი.

რეჩხი I-ის მეორე ჯგუფის მასალები ტიპოლოგიურად მუსტიეური ეპოქის განვითარებული საფეხურით უნდა დათარიღდეს.

ამრიგად, რეჩხი I-ის ტერიტორიაზე შეგროვილ იქნა საკმაოდ ადრეული საყურადღებო მასალა, რომლის ერთი ნაწილი აშელური, ხოლო მეორე მუსტიეური ხანით თარიღდება.

როგორც ცნობილია, ამ ასაკის ქვის ხანის მატერიალური კულტურის ნაშთები ყოველთვის დაკავშირებულია მეოთხეული გეოლოგიის წარმონაქმნებთან, ანუ უფრო ზუსტად ზღვიურ და მდინარეულ ტერასებთან. მაგალითად, თუ აშელური იარაღ-ანატკეცები თავდაპირველ განლაგებაშია, იგი უნდა გვხვდებოდეს 70-85 მ და უფრო მაღალ შეფარდებით სიმაღლეებზე. ხოლო მუსტიეური ნაშთები 40-50 მ სიმაღლის ტერასებზე უფრო დაბლა აღარ გვხვდება. არქეოლოგიური მასალისა და გეოლოგიური წარმონაქმნების ამგვარი ქრონოლოგიური კორელაციის პრინციპი დაცულია ყველგან და განსაკუთრებით კავკასიაში.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს რეჩხი I, რომლის მასალები, როგორც დავინახეთ, შეგროვილ იქნა ერისწყლის ქვედა ე.წ. ქალისპირა ტერასაზე.

მართალია, არქეოლოგიურ მასალას არ ეტყობა გადაადგილების აშკარა ნიშნები გადაღესილი ნახნაგებისა და პატინირების სახით, მაგრამ საფიქრებელია, რომ ჩამოირეცხა უფრო ზედა დენუდაციური ტერასებიდან.

მეორე ძეგლი **რეჩხი II** მდებარეობს სოფ. ცხირის ცენტრალურ ნაწილში, ნაყოფიების უბანში, უზნაძეების ბინის გვერდით, უშუალოდ მათ საკარმიდამო ნაკვეთზე. სოფ. პირველი გალიდან რეჩხის სასოფლო საბჭოსაკენ მიმავალი შარაგზის მარცხნივ. მდ. ერისწყლის მარჯვენა ნაპირის 20 მ სიმაღლის ტერასაზე. აქ ზედაპირულად აიკრიფა მუსტიეური იერის მქონე საინტერესო მასალა 16 ერთეულის რაოდენობით, რომელშიც შედის: ერთი მინიატურული ხელნაჯახი, ერთი სახოკი, ორი წვეტანა, ერთი საჭრისი და თერთმეტი ანატკეცი.

მინიატურული ხელნაჯახი ნაკეთებია მოვარდისფრო კაჭრის ქვარგვალისაგან. იარაღი ოვალური მოყვანილობისაა და ორმხრივ არის დამუშავებული სიგრძივი და განივი ანატკეცებით.

ხელნაჯახის ერთი გვერდი ბრტყელია, მეორე ამოზურგულია და შუაში გამავალი, სიგრძივი ღერძის გასწვრივი ქედისებური შემადგენლობა ორ ნაწილად ყოფს მას. იარაღის მასივური ქუსლი ფაცეტირებულია, წვერი ბლაგვია, კიდეების მაგისტრალური ხაზი კი თითქმის სწორია. მისი ერთი, ბუნებრივად ფხიანი კიდე ადგილ-ადგილ რეტუშირებულია, მაშინ, როცა მოპირდაპირე კიდე კაჭრის ბუნებრივი ქერქი ფარავს. აღნიშნული მონაცემები მოწმობს, რომ ამ დეგრადირებული ხელნაჯახის ძირითად სამუშაო ნაწილს ფხიანი პირი და ბლაგვი წვერი წარმოადგენდა

(ტაბ. XXX, 5). ხელნაჯახის ზომებია: სიგრძე – 7,8 სმ, სიგანე – 5,1 სმ, სისქე – 2,5 სმ.

პირმორკალული სახოკი ჩამოყალიბებულია მოვარდისფრო კაჟის სამკუთხა არალევალუაზურ ანატკეცზე. იარაღის მოხრილი გვერდი ზურგის მხრიდან მთელ სიგრძეზე გაფორმებულია ფართო ანატკეცებით, სახოკის მეორე სწორხაზოვანი გვერდი კაჭრის ქერქით არის დაფარული (ტაბ. XXX, 1). მისი ზომებია: სიგრძე – 5,3 სმ, სიგანე – 3,5 სმ, სისქე – 1,6 სმ.

წვეტანა – 2 ც. ლევალუაზური ტიპისა. ერთ შემთხვევაში გამოყენებულ მასალას მაღალხარისხოვანი კაჟი წარმოადგენს, ხოლო მეორე შემთხვევაში კირქვიერი კაჟი უხმარიათ. ორივე წვეტანა მოგრძო, სამკუთხა და სამფერდა ანატკეცებზეა გაფორმებული. მათი დამახასიათებელი ელემენტებია: მჭრელი, ურეტუშო სიგრძივი კიდეები და გვერდების შეხვედრის კუთხეში წარმოქმნილი მახვილი წვერი. იარაღის მასივური დარტყმის სიბრტყე გულმოდგინედ არის ფაცეტირებული (ტაბ. XXX, 2). წვეტანები როგორც მოყვანილობით, ისე დამუშავების ტექნიკით, ლევალუაზური ფაციესის ტიპური ნიმუშებია, მათი ზომებია: სიგრძე 7-5 სმ, სიგანე 3-1,7 სმ, სისქე 1,3-0,9 სმ.

შუალა საჭრისი, მოვარდისფრო კაჟის ჩამოყალიბებულია ასიმეტრიულ სამკუთხა ანატკეცზე, რომლის წვერზე გარდიგარდმო მიმართულებით თითო სასაჭრისე ანატკეცია ჩამოცილებული. დაცულობით იარაღი აშკარად ქვედაპალეოლითური იერისაა (ტაბ. XXXX 3). მისი ზომებია: სიგრძე – 6 სმ, სიგანე – 3,5 სმ.

ლევალუაზური ანატკეცები – 2 ც. მოვარდისფრო და მოყავისფრო კაჟისა. ორივე ანატკეცი მოგრძო სწორკუთხა დანისებური მოყვანილობისაა, რომლებსაც დარტყმის მოედნები გულმოდგინედ აქვთ ფაცეტირებული. ერთ-ერთ მათგანს კიდეებზე ხმარების შედეგად წარმოქმნილი ჩანატეხები დაუყვება (ტაბ. XXX, 4). მისი ზომებია: სიგრძე – 6 სმ; სიგანე – 2,9 სმ; სისქე – 1,1 სმ.

დაბალი, ფართო ანატკეცები – 9 ც. მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ფერისა და ასაკის მაღალხარისხოვანი ან კირქვიერი კაჟი. ანატკეცთა ზედა სიბრტყეზე გამოსახული წინამავალ ანატკეცთა ფაცეტები ძირითადად გვერდების პარალელურია, რაც მოწმობს, რომ ისინი მიღებულია ერთფუძიანი ოთხკუთხა ან სამკუთხა ნუკლეუსებიდან. ზოგიერთი ანატკეცის ზედაპირს მთლიანად (2 ც) ან ნაწილობრივ კაჭრის ქერქი ფარავს. ანატკეცებს გააჩნიათ დიდი ზომის, უმეტესად შესწორებული სწორი ან ოდნავ დახრილი დარტყმის მოედანი და რელიეფური ატკეცის ბურცობი. მათი საშუალო ზომებია: სიგრძე – 4,3 სმ; სიგანე – 3,9 სმ; სისქე – 1,8.

რეჩხი II ყველა ნიმუშით მუსტიეს ლევალუაზური ფაციესის კუთვნილი ძეგლია.

სოფ. რეჩხის III პალეოლითური სადგომი მდებარეობს მდ. ერისწყლისა და რეჩხის შესაყართან, 200 მეტრის მანძილზე (ჩრდილოეთით). მდ. ერისწყლის მარჯვენა ნაპირის II 20-25 მ სიმაღლის ტერასაზე, რომელიც ფაქტიურად ერისწყალსა და მდ. რეჩხს შორის განოლილი ბორცოვანი ზოლის სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბოლოებას წარმოადგენს. ტერასის მოვაკებული ფართობი 2-3 ჰექტარია და ოდნავაა დახრილი დასავლეთისაკენ.

პალეოლითური სადგომის ფარგლებში კაჟის მასალა ძირითადად აიკრიფა ორ სხვადასხვა ტერიტორიაზე. ერთი ნაწილი გვხვდებოდა უშუალოდ ტერასის ზედაპირზე, იქ, სადაც ნიადაგი თავისუფალია კორდოვანი საფარისაგან და გაშიშვლებულია მოყვითალო თიხნარი ფენები, ხოლო მეორე ნაწილი – ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, შვიდიოდე მეტრით უფრო ქვემოთ. ამ მონაკვეთში გაშიშვლებულია II ტერასის გეოლოგიური აგებულების ძირილი, სადაც ზემოდან ქვემოთ თანმიმდევრობით მოჩანს:

I ნიადაგის საფარის თხელი ფენა.

II ალუვიური წარმოშობის ღორღი დიდი ზომის ქვარგვალეების, კაჟისა და გაკაჟებული კირქვის ნამსხვრევთა ჩანართებით (სისქე 1-1,5 მ).

III ნაცრისფერი თიხები 2-3 მ სისქის.

ჩვენი დაკვირვებით, არქეოლოგიური მასალა II ფენიდან მომდინარეობს, რომელიც უფრო ადრე ზედა ტერასებიდან უნდა იყოს გადმორეცხილი. ამას თითქოს ისიც ადასტურებს, რომ ფერდობზე მოპოვებული მასალის ყველა ნიმუში აშკარად ნაგორები ჩანს. მათი ნახნაგები გადაღესილია და ზედაპირს თამბაქოსფერი, სქელი პატინა ფარავს. ერთი შეხედვით, ასეთი არქაული ნიშნების მიუხედავად, ფედობზე მოპოვებული მასალა ტიპოლოგიურად უფრო მოგვიანო ჩანს, ვიდრე ტერასაზე, აღმოჩენილი, მიუხედავად იმისა, რომ ტერასულ მასალებს გარეგნულად სიახლის იერი დაჰკრავს. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი გვიან აშეღიოთა თუ უფრო მეტად ადრე მუსტიეს ხანით უნდა დათარიღდეს, ხოლო ფერდობზე მოპოვებული მასალის ასაკი მუსტიეური ეპოქის განვითარებულ ეტაპს უნდა შეესაბამებოდეს.

რეჩხი III პალეოლითური სადგომის ადრეულ და მოგვიანო მასალებს შორის არსებული მსგავსებისა თუ განმასხვავებელი ნიშნების უკეთ წარმოდგენის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია მასალის ორივე ჯგუფი ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით ცალ-ცალკე დავახასიათოთ.

რეჩხი III ადრეული მასალის ჯგუფში შედის კაჟის 52 იარაღ-ანატკეცი, მათ შორის ერთი ნუკლეუსი, ორი საჩეხი, ხუთი სახოკი, სამი წვეტანა და ორმოცდაორი ანატკეცია.

სწორკუთხა, ერთფუძიანი ნუკლეუსი, მოყავისფრო კაჟისა, ჩამოყალიბებულია შუაზე გახეთქილ კაჭარზე, რომელიც სრულიად გაშიშვლებულია ბუნებრივი ქერქისაგან. მისი დარტყმის სიბრტყე მკვეთრად არის დახრილი ზურგისაკენ და წინა ნაწილში მცირე მონაკვეთზე შესწორებულია. ნუკლეუსის ფრონტალურ ნაწილზე სამი, მოგრძო ლამელისებური ანატკეცის ნეგატიური ნახნაგებია შემორჩენილი, დანარჩენი გვერდები კი გამოუყენებელია (ტაბ. XXXI, 1). მისი ზომებია: სიგრძე – 6,7; სიგანე – 5,0 სმ; სისქე – 3,0 სმ.

ხელნაჯახისებური საჩეხი იარაღი – **კლივერი** მოგრძო, სწორკუთხა მოყვანილობისა, ჩამოყალიბებულია კირქვიერი კაჟის შუაზე გახეთქილ კაჭარზე თუ მასივური ანატკეცზე. იარაღი ორმხრივ არის ატკეცილი კიდეებზე მიყენებული დარტყმებით. მისი ამოზურგული ზედა სიბრტყე რამდენიმე დიდი ზომის, სხვადასხვა მიმართულების ანატკეცის ჩამოცილების გზით გაუთავისუფლებიათ კაჭრის ქერქისაგან, რომლის ნაშთი ეხლაც შემორჩენილია შუა ნაწილს ქედისებური შემადღებასა და ზედა მარჯვენა კუთხეში.

იარაღის ქვედა ნახევარი ირგვლივ დამატებით არის დამუშავებული ფართო ფაცეტოვანი მომცრო ანატკეცებით.

კიდევ უფრო ინტენსიურად არის დამუშავებული საჩეხის ქვედა სიბრტყის ზედა ნახევარი ჰორიზონტალური, განივი ანატკეცებით, რომლის კიდეები ფართოფაცეტოვანი რეტუშით არის დამატებით გაფორმებული. რამდენიმე განივი ანატკეცითაა დამუშავებული, აგრეთვე, იარაღის მასივური ქუსლი. ქვედა, თითქმის სწორხაზოვანი სამუშაო ბოლო კი იმდენად თხელია, რომ იგი მუცლის მხრიდან აღარ აუტკეციათ. საჩეხის მაგისტრალური ხაზი ორმხრივი ატკეცის შედეგად საგრძნობლად ტეხილია (ტაბ. XXXII) მისი ზომებია: სიგრძე – 15,5 სმ; სიგანე – 7,1 სმ; სისქე – 4,2 სმ.

საჩეხი იარაღი, მოკლე, ფართო, მასივური იარაღის მისაღებად გამოყენებულია შუაზე გახეთქილი კირქვიერი კაჟის კაჭარი, რომლის ზურგი კაჭრის ქერქისაგან კონვეგენტური და განივი ანატკეცებით არის განთავისუფლებული. ქერქის ფრაგმენტი შემორჩენილია მხოლოდ შუა ნაწილში, საჩეხის ოვალური მოყვანილობის ქვედა ბოლო საკმაოდ უხეში, ციცაბო, ჩანატეხებიანი რეტუშით არის გაფორმებული. ასევე რამდენიმე ფართო ანატკეცი აქვს ჩამოცილებული იარაღს ქვედა სიბრტყიდანაც და ამდენად, საჩეხი ბიფასს წარმოადგენს (ტაბ. XXXI, 6) მისი ზომებია: სიგრძე – 7,4 სმ; სიგანე – 6,0 სმ; სისქე – 4,4 სმ.

სწორპირა სახოკი, ჩამოყალიბებულია მოყვითალო კაჟის სწორკუთხა ლევალუაზურ ანატკე-

ცხე. გააჩნია ორფერდა შეუსწორებელი დარტყმის მოედანი. სახოკის სამუშაო პირს წარმოადგენს ერთ-ერთი სწორხაზოვანი კიდე, რომელიც მთელ სიგრძეზე ჩანატეხებიანი რეტუშით არის გაფორმებული. იარაღის ნახნაგები ინტენსიურად გადალესილია და ნაგორები ჩანს, რაც მას ტერასის ფერდობზე მოპოვებულ მასალებთან ახლოვებს (ტაბ. XXXI, 2) მისი ზომებია: სიგრძე – 6 სმ; სიგანე – 3,1 სმ; სისქე – 1,2 სმ.

პირმორკალული სახოკები – 2 ც. ერთი მცირე ზომის (3X3,2 სმ) სამკუთხა ანატკეცზეა გაფორმებული და ბოლორეტუშირებულ საფხეკს ემსგავსება (ტაბ. XXXI, 3).

მეორე სახოკი, მოზრდილ, მასივურ (6,3X2 სმ) სამკუთხა ანატკეცზეა ჩამოყალიბებული, რომელიც სანახევროდ ქვედა სიბრტყიდანაც არის ატკეცილი (ტაბ. XXXI, 4).

ოპირა სახოკი დაბალი, ფართო, მასივურ კაჭრის ქერქიან ანატკეცზეა გაფორმებული. იარაღის პირს წარმოადგენს ორივე სიგრძივი გვერდი, რომელთაგან ერთი ამოღარულია, ხოლო მეორე სწორხაზოვანადაა რეტუშირებული. სახოკი სანახევროდ ქვედა სიბრტყიდანაც აუტკეციათ (ტაბ. XXXI, 5). მისი ზომებია: სიგრძე – 6,2 სმ; სიგანე – 4 სმ; სისქე – 2,1 სმ.

წვეტანისებური იარაღი – 2 ც. ორივე იარაღის დასამზადებლად კირქვიერი კაჟის სამფერდა ლევალუაზური ანატკეცია გამოყენებული. ერთს გააჩნია გლუვი, ხოლო მეორეს ორფერდა, ფაცეტირებული დარტყმის მოედანი. ორივე იარაღი ბლაგწვერაა. ერთ-ერთ მათგანს ერთი სიგრძივი გვერდი წვერთან ახლოს ნაწილობრივ რეტუშირებული აქვს, მეორე კიდე კი ხმარების შედეგად წარმოქმნილი ჩანატეხები დაუყვება (ტაბ. XXXIII, 1, 2). მისი ზომებია: სიგრძე – 6,2 სმ; სიგანე – 3,8 სმ; სისქე – 1,1 სმ.

ანატკეცები – 42 ც. თითქმის ყველა კირქვიერი კაჟისაა. მათ შორის 9 ნიმუში ლევალუაზურია (ტაბ. XXXIII, 3-5). რვა ერთეული ატიპიური და არალევალუაზურია. მათი ზომები მერყეობს 10,1X6,2X2,4–4,3X3,2X10 სმ. შორის.

რეჩხი III-2 პალეოლითური სადგომის ფერდობზე შეგროვილი არქეოლოგიური მასალის ზედაპირი, როგორც უკვე ითქვა, მნიშვნელოვნად გამოფიტულია, სქელი თამბაქოს ფერი პატინა ფარავს და ატმოსფერული ნალექებისა თუ მდინარისწყლის ზემოქმედების შედეგად ნახნაგები გადალესილი აქვს. მასალის ამ ჯგუფში შედის კაჟის 22 იარაღ-ანატკეცი, რომელთა შორის 4 წვეტანა, 4 სახოკი, ერთი ორმაგი წვეტანა (შუბისპირი) და 13 ანატკეცია.

წვეტანა 4 ც. ყველა ნიმუში გაფორმებულია ორფერდა ან სამფერდა, მოგრძო, სამკუთხა ლევალუაზურ ანატკეცებზე, რომელსაც სწორი დარტყმის მოედანი მეტნაკლები ინტენსივობით აქვთ ფაცეტირებული. ერთ-ერთი წვეტანისათვის (ტაბ. XXXIV, 2) ოვალური მოყვანილობის, რელიეფურბორცვიანი, მასივური ანატკეცია გამოყენებული (ზომები 8,7X5,9X2,2 სმ). მეორე სამკუთხა წვეტანა (ტაბ. XXXIV, 3) საშუალო (6X3,5X1,2 სმ) ზომისაა და მესამე ნიმუშისათვის უფრო წაგრძელებული ნამზადია გამოყენებული (ზომები: 7,0X3,5X1,4 სმ). ამ უკანასკნელს ერთ-ერთი სიგრძივი გვერდის შუა ნაწილზე, მეორე გვერდის წვერთან მიმდებარე მონაკვეთთან და ატკეცის ბურცობზე, ქვედა სიბრტყიდან ორ-ორი ანატკეცი აქვს ჩამოცილებული (ტაბ. XXXIV, 1). საერთოდ კი, როგორც წესი, ყველა წვეტანის კიდე, ზურგის მხრიდან დატანილი წვეტილი რეტუშით დაკბილულია.

ორმაგი წვეტანა. დაფნის ფოთლისებური მოყვანილობისა, ჩამოყალიბებულია მოგრძო, სამფერდა ლევალუაზურ ანატკეცზე. მისი ერთი გვერდის სწორხაზოვანია, ხოლო მეორე მორკალული ყოფილა, მაგრამ ამჟამად მისი ერთი ნაწილი მოტეხილია. იარაღის წვერი რამდენადმე მახვილია. მეორე ბოლო (დარტყმის სიბრტყესთან) მართალია, ვიწროა, მაგრამ ბლაგვია. წვეტანის ორივე გვერდი ზურგის მხრიდან, მთელ სიგრძეზე გაფორმებულია ჩანატეხებიანი რეტუშით, რაც იარაღის კიდეების დაკბილვას იწვევს. ნამზადის სისქის გამო ქვედა ნაწილში რეტუში ციცაბოა, წვერისაკენ კი ანატკეცის მასივურობის შემცირებასთან ერთად რეტუში უფრო ფაქიზი და ფხისმიმცემი ხდება

(ტაბ. XXXIV, 4). მისი ზომებია: სიგრძე – 9 სმ; სიგანე – 3,3 სმ; სისქე – 1,5 სმ.

სახოკები – 4 ც. ყველა იარაღის დასამზადებლად გამოყენებულია მოგრძო პროპორციების სწორკუთხა ლევალუაზური ანატკეცები. მათი სწორი დარტყმის სიბრტყეები გულმოდგინედ არის ფაცვტირებული და ზედაპირის დანახნაგება ყოველთვის სიგრძივი გვერდების პარალელურია. ოთხივე იარაღი ორპირაა, რისთვისაც ყოველთვის სწორხაზოვანი სიგრძივი გვერდებია გამოყენებული. საფხეკების სამუშაო კიდეები მთელ სიგრძეზე ზურგის მხრიდან დატანილი რეტუმით დაკბილულ-ამოღარულია (ტაბ. XXXIV, 5, 6). მათი ზომები მერყეობს: 2,2X4,5X2,3 სმ – 6,1X2,9X0,8 სმ შორის.

ანატკეცები – 13 ც. მათ შორის სამი ლევალუაზურია. ორი ფსევდოლევალუაზურს უახლოვდება და რვა არალევალუაზურია. ლევალუაზური ნიმუშების დახვეწილი ფორმების საპირისპიროდ, არალევალუაზური ანატკეცებისათვის ტიპურია შემთხვევითი მოხაზულობა, მასიფურობა, ბუნებრივი ქერქიანი ზედაპირის უსისტემო დანახნაგება და სხვა (ტაბ. XXXIV, 7).

როგორც უკვე ითქვა, რეჩხი III-ის მეორე ჯგუფის მასალები ქრონოლოგიურად განვითარებული მუსტიური იერისაა, ხოლო ტექნიკურად ე.წ. „ტაიაკური ტიპის“ ძეგლების ჯგუფს უნდა განეკუთვნებოდეს.

ამრიგად, მდ. ერისწყლის ხეობაში, სოფ. რეჩხის ტერიტორიაზე, სამ სხვადასხვა პუნქტში აღმოჩენილია ქვედაპალეოლითური ხანის ხუთი ძეგლი, რომელთა შორის ერთი (რეჩხი I, 1) აშელური ასაკისაა, მეორე (რეჩხი III, 1) ადრემუსტიეთი უნდა დათარიღდეს და სამი (რეჩხი I, 2; II და III, 2) განვითარებულ მუსტიეზე გვიანი ხანის უნდა იყოს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ გალის რაიონის ქვედაპალეოლითური ხანის ახალმა აღმოჩენებმა მნიშვნელოვანი ძეგლებით შეავსო ისედაც მდიდარი აფხაზეთის „ქვეყანა“ და კვლავ დაისვა ამ ძეგლების ასაკისა და კულტურული რაობისა და ურთიერთმიმართების საკითხები. სამწუხაროდ როგორც ზემოთ დავინახეთ გალის რაიონის აღმოჩენები ისევე როგორც მთელი აფხაზეთის ძეგლები ღია ტიპის ნამოსახლარებია და ამდენად აქაც მოკლებული ვართ სტრატოგრაფიულ მდგომარეობაში დაცული კულტურული ფენების მქონე ძეგლებს, რომელიც იძლევიან სუფთა, შეურევ-ელ კომპლექსებს და ორგანულ მასალებს ძეგლების შეფარდებით-შედარებითი, თუ აბსოლუტური თარიღების დასადგენად.

ასეთი არა სახარბიელო მდგომარეობის გამო იძულებული ვხვდებით ჩვენი წინამორბედი მკვლევარების მსგავსად ვისარგებლოდ ძველი, არქეოლოგიაში ნაცადი ტიპოლოგიური-ტექნოლოგიური მეთოდური ხერხებით, გავიზიაროთ ან ზოგი რამ დავაზუსტოდ უკვე მიღებული და ჩამოყალიბებული შეხედულებების ასაკისა თუ დამახასიათებელი თავისებურებათა შესახებ.

სადღეისოდ აფხაზეთის უადრესი ძეგლების თარიღზე მსჯელობისას უკვე არავინ ცდილობს იაშთხვას უძველესი კომპლექსებიდან გამოჰყოს ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური, არქაული ელემენტების მქონე მასალები და იგი წინარე აშელური, ანუ შელური ხანით დაათარიღოს. როგორც ცნობილია მორფოლოგიურად უხეში და დახვეწილი, პროგრესული იერის მქონე მასალების თანაარსებობა ყველა დროის კომპლექსებისთვის არის ნიშანდობლივი. არსებულ ვითარებაში აფხაზეთის ძეგლების ქრონოლოგიური საკითხების დაზუსტების მცდელობისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ ი. კორობკოვის მიერ ჩატარებული შრომატევადი სამუშაოს შედეგები, რომელიც ეძღვნება იაშთხვის ზედა (III-V) ტერასების არქაული მასალების კომპლექსში არსებული ნუკლეუსების ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საკითხების, მონოგრაფიულ შესწავლას.

ი. კორობკოვის მიხედვით უძველეს ლევალუაზური ტექნიკის წინარე პერიოდის ნუკლეუსებად უნდა ჩაითვალოს ისეთი ნიმუშები, რომლებსაც არ გააჩნიათ გარკვეული ფორმა და ჩამოყალიბებული დარტყმის სიბრტყე. მათი ნიშანდობლივი თავისებურებაა ზედაპირზე ასახული ღრმა და

უსისტემოდ განლაგებული ნეგატივები (Коробков И. И. 1965: 79-88).

ამელ მუსტიეური ხანის ლევალუაზური ფაციესის ნუკლეუსები შეადგენენ განვითარების მეორე საფეხურს, რომლებსაც გააჩნიათ დახრილი ნაწილობრივ შესწორებული დარტყმის სიბრტყე და თხელი ლევალუაზური ნეგატივები (Коробков И. И. 1965: 88-91). ამ ნიმუშებს ი. კორობკოვი აშელის დასასრულითა და მუსტიეს ხანით ათარიღებს (Коробков И. И. 1965: 89).

ამას მოსდევს ლევალუაზური სამკუთხა, ოთხკუთხა, მომრგვალო არალევაზუაზური ფაციესის გვიანდელი ნუკლეუსები და ა.შ. (Коробков И. И. 1965).

როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაში თითქოს ძველი ქვის ხანის ერთ-ერთი ძირითადი სახეობის ნაწარმის ნუკლეუსების ეტაპობრივი განვითარების საინტერესო სურათია წარმოდგენილი, მაგრამ რადგანაც ამ შემთხვევაშიც კლასიფიკაციის საფუძვლად გამოყენებულია ზედაპირული წარმომავლობის ნარევი მასალა, მათი მექანიკური გრადაციის პროცესში მიღებული შედეგები, სანდო დამატარილებელ ელემენტად არ გამოდგება.

ასეთ ვითარებაში მართებულად მიგვაჩნია კვლავ მივმართოდ აფხაზეთის უძველესი ძეგლების დათარიღების პროცესში გამოყენებულ ნაცად მეთოდებს, რომელიც მოპოვებული მასალების ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნების გათვალისწინებაზეა დამყარებული.

ალბათ სავსებით ბუნებრივია, რომ ძეგლის ქრონოლოგიურ საკითხებზე მსჯელობისას სხვა რიგის (სტრატეგრაფია, პალეონტოლოგიური მასალები და ა.შ.) მონაცემების არ არსებობის შემთხვევაში ყურადღება გავამახვილოთ ისეთ გამოკვეთილი ტიპის იარაღებზე, როგორც არის ხელნაჯახები და საერთოდ ბიფასები.

როგორც ზემოთ დავინახეთ ამ მონაცემებით რელიეფურად გამოკვეთილია, გალის რაიონის ადგილ **რეჩხი I** ადრე აშელური კომპლექსი, რომლის ძირითადი მონაპოვარია, ოვალური მოყვანილობის, დიდი ზომის ხელნაჯახი, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე (და არა მარტო აფხაზეთის) მოპოვებულ ანალოგიურ იარაღებთან შედარებით მთელი რიგი არქაული ნიშნებით ხასიათდება (ტაბ. XIII).

სამწუხაროდ აფხაზეთის აშელური ხანის ძეგლები ანალოგიურ მასალებსაც ძალზე მოისაკლეს როგორც შენიშნულია ხელნაჯახებისა და მათი მიმსგავსებული ფორმის ბიფასური იარაღების ნაკლებობა ნიშანდობლივი თავისებურებაა აფხაზეთისა და მთელი დასავლეთ ამიერკავკასიის ადრეული ძეგლებისათვის, რასაც ენაცვლებიან ჩოპერისა და ჩოპინგის ტიპის უხეში საჩეხ-საჭრელი იარაღები, რომლებიც გაფორმებულნი არიან ქვარგვალეზე და ანამტვრევებზე და არა მარტო ანატეკეცებზე, როგორც ამას აღნიშნავს ვ. ლუბინი (Любин В. П. 1998: 156).

გარკვეული ტიპოლოგიური იარაღთა რაოდენობრივი დისბალანსი, ერთი სახეობის (ხელნაჯახი და ბიფასი) იარაღის ნაკლებობა და მეორის (საჩეხები) მოჭარბება აფხაზეთის აშელური ხანის ძეგლების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, რაც პირველმა შენიშნა მ. პანიჩკინამ სასომხეთის ძეგლების შესწავლის პროცესში და შეეცადა აეხსნა ასეთი თავისებურების წარმოშობის საფუძვლები (Паничкина М. 3. 1953: 36) მ. პანიჩკინას აზრით აფხაზეთისა და სომხეთის ძეგლებს შორის არსებული ხასიათის სხვაობა გამომწვეული უნდა ყოფილიყო განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოში ჩამოყალიბებული განსხვავებული სამეურნეო საქმიანობის კარნახით.

ამ ფაქტის რამდენადმე განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ა. ფორმოზოვი, რომლის მიხედვით ასეთი სხვაობის გაჩენა უნდა გამოეწვია სხვადასხვა პალეოლითურ ჯგუფებში ქვის დამუშავების განსხვავებულ ტექნიკური ტრადიციების არსებობას (Формозов А. А. 1959: 28), თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ ყოველი ეს შესაძლოა გარემომცველი ბუნების თავისებურებათა გავლენის საფუძველზე წარმოქმნილიყო (Формозов А. А. 1973: 119).

აქვე უნდა გავიხსენოთ გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერის გ. კლარკის ვარაუდი, რომელიც გამოთქმული აქვს აფრიკულ ძეგლებთან დაკავშირებით. მისი აზრით შელისა და აშელის ხანის

ქვის დამუშავების ტექნიკაზე და იარაღთა ფორმებზე გავლენა შეიძლება მოეხდინა როგორც ნედლი მასალის ხასიათს ისე მათი კაჭრების მოყვანილობასაც კი (Clark J. D. 1954: 160). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ნ. ბერძენიშვილიც აფხაზეთში ხელნაჯახების ნაკლებობის ფაქტს აქ არსებული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების თავისებურებით ხსნიდა. მისი აზრით დასავლეთ ამიერკავკასიის სუბტროპიკული კლიმატი, დიდი ატმოსფერული ნალექები და რბილი ნიადაგები არ ქმნიდა წაგრძელებული წვერის მქონე ხელნაჯახის არსებობის საჭიროებას, რომლის დანიშნულება უნდა ყოფილიყო შემგროვებლობის პროცესში კერძოდ მცენარეთა ძირხველების ამოძირკვა და საკვებად გამოყენება.

ჩვენი აზრით გამოთქმულ ვარაუდებს შორის ყველაზე უფრო მისაღები ჩანს ა. ფორმოზოვის მოსაზრება, რომლის მიხედვით, აფხაზეთის აშელური ხანის კომპლექსებში თავისებური ნიშნების გაჩენა დაკავშირებულ უნდა იყოს განსხვავებული სანარმოო ტრადიციების მქონე პალეოანტროპოლოგიული ჯგუფების საქმიანობასთან, რომლებიც შელისა და აშელის ხანაში მოდიან და სახლდებიან აფხაზეთში, სომხეთში, ყუბანისპირეთში და ა.შ. (Формозов А. А. 1973: 18-19).

საფიქრებელია, რომ კავკასიაში უკვე არსებული დასახლებების გარდა (დმანისი, ახალქალაქი) ადამიანის შემოღწევის გზები არა ერთი უნდა ყოფილიყო, მათ შორის ერთ-ერთი მაგისტრალი ალბათ შავიზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გავლით უკავშირდებოდა მახლობელ აღმოსავლეთს, მაგრამ სამწუხაროდ ამჟამად ძნელია რაიმე ითქვას დასავლეთ ამიერკავკასიის აშელური ხანის ძეგლების თავისებურებათა წარმომავლობაზე და მათ კავშირი-ურთიერთობაზე აღმოსავლეთის ქვეყნებთან, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ გზაზე მდებარე უდიდესი რეგიონის, ჩვენი უშუალო მეზობლის, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული აშელური ხანის ძეგლები ნაკლებად არის მიკვლეული და შესწავლილი.

რაც შეეხება აფხაზეთის ქვედა პალეოლითური ხანის, ს. ზამიატინის მიერ გამოყოფილ მეორე ეტაპის ძეგლებს, ანუ მუსტიურის ხანის ნამოსახლარებს, ისინი სამჯერ უფრო მეტი რაოდენობით არიან წარმოდგენილი და მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო სწრაფად იზრდება დროთა განმავლობაში. სამწუხაროდ როგორც ზემოთ დავინახეთ აფხაზეთში სადღეისოდ შესწავლილი მუსტიურის ძეგლების დიდი უმრავლესობა აშელურის მსგავსად ღიაციხეებში მოწყობილი ნამოსახლარებია, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ისინი გენეტიკურად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. გარკვევით ჩანს, რომ აფხაზეთის ადრემუსტიურის ძეგლები კარგად ემსგავსებიან გვიანაშელური ხანის ძეგლებს, როგორც ტიპოლოგიური ისე ტექნოლოგიური (ატკეცვა, რეტუში) თვალსაზრისით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა რეჩხი II და რეჩხი III, 1 (გალის რ-ნი) ადრემუსტიურის ძეგლები, რომლის მასალები როგორც პირველადი ისე მეორადი დამუშავებით იმეორებენ ადგილობრივ აშელურ ტრადიციებს.

როგორც აფხაზეთის მასალებზე მომუშავე მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს ამ რეგიონში გაბატონებულია ტიპიური მუსტიურის ინდუსტრია, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ლევალუაზური ტექნიკური ელემენტების ბატონობა, როგორც პირველად ისე მეორად დამუშავებაში. ასეთი ვითარება ჩანს, როგორც იაშთხვას ძეგლების მიხედვით ისე გალის რაიონის მუსტიურის ხანის ნამოსახლარ ძეგლებზე, თუმცა მათში გარკვეული რაოდენობით ერევა ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელებული ე.წ. დაკბილულ-ამოღარული მუსტიურის კულტურის ელემენტებიც. ამის თვალსაჩინო მაგალითია რეჩხი II-ში გვიანდელ მასალაში არსებული ერთი დანა-სახოკი (ტაბ. XXIX, 7) და რეჩხი III-ში რეტუშით დაკბილულ საფხეკ-წვეტანების ერთი ნაწილი (ტაბ. XXXIV, 1-4). მიუხედავად ამისა ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრებას, რომლის მიხედვით აფხაზეთში, ერთმანეთის მეზობლად, ერთსა და იმავე პერიოდში არსებობდა და პარალელურად ვითარდება მნიშვნელოვნად განსხვავებული ტიპიურ-დაკბილული და ტიპიური მუსტიურის-ლევალუაზური ინდუსტრიის მატარებელი კულტურები (Коробков И. И.

1967: 201; Любин В. П. 1977: 194).

ი. კორობკოვის აზრით ეს კულტურები უნდა განვითარებულიყო აფხაზეთის გვიანაშელური ძეგლების განშტოების ბაზაზე, რომელსაც ერთის მხრივ უნდა მოეცა ჯერ ე.წ. ტეიაკური (ადრე მუსტიეში), ხოლო შემდეგ დაკბილული (გვიანი მუსტიეს) ინდუსტრია, ხოლო მეორე განშტოების საფუძველზე მიღებული ჩანს პირველისგან ტექნიკურ-ტიპოლოგიურად არსებითად განსხვავებული ე.წ. ლევალუაზური ფაციესეს კულტურა (Коробков И. И. 1967: 201-206).

გამორიცხული არ არის, რომ განვითარების ასეთ პროცესებს მართლაც შეიძლება ჰქონოდა ადგილი, მაგრამ არა აფხაზეთის ტერიტორიაზე სადაც არაფერი არ მიგვანიშნებს ამაზე, არამედ მის ჩრდილოეთით სოჩი-ადღერის რაიონში, სადაც თავმოყრილია დაკბილული მუსტიეური ინდუსტრიის შემცველი გამოქვაბულები: ვორონცოვის, ნავალიშენის, ახშტირის, ხოსტის I-II და ა.შ. (Паничкина М. З. и Векилова Э. А. 1962: 57; Коробков И. И. 1967: 201-205; Любин В. П. 1971; Любин В. П. 1977: 194-196).

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სწორეთ ასეთი ფიზიკური ახლო მეზობლობით უნდა აიხსნას დაკბილული მუსტიეს ელემენტების მოჭარბება აფხაზეთის ტიპიური მუსტიეური ინდუსტრიის მატარებელი კულტურის ძეგლების მასალებში. აფხაზეთში ლევალუაზური ინდუსტრიის ბაზაზე განვითარებული ტიპიური მუსტიეური კულტურის გავრცელების კიდევ ერთი ფაქტიური დადასტურებაა მდ. კოდორის ხეობაში. სოფ. ნებელდის (გულრიფშის რ-ნი) მახლობლად აღმოჩენილი აფიანჩას (კეპ-ბოლაზი) მღვიმის მუსტიეური (IX ფენა) მასალები (ქორქია ლ. 1998: 12), რომელიც ჯერჯერობით სრულად არ არის გამოქვეყნებული.

აფიანჩას მღვიმე მრავალფენიანი ძეგლია, რომლის სულ ქვედა IX გორიზონტი ფინალური მუსტიეური ხანით უნდა დათარიღდეს (Церетели Л. Д., Коркия Л. О., Шатилова И. И. 1990: 297-299). ფენა თხელია და არც მასალით არის ინტენსიურად დაყურსული. როგორც ჩანს მუსტიეური ფენა უნდა წარმოქმნილიყო გამოქვაბულში ადამიანის ხანმოკლე პერიოდით დასახლების პროცესში.

კულტურული ფენა სტრუქტურულად ქვიშანარევი თიხნარია, კირქვის ნატეხების ჩანართებით, რომლის სისქე 20-25 სმ. არ აღემატება.

მუსტიეური ფენიდან მომდინარე ქვის მასალის მთელი კომპლექსის რაოდენობა 874 ერთეულს არ აღემატება. იგი წარმოდგენილია ქვის იარაღ-ანატკეცებითა და მათი წარმოების სრული ციკლის ჩატარების პროცესში დაგროვილი მასალების სახით, ნუკლეუსების დამზადებიდან, მზა იარაღების კეთებისას დაგროვილი ანატკეც-ანამტვრევების ჩათვლით. ქვის საწარმოო ნედლეულს წარმოადგენს ადგილობრივი, დაბალხარისხოვანი, გაკაჟების გზაზე დამდგარი კირქვები და მუქი ნაცრისფერი მურგელები. იშვიათად გამონაკლისის სახით ადგილი აქვს მუქი ყავისფერი ან თეთრი ემალისებური პატინით დაფარული კაჟის მასალის გამოყენების ერთეულ შემთხვევებსაც, მაგრამ აშკარა შეინიშნება, რომ ეს ნიმუშები (იარაღებია თუ ანატკეცები) სადღაც სხვაგან არის ნაკეთები, ნაპოვნი და ასეთივე სახით არის მოტანილი გამოქვაბულში.

აფიანჩას ქვის კომპლექსში შემავალი ნუკლეუსები 14 ერთეულის სახით არის წარმოდგენილი. მათ შორის ერთი დიდი ზომის, ცილინდრული ფორმის ნიმუშია, რომლის თავი და ბოლო გადამტვრეულია და მათ ადგილზე ოდნავ უკან დახრილი დარტყმის მოედნებია შექმნილი. ნუკლეუსის ძირითად სახმარ ნაწილს (ატკეცის ზედაპირს) წარმოადგენს ფრონტალური მონაკვეთი და მისი მარჯვენა გვერდი, რომელზეც შემორჩენილია ერთი მიმართულების, მოგრძო, სწორკუთხა, ლამელის მსგავსი ლევალუაზური ანატკეცების ნეგატივები. გამონაკლისს წარმოადგენს ნუკლეუსის მარჯვენა გვერდის ერთი ნეგატივე, რომელიც მეორე სიბრტყიდან მიყენებული დარტყმის შედეგად ჩამოცილებული ანატკეცის შემდეგ არის წარმოქმნილი. ნუკლეუსის გარკვეულ ნაწილს კაჭრის ბუნებრივი ქერქი ფარავს (ტაბ. XXXV, 5).

დანარჩენი 13 ნუკლეუსის დასამზადებლად ანალოგიური კირქვიერი ქანის დაკუთხული,

უფორმო ნატყებია გამოყენებული. მათ შორის ერთი, სწორკუთხაა, ცალმხრივია და მოგვიანო ხანის პრიზმულ ნუკლეუსს ემსგავსება (ტაბ. XXXV, 3). ასევე ცალმხრივია კიდევ ერთი ნუკლეუსი, მაგრამ მისი ზედაპირი სხვადასხვა მიმართულების დარტყმებით არის ატყეცილი (ტაბ. XXXV, 1). ამ ნუკლეუსის ზურგს მთლიანად კაჭრის ბუნებრივი ქერქი ფარავს. ზოგიერთი ნუკლეუსი ბირთვისებური ფორმისაა და ირგვლივ არის ატყეცილი ლამელისებური ნამზადების მისაღებად (ტაბ. XXXV, 2).

ნუკლეუსებიდან რამოდენიმე დისკოსებური მოყვანილობისაა, მაგრამ ატიპიური ნიმუშებს წარმოადგენენ, რაც აფხაზეთის მუსტიეური ძეგლების ნიშანდობლივი თავისებურებაა (ტაბ. XXXV, 4). ამავე ჯგუფში შედის ერთი ე.წ. მარაოსებური ნუკლეუსი, რომლის წინა სიბრტყეზე შემორჩენილია ექვსი ლევალუაზური სწორკუთხა ანატყეცის ნეგატივი (ტაბ. XXXVI, 1).

ნუკლეუსების უმეტესობის დარტყმის სიბრტყე ოდნავ ზურგისკენ არის დახრილი, რომლებსაც წინასწარი შესწორების ნიშნები თითქმის არ ეტყობათ. ასევე მათ ზედაპირზე არ შეინიშნება პატინირება-გამოფიტვის ან გორების ნიშნები.

აპიანჩას მღვიმის ქვის ნაკეთობათა კომპლექსში 16 ერთეულის სახით არის წარმოდგენილი მუსტიეური კულტურის იარაღთა ერთ-ერთი ძირითადი სახეობა-სახოკი.

სახოკების დასამზადებლად გამოყენებულია მოკლე, ფართო და წაგრძელებული ანატყეცები, რომელთა ერთი ნაწილის ზედაპირის გარკვეულ მონაკვეთს კაჭრის ბუნებრივი ქერქი ფარავს (ტაბ. XXXVI, 3, 5, 8).

სახოკები სამუშაო ელემენტის (პირის) მიხედვით შეიძლება დაიყოს ცალპირა (ტაბ. XXXVI, 2-8, 11; XXXVII, 1, 3-5) და ორპირა (ტაბ. XXXVI, 10, 11) ნიმუშებად, რომელთა ერთი ან ორივე გვერდი სწორხაზოვანია, მორკალულია, ან ამოღარულია რეტუშით. ამ ტიპის იარაღებიდან 11 ნიმუში ცალპირა სახოკებია, რომელთა შორის ცხრა შემთხვევაში სამუშაო პირი სწორხაზოვანია (ტაბ. XXXVI, 2-8, 11; XXXVII, 3), სამი – კი გვერდამოღარულია (ტაბ. XXXVI, 9; XXXVII, 1-2, 5). ორპირა სახოკებიდან ერთის მოპირდაპირე გვერდებია რეტუშირებული (ტაბ. XXXVI, 12-13), ერთი იარაღის სიგრძივი და მომიჯნავე განივი გვერდი ქმნის ორპირა სახოკის სამუშაო ელემენტს (ტაბ. XXXVI, 8). ერთი სახოკის ორივე სიგრძივი გვერდი მორკალულია, უფრო სწორედ მარცხენა გვერდი მორკალულია, ხოლო მარჯვენა მორკალურ-ამოღარულია (ტაბ. XXXVI, 13).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სახოკები არათანმიმდევრულად არიან რეტუშირებულნი, ზოგ შემთხვევაში დამრეცი რეტუში მეტნაკლებად შემღწევიან, რაც იარაღის დაკბილვას იწვევს, ეს განსაკუთრებით ითქმის პირამოღარულ ნიმუშებზე, რომლებიც ქვედა სიბრტყიდანაც არიან გაფორმებული (ტაბ. XXXVI, 9; XXXVII, 2).

აფიანჩას მუსტიეური ფენის მეორე ტიპიური იარაღია წვეტანა, რომელიც მზა იარაღთა კომპლექსში 14 ერთეულით არის წარმოდგენილი.

წვეტანების ძირითადი ნაწილი გაფორმებულია ლევალუაზურ მოგრძო სამკუთხა ანატყეცებზე. მათ შორის ტიპიურ იარაღად შეიძლება ჩაითვალოს სამი ნიმუში, რომლებიც მეტ-ნაკლებად არიან გაფორმებული რეტუშით (ტაბ. XXXVIII, 1-3).

მათ შორის ერთი იარაღის ორივე სიგრძივი და ფუძისეული მესამე განივი გვერდი თანმიმდევრულად არის გაფორმებული რეტუშით (ტაბ. XXXVIII, 3), ნაწილობრივ არის გაფორმებული ორი წვეტანა რომლებსაც ერთი მარჯვენა გვერდი მთელ სიგრძეზე გაფორმებული აქვთ საკმაოდ ციცაბო რეტუშით, მაშინ როცა მის მოპირდაპირე ფხიან გვერდს ფაქიზი რეტუშირებისა თუ ხმარების შედეგად წარმოქმნილი ჩანატყებები დაუყვება (ტაბ. XXXVIII, 1-2).

ასევე რეტუშირების გარეშეა დარჩენილი სამკუთხა, წვეტანისებური ორფერდა და სამფერდა ანატყეცების დიდი ნაწილი, რომელთა ფხიან კიდეებს ხმარების შედეგად წარმოქმნილი ჩანატყებების მწკრივები დაუყვება (ტაბ. XXXVIII, 4-9., XXXIX, 1-3).

აფიანჩას კიდევ ერთი ძირითადი იარაღის სახეობაა ე.წ. ზურგიანი დანები (14 ც).

ამ ტიპის იარაღის დასამზადებლად გამოყენებულია ყოველგვარი შემთხვევითი ფორმის ანატაკეცი, რომლის ერთ-ერთი გვერდის კიდეს კაჭრის ბუნებრივი ქერქი ფარავს (ტაბ. XXXIX 8-9; XL, 1-3), ან ფხიანი გვერდის გადამტვრევის შედეგად, გლუვი გორიზონტალური სიბრტყეა შექმნილი, რაზეც მოხერხებულად ეყრება ადამიანის თითი, იარაღის დანისებური დანიშნულებით ხმარების პროცესში (ტაბ. XXXIX_{4-7,10,11}: XL, 4). იარაღის ბუნებრივად არსებული ან ხელოვნურად შექმნილი ყუის მოპირდაპირე კიდე უმეტეს შემთხვევაში სწორია, ფხიანია და ხმარების შედეგად წარმოქმნილი ჩანატეხების მწკრივი დაუყვება. ზოგ შემთხვევაში და არც თუ იშვიათად იარაღის პირი ფხის მიმცემი რეტუმით არის გაფორმებული (ტაბ. XL, 1-4).

აფიანჩას მზა იარაღთა კომპლექსიდან აშკარად გამოირჩევა სამი კარგად გაფორმებული, ბოლო რეტუმირებული საფხეკი. ეს იარაღები ტიპიური ზედაპალეოლითური ხანის, ფრჩხილისებური მოყვანილობის, მაღალი, კარგად გაფორმებული ბოლორეტუმირებული საფხეკებია, რომლებიც ზედაპალეოლითური ნიმუშებიდან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ამ შემთხვევაში იარაღის ნამზადებად ლამელების ნაცვლად მოგრძო ანატაკეცებია გამოყენებული, რომელთა შორის ორის ზედაპირზე კაჭრის ქერქია შემორჩენილი (ტაბ. XL, 5-7).

ამ ტიპის იარაღების აღმოჩენა კიდევ ერთი, უტყუარი, ფაქტიური მასალაა, ჩვენი რეგიონის მუსტიურ და ზედაპალეოლითურ კულტურებს შორის გენეტიკური კავშირების არსებობის სამტკიცებლად.

ამავე კუთხით უთუოდ საინტერესოა აფიანჩას IX ფენის ქვის მასალის წარმოების პროცესში დაგროვილი 482 ც. ანატაკეც-ანამტვრევი, მათ შორის სერიებადაა წარმოდგენილი (35 ც) მოგრძო დანისებური ლამელები (35 ც), რომელთაგან სამის ერთ-ერთი გვერდი რეტუმირებულია (ტაბ. XLI, 1-2, 7), საერთოდ კი ყველას ეტყობა ხმარების ნიშნები. ადგილ-ადგილ მცირე ჩანატეხების სახით (ტაბ. XLI, 3-4, 8-22). ასეთივე ნიშნები ეტყობა აქვე აღმოჩენილ ორ მიკრო ლამელას, რომლებსაც თავბოლო ნატეხილი აქვთ (ტაბ. XLI, 5-6).

როგორც უკვე ითქვა აფიანჩა მრავალფენიანი ძეგლია, სადაც მუსტიური ფენის ზემოთ განლაგებულია ზედაპალეოლითური ფენები, რომელთა გამოწვლილვითი შესწავლა „სვანთა სავანის“ მასალებთან ერთად, კიდევ უფრო დამაჯერებელ სურათს იძლევა მუსტიედან ზედა პალეოლითზე გარდამავალ პერიოდზე და მის შემდგომ კანონზომიერ განვითარების ეტაპებზე.

ყოველივე ამის შესახებ ნაშრომის მომდევნო ნაწილში გვექნება საუბარი. დასასრულს აფიანჩას მღვიმის სამეცნიერო მნიშვნელობის შესახებ მსჯელობისას კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ეს არის ერთადერთი მღვიმური ძეგლი, აფხაზეთში სადაც გამოვლინდა და შესწავლილი იქნა უძრავ მდგომარეობაში დაცული ფინალური მუსტიური ხანის საეტაპო მასალები.

საგულისხმო ქრონოლოგიური ხასიათის მასალების აღმოჩენის გარდა მუსტიური ფენა განსაკუთრებით იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ აქ ერთად თანაარსებობენ ე.წ. „ტიპიური“ და „დაკბილული“ მუსტიური ძეგლების დამახასიათებელი ელემენტები. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ შესაძლოა ანალოგიურ ვითარებას ჰქონოდა ადგილი აფხაზეთის სხვა ძეგლების სინამდვილეშიც. ყოველ შემთხვევაში ღიაციხევემ არსებული ძეგლების, დარღვეული ფენებიდან მომდინარე აშლილი და გადაადგილებული მასალების მექანიკური დახარისხების მიხედვით, ერთსა და იმავე პერიოდში, ერთმანეთის გვერდით განსხვავებული ტექნიკური ტრადიციების მქონე კულტურების (ტიპიური, დაკბილული) არსებობაზე მსჯელობიდან ამჯერად თავის შეკავება აჯობებდა.

§3. აფხაზეთის ზედა პალეოლითი

ზედაპალეოლითური ძეგლების ძიებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ამ მიზნით პირველი მცდელობა თარიღდება 1868 წლით, როდესაც კავკასიაში მოგზაურმა შვეიცარიელმა გეოლოგმა ერნესტ ფავრიმ და მისმა თანმხლებმა რუსმა პოლკოვნიკმა სტატკოვსკიმ, რომლებმაც მცირე მასშტაბის გათხრითი სამუშაოები ჩაატარეს „იაზონის“ სახელით ცნობილ გამოქვაბულში, რომელიც მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა შენაკადის მდ. წყალნითელას მარჯვენა ნაპირზე, ქ. ქუთაისიდან 3 კმ. დაშორებით. ამ ძეგლზე, ჯერ კიდევ 1834 წ. ყურადღება გაუმახვილებია ფრანგ მოგზაურსა და მეცნიერს დიუბუა დე მონპერეს, რომელსაც აღუწერია, ჩაუხატია და მისთვის შეურქმევია ლეგენდარულ კოლხეთში, ოქროს საწმისის მოპოვების მიზნით მოსული არგონავტების ლიდერის იაზონის სახელი (Dubois de Montpereaux 1939).

იაზონის მღვიმეში ჩატარებული გათხრების შედეგად ე. ფავრის მოუპოვებია მცირე ზომის, კაჟის კარგად დამუშავებული იარაღები, რომელთა შორის მისივე დაკვირვებით, ზოგიერთი მათგანი ისრის წვერებს ემსგავსებოდნენ. ეს მასალები მან უნევეაში გამოაქვეყნა 1875 წ, ხოლო მოპოვებული მასალა დამატებითი შესწავლისათვის გადაუცია ცნობილი მეცნიერის ედუარდ ლარტესათვის (Замятнин С. Н. 1957: 433-434), რომლის გარდაცვალების გამო ამ მასალებს სათანადო მეცნიერული რეზონანსი არ მოჰყოლია.

უშუალოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ რიგის სამუშაოების საწყის თარიღად შეიძლება ჩაითვალოს XIX საუკუნის 80-იანი წლები, როდესაც სრულიად რუსეთის, თბილისის V არქეოლოგიური ყრილობისთვის მზადების პროცესში ადგილობრივმა მკვლევარებმა ვ. ჩერნიავსკიმ და იუ. პროცენკომ გარკვეული საძიებო სამუშაოები ჩაატარეს აფხაზეთის გამოქვაბულებში (Замятнин С. Н. 1961: 68).

კერძოდ, მათ მცირე მასშტაბის საცდელი თხრილი გაუჭრიათ სოფ. მიხაილოვსკის მახლობლად მდებარე, მთა ახბიუკის გამოქვაბულში და მოპოვებული მასალების საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება აქ პირველყოფილი ადამიანის ნაკვალევის არსებობის შესახებ (Чернявский В. И. 1879: 22-24).

მოგვიანებით ამავე გამოქვაბულში განმეორებით ჩაატარა გათხრითი სამუშაოები, ბრინჯაორკინის ხანის ძეგლებით დაინტერესებულმა მკვლევარმა ვ. სიზოვმა, რომელმაც თითქოს აღმოაჩინა ძვლის ნატეხები, დამტვრეული ქვები და ხის ნახშირის ნაშთები (Сизов В. И. 1889: 10-12).

1903 წელს აფხაზეთის შავიზღვისპირეთში არსებული გამოქვაბულების ერთი ჯგუფი, პალეოლითური მასალის აღმოჩენის მიზნით დაუზვერია ფრანგ სპელეოლოგს ე. მარტელს (Martel E. A. 1904), მაგრამ როგორც ს. ზამიატინი შენიშნავს უშედეგოდ (Замятнин С. Н. 1961).

ასევე უშედეგოდ დამთავრებულა ადგილობრივი მკვლევარების ბ. ჟუკოვის და შემდეგ მ. რუდენკოს მცდელობა ქ. სოხუმის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გამოქვაბულებში პალეოლითელი ადამიანის ნაკვალევის ძიებისა.

მოგვიანებით ადგილობრივ მკვლევარს მ. ივაშჩენკოს შეუდგენია აფხაზეთში არსებული 100 გამოქვაბულის კატალოგი, მაგრამ არცერთ მათგანში არ არის მითითებული, რაიმე პალეოლითურის მსგავსი მასალის არსებობის შესახებ (Замятнин С. Н. 1961: 68).

პარადოქსია მაგრამ ფაქტია, რომ ასევე უშედეგოდ დამთავრებულა ს. ზამიატინის მიერი 30-იან წლებში, გადადგმული პირველი ნაბიჯები აფხაზეთის გამოქვაბულებში აღმოეჩინა მეოთხეული ხანის ადამიანის ნაკვალევი.

როგორც თვითონ აღნიშნავს ს. ზამიატინი 1934 წელს მას განუახლებია გათხრითი სამუშაოები ახბიუკ-მიხაილოვსკაიას გამოქვაბულში, რითაც სცადა გადაემონებინა მისი წინამორბედი მკვლევარების ვ. სიზოვისა და ე. მარტელის მიერ თითქოს აქ აღმოჩენილა ადრეული კულტურული

ფენის რაობის საკითხი, მაგრამ ეს მცდელობაც არა სასურველი შედეგით დამთავრებულა.

იმ ადგილას სადაც ვ. სიზოვი და ე. მარტელი ძვლოვანი მასალის აღმოჩენებზე მიუთითებენ ს. ზამიატინის უნახავს მხოლოდ სტალაქტიტების ნატეხები და ზედაპირული ე.ი. თანამედროვე კერიდან მომდინარე ნახშირის ნაშთები (Замятнин С. Н. 1961: 69).

სამწუხაროდ ასევე უშედეგოდ დამთავრებულა ს. ზამიატინის მიერ 1936-1938 წლებში აფხაზეთის სხვა გამოქვაბულებში ჩატარებული სტაციონალური გათხრებიც (Замятнин С. Н. 1961: 69).

საკვირველია მაგრამ ფაქტია, რომ ყოველივე ეს ხდება აფხაზეთში, უფრო კონკრეტულად კი სოხუმის შემოგარენში, სადაც ყოველ ნაბიჯზე ს. ზამიანინის, ლ. სალაგოვისა და სხვათა მიერ ზღვიურ ტერასებზე უნიკალური ქვედაპალეოლითური (აშელი, მუსტიე) ძეგლები იქნა აღმოჩენილი, რაზეც ზემოთ გვექონდა საუბარი.

კიდევ მეტიც, ამ ტერიტორიებზე მკვლევარები ხშირად მიუთითებენ ზედაპალეოლითური ღია სადგომების არსებობის ფაქტებზე, რომელთა შორის ერთი ნაწილი პირდაპირ ემთხვევა ქვედაპალეოლითური მასალის გავრცელების პუნქტებს. ასეთი ზედაპალეოლითური ხანის ძეგლები ს. ზამიატინის მონაცემებით 9 პუნქტშია დადასტურებული. ესენია: გალი, ოტაპი, ლეჩკოპი, იამთხვა და ა.შ. (Замятнин С. Н. 1961: 70-71).

როგორც ს. ზამიატინი აღნიშნავს ეს ძეგლები იძლევიან გრძელ დანისებურ ლამელებს, მათ ბოლოზე გაფორმებულ ოვალურ საფხეკებს, მრგვალ საფხეკებს, კიდურა საჭრისებს, მასივურ პოლიედრიულ საფხეკებს, ნუკლეუსის გადაკეთების შედეგად წარმოქმნილ საფხეკებს და სხვ.

ზედა პალეოლითური ხანის ერთ-ერთ ასეთ ძეგლზე – გალში გათხრითი სამუშაოებიც კი ჩატარებია ს. ზამიატინის, სადაც ზედაპირიდან 10-15 სმ სიღრმეზე აღმოუჩენია კაჟის მასალებით დაყურსული კულტურული ფენა, რომლის დიდ-პატარა დასრულებულ იარაღებთან ერთად უნახავს წუნდებული ნაკეთობები, წარმოების ნარჩენები ანატკეც-ანამტკვრელების სახით და მეორადი დამუშავების შედეგად წარმოშობილი ე.წ. ქერცლისებული ანატკეცები. როგორც ს. ზამიატინი ვარაუდობს გამორიცხული არ არის ამ შემთხვევაში უძრავი კულტურული ფენის შემცველ, ღია-ციცქვემ არსებულ ნამოსახლარ ძეგლთან გვექონდეს საქმე, რომლებსაც მთელი რიგი ნიშნები აახლოვებს მათ იმერეთისა და ყირიმის ძეგლებთან (Замятнин С. Н. 1961: 72) (ტაბ. I).

ამრიგად აფხაზეთის გამოქვაბულებში ხანგრძლივი ხელმოცარული კვლევა-ძიების მიუხედავად, რაც ალბათ უმეტესად არა სპეციალისტების მიერ დაშვებული მეთოდური ხარვეზებით იყო გამოწვეული, ს. ზამიანინს, როგორც მაღალი რანგის გამოცდილ სპეციალისტს არ დაუკარგავს იმედი და იმთავითვე სწორად ივარაუდა, რომ მომავალში ფართო მასშტაბის საძიებო სამუშაოების ჩატარების შედეგად ძველი ქვის ხანის როგორც ადრეული ისე მოგვიანო ხანის ძეგლები გამოქვაბულებშიც იქნებოდა აღმოჩენილი (Замятнин С. Н. 1961: 72).

ს. ზამიანინის მიერ მეცნიერულ ნიადაგზე გამოთქმული ასეთი წინასწარმეტყველური ვარაუდის სისწორე სავსებით დაადასტურა მოგვიანებით ამ მიმართულებით აფხაზეთში გადადგმულმა პირველივე ნაბიჯებმა.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მოღვაწეობა აფხაზეთში, ნინო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც 1958-1972 წლებში ფართო მასშტაბის საძიებო და გათხრითი სამუშაოები აწარმოა როგორც ზღვისპირეთში ისე ხმელეთის სიღრმეში, სადაც აღმოაჩინა არა ერთი ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდის ძეგლი, როგორც ღია ისე მღვიმური ნამოსახლარების სახით (Бердзенишвили Н. 3. 1959: 159-180; ბერძენიშვილი ნ. 1979: 13-40).

შეიძლება თამამად ითქვას რომ ისტორიის ინსტიტუტის, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მოღვაწეობის დასაწყისი იყო სრული შემობრუნება აფხაზეთში ზედაპალეოლითური მღვიმური ძეგლების შესწავლის საქმეში.

1958 წელს ხსენებულმა ექსპედიციამ ერთმანეთის მიყოლებით მდინარეების: გუმისტას, კელასურის, კოდორის, ოქუმისა და მათ შენაკადთა ხეობებში აღმოაჩინა 30-მდე კარსტული მღვიმური სადგომი და მათი ერთი ნაწილი გათხარა და მეცნიერულად შეისწავლა კიდეც. ასეთებია იაშთხვას მეზოლითური ხანის გამოქვაბული მდ. გუმისტას ხეობაში, (წერეთელი ლ. 1966: 137-145; მისივე 1973),

ჯამპალის მეზოლითური მღვიმე, მდ. ჯამპალისა და მდ. ამტყელის შესაყართან (წერეთელი ლ. 1974) და ქვაჭარას გამოქვაბული მდ. მაჭარის ზემო წელზე, თიქილ-დაშის მშრალი ხეობის ბოლო ნაწილში (Бердзенишвили Н. 3. 1959: 159-181; ბერძენიშვილი ნ., გრიგოლია გ. 1964: 3-7; წერეთელი ლ. 1963: 221-234).

ექსპედიციამ სამივე გამოქვაბული ბოლომდე გათხარა და შეისწავლა, მაგრამ განსაკუთრებით მამტაბური სამუშაოები ჩავატარეთ ქვაჭარას გამოქვაბულში, სადაც შესავალიდან 60 მეტრის სიღრმემდე შევალნიეთ და მთლიანად გავთხარეთ კულტურული ფენა, რომელიც კარსტული ქვით მთავრდებოდა. მოპოვებული მდიდარი მასალის მიხედვით ძეგლი თავიდანვე ადრემეზოლითური ხანით დათარიღდა (ბერძენიშვილი ნ., გრიგოლია გ. 1964: 3-7), მაგრამ წერეთელმა ლ. რომელმაც გამოაქვეყნა ძეგლი ბუნდოვნად მაგრამ მაინც აქ ზედაპალეოლითური მასალის არსებობაზეც მიუთითა, რომელსაც როგორც ჩანს მხედველობაში აქვს გამოქვაბულის წინა მოედანზე 1959 წელს ორი მოგრიდი სამკუთხა წვეტანისებური და რამოდენიმე დაბალი, ფართო ანატეკის აღმოჩენა, რაც უფრო გვიანმუსტიეური იერისაა (წერეთელი ლ. 1963: 230). ექსპედიციამ ერთ-ერთი საყურადღებო უტყუარი ზედაპალეოლითური მღვიმური ძეგლი შეისწავლა გალის რაიონში, სოფ. ლუმურიშთან მდ. ოქუმის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე (ტაბ. XLII).

ძეგლი აღმოაჩინა და ზედაპირულად შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის საძიებო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1963-1964 წლებში, გურამ გრიგოლიას ხელმძღვანელობით, რომელმაც მდინარეების ენგურის, ინწრას, მუჟავას, ერის-წყლის, რეჩხის, ოქუმის და ოხოჯას ხეობებში 23 კარსტული წარმოშობის გამოქვაბულს მიაკვლია. ზედაპირული მასალების მიხედვით მათი ერთი ნაწილი ზედა პალეოლითით დათარიღდა. ესენია ზემო ლუმურიში I და II (გრიგოლია გ., ბარამიძე მ. 1964, გვ. 10-15). გარდა ამისა მდ. ოქუმის ხეობის შესავალში ექსპედიციამ საინტერესო კარსტული უბანი გამოავლინა, სადაც სხვადასხვა დონეზე, სართულებად რამდენიმე ათეული მღვიმეა განლაგებული. ამ უბანს ხატოვნად „ქვაბთა ქალაქი“ უწოდეთ (გრიგოლია გ., ბარამიძე მ. 1964: 10-15; გრიგოლია გ. 1965: 3-5).

გავითვალისწინეთ რა იმ დროისათვის საქართველოს შავიზღვისპირეთში არსებულ გამოქვაბულებში საკმაოდ ხანგრძლივი კვლევა-ძიებით მიღებული მოკრძალებული შედეგები, გამოვთქვით ოპტიმისტური ვარაუდი ოქუმის გამოქვაბულებში პირველყოფილი ადამიანის ნაკვალევის აღმოჩენისა და მათი კვლევა-ძიების განვითარების პერსპექტივების სასარგებლოდ (გრიგოლია გ. 1964: 10-11).

ასეთი ვარაუდის რეალური საფუძველი მოგვცა მდ. ოქუმის ხეობის დასაწყისში არსებულმა ერთ-ერთი გამოქვაბულის წინ შექმნილმა კულტურული ფენის ქრილმა, რომელიც ხეობაში მიმავალი გზის გაფართოვების პროცესში წინა მოედნის ჩამოჭრის შედეგად ჩანდა წარმოქმნილი. ეს გამოქვაბული მდებარეობს მდ. ოქუმს ხეობის მარჯვენა ნაპირზე, რომლის შეფარდებითი სიმაღლე 11 მეტრი, ხოლო მაქსიმალური სიმაღლე 300 მეტრს არ აღემატება (ტაბ. XLIII, 1).

მღვიმე შექმნილია ქვედა ცარცული ასაკის ძლიერ დანაპრალებულ და დაკარსტულ ბარემულ კირქვებში, მიწისქვეშა წყლების მოქმედების შედეგად (წერეთელი ე. 1970). გამოქვაბული გარეგნულად ეხისებური იერისაა, რომლის შესასვლელი ორიენტირებული სამხრეთ-აღმოსავლეთით. მღვიმის შესასვლელის სიგანე 7 მეტრია, სიღრმე 11 მეტრია და სიმაღლე 3 მეტრს აღწევს. მღვიმეში კარგად არის განვითარებული კარსტული წარმონაქმნები სტალაქტიდ-სტალაგმიტებისა და კარბო-

ნატული ნალვენთი დანალექების სახით.

ოქუმის მღვიმეზე 1964 წელს ყურადღება გაამახვილა საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიუმმა ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნ. ბერძენიშვილი. ოქუმის რაზმის საველე საძიებო და გათხრით საქმიანობას უშუალოდ უძღვებოდა გიორგი ხუბუტია (ხუბუტია გ. 1969: 28-29).

ოქუმის მღვიმეში გათხრითი სამუშაოები დაწყებული იქნა 1968 წ. და დასრულდა 1972 წ. გათხრების შედეგად გამოვლინდა 8 გეოლოგიურად განსხვავებული სტრუქტურისა და შეფერილობის 1,5 მეტრის საერთო სისქის სტრატიგრაფიული ქრილი (ტაბ. XLIV).

ძველის შემსწავლელი მკვლევარების მიხედვით გამოქვაბულის I და II ფენები კალციტური ნალვენთებით დაფარული ჰუმუსური ნიადაგია. II-III ფენები ენეოლითით თარიღდება (ფხაკაძე გ. 1979: 68-77), ხოლო IV ფენა ღია ყვითელი ფერის თიხნარია, რომელშიც ინტენსიურად ერევა კირქვის მცირე ზომის ნატეხები. მასში პირველად ჩნდება ზედა პალეოლითური იერის მასალები. მისი სისქე 20 სმ-ია. ეს არის ძველი ქვის ხანის ყველაზე ახალგაზრდა ფენა.

V – ფენა პლასტიკური, მუქი ყავისფერი თიხნარია, რომლის სისქე 17 სმ არ აღემატება. შევსილია კირქვის მცირე ზომის (3-5 სმ) ნატეხებით და შეიცავს ზედა პალეოლითისათვის ტიპურ მასალებს.

VI – ფენა წარმოადგენს ყვითელი ფერის ნებოვან თიხნარს, ქვიშის მინარევებითა და კირქვის ნატეხების ჩანართებით. ამ ფენის სიძლიერე 20 სმ-ია და იძლევა ზედაპალეოლითურ ნაშთებს.

VII – ფენა მონიტალო შეფერილობის კირქვის ღორღით შევსილი, სტერილური თიხნარია, რომლის სისქე 40-50 სმ. არ აღემატება.

VIII – ფენა მონაცრისფრო, სილანარევი და ღორღნარევი თიხნარია, რომელიც შედარებით მცირე რაოდენობით შეიცავს კირქვის ნატეხებს. ამ ფენაში ჩნდება არქაული (მუსტიური) იერის კაჟის მასალები, რაც ადრეზედაპალეოლითური ძეგლებისთვისაც არის ნიშანდობლივი (ტაბ. XLV, 12-13).

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ოქუმის მღვიმისა და მისი კულტურის კვლევა-ძიების პროცესში ბუნებრივია პირველ რიგში ვიხელოვანდეთ ძველის შემსწავლელი მეცნიერების ნ. ბერძენიშვილის, გ. ხუბუტიას და ნ. ბურაჩაკ-აბრამოვიჩის ნაშრომებით (ხუბუტია გ. 1969; ხუბუტია გ. 1971; ხუბუტია გ. 1973; ბერძენიშვილი ნ. 1971; ბერძენიშვილი ნ. 1972; ბერძენიშვილი ნ. 1973; Бурчак-Абрамович Н. И. 1981; Бердзенишвили Н. З., Бурчак-Абрамович Н. И., Хубутия Г. П. 1987).

ასევე საფუძვლიანად გამოვიყენეთ გ. ნიორაძის ვრცელი სტატია – „ოქუმის მღვიმე და მისი კულტურული ნაშთები“, რომელშიც შეჯამებულია ზემოთ ხსენებული ავტორების პუბლიკაციები და შევსილია ამ ძეგლთან დაკავშირებული საარქივო (დღიურები, ანაზომები, ჩანატეხები, ფოტოები, საველე ჟურნალები) მასალებით (ნიორაძე გ. 2010: 22-37).

როგორც ზემოთ დავინახეთ ოქუმის ზედა პალეოლითური ფენები სტრუქტურულად და ლითოლოგიურად ერთგვაროვანია და მასში აღმოჩენილი კაჟის მასალაც თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ VIII ფენა, რომელიც როგორც სტრუქტურულად ისე კულტურული ნაშთებით ნაკლებად ემსგავსება ზედა (4-6) ფენებს და 0,50 სმ სისქის სტერილური (VII) ფენითაც არის მათგან გამიჯნული (ტაბ. XLIV).

ოქუმის მღვიმის შესწავლის პროცესში (ძველი ქვის ხანის ფენებში) აღმოჩენილია მოვარდისფრო-მოყვითალო კაჟის 9541 ცალი იარაღი და მათი წარმოების პროცესში დაგროვილი ანატკეც-ანამტკეცები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნაშთების სახით (ნიორაძე გ. 2010: 24). როგორც აღმოჩენილი კაჟის ნაკეთობების (მცირე რაოდენობით ობსიდიანის ნაწარმიც ერევა) და ფაუნისტური ნაშთების რაოდენობრივი მაჩვენებლები მოწმობს ოქუმის მღვიმე წარმოადგენდა ფუნდამენტალურ სადგომ-სახელოსნოს სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცხოვრია ძველი ქვის

ხანის ადამიანს (ხუბუტია გ. 1969: 28-29; ხუბუტია 1979: 9; ნიორაძე გ. 2010: 24).

ამჟამად ოქუმის მღვიმის მასალები არ არის ცალკეული ფენების მიხედვით შესწავლილი და მას ზოგადად გვიან ზედაპალეოლითური ხანით ათარიღებენ (გარდა ქვედა VIII ფენისა) (ხუბუტია გ. 1973: 10; ბერძენიშვილი ნ. 1973; Бердзенишвили Н. З., Хубутия Г. П. 1974; ბერძენიშვილი ნ., ნიორაძე მ. 1991: 187).

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მოხდება ოქუმის IV-VI ფენის მასალების დიფერენცირებული შესწავლა, მაგრამ, არა გვეგონია, რომ ასეთი მცდელობების მიუხედავად უკვე მიღებული ასაკის დიაპაზონი რამდენადმე შესამჩნევად შეიცვალოს. თუმცა ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინებით დღესაც შეიძლება ითქვას, რომ მისი ქვედა (VI) ფენა უფრო მეტად ადრე ზედა პალეოლითის ნიშნებს ატარებს. ასეთია მაგალითად, მოკლე, მასივური პრიზმისებური ნუკლეუსების მოჭარბება, რომელთა ზედაპირზე შემორჩენილია უხეში ლამელებისა და ლამელისებური ანატკეცების ჩამოცილების ნეგატივები (ტაბ. XLV, 1-6; ტაბ. XLVI, 1-4). სავსებით ბუნებრივია, რომ მზა ნაწარმის პროდუქციაშიც სწორედ ასეთივე არა დახვეწილი ფორმის ანატკეცებია წარმოდგენილი.

VI ფენის დასრულებული იარაღთა შორის, ნამყვანი სახეობაა მოგრძო, ფართო ლამელებზე და ლამელისებური ანატკეცების ბოლოზე გაფორმებული ოვალურ სამუშაო პირიანი საფხეკები (ტაბ. XLV, 7-10), რომლებიც გარკვეულად ემსგავსებიან აფიანჩას მღვიმის VII ფენის ადრე ზედა პალეოლითურ მასალებს.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით ნიშანდობლივია ამავე ფენაში ერთეულების სახით წვეტანების აღმოჩენაც (XLV, 12-13).

ჩვენი აზრით ოქუმის VI ფენა, თავისი სტრატოგრაფიული მონაცემებით და მასალის არქაული ნიშნებით ცალკე უნდა გამოიყოს და შეიძლება ადრე ზედა პალეოლითური ხანით დათარიღდეს, რომელმაც აფიანჩას VII-ადრე ზედა პალეოლითურ და V განვითარებულ ზედა პალეოლითური ხანით დათარიღებულ ფენებს შორის, ამჟამად არსებული სტერილური ფენის ადგილი უნდა დაიკავოს.

ოქუმის V-IV ზედაპალეოლითური ფენებიდან მომდინარე მასალებში კარგად არის წარმოდგენილი პრიზმული, ერთფუძიანი ნუკლეუსები (ტაბ. XLVI, 5-6), თუმცა აქვე გვხვდება ერთფუძიანი და ორფუძიანი, კონუსური და სოლისებური ნიმუშები (ტაბ. XLVI, 7, 9; ტაბ. XLVII, 1-10).⁴

მზა იარაღებს შორის ნამყვანი ადგილი უკავია ლამელებზე და ლამელისებური ანატკეცების ბოლოზე გაფორმებულ მორკალულ-პირიან საფხეკებს (ტაბ. XLVIII, 6-8; ტაბ. XLIX, 1-4), მარტივ, კიდურა საჭრისებს (XLVIII, 9-10; ტაბ. XLIX, 6). გვხვდება სახვრეტები (ტაბ. XLVIII, 25, XLIX, 17, L, 10, 24), გრავეტის ტიპის იარაღები (ტაბ. XLIX, 11-14), შალაშინები (ტაბ. XLVIII, 11-13), კომბინირებული იარაღები (ტაბ. XLIX, 5) და სხვ.

განვითარებული ზედაპალეოლითური ძეგლების მსგავსად ოქუმის მასალებში მოჭარბებულია მიკროლითური იარაღები, როგორც არის გვერდრეტუშირებული (ტაბ. XLVII, 12-20; XLVIII, 15-24) და გვერდდაბლაგვებული ლამელები (ტაბ. XLVII, 11-26; XLVIII, 26-30), თავირბრეტუშირებული ლამელები (ტაბ. XLVIII, 22-23), თავბოლო ნატეხილი გვერდრეტუშირებული ჩასართები (ტაბ. XLVII, 20-24) და სხვა.

ოქუმის მასალებში მცირე რაოდენობით მაგრამ მაინც გვხვდება ძვლის იარაღების გამოყენების ფაქტები, როგორც არის ლულოვანი ძვლის ნატეხისაგან დამზადებული სახვრეტები (ტაბ. L, 16,17), საკიდად გამოყენებული გახვრეტილი კბილი (ტაბ. L, 26) და სხვა.

4 მასალის საილუსტრაციოდ არსებითად ვიყენებ გ. ნიორაძის მიერ საარქივო მონაცემების მიხედვით შედგენილ ტაბულებს (გ. ნიორაძე 2010, ტაბ. I-VII).

მკვლევართა აზრით ოქუმის V-IV ფენების კულტურა გარკვეული მსგავსებას ავლენს მღვიმეის, გვარჯილას-კლდის, აფიანჩას IV ფენის და ცივი მღვიმის გვიან ზედა პალეოლითურ მასალებთან (ხუბუტია გ. 1973; Бердзенишвили Н. 3., Хубутия Г. П. 1974; ქორქია ლ. 1998; Соловьев Л. Н. 1961; ნიორაძე გ. 2010). მათგან რამდენადმე განცალკევებით დგას ოქუმის მღვიმეში, სტრატиграფიულად ყველაზე დაბალ დონეზე გამოვლენილი და ზედა (VI-IV) ფენებიდან სტერილური (VII) ფენით გამოყოფილი VIII კულტურული ფენა, სადაც ზედა პალეოლითური მასალასთან ერთად არსებობენ მუსტიურ იარაღები და მათი წარმოების ნარჩენები (ხუბუტია გ. 1973; Бердзенишвили Н. 3. 1973).

ზედა პალეოლითური ნაწარმი წარმოდგენილია ლამელებზე და ლამელისებურ ანატკეცის ბოლოზე გაფორმებული ოვალურპირიანი საფხეკებით (ტაბ. LI, 9-10, 12; LII, 6), მარტივი კიდური (ტაბ. LI, 1-4) და შუალა საჭრისებით (ტაბ. LI, 6-8), რომელთა ნამზადებად გამოყენებულია ლამელები, ლამელისებური ანატკეცები და უტილიზირებული ნუკლეუსები.

ამ მასალებთან ერთად კომპლექსში არსებობს 3 პრიზმული (ტაბ. LII, 2, 4-5), 7 ამორფული, 3 ბრტყელი (ტაბ. LII, 3) და ერთი დისკოსებური (ტაბ. LII, 1) ნუკლეუსი, რომლებსაც თან ახლავს ნანილობრივ გვერდრეტუშირებული თუ ხმარების შედეგად წარმოქმნილი, ადგილ-ადგილ რეტუშირებული ჩანატეხების მქონე 117 ც. ლამელა და 317 ც. ანატკეცი. ლამელებიდან 30 ც. მიკროლითურია, რომელთა შორის 13 ც. დაკბილულია, ხოლო 3 ც. გვერდამოდარულია.

ასეთი მასალის ფონზე რელიეფურად გამოიყურება კომპლექსში შემავალი ერთი სახოკი იარაღი და სრულად ან ნანილობრივ რეტუშირებული შვიდი წვეტანა (ტაბ. LII, 7-9), რომლებიც გენეტიკურად აშკარად მუსტიურ ხანასთან დაკავშირებულ იარაღებს წარმოადგენენ.

ამ ნიშნით ოქუმის VIII ფენა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს აფიანჩას IX (ფინალური მუსტიე) ფენის მასალებთან. მთლიანობაში 562 ერთეულს კი უფრო მეტი რამ აქვს საერთო სვანთა სავანის II ფენის ძირითად კომპლექსთან, რასაც მხარს უზამს მისი ზედა ფენებიდან სტერილური შრით გამიჯნული, სულ ქვედა დონეზე დაფიქსირებული მდგომარეობაც.

ოქუმის მღვიმის კაჟის მავალრიცხოვან იარაღ-ხელსაწყოებთან და მათი წარმოების ნარჩენებთან ერთად მოპოვებული იქნა მეოთხეული ადამიანის ერთი კბილი (*Homo Sapiens sapiens fossilis*) და მდიდარი ფაუნისტური მასალა, რომელიც შეისწავლა ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა და განსაზღვრა ხერხემლიან ცხოველთა 39-მდე სახეობა. ესენია: გამოქვაბულის დათვი (*Ursus spelaeus*), მურა დათვი (*Ursus arctos*), კეთილშობილი ირემი (*Cervus slapus L*), გარეული ღორი (*Sus scrofa*), შველი (*Capreolus capreolus L*), დომბა (*Bison Sp*), კავკასიის ლოსი (*Alces alces caucasicus Ver.*), არჩვი (*Rupicapra rupicapra L*), ჯიხვი (*Capra caucasica*), ცხვარი (*ovis sp.*), თხა (*Capra sp*) და სხვა, რომელსაც ემატება გარკვეული სახეობის ფრინველთა (ხოხობი, კავკასიური როჭო, ლალლა, მტრედისებური ჩიტი) ძვლოვანი ნაშთებიც (Бурчак-Абрамович Н. И. 1981: 124).

როგორც ვხედავთ ოქუმის ოსტეოლოგიური მასალა განეკუთვნება კავკასიის ენდემურ ფაუნისტურ სახეებს, სადაც შეინიშნება მაღალმთიანი ზონისა და დაბლობისათვის ტიპური ცხოველების თანაარსებობა, რაც დროდადრო უნდა გამოეწვია გვიანპლეისტოცენში ცივი და თბილი კლიმატური ფაზების მონაცვლეობის შედეგად გარკვეული ცხოველთა (ჯიხვი, არჩვი, კეთილშობილი ირემი, დომბა და სხვ.) სახეების საარსებო ბიოსფეროს შევიწროებას (ხუბუტია გ. 1973: 11; Бурчак-Абрамович Н. И. 1981: 24).

ოქუმის მღვიმის, როგორც აფხაზეთის ერთ-ერთი პირველი ზედაპალეოლითური ხანის მრავალფენიანი ძეგლის მეცნიერული მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ 1972 წლის 16 აგვისტოს მე-V ფენის გათხრის დროს აღმოჩენილა ძვლის ორი ფრაგმენტი, რომელსაც აშკარა ეტყობათ ხელოვნური დამუშავების ნიშნები. ძეგლის შემსწავლელი გ. ხუბუტიას აზრით ერთ-ერთი მათგანი ადამიანის ქანდაკებაა, ხოლო მეორე რაღაც ფრინველს უნდა გამოსახ-

ავდეს (ნიორაძე მ., ნიორაძე გ. 2009: 34; შენ. 1).

შედარებით უფრო ფრთხილად, მაგრამ დაახლოებით ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული ხსენებულ აღმოჩენაზე პროფ. ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩს, რომელმაც შეისწავლა ოქუმის მღვიმის მთელი ძვლოვანი მასალა. მისი აზრით ხელოვნურად დამუშავებული ნიმუშები: №1 და №2 წარმოადგენენ კავკასიური ჯიხვის (*Capra caucasica*-ს) სიგრივი ღერძის გასწვრივ გაპოზილი ტერფის ძვლის დისტალურ (ქვედა) ნაწილს, რომლებიც როგორც არქეოლოგები ფიქრობენ, შესაძლოა პირველყოფილი ადამიანის მიერ დამზადებულ ქანდაკებებს წარმოადგენენ (Бердзенишвили Н. З., Бурчак-Абрамович Н. И., Хубутия Г. Т. 1987: 74-89).

ხსენებული აღმოჩენა საგანგებოდ და საფუძვლიანად შეისწავლეს მედეია და გიორგი ნიორაძეებმა, მათი აზრით ორივე ფიგურა მრგვალი ქანდაკების, მცირე ფორმის პალეოლითური ხელოვნების ნიმუშებს განეკუთვნება (ნიორაძე მ., ნიორაძე გ. 2009: 35), რომელთა შორის ერთ-ერთი №1 უფრო დასრულებული სახით არის წარმოდგენილი. მას გააჩნია მრგვალი თავი და ნაგრძელეული ტანი. ხელები არა აქვს გამოყვანილი, ფეხები თითქოს ირიბადაა წაკვეთილი. მისი სიგრძე 5 სმ-ია, განი 2 სმ. არ აღემატება, ხოლო სისქე 2 სმ., აღწევს. თავი ხელოვნურად დავინროვების გზით გამოყოფილია ტანისაგან, სახე გლუვია ნაკვეთი არ გააჩნია. მკერდი სუსტადაა გამოკვეთილი (ტაბ. LIII-LIV).

მსგავსი ქანდაკებები არც საქართველოში და არც საერთოდ კავკასიაში დღემდე მიკვლეული არ ყოფილა.

ამ ძეგლების აღმოჩენის ვითარებისა და სტილისტური ანლიზის საფუძველზე ოქუმის ქანდაკებები უფრო მდებარეობდით სქესის წარმომადგენლებს უნდა გამოსახავდნენ. მკვლევართა აზრით ასეთი ვარაუდის საფუძველზე წარმოადგენს ოქუმის „ფიგურის დაშვებული მხრები, სუსტად გამოყვანილი მკერდი და თეძოები“ (ნიორაძე მ., ნიორაძე გ. 2009: 38).

ფართო პარალელური მასალების გათვალისწინებით მკვლევართა აზრით (ზ. აბრამოვა, მ. ნიორაძე) ოქუმის ქანდაკებები სტილიზაციისა და სქემატიზაციის გარკვეულ ელემენტებთან ერთად ატარებენ პირველყოფილი რეალიზმის ძირითად ნიშნებს, როგორც ეს დამახასიათებელია ევროპული ე. წ. განზოგადოებული მოხაზულობის ჯგუფში შემავალი ძეგლებისათვის (Абрамова З. А. 1962: 5-85; Абрамова З. А. 1966: 3-223).

ოქუმის მღვიმე თავისი უნიკალური ხელოვნების ნიმუშებით, ფენათა საყურადღებო სტრატეგრაფიული მონაცემებით, მდიდარი ქვის მასალით და პალეონტოლოგიურ-ანტროპოლოგიური მონაპოვრებით უთუოდ საყურადღებო ძეგლია და უშუალოდ მისი თუ ხეობის სხვა ძეგლების სამომავლო კვლევა-ძიებისათვის ძალზე იმედის მომცემი ჩანს.

ზედაპალეოლითური ძეგლების კვლევა-ძიების საქმეში ასევე პერსპექტიული ჩანს, თუ არ აღემატება კიდეც აფხაზეთის კიდე ერთი დიდი მდინარის კოდორის ხეობა. როგორც ცნობილია მდ. კოდორი აფხაზეთის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი მთავარი არტერიაა, რომლის საერთო სიგრძე 110 კმ-ია. მდ. სათავეს იღებს სოფ. გენწვიმთან 740 მეტრ სიმაღლეზე და შავ ზღვას უერთდება, სოფ. დრანდის მიდამოებში.

მისი ხეობის დიდი ნაწილი ტიპური „ალპიური რელიეფის“ მსგავსია. ხეობის ყველაზე ამადლებული რეგიონის სიმაღლე 2950 მეტრს უტოლდება (მარუაშვილი ლ. 1961: 3). დანარჩენი ნაწილი მოდის მთისწინა ბორცვოვანი ზოლისა და ვაკე-დაბლობის წილად.

მდინარეს მთიან ზონაში გამომუშავებული აქვს ღრმა კანიონი V-სებური პროფილით, რომლის სიგანე მერყეობს 20 მეტრიდან 250 მეტრის ფარგლებში და მდინარის ორივე ნაპირის ქარაფებში კარგად არის განვითარებული კარისტული წარმონაქმნები (მარუაშვილი ლ. 1961: 3-9).

ვაკის ზონაში ხეობის მორფოლოგია ღებულობს გამლილი სივრცის ხასიათს, რომელშიც კარგად არის გამოსახული ექვსი ტერასული საფეხური (მარუაშვილი ლ. 1961: 9; წერეთელი ე. 1978:

1-12).

მდ. კოდორის მთავარი შენაკადებია: მდ. საკენი, მდ. გვანდრა, მდ. ჩხალთა, მდ. ხეცკვარა, მდ. ბარამბა, მდ. აცგარა, მდ. ზიმა, მდ. ვიალტიში და მდ. ამტყელა მდ. ჯამპალითურთ.

ჩვენი შესწავლის ძირითადი ინტერესი ამჟამად მდ. ამტყელის ხეობით შემოიფარგლება, რომელიც მდ. კოდორს უერთდება მარჯვენა მხრიდან სოფ. ამტყელას მახლობლად.

მდ. ამტყელა მიედინება რთულ მთიანი რელიეფის პირობებში, რომელსაც გამომუშავებული აქვს ღრმად ჩაჭრილი კანიონისებური ხეობა. ამ მდინარის ჰიდროგრაფიული ქსელის განვითარებაში, განსაკუთრებული როლი ითამაშა კარბონატულ ქანებში განვითარებულმა კარსტულმა მოვლენებმა.

მდ. ამტყელა და მისი შენაკადები საერთოდ არ იყინებიან, მისი წყალი სუფთაა, მტკნარია და ყოველთვის ვარგისია სასმელად.

ამტყელის ხეობის დაბალმთიანი კარბონატული ნალექები წარმოდგენილია ცარცისა და ეოცენის სრული წრილით (წერეთელი ე. 1978). სადაც ცარცულ კირქვებს ნორმალურად ცვლის ნაცრისფერი სქელშრებრივი და მასიური გაბრეკიებული კირქვები, ქვიშიანი კირქვები და მომწვანო-ნაცრისფერი თხელშრებრივი მერგელოვანი ქანები.

დენუდაციისადმი მდგრად კირქვებში და დოლომიტებში გამომუშავებული რელიეფი ხასიათდება მაღალი კლდოვან-კარნიზებიანი ფერდობებით და ინტენსიურად დაკარისტული ვიწრო კანიონისებური ხეობებით. მდ. ამტყელის, მდ. ჯამპალისა და მდ. კოდორის ხეობებში აღწერილი ყველა კარსტული ფორმა: სვანთა-სავანე, აფიანჩა, ცივი მღვიმე, ამტყელა და სხვა დაკავშირებულია ამ ქანების ზედაპირულ გამოსავლებთან (წერეთელი ე. 1978; მარუაშვილი ლ. 1961: 3-9).

საარქივო მასალების მიხედვით, ამ ნიშნით ხსენებულ რეგიონს ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს მიუქცევია ყურადღება. როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში იქნა აღნიშნული მდ. კოდორის ხეობის მღვიმური ძეგლების შესახებ, გარკვეულ ინფორმაციას ფლობდა 1881 წელს ქ. თბილისში გამართული სრულიად რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობა (Замятнин С. Н. 1961: 18-26). ხსენებული ინფორმაციის გათვალისწინებით მდ. კოდორისა და მდ. ამტყელას შეხვედრის რეგიონში ადგილობრივ გეოლოგს ლ. სოლოვიოვს გარკვეული გათხრითი საძიებო სამუშაოები ჩაუტარებია სოფ. წებელდის მახლობლად გამოქვაბულ კეპ-ბოლაზში⁵, სადაც აღმოუჩინია ზედა პალეოლითური და მეზოლითური ხანის მასალები (Соловьев Л. Н. 1971: 6; Соловьев Л. Н. 1987: 18-27).

რამდენადმე მოგვიანებით ლ. სოლოვიოვმა მდ. ამტყელასა და მდ. კოდორის შეხვედრის კუთხეში აღმართულ ქარაფებში მიაკვლია მეორე გამოქვაბულს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ხუპინიპშახვას სახელით მოიხსენიებს, რაც აფხაზურად ცივ მღვიმეს ნიშნავს. ხსენებულ გამოქვაბულში ლ. სოლოვიოვმა აღმოაჩინა სამი კულტურული ფენა; რომლებიც ნეოლითური, გვიან მეზოლითური და ზედაპალეოლითური ხანით თარიღდებიან.

ცივი მღვიმის ყველა ფენაში აღმოჩნდა მდიდარი არქეოლოგიური მასალა ქვის იარაღებისა და ძვლის ნაკეთობათა სახით, საყოფაცხოვრებო დეტალები (კერები, ორმოები) პალეონტოლოგიური და ანტროპოლოგიური ნაშთები. მთელი ეს მასალა ამჟამად დაცულია ქ. სოხუმის ისტორიული მუზეუმის ფონდებში (Соловьев Л. Н., Орленкин В. С. 1961) (Соловьев Л. Н. 1987: 27-69).

რამდენადაც ძეგლის არსებითი ხასიათის ზოგიერთი დეტალი (სტრატიგრაფია, საყოფაცხოვრებო დეტალები, გეგმარება, ანტროპოლოგიური მასალის გავრცელების ხასიათი და სხვ.) დაზუსტებას საჭიროებდა და არქეოლოგიური მონაპოვრის გამოქვეყნება დროულად ვერ მოხერხდა ამ მნიშვნელოვან ძეგლებს სათანადო მეცნიერული ყურადღება იმთავითვე ვერ მიექცა.

⁵ ამჟამად ამ ღვიმეს აფიანჩა ეწოდება. ასეთი სახელწოდებისაა მთა, რომელშიც გამოქვაბულებია წარმოქმნილი (ქორქია ლ. 1998).

დაახლოებით ასეთი იყო მდ. კოდორის ხეობის ზედაპალეოლითური ძეგლების შესწავლის სურათი, როდესაც ამ მხარეში მუშაობა წამოიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვის ხანის მემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნინო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით.

ამ ექსპედიციამ მდ. კოდორის მარჯვენა შენაკადის მდ. ამტყელას ხეობაში და მის შემოგარენში სამი მღვიმური ძეგლი (ქვაჭარა, ამტყელა და სვანთა სავანე) აღმოაჩინა და აფიანჩასთან ერთად, ყველა მათგანი 1958 წლიდან მოკიდებული თითქმის მთლიანად შეისწავლა.

თუ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მივყავებით ზედაპალეოლითურ ძეგლებს შორის პირველ რიგში შესწავლილი იქნა გამოქვაბული **სვანთა სავანე**. ძეგლმა ასეთი სახელწოდება იქიდან მიიღო, რომ იგი მდებარეობს ნებელდიდან დალის ხეობისაკენ მიმავალი შარა გზის მარჯვნივ, 200 მეტრის მანძილზე მდ. ამტყელას მარცხენა ნაპირის ქარაფის ზედა ნაწილში, რის გამოც გზად მიმავალი სვანებისათვის, მარჯვე სასვენს და ღამის სათევ თავშესაფარს წარმოადგენს.

გამოქვაბული სვანთა სავანე მდებარეობს ქ. სოხუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ 35-40 კმ-ის დაშორებით, მდ. ამტყელასა და მდ. ჯამპალის შეერთების ადგილიდან სამხრეთით 300 მეტრ მანძილზე, მდ. ამტყელას მარცხენა ნაპირზე, ხეობიდან 30-35 მეტრისა და ზღვის დონიდან 270 მეტრის სიმაღლეზე. გამოქვაბული ფართოა და კარგად გახსნილი ნიჟარისებური ფორმისაა. იგი ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთისაკენ. მისი სიღრმე 12-13 მეტრია, სიგანე 10 მეტრს უდრის, ხოლო სიმაღლე 15 მეტრს არ აღემატება. გამოქვაბულის იატაკი დახრილია გასასვლელისაკენ და უშუალოდ ებმის დელუვიური და ალუვიური პროცესების შედეგად დაგროვილი ნაშთებით წარმოქმნილ მკვეთრად დახრილ ფერდობს (ტაბ. LV).

როგორც ზემოთ ითქვა გამოქვაბულს მივაკვლიეთ 1958 წელს, ხოლო გათხრითი სამუშაოები ვანარმოეთ 1963-1966 წლებში. 1963-1965 წლებში შევისწავლეთ გამოქვაბულის ჩრდილო ნახევარი, სადაც წარმოდგენილია არქეოლოგიური მასალით დაყურსული კულტურული ფენის ძირითადი ნაწილი, ხოლო 1966 წელს გავთხარეთ გამოქვაბულის ცენტრალური ღერძის მარჯვენა ნაწილი (F, G, H, J, K კვადრატები), სადაც გამოქვაბულის იატაკის ბუნებრივად ზემოთ ამოწვეის გამო ქვის ხანის დროის საცხოვრისი ფართობი მკვეთრად ვიწროვდება და კულტურული ფენაც 10 სმ-მდე თხელდება (ტაბ. LVI).

ერთი შეხედვით **სვანთა სავანეში** გამოვლენილ ფენათა სტრატეგრაფიული სურათი მარტივი ჩანდა. თავდაპირველად გვეგონა, რომ იგი მხოლოდ ორი ფენით იყო წარმოდგენილი. მოგვიანებით კი F₁₀₋₁₁-G₁₀₋₁₁ კვ-ში აღმოჩნდა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკული მასალები, რომლის მსგავსი მონაპოვრები კარგად არის ცნობილი ოქუმის მღვიმის, სამელე კლდის, საგვარჯილის და სხვ. ძეგლების ზედა ფენებიდან (ფხაკაძე გ. 1979 : 19), რაც იმის მოწმობაა, რომ სვანთა სავანეში, ოდესღაც ეს ფენაც იყო წარმოდგენილი.

კიდევ მეტი, როგორც სვანთა სავანის პალეოლითური მასალის კამერალური დამუშავების შედეგებმა მიგვანიშნა და შემდეგ ადგილზე გამოქვაბულის კიდეებზე (ჩრდილოეთ კედელზე) შემორჩენილი ფენის ფრაგმენტებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა სვანთა სავანის I ფენის ქვეშ, უშუალოდ II ფენასთან შეხვედრის ზოლში, უნდა არსებულებო კიდევ ერთი თხელი (3-5 სმ-ის) გორიზონტი, რომელიც შესაძლოა წარმოქმნილიყო გამოქვაბულში მეზოლითელი ადამიანის დროებით, ხანმოკლე თავშეფარების პროცესში.

სამწუხაროდ გამოქვაბულის გათხრისას სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ეს მნიშვნელოვანი დეტალი ვერ იქნა შენიშნული და მეზოლითური ხანის მიკროლითური ნაკეთობები პალეოლითურ მასალებს შეერია, რაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ხსენებული ნიუანსების გამოკლებით სვანთა სავანის მთელ ფართობზე კარგად არის გამოვლენილი ორი კულტურული ფენა. I ფენა წარმოადგენს ლეგა მოყავისფრო ჰუმუსურ ნიადაგს, რომელ-

შიც ერევა თანამედროვე და შუა საუკუნეების კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები და სხვადასხვა ზომის კირქვის დაკუთხული ნატეხები. მისი სისქე 20-30 სმ-ია, შედარებით სქელია გამოქვაბულის უკანა ნაწილში (F₁₀₋₁₁-G₁₀₋₁₁ კვ-ში) იქ სადაც როგორც ზემოთ ითქვა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კერამიკული მასალებიც გამოვლინდა (ტაბ. LVII). II ფენა უშუალოდ მოსდევს პირველს და მისი ზედაპირი, ზედა (I) ფენის მსგავსად ორმხრივად დახრილია სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ანუ გამოქვაბულის შესასვლელისაკენ და ჩრდილო კედლისაკენ. II ფენის სტრუქტურული შემადგენლობა რამდენადმე უჩვეულოა. იგი წარმოდგენილია კირქვის თხელი (10-15 სმ სისქის) შრეების სხვადასხვა ზომის (5X10X15 სმ) დაკუთხული, ნატეხებისაგან, რომელშიც საერთოდ არ ერევა თიხნარი, ქვიშნარი ან რაიმე სახის ნიადაგის მსგავსი წარმონაქმნები, რის გამოც მისი შეფერილობაც შესაბამისად მოთეთრო-მონაცრისფროა (ტაბ. LVII, 1-2).

II ფენის საერთო სისქე 1,0-1,20 მეტრია. ფენის ზედა ნაწილში დაახლოებით 70-80 სმ. სისქეზე კირქვის ნატეხებში მცირე რაოდენობით ერევა მოთეთრო-მონაცრისფრო ფხვიერი მასა, რომელიც უნდა წარმოქმნილიყო გამოქვაბულში პალეოლითური ადამიანის ინტენსიური მოძრაობის შედეგად კირქვის ნატეხების მახვილი ნახნაგების ურთიერთ ხახუნის პროცესში. მეორე ფენის ეს ნაწილი იძლევა კულტურულ ნაშთებს პალეოლითური ხანის ქვის მასალისა და სამწუხაროდ ძალზე ცუდად დაცული პალეონტოლოგიური მასალის სახით.

მეორე ფენის სულ ქვედა 20-30 სმ სისქის ჰორიზონტი სავსებით სტერილურია, თავისუფალი ყოველგვარი ფხვიერი წარმონაქმნებისაგან და უშუალოდ დევს გამოქვაბულის უძრავ, კლდოვან იატაკზე (ტაბ. LVII, 1-2).

ნიშანდობლივია და აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მეორე ფენა მშრალია და მის არცერთ დონეზე არ აღმოჩენილა კარსტული წარმონაქმნები სტალაქტიდ-სტალაგმიტების ან ცალკეული ნალვენტების სახით.

სვანთა სავანის მეორე ფენაში აღმოჩენილ კულტურულ ნაშთებს ძირითადად ქვის ინვენტარი წარმოადგენს, რომლის ერთი ნაწილი ცეცხლშია მოხვედრილი.

კულტურულ ფენაში სულ 4504 ერთეული ქვის ნაკეთობაა აღმოჩენილი, მზა იარაღებისა და მათი წარმოების ნარჩენების სახით.

ქვის იარაღის დასამზადებელ მასალად ძირითადად გამოყენებულია ადგილობრივი გაკაყების გზაზე დამდგარი კირქვიერი ქანები (1904 ერთეული), მერგელები (2267 ერთეული), რიყის ქვა (227 ერთეული) და მალალხარისხოვანი მოთეთრო, მოვარდისფრო, მოყვითალო კაყი (190 ერთეული), რომელშიც ერთეულების სახით ერევა ობსიდიანის ნაკეთობებიც.

კულტურული ფენიდან მომდინარე ქვის მასალასთან შედარებით, მცირე რაოდენობით არის მოპოვებული პალეონტოლოგიური მასალა, რომელიც წარმოდგენილია ცხოველთა სრულიად გამოფიტული, თითქმის დაშლილი ზედაპირის მქონე და წვრილად დამტვრეული ძვლოვანი ნაშთების სახით, რაც უნდა აიხსნას ფენის თავისებური სტრუქტურული შენადგენლობით. როგორც ჩანს მღვიმის მშრალმა, ღორღოვანმა ფენამ ატმოსფერულ-კლიმატური ფაქტორების ზეგავლენით ძვლოვანი მასალა ცუდად შემოინახა და მათი ერთი ნაწილი ალბათ სრულიად განადგურდა. გადარჩენილი პალეონტოლოგიური მასალა შეისწავლა პროფ. ა. ვეკუამ, რომელმაც განსაზღვრა ცხოველთა შემდეგი სახეები: მღვიმური დათვი (*Ursus spelaeus* L), მურა დათვი (*Ursus arctos* L), ჯიქი (*Panthera* sp.), დომბა (*Bison* sp.), ჯიხვი (*Capra caucasica* Güld), შველი (*Capreolus Capreolus*), ირემი (*Cervus elaphus*) და ზღარბი. როგორც ცნობილია ამ ცხოველების უმრავლესობა დამახასიათებელია მთაგორიანი, ტყით შემოსილი რელიეფისათვის.

სვანთა სავანეში მოპოვებული ქვის მასალის ერთი თვალის გადავლებითაც კი ცხადი ხდება, რომ ამ ძეგლის ქვის დამუშავების ტექნიკაში გაბატონებულია პალეოლითის ორი სხვადასხვა საფეხურის მუსტიური და ზედა პალეოლითური ტრადიციული ხერხები. პირველ რიგში ეს კარგად

არის ასახული ნუკლეუსების (125 ერთეული) ფორმებში, რომლებიც ძირითადად ბირთვულ-დისკოსებური და მოგრძო პრიზმული მოყვანილობის ნაწარმით არიან წარმოდგენილი. ერთეულების სახით გვხვდება კონუსური და შემთხვევითი ფორმის ნიმუშებიც.

კომპლექსის წამყვანი სახეობაა პრიზმული ფორმის ნუკლეუსები (76 ც), რომელთა დიდი ნაწილი ერთფუძიანია, ცალმხრივია და მდარე ნახელავია (ტაბ. LVIII, 2; LIX, 1-6). ძეგლის ასაკის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპლექსში შემავალი დისკოსებური და მისდამი მიმსგავსებული ფორმის ნუკლეუსების არსებობას (18 ც), რომელთა რაოდენობა ოთხჯერ ნაკლებია პრიზმულ ფორმებთან შედარებით (ტაბ. LVIII, 1,3; LXI, 4). სვანთა სავანესათვის თითქმის უცნობია კონუსური და ფანქრისებური ფორმები; რაც მისი არქაული ასაკის მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ სვანთა სავანის იარაღთა ძირითადი ნაწილი. პრიზმულ და დისკოსებურ ნუკლეუსებიდან მიღებულ უხეშ ლამელებზე და ანატკეცებზეა გაფორმებული.

სვანთა სავანის ქვისაგან ნაკეთები იარაღების ყველაზე დიდ ჯგუფს საჭრისები წარმოადგენენ (208 ც) რაც მზა ნაწარმის 4,89%-ს შეადგენს. საჭრისების ასეთი მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებელი საქართველოში აღმოჩენილ ზედაპალეოლითის არცერთ ძეგლზე არ არის დადასტურებული, სვანთა სავანისა და აფიანჩას ადრე ზედაპალეოლითური ძეგლების გარდა. სვანთა სავანის საჭრისები ტიპოლოგიურად მრავალგვარია და თვით იარაღთა სახეებიც სერიულია, რაც სვანთა სავანის მცხოვრებთა ყოფაში ამ ტიპის იარაღთა დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. სვანთა სავანის საჭრისები ნამზადების მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად არის წარმოდგენილი. ესენია: ნუკლეუს-საჭრისები, ანამტვრევებზე ნაკეთები საჭრისები და ლამელა საჭრისები. რაოდენობრივი თვალსაზრისით (50 ც) ყველას ჭარბობს კიდური (ტაბ. LX, 1-2, 5; LXI, 8-11) და შუალა საჭრისები (ტაბ. LX, 3-4). კომპლექსში გვხვდება აგრეთვე დუბლირებული იარაღები: საჭრის-საფხეკები (ტაბ. LXI, 11; LXII, 10), (5 ც) და საჭრის-სახვრეტები (2 ც). ყურადღებას იპყრობს მოგრძო ფოთლისებურ ლამელაზე ნაკეთები საჭრისები (3 ც), რომლებსაც თავსა და ბოლოში სასაჭრისე ნახნაგები აქვს გამოყვანილი, ხოლო მეორე რკალისებური გვერდი რეტუშითაა დაბლაგვებული. ეს იარაღები ზედაპალეოლითის ადრეული ეპოქისათვის შესატყვისი იარაღის ტიპს ე.წ. შატელპერიონის დანას მოგვაგონებს.

სვანთა სავანეში აღმოჩენილი საჭრისების ყველა ტიპი პალეოლითის განვითარების მთელ სიგრძეზე გვხვდება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სვანთა სავანის საჭრისების დიდი ნაწილი, თითქმის 70-80%, უფორმო მასივურ ანატკეც-ანამტვრევებზეა ნაკეთები და ამის გამო იარაღთა ტიპებიც არქაული იერისაა.

საჭრისების მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლების ფონზე ერთგვარად უჩვეულოდ გამოიყურება სხვა ტიპის იარაღთა შედარებით სიმცირე, როგორც არის: საფხეკები (37 ც), სახვრეტები (50 ც), სათლელისებური იარაღები (11 ც) და სხვა. საჭრის-საფხეკთა ამგვარი რაოდენობრივი შეფარდება, ასევე ძეგლის ადრეპალეოლითურ ასაკზე უნდა მიუთითებდეს. ნამზადის რაგვარობისა და გამოყენებული ტექნიკის გათვალისწინებით დასრულებული სახის საფხეკებს შორის ორი ჯგუფი გამოიყოფა: მუსტიური ანატკეც-ანამტვრევებზე გაფორმებული იარაღები (30 ც) და ზედაპალეოლითური ლამელებზე ჩამოყალიბებული ბოლორეტუშირებული საფხეკები (7 ც). თავის მხრივ ეს ჯგუფები იყოფა ცალკე ტიპებად და ქვეტიპებად, სადაც ჭარბობს ბოლოკიდურა საფხეკები (ტაბ. LX, 7, 9; LXI, 5-7; LXII, 1-5, 6-7). მათ შორის ზედაპალეოლითურ ლამელაზე ნაკეთები დახვეწილი ფორმის იარაღები მხოლოდ ოთხია (LX, 9; LXII, 4-5, 7). საფხეკების უმეტესი ნაწილი მოკლე და ფართო ანატკეცზეა გაფორმებული.

სვანთა სავანის მზა ნაკეთობათა კოლექციაში ერთეულების სახით გვხვდება ზურგიანი დანები (ტაბ. LXII, 8, 11), ირგვლივ რეტუშირებული საფხეკები (ტაბ. LX, 7; LXI, 5; LXII, 6). აქვეა ფართო, მასივურ ანატკეცებზე ჩამოყალიბებული წვეტანისებური იარაღები (ტაბ. LX, 8; LXI, 2) და ცი-

ცაბო რეტუშით გაფორმებული მორკალური და სწორპირა სახოკები (ტაბ. LX, 6; LXI, 3). სვანთა სავანეში ტიპოლოგიური თვალსაზრისით მუსტიეური იერის იარაღები 24 ერთეულია აღმოჩენილი, რაც წინამავალ საფეხურთან მის გენეტიკურ კავშირზე მიანიშნებს. სვანთა სავანის ქრონოლოგიურ საკითხებზე მსჯელობისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვედაპალეოლითური ტექნიკური ტრადიციების გავლენას ქვის მსალის პირველად დამუშავების პროცესებზე.

ამგვარი სურათის ფონზე რამენადმე უჩვეულოდ ჩანს სვანთა სავანის ქვის დასრულებულ ნაკეთობებში მიკროლითური იარაღების მაღალი პროცენტული (1,8%) რაოდენობით არსებობა. მათი საერთო რაოდენობა 40 ერთეულს აღემატება, რომელთა შორის ჭარბობს ე.წ. ლეკალოს ტიპის მრუდე იარაღები (ტაბ. LXI, 13, 15). ტიპოლოგიური ნიშნებით მიკროლითური იარაღები იყოფა: სახვრეტებად (6 ც), ნემსისებურ ნიმუშებად (5 ც), დაკბილულგვერდებიან იარაღებად (12 ც) (ტაბ. LXI, 18, 19), ორგვერდრეტუშირებული (5 ც) და ცალგვერდრეტუშირებული (11 ც), დანისებურ ლამელებად (ტაბ. LXI, 12, 14, 16-17) და სხვა.

მიკროლითური მასალის შესწავლისას საგულისხმოა, რომ ამ ჯგუფში შემავალი ყველა ნაკეთობა მოთეთრო, მოვარდისფრო, მოყვითალო და ხორცისფერი მაღალხარისხოვან კაჟისაგან არის დამზადებული. მხოლოდ ერთი ცალი სამნახნაგა მიკროლითური იარაღია ადგილობრივი დაბალხარისხოვანი მონაცრისფრო კაჟისაგან ნაკეთები და ისიც სავსებით შესაძლებელია საჭრისის კიდის ჩამონატეხს წარმოადგენდეს. მასალის ასეთი ხარისხობრივი შერჩევა ნითელ ზოლად გასდევს სვანთა სავანის კაჟის ნაკეთობათა მთელ კომპლექსს. ნიშანდობლივია და კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ყველა მიკროლითური იარაღი ნაკეთებია სხვადასხვა ფერის მაღალი ხარისხის კაჟისაგან, ხოლო არქაული იერის მქონე ინვენტარისათვის მონაცრისფრო ადგილობრივი უხარისხო კორქვიერი კაჟი და მერგელოვანი ქანებია გამოყენებული. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს უჩვეულო ფაქტი სვანთა სავანის ქვის დამუშავების ტექნიკაში პალეოლითის ორი სხვადასხვა დროის (მუსტიეური და ზედაპალეოლითური) ტექნიკური ტრადიციების შერწყმის შედეგად უნდა გაჩენილიყო. მუსტიეური ნესები, ამ შემთხვევაში, დაქვემდებარებული უნდა იყოს ზედაპალეოლითის ტექნიკურ ნორმებს. მისი ვარაუდით, მაღალი ხარისხის კაჟის მასალა ზედაპალეოლითის ქვის კომპლექსებს დაუკავშირეს, უხარისხო მასალა კი გამოყენებული ჩანს მუსტიეური (არქაული) ნაწარმისათვის.

ჭეშმარიტებაა, რომ სვანთა სავანის მატერიალურ კულტურაში შერწყმულია ორი ქრონოლოგიური საფეხურის (მუსტიე, ზედაპალეოლითი) ქვის დამუშავების ტექნიკური ტრადიციები. მაგრამ ზემოთმოტანილი ვარაუდის მიხედვით, მაინც უპასუხოდ რჩება ერთი არსებითი ხასიათის კითხვა; რატომ ხდება ადრე ზედაპალეოლითის მიერ მაღალხარისხოვანი კაჟის ცალმხრივი გამოყენება, მხოლოდ მიკროლითური იარაღებისათვის, მაშინ როდესაც იგივე მასალა არ იხმარება ზედაპალეოლითის ძირითადი საწარმოო იარაღების: საფხეკების, საჭრისების, ზურგიანი დანების და სხვა მსგავსი ნაკეთობების დასამზადებლად. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არც იმ ფაქტის ფიქსირებას გააჩნია, რომ ჩვენში მიკროლითური ნაწარმი ზედაპალეოლითის ადრეული საფეხურის კულტურებშიც იჩენს თავს და მათი არსებობა სვანთა სავანეშიც ბუნებრივ მოვლენად შეიძლება ჩაგვეთვალა, რაც ქვის მასალის არქაულ კომპლექსში დადასტურებული შეუსაბამობის კიდევ ერთი არასწორი ახსნის მცდელობა იქნებოდა.

სვანთა სავანეში მიკროლითური იარაღის მოჭარბება, ნაწარმის ტიპოლოგიური რაგვარობა და მათ დასამზადებლად საგანგებოდ შერჩეული მაღალხარისხოვანი კაჟის მასალის გამოყენების უჩვეულო ფაქტი ძეგლის ასაკთან დაკავშირებულ კითხვას ვერ პასუხობს და მკვლევართა შორის ძეგლის გაახალგაზრდავების სინდრომს აჩენს (Kozlovski J. K. 1970: 121-142; Бадер О. Н. 1984: 277). მაგალითად ნ. ბადერი თვლის, რომ მაღალხარისხოვანი მონითალო ფერის კაჟისაგან დამზადებული ნაწარმი, რომელიც კარგად გამოიყოფა კოლექციაში, სვანთა სავანეში არსებული ზედა პალე-

ოლითის ბოლოს და მეზოლითის ადრეული ფენის კუთვნილება უნდა იყოს (Бадер О. Н. 1984: 277). თ. მეშველიანი იზიარებს ო. ბადერის მოსაზრებას სვანთა სავანის ქვის მასალის ორი სხვადასხვა ფენისადმი კუთვნილების საკითხებში (Мешвелиანი Т. К 1986: 113-114).

ასეთივე დასკვნამდე მივდივით ჩვენც, მასალის კამერალური დამუშავების შემდეგ, როდესაც კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ ველზე ჩატარებული სამუშაოების დეტალები და როგორც ზემოთ ითქვა დავადგინეთ, რომ სვანთა სავანის მეორე ფენის ზედა ნაწილში უშუალოდ ჰუმუსური ფენის ქვეშ, გამოქვაბულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უნდა არსებულიყო თხელი კულტურული ჰორიზონტი, რომელიც მეორე ფენის სპეციფიური სტრუქტურული შემადგენლობის (კირქვიერი ქვალორლი) თუ სხვა გარემოებების (მასალის მიკროლითიზაცია) გამო დროზე ვერ იქნა შენიშნული. ჩვენი აზრით სწორედ ამ ფენიდან მიმდინარე მიკროლითური მასალა უნდა იყოს შერეული ადრე ზედაპალეოლითური ხანის ძირითად კომპლექსში. სვანთა სავანის მიკროლითური მასალები (ლექალოს ტიპის იარაღები) ახლო მსგავსებას ამჟღავნებს სუსრუკო-პალურის მეზოლით-ნეოლითურ მასალებთან და სვანთა სავანის გვიანდელი კომპლექსიც ასევე უნდა იქნეს დათარიღებული.

მზა ნაწარმის ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური მხარეების და მასალის ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით სვანთა სავანის ქვის კომპლექსები იოლად შეიძლება გაითიშოს დამოუკიდებელ ქრონოლოგიურ კომპლექსებად და სავლელ სამუშაოების დროს უნებლიედ დაშვებულია მეთოდური ხასიათის შეცდომის შედეგებმა გავლენა არ უნდა იქონიოს მათ დათარიღების პრობლემებზე.

სვანთა სავანის ძირითადი კომპლექსის ადრე ზედაპალეოლითურ ასაკზე მსჯელობის საფუძველს გვაძლევს კიდევ ერთი საყურადღებო, ორიგინალური ფაქტობრივი დეტალი, რომელიც აქვე ახლოს მდ. ამტყელა-კოდორის აუზში არსებული ძეგლის აფიანჩას მღვიმის შესწავლისას გამოვლინდა.

აფიანჩას მღვიმე მდებარეობს მდ. კოდორის აუზში, სოფ. ნებელდის (გულრიფშის რ-ნი) სამხრეთით, ხუთიოდე კილომეტრზე, მთა აფიანჩას სამხრეთ-დასავლეთ ფერდობის ძირბაზე, რომლის აბსოლიტური სიმაღლე 455 მეტრს არ აღემატება.

აფიანჩას მღვიმეს ადგილობრივი მოსახლეობა კეპ-ბოლაზს უწოდებს, რაც თურქულად კლდის ვიწრო გასასვლელს – კლდის ყელს ნიშნავს და ასეთივე სახელწოდებით დაფიქსირდა იგი თავდაპირველად სამეცნიერო ლიტერატურაში (Соловьев Л. Н. 1956: 60-66).

მოგვიანებით აფიანჩას მღვიმის სტაციონალური შესწავლის დაწყების შემდეგ მას აფიანჩა ეწოდა, რაც იმ მთის სახელწოდებაა, რომლის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზეც არის გამოქვაბული მღვიმე.

ჩვენ მოგვწონს გეოგრაფიული მდებარეობის შესატყვისი ასეთი ტიპონიმიკური ცვლილება და მომავალში ძეგლზე მსჯელობისას ყოველთვის ახლებური სახელწოდებით ვისარგებლებთ.

აფიანჩას მღვიმე მდებარეობს, მშრალი ადაგუა ხევის მარჯვენა ნაპირზე, გამარინარილოებული კირქვების ერთგვაროვან წყებაში (Соловьев Л. Н. 1956: 43-77). აფიანჩას მღვიმე ორთავალაა, უფრო სწორად შედგება ორი ერთმანეთის გვერდით პარალელურად განვითარებული მღვიმისაგან. რომელთა შესასვლელებს ერთიმეორისაგან ყოფს 2 მეტრი სიგანის კლდოვანი მასივი (ტაბ. LXIII).

ამ ორი მღვიმიდან როგორც ს. სოლოვიოვი აღნიშნავს შესწავლის საგნად იქცა ის გამოქვაბული რომელიც შედარებით ახლო მდებარეობს გზასთან (Соловьев Л. Н. 1987: 19), ლ. ქორქია კი მას №1-ის სახელით იხსენიებს (ქორქია ლ. 1998: 56). ჩვენი დაკვირვებით ეს არის მარცხნივ მდებარე გამოქვაბული, რომელიც უფრო დასავლეთით მდებარეობს.

გამოქვაბულის შესასვლელის სიგანე 23 მ-ია, სიღრმე 11,5 მ. აღწევს, ხოლო სიმაღლე 15 მ. არ აღემატება. მღვიმის შესასვლელი ნაღისებურია და მიქცეულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, რის გამოც გამოქვაბული კარგად არის განათებული და მშრალია. მისი საერთო ფართობის განაზომები

276 მ² უტოლდება.

დაახლოებით ასეთივე ზომისა და ორიენტირებისაა მეორე გამოქვაბულიც, რომელიც ჯერჯე-რობით შეუსწავლელია.

როგორც ზემოთ ითქვა აფიანჩას მღვიმე 1940 წ. აღმოაჩინა ადგილობრივმა გეოლოგმა ლ. სოლოვიოვმა, რომელმაც მღვიმის დასავლეთ ნაწილში გაჭრა 7 მეტ. სიღრმის საცდელი თხრილი და გამოავლინა ადრეზედაპალეოლითური (E, D, G), მეზოლითური (BB) და ნეოლითური (A) ფენები (Соловьев Л. Н. 1956: 60-66; Егоже 1978; Егоже 1987: 18-26).

1974 წლიდან მღვიმეში გათხრები განაახლა შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნინო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით (Берძენიшвили Н. З., Габуниа М. К., Церетели Л. Д., Хубутия Г. Т. 1976: 56; Берძენишвили Н. З., Церетели Л. Д. 1979: 4-6), რომელიც 1978-1992 წ.წ. გააგრძელა და წარმატებით განახორციელა ფართო მასშტაბის სამუშაოები ლ. წერეთელმა და ლ. ქორქიამ (ტაბ. LXIV) (Церетели Л. Д., Мгелაძე Н. Р. 1981: 10-17; Церетели Л. Д., Клопотовская Н. Б., Куренкова Е. И. 1982: 199-200), როგორც კოდორის არქეოლოგიური ექსპედიციის სავსე სამუშაოების ხელმძღვანელებმა.

აფიანჩას მღვიმის მეცნიერული შესწავლის საქმეში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ლ. ქორქიას, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა ძეგლი და მიღებული შედეგები საფუძლად დაუდო თავის საკვალიფიკაციო ნაშრომს „საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზედაპალეოლითური კულტურა“, თბილისი, 1998 წ.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი წინამორბედების მიერ აფიანჩას შესწავლის მეცნიერულ შედეგებს არსებითად ვიზიარებთ, ვეყრდნობით და ყოველთვის ვითვალისწინებთ ნაშრომზე მუშაობისას.

გათხრების შედეგად აფიანჩას მღვიმეში, კოდორის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლინდა ერთმანეთისაგან განსხვავებული 9 ლითოლოგიური ჰორიზონტი, რომელიც იყოფა შვიდ (IX, VIII, V, IV, III, II, I) კულტურულ და ორ სტერილურ (VIII, VI) ფენად (ტაბ. LXV). როგორც მოპოვებული მასალის შესწავლის შედეგად ირკვევა მღვიმეში ადამინის ცხოვრების ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ვრცელია, იწყება ფინალური მუსტიედან და გრძელდება ახალი ქვის ხანის ჩათვლით (ქორქია ლ. 1998: 8). ამრიგად, გამოქვაბულში გამოვლენილია ძალზე საინტერესო და საჭირო კულტურულ ფენათა სტრატოგრაფიული სურათი, რომელიც შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: გამოქვაბულის კლდოვან იატაკზე დევს ყველაზე ადრეული IX კულტურული ფენა, რომელიც სტრუქტურულად შედგენილია ქვიშანარევი, ნესტიანი თიხნარისა და კირქვიერი ღორღის (50-60 %) შერევით. მისი სისქე 20-25 სმ-ია და იძლევა მუსტიეური ასაკის მასალებს, რომლის შესახებ ნაშრომის წინა თავში გვქონდა საუბარი და მომავალშიც შევხებით მას.

VIII ფენა უშუალოდ თავზე ადევს IX ფენას და გამოირჩევა თავისი უჩვეულო სტრუქტურით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ფაქტიურად წარმოადგენს გრავიტაციული წარმოშობის, სხვადასხვა ზომის კირქვის დაკუთხული ნატეხებით წარმოქმნილ (90-95%) ფენას. ეს ფენა სტერილურია და VII და IX ფენების გამყოფს წარმოადგენს. აფიანჩას VIII ფენა სტრუქტურულად სავსებით ანალოგიურია სვანთა სვანის II ფენისა, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

აფიანჩას მღვიმეში გამოვლენილ ფენებს შორის ყველაზე უფრო მძლავრია (1.2 მ) რიგით VII ფენა. იგი შედგება მუქი ნაცრისფერი ნესტიანი თიხნარისაგან, რომელშიც დიდი რაოდენობით (60-70%) ერევა კირქვის დაკუთხული ნატეხები.

VI ფენა მუქი ყავისფერი თიხებითა და გრავიტაციული მასალის სუსტი მინარევითაა წარმოდგენილი. სტერილურია და მისი სისქე 20-30 სმ-ს არ აღემატება. ეს ფენა VII და V ფენების გამყოფს წარმოადგენს.

V ფენა წარმოადგენს ყავისფერი თიხნარს კირქვის დაკუთხულ ნატეხებს მინარევებით. მისი

საერთო სისქე 40-45 სმ-ია. არქეოლოგიური მასალის მიხედვით ფენა შუა ზედაპალეოლითის ხანით თარიღდება (ქორქია ლ. 1998: 58-59).

IV ფენა წარმოქმნილია მოყვითალო-მოყავისფრო კირქვის ლორღნარევი თიხისგან, რომელშიც ალაგ-ალაგ ჩართულია 5-7 სმ სისქის გადამწვარი მიწის შრეები, რომელიც შეიცავს ნაცარსა და ნახშირის ნამცეცებს. ფენის სიმაღლე 30-40 სმ-ია. ეს არის აფიანჩას მღვიმეში გამოვლენილი ზედა პალეოლითის ფინალური საფეხურით დათარიღებული ფენა, რომელსაც თავზე ადევს III და II ლია ყავისფერი მეზოლითური ფენები და I ნეოლითური ფენა, რომლის სისქე 35-40 სმ-ს არ აღემატება.

ამრიგად, როგორც აღწერილობამ გვიჩვენა აფიანჩას მღვიმეში გამოვლენილი სტრატოგრაფიული ქრილი, ნალექების სტრუქტურული შემადგენლობისა და შეფერილობის მიხედვით სულ ცხრა ფენის სახით არის წარმოდგენილი, რომელთა შორის შვიდი კულტურული ფენაა, ორი კი (VIII, VI) მათი გამყოფი სტერილური წარმონაქმნია. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მღვიმეში გამოვლენილი VII, V და IV ფენები ზედა პალეოლითის სხვადასხვა საფეხურზეა (ადრე, შუა და გვიანი) წარმოქმნილი, რასაც ასე მოისაკლისებს აფხაზეთის ძველი ქვის ხანის ძეგლები.

როგორც უკვე ითქვა აფიანჩას ზედა პალეოლითური ფენებიდან განსაკუთრებით მძლავრია მისი VII კულტურული ფენა, რომელიც დაყურსულია არქეოლოგიური მასალით (2196 ერთეული). მღვიმის საყოფაცხოვრებო დეტალებიდან აღსანიშნავია V ფენაში გამოვლენილი მრგვალი კერა, რომელიც შევსილი იყო ნაცრითა და ნახშირით (ქორქია ლ. 1998: 59).

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მუსტიურული IX ფენის მსგავსად VII ფენის ქვის ინდუსტრიაში ჭარბობს აფიანჩას მთის ქვედა იარუსის კირქვებში გავრცელებული ე. წ. მერგელოვანი ქანების გამოყენების ფაქტები. იშვიათია ობსიდიანითა და ქვიშაქვით სარგებლობის შემთხვევები.

VII ფენაში ქვის ინდუსტრიის წარმოების საწყისი სახეობა ნუკლეუსები 122 ერთეულის სახით იქნა აღმოჩენილი, რომლებიც გამოირჩევიან დისკოსებური (ტაბ. LXVI, 1-2), პრიზმული (ტაბ. LXVI, 3-4; LXVII, 1-2), სოლისებური (ტაბ. LXVII, 4-5) და კონუსური (ტაბ. LXVI, 5) ფორმებით. ერთეულების სახით გვხვდება ამორფული ნიმუშებიც.

აფიანჩას მღვიმის VII ფენის ნამზადების კოლექციაში შედის 330 ცალი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ლამელები გამოყენების თუ რეტუშირების ნიშნებით (ტაბ. LXVIII, 1-15). კოლექციაში უხეში ლამელების არსებობა და ანატკეც-ანამტვრევების თავისებური ხასიათი აშკარად მიგვანიშნებს VII ფენის ქვის დამუშავების ტექნიკაში ჯერ კიდევ არსებული მუსტიურული ტრადიციების შესახებ.

აფიანჩას მღვიმის VII ფენის მზა იარაღთა შორის, რაოდენობრივი თვალსაზრისით წამყვანი ადგილი საჭრისებს უკავიათ (ტაბ. LXIX-LXXI), რომლებიც წარმოდგენილი არიან კიდურა მარტივი და შუალა საჭრისების სხვადასხვა ვარიაციების სახით. როგორც ლ. ქორქია შენიშნავს, ამ იარაღების ერთი ნაწილი კარგად ემსგავსება სვანთა სავანის ანალოგიურ იარაღებს, მაგრამ ამ უკანასკნელთა დასამზადებლად უფრო ხშირად არის გამოყენებული მუსტიურული იერის ანატკეც-ანამტვრევები, რაც ფენის ხანდაზმულობაზე მიგვანიშნებს (ქორქია ლ. 1998: 79-80).

რაოდენობრივი თვალსაზრისით საჭრისების შემდეგ წამყვანი ადგილი საფხეკებს (82 ც) უკავიათ, რომელთა დიდი ნაწილი ნაკეთებია ანატკეცებზე ან ლამელებზე (ტაბ. LXXII, 10-27). ერთეულების სახით გვხვდება გვერდებრეტუშირებული, ფართო ლამელისა თუ ლამელებისებური ანატკეცის ბოლოზე ჩამოყალიბებული, ფრჩხილისებური, სამუშაოპირიანი საფხეკები (ტაბ. LXXIII, 5-10).

VII ფენის მზა იარაღთა კოლექციაში კარგად არის გამოკვეთილი სახვრეტების (70 ც) ჯგუფი (ტაბ. LXXIV, 2-4; LXXV, 14-16). მათ შორის აღსანიშნავია ლამელაზე დამზადებული, ერთი, თავბოლოგამოყვანილი სახვრეტი (ტაბ. LXXIV, 1). კომპლექსში ერთეულების სახით შედის ნუკლეუსისებური ანატკეცებიდან ნაკეთები შალაშინები (40 ც), სათლელები (7ც) (ტაბ. LXXIV, 7-11),

ზურგიანი დანები (ტაბ. LXXIV, 12-22) და სახოკისებური იარაღები (18 ც) (ტაბ. LXXVI, 1-6), რომელთა არსებობას ქრონოლოგიური მნიშვნელობა გააჩნია (ქორქია ლ. 1998: 81).

ფენის არქაულ თარიღზე აქცენტირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია აქ აღმოჩენილი წვეტანებსა და წვეტანებისებურ იარაღებს (ტაბ. LXXVII; LXXVIII).

აფიანჩას არქაულ მასალასთან ერთად, ძეგლის ასაკზე მსჯელობისას უთუოდ საგულისხმოა მიკროლითური ნაწარმის აღმოჩენა, ურეტუშო, ხმარების შედეგად დაკბილული თუ რეტუშირებული ლამელების სახით (ტაბ. LXXV, 4-12).

კაჟის ნაწარმის გარდა ფენაში აღმოჩნდა ქვიშაქვისაგან დამზადებული, შუაში გახვრეტილი დისკოსებური, ბრტყელი ქვა, რომელიც საკიდის დანიშნულებით უნდა ყოფილიყო გამოყენებული (ტაბ. LXXV, 13). ასევე ალბათ სამკაულის დანიშნულებას ასრულებდა აქვე აღმოჩენილი ცხოველის გახვრეტილი ეშვი. ლ. ქორქიას ვარაუდით შესაძლებელია ეს ნივთები პალეოლითელი ადამიანის საკულტო ან ესთეტიკური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ყოფილიყო გამოყენებული (ქორქია ლ. 1998: 24).

თუ გავიხსენებთ აფიანჩას VII ფენის ასაკს (ზედაპალეოლითის ადრეული საფეხური), ადამიანის სულიერი კულტურის შინაარსის მქონე ასეთი მასალის აღმოჩენა უთუოდ მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ამრიგად, აფიანჩას მღვიმის VII ფენაში მოპოვებული ქვის მასალის, როგორც ტიპოლოგიური, ისე ტექნოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, მუსტიური ხანის სახოკებთან და წვეტანებთან ერთად ზედაპალეოლითური ელემენტების სიმრავლე, ძვლისა (სახვრეტების) და ქვის ნაკეთობათა გაჩენა და მიკროლითური იარაღების არსებობა უფლებას აძლევს მკვლევარებს ლ. ნერეთელსა და ლ. ქორქიას, რომ აფიანჩას VII ფენის მონაპოვრები ხელგულის კლდისა და სვანთა სავანის მასალებს დაუახლოვონ და VII ფენაც ანალოგიურად ზედა პალეოლითის ადრეული სტადიით დაათარიღონ (Церетели Л. Д., Клопотовская Н. П., Куренкова Е. И. 1982: 205).

მოგვიანებით აფიანჩას მღვიმის ახალი მასალების გათვალისწინებით ლ. ქორქიამ კიდევ უფრო დააზუსტა VII ფენის ასაკი და იგი სვანთა სავანის მომდევნო ხანის ძეგლად მიიჩნია, რომლის აბსოლუტური ასაკი 32 000 წლით არის განსაზღვრული (ქორქია ლ. 1998: 24).

როგორც ზემოთ ითქვა აფიანჩას VII ფენას თავზე ადევს VI სტერილური ჰორიზონტი, რომელიც გამყოფ ჯებირს წარმოადგენს VII და V ფენებს შორის.

აფიანჩას მღვიმის V კულტურულ ფენაში იარაღ-ხელსაწყოები და ნარმოების ნაშთები 15 953 ერთეულის რაოდენობით არის აღმოჩენილი. გამოყენებულ მასალას ძირითადად კაჟი წარმოადგენს, რომელშიც მცირე რაოდენობით ერევა ობსიდიანისა და რიყის ქვის ნაკეთობები. კაჟის მასალა გარეგნული იერით, შეფერილობით და ხარისხით მრავალფეროვანია. შედარებით ჭარბობს ადგილობრივი, ნაცრისფერი კირქვიერი კაჟი ე. წ. მერგელი. აქვე გვხვდება მუქი და ღია ყავისფერი, დანინკლული, გამჭვირვალე ნაცრისფერი, მოთეთრო, მოვარდისფრო და ლეგა ფერის კაჟის ნიმუშები.

ქვის ინდუსტრიის საწყისი ეტაპის ნაკეთობები ნუკლეუსები 412 ერთეულის სახით არის აღმოჩენილი აფიანჩას V ფენაში. ისინი წარმოდგენილია ზედა პალეოლითში ცნობილი ყველა ფორმებით, როგორც არის პრიზმული, კონუსური, სოლისებური, ბრტყელი და მათი ვარიაციებით (ერთფუძიანი, ორფუძიანი, მრვალაფუძიანი, უხეში, მიკრო და ა. შ.) (ტაბ. LXXIX, 1-6).

ნარმოების პროცესში დაგროვილი მოგრძო უფორმო და ქერცლისებურ ანატკეცებთან ერთად აქვე დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის ლამელები, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს კიდებზე ხმარების შედეგად წარმოქმნილი წვრილი ჩანატეხები დაუყვება ან ნაწილობრივ რეტუშირებულია (ტაბ. XC, 1-16; XCI, 1-8).

დასრულებული სახის იარაღთა შორის წამყვანი ადგილი საფხეკებს (445 ც) უჭირავს, რომელთა

უმეტესობა წაგრძელებულ ლამელებზე გაფორმებული ფრჩხილისებური მოყვანილობის ცალპირა იარაღებია (ტაბ. XCII, 1-16; XCIII, 1-3, 9). მათ შორის ერთეულების სახით გვხვდება ორპირა (ტაბ. XCII, 6, 10, 12), თავირბრეტუმირებული (ტაბ. XCIII, 10) და ფართოპირიანი, სახოკისებური (ტაბ. XCIII, 5) ნიმუშები. ფენაში ასევე სოლიდური რაოდენობით (156 ც) არის წარმოდგენილი დასრულებული იარაღების მეორე სახეობა – საჭრისები. მათი უმეტესი ნაწილის დასამზადებლად ანამტვრევ-ანატკეცებია გამოყენებული (ტაბ. XCIV, 1-3, 8), თუმცა გვხვდება ამავე მიზნით თავრეტუმირებული თუ გვერდრეტუმირებული ლამელების გამოყენების შემთხვევებიც (ტაბ. XCI, 11; XCIV, 4-7). მათი უმეტესობა მარტივი და მრავალფაფეტიანი კიდურა საჭრისებია. ერთეულების სახით გვხვდება შუალა საჭრისებიც. მზა იარაღთა ძირითად ჯგუფში შედის სახვრეტები, რომელთა დასამზადებლად გამოყენებულია რეტუშით წანვეტებული ლამელები და ანატკეცები, რომელთა ესა თუ ის კუთხე რეტუშით არის წამახვილებული. აქვეა აღმოჩენილი ერთი შატელპერონის ტიპის იარაღი (ტაბ. XCIII, 4).

V ფენის კაჟის ინვენტარში დიდი რაოდენობით გვხვდება გრავეტისნაირი წვეტანები და გვერდდაბლაგვული იარაღები (ტაბ. XCIV, 12-31, XCV, 1-36), რომელთა შორის სოლიდური სახით არის წარმოდგენილი განვითარებული მიკროლითური ტექნიკით ნაკეთები იარაღები (XCV, 18-36).

V ფენის კაჟის ინვენტარში გარკვეული რაოდენობით გვხვდება ძვლის საპრიალებლები, ძვლის სადგისები (ტაბ. XCVI, 2, 4, 5), გახვრეტილი კბილი, დიდი ზომის ნემსი (ტაბ. XCVI, 6) კარგად გამოყვანილი ყუნწით და ჯეირანის რქისგან ნაკეთები ნიჩბისებური იარაღი, რომლის მსგავსი ნაკეთობები გვხვდება საკაჟიას მღვიმეში (ტაბ. XCVI, 3).

დასასრულს ამავე ფენაშია აღმოჩენილი რიყის ქვის საჩხეხისებური იარაღები დამუშავება-გამოყენების ნიშნებით (ტაბ. XCVI, 1).

V კულტურული ფენა საფხეკების ნაირგვარობით და სიმრავლით, გვრავეტისმაგვარი დაკბილული იარაღების მოჭარბებით, მიკროლითური ტექნიკისა და მისი ნაწარმის მაღალი დონით სხვა მონაცემებთან ერთად ზედა პალეოლითის შუა საფეხურით უნდა დათარიღდეს, რომლის ზედა და ქვედა ჰორიზონტებიდან აღებული ნიმუშების მიხედვით მიღებული აბსოლუტური თარიღები $25970 \pm 650 - 17300 \pm 500$ წლებს შორის მერყეობს (ქორქია ლ. 1998: 24-25).

V ფენას უშუალოდ აგრძელებს ზემოდან წარმოქმნილი IV კულტურული ფენა, რომელიც V ფენას ემსგავსება შეფერილობით, სტრუქტურით და როგორც ჩანს ქრონოლოგიურადაც. აფიანჩას IV ფენაში სულ 11 765 ერთეული კულტურული ნაშთი იქნა აღმოჩენილი, რომელთა შორის 993 ნიმუში ფაუნისტური მასალაა. ქვის მასალის მრავალრიცხოვანი აღმოჩენებიდან 838 ცალი დასრულებული სახის იარაღ-ხელსაწყოები და მათი წარმოების ნარჩენებია: ლამელების და ანატკეც-ანამტვრევების სახით. მათი უმრავლესობა ადგილობრივი მოვარდისფრო-მოყავისფრო მაღალხარისხოვანი კაჟისაგან არის ნაკეთები და მხოლოდ 57 შემთხვევაშია გამოყენებული ობსიდიანი.

IV ფენის ქვის ინდუსტრიის საწყისი ფორმის ნაკეთობები პრიზმული, კონუსური და ბრტყელი ნუკლეუსების სახით სულ 48 ერთეულის სახით არიან შემორჩენილნი (ტაბ. XCVII, 1-5), რომელთა შორის 6 ცალი ობსიდიანისაა. ამ ჯგუფში შედის მცირე ზომის (დიამეტრი 2-3 სმ), მიკროლითური ლამელების მისაღები ნიმუშები, რომლებსაც ლ. ქორქია ადარებს საკაჟიას, მღვიმევისა და გვარჯილას-კლდის ანალოგიურ მასალებს და გვარჯილას-კლდესთან ერთად საკაჟიასა და მღვიმევისთან შედარებით უფრო მოგვიანო ხანის მასალად მიაჩნია (ქორქია ლ. 1998: 67).

აფიანჩას მღვიმის IV კულტურულ ფენაში წარმოების ნარჩენები ანატკეც-ანამტვრევების სახით 5 555 ერთეულის სახით არის შემორჩენილი, რომელთა შორის გამოიყოფა ორ და სამფერდა ლამელების ჯგუფი, რომელთა გვერდები საგანგებოდაა ამოღარულ-დაკბილული რეტუშით, ან მათი კიდეების ეს დეტალები ხმარების შედეგადაც შეიძლება წარმოქმნილიყო ძვლის ნივთების და-

მუშავების პროცესში, როგორც ამას ვარაუდობენ მაღლენის დროის ძეგლებისათვის (Шовкопляс Н. Г. 1965: 40).

IV ფენის მზა იარაღთა წამყვან სახეობას საფხეკები წარმოადგენენ (157 ც). მათი უმრავლესობა ორფერდა და სამფერდა ლამელეზზეა გაფორმებული და ფრჩხილისებურთავიან, სწორპირა და თავირბრეტუმიან ნიმუშებს წარმოადგენენ (ტაბ. XCVII, 6-14; XCVIII, 2-6,8). რაოდენობრივი თვალსაზრისით მეორე ადგილზეა საჭრისები (153 ც), ესენია კუთხის და შუალა მარტივი საჭრისები (ტაბ. XCVIII, 1-5), რომელთა შორის ნაკლებად გვხვდება მრავალფაცვიანი ნიმუშები (ტაბ. XCVIII, 12). კომპლექსში ასევე სოლიდური სახით არიან წარმოდგენილი სახვრეტები (105 ც), რისთვისაც უმთავრესად გამოყენებულია რეტუმით წვერნამახვილებული ლამელები. ერთეულების სახით გვხვდება სხვადასხვა სიბრტყიდან გაფორმებული ლამელის ე. წ. ბურღისებური იარაღები.

IV ფენის მასალებში შეიმჩნევა მიკროლითური ნაწარმის მატება, რომლებიც წარმოდგენილი არიან წვერნამახვილ-გვერდრეტუმირებული ნიმუშებით, რომელთა შორის გვხვდება გრავეტიცებული იარაღები (ტაბ. XCVIII, 9-15; XCIX 2,6-8). აქვეა აღმოჩენილი გეომეტრიული ფორმის იარაღები: სეგმენტები (ტაბ. XCIX, 5, 9) და ასიმეტრიული სამკუთხედები (ტაბ. XCIX, 6-8).

აფიანჩაში აღმოჩენილი იარაღებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ორფერდა ლამელაზე გაფორმებული ისრისწვერი. მისი მარჯვენა გვერდი, ზურგის მხრიდან თითქმის მთელ სიგრძეზეა გაფორმებული ციცაბო რეტუმით. იარაღის მეორე გვერდის ზედა ნაწილი ფაქიზად არის გაფორმებული ფხის მიმცემი რეტუმით. ქვედა ნაწილი კი ბოლოში ცალმხრივ არის ამოღარული ციცაბო რეტუმით და ქვედა სიბრტყიდანაც შეთხლებულია მცოცავი რეტუმით (ტაბ. XCIX, 12).

აფიანჩაში აღმოჩენილი ისრისწვერი როგორც მოყვანილობით, ისე დამუშავების ტექნიკით მსგავსია გვარჯილას-კლდისა და ქვაჭარის იარაღებისა.

აფიანჩას საყურადღებო აღმოჩენების ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე კირქვისაგან დამზადებული მრგვალი ჯამისებური ნივთი, რომლის ხელოვნურად შექმნილ ჩაღრმავებაში დადასტურდა ოხრის ნაშთის არსებობა (ტაბ. XCIX, 1), რაც ამ ნივთის საფხვენელ-სასრესი დანიშნულებით გამოყენებაზე უნდა მიგვითითებდეს (ქორქია ლ. 1998: 70).

აფიანჩას IV ფენაში ქვის იარაღებთან ერთად აღმოჩნდა ძვლისგან ნაკეთები იარაღ-ხელსაწყოების საყურადღებო კომპლექსი, რომელშიც შედის საპრიალებლები, სადგისები (ტაბ. XCIX, 2-4), ნემსები (ტაბ. XCIX, 14) და ერთი, ნეკნის ძვლისაგან დამზადებული გაურკვეველი დანიშნულების იარაღი (ტაბ. XCIX, 13).

აფიანჩას მღვიმის IV ფენაში ქვის მასალასთან ერთად მოპოვებულია საგულისხმო პალეონტოლოგიური ნაშთები (1131 ერთეული), რომელიც შეისწავლეს ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა და ა. ვეკუამ. მათი განსაზღვრით მოპოვებული ძვლოვანი ნაშთები განეკუთვნება: მღვიმურ დათვს, დომბას, მურა დათვს, კავკასიურ ფიხვს, კეთილშობილ ირემს, მინდვრის თავგსა და ბაყაყს. ფრინველებიდან გვხვდება: გარეული მტრედი, კავკასიური როჭო, დედოფალა და ლამურა. ფრინველის ძვლებთან ერთად აღმოჩენილია თევზის (ორაგულის?) ძვლის ფრაგმენტებიც და მიკროფაუნაც, რომლებიც მეტწილად თავს იყრიან მღვიმის სიღრმეში, სადაც კერის ნაშთიცაა დადასტურებული (ქორქია ლ. 1998: 71).

როგორც ძეგლის შემსწავლელი ლ. ქორქია აღნიშნავს, აფიანჩას IV ფენის მასალები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ ზედა პალეოლითის შუა საფეხურის ძეგლებთან (დევის ხვრელი, საკაჟია, მღვიმევი და ა. შ), მაგრამ მთელი რიგი ნიშნებით (მიკროლითური ტექნიკის მომძლავრება, ქუსლამოღარული ისრისწვერი, გეომეტრიული იარაღები, ძვლის ნემსი და სხვ.) უფრო განვითარებული ჩანს და მეტ-ნაკლებად უახლოვდება გვარჯილას-კლდის მასალებს (ქორქია ლ. 1998: 72).

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ შემოთავაზებულ თარიღს, მით უფრო, რომ ამ ფენის აბსოლუტური თარიღი 14640 ± 340 წლით არის განსაზღვრული.

ამრიგად, როგორც დავინახეთ აფიანჩას მღვიმეში გამოვლენილია სამი ზედაპალეოლითური VII, V და IV კულტურული ფენა, რომლებიც გენეტიკურად მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

კულტურული ფენები სტრატиграფიული განლაგებით, მოპოვებული ქვის მასალის ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური მონაცემებით და ორგანული ნივთიერებების (ხის ნახშირი, ნანადირევი ცხოველის ძვლები) რადიონახშირბადის მეთოდით შესწავლის შედეგად მიღებული აბსოლუტური მონაცემების საფუძველზე აფიანჩას ზედა პალეოლითური ფენები: ადრე (VII ფენა), შუა (V ფენა) და გვიანი (IV ფენა) საფეხურით თარიღდება, რომელსაც თავზე ადევს III – მეზოლითური და II – ნეოლითური ხანის ფენები.

ყოველივე ამას უნდა დაემატოს სულ ქვედა, ფინალური მუსტიეური ხანით დათარიღებული IX კულტურული ფენა, რომელიც დევს მღვიმის კლდოვან იატაკზე და სტერილური VIII ფენით ემიჯნება ადრე ზედაპალეოლითურ VII ფენას.

აი ასეთია აფიანჩას მღვიმეში გამოვლენილი ფენების სტრატиграფიული განლაგების სრული სურათი, რომელიც როგორც დავინახეთ წარმოდგენილია ექვსი კულტურული ფენით და ორი (VIII და VI) სტერილური წარმონაქმნით, რომლებიც მთელი რიგი ნიშნებით ძალზე მეტყველი მეცნიერული მნიშვნელობის მასალების შემცველია. ეს განსაკუთრებით ითქმის VIII სტერილურ ფენაზე, რომელიც თავისი სტრატиграფიული მდებარეობით არა მარტო აზუსტებს კულტურული ფენების შეფარდებით ქრონოლოგიის საკითხებს, არამედ თავისი სტრუქტურული შემადგენლობით ორიგინალურ ინფორმაციას იძლევა გეოლოგიურ, კლიმატოლოგიურ თუ კულტურულ საკითხებზე მსჯელობისათვის.

უკვე არა ერთგზის ითქვა და ამჟამად კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ VIII სტერილური ფენა წარმოქმნილი ჩანს ფიქლოვანი კირქვების სხვადასხვა ზომის დაკუთხული ნატეხების დანაწევრების შედეგად (90-95%), რომელშიც მცირე რაოდენობით (5-10%) ერევა კირქვის გაფხვიერების შედეგად წარმოქმნილი თიხნარი ნიადაგი. მისი სისქე 90 სმ-ია და თავისუფალია ყოველგვარი კალციტური (სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ნალვენტები, ქერქი) მინარევებისაგან. ლ. ქორქიას არ გამორჩენია VIII ფენის უჩვეულო სტრუქტურული შემადგენლობა და მიანიშნებს, რომ ამ ფენის წარმოშობა „... რალაც კლიმატურ კატაკლიზმებთან უნდა იყოს დაკავშირებული“-ო (ქორქია ლ. 1998: 16).

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით (Громов В. И. 1948) ასეთი სტრუქტურული წარმონაქმნების გაჩენა დაკავშირებულია შრეებრივი კირქვების სწრაფად დაშლის და დანაწევრების პროცესთან, რასაც ინვეს კონტინენტური კლიმატური პირობების სწრაფი გაუარესება (Renè Neuville 1931: v. 41), როგორც ამას ადგილი აქვს გარკვეული გამყინვარების ან მათი მაქსიმალური აცივების რომელიმე ფაზაში (Соловьев Л. Н. 1987: 21-22). ლ. სოლოვიოვის აზრით ასე უნდა იყოს წარმოქმნილი ვორონცოვის დიდი და მცირე, კაზაჩებროდისა და ახშტირის ზედაპალეოლითური ასაკის ლორღოვანი სტრუქტურის მქონე ფენები, რომელთა გეოლოგიური ასაკი უნდა ემთხვეოდეს ე. წ. „კლიჩის“ და „ნენსკრის“ გამყინვარების პერიოდს (Соловьев Л. Н. 1987: 14-15).

როგორც ივარაუდება კოდორის ხეობის ხსენებული გამყინვარებები თავის მხრივ უნდა ემთხვეოდეს ალპიური ვიურმის მეორე ნახევარს, რომლის საწყისი ეტაპი C14 მეთოდით 70 000 წლით არის განსაზღვრული (წერეთელი დ. 1966).

სამწუხაროდ ჩვენ ამჟამად ვერ ვიმსჯელებთ აფიანჩას VIII ფენის აბსოლუტური თარიღის სრული ჩარჩოების შესახებ, მაგრამ კარგად არის ცნობილი მისი ზედა საზღვარი. როგორც ცნობილია აფიანჩას VIII სტერილურ ფენას თავზე ადევს VII კულტურული ფენა, რომელიც რადიონახშირბადული მეთოდის გამოყენებით 32 000 წლით თარიღდება (ქორქია ლ. 1998: 24), რაც იმის დასტურია, რომ VIII სტერილური ფენა 32 000 წელზე ადრეა შექმნილი და მისი წინა საფეხურია. თავის მხრივ

VIII ფენის ქვედა საზღვარი ფინალური მუსტიეს ხანას არ უნდა სცილდებოდეს, როგორც თარიღდება აფიანჩას IX კულტურული ფენა, რომელსაც თავზე ადევს VIII კულტურული ფენა.

ე. ი. სრული საფუძველი გაგვაჩნია ვიფიქროთ, რომ VIII სტერილური ფენა წარმოიშვა ზედა და ქვედა პალეოლითის საზღვარზე, რომლის აბსოლუტური თარიღი სავარაუდოდ 32 000-50 000 წლებს შუა უნდა ექცეოდეს.

აფიანჩას VIII სტერილური ფენის ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხებით ჩვენი დაინტერესება მისი სტრატиграფიული მნიშვნელობის გარდა იმითაც არის გამოწვეული, რომ იგი ყველა ნიშნით სავსებით იდენტურია სვანთა სავანის II ფენისა, რომლის ქვის მასალის ძირითადი ნაწილი (მეზოლითური მინარევების გამოკლებით) ადრე ზედაპალეოლითური ხანით თარიღდება (გრიგოლია გ. 2011: 19; ბერძენიშვილი ნ., გრიგოლია გ. 1967: 5-11). აქ კიდევ ერთხელ უნდა გავისვენოთ, რომ სვანთა სავანის II კულტურული ფენა წარმოქმნილი ჩანს დანაპრალეული ფიქლოვანი კირქვების სხვადასხვა ზომის დაკუთხულ ნატეხებად დანანევრების შედეგად (0.95-100%), რომელიც თავისუფალია ყოველგვარი კალციტური წარმონაქმნებისაგან. ერთი სიტყვით აფიანჩას VIII სტერილური ფენა სტრუქტურულად სავსებით იდენტურია სვანთა სავანის II კულტურული ფენისა, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ორივე მღვიმის ხსნეული ფენები წარმოიქმნენ ერთსა და იმავე პალეოკლიმატურ პირობებში, როდესაც კონტინენტური ტემპერატურის სწრაფი და მკვეთრი გაუარესების შედეგად უნდა განვითარებულიყო დანაპრალეული, ფიქლოვანი კირქვების დაშლისა და დანანევრების პროცესები. სხვა მონაცემებთან ერთად, ამგვარად გაუარესებულ კლიმატურ მოვლენებზე მსჯელობის საფუძველს იძლევა ირ. შატილოვას მიერ აფიანჩას მღვიმის IX და VII ფენებიდან აღებული პალინოლოგიური სინჯების შესწავლის შედეგები, რომლის მიხედვით ადრე ზედაპალეოლითში, მუსტიეს პერიოდთან შედარებით მკვეთრად მცირდება ფოთლოვან მცენარეთა ნაშთები და იზრდება წინვოგნების მტვრის რაოდენობა, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ჩვენში ახალევექსინურ პერიოდში გაუარესებული კლიმატური პირობების არსებობაზე (Церетели Л. Д., Коркия Л. О., Шатилова И. И. 1990).

ასეთ საკითხებზე მსჯელობისას შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნდეს, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის თითქოს უმნიშვნელო ფაქტი, რომ სვანთა სავანის (II) და აფიანჩას სტერილური (VIII) ფენების საერთო სიმძლავრე თითქმის ერთგვაროვანია (0.90-1.20 მ), რაც შესაძლოა მათზე გლაციალური კლიმატის თანაბარ ზემოქმედებასა და ხანგრძლივობაზე მიგვანიშნებდეს.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ სვანთა სავანის უძველესი მოსახლეობა შეიძლება ყოფილიყო მზის სხივებით განათებული, უფრო თბილი, შედარებით მშრალი და ქვის ცვენისაგან უკეთ დაცული, თუ სხვა მიზეზების გამო, ახალი სამოსახლოს მაძიებელი აფიანჩას მღვიმიდან წამოსული ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ ზედა პალეოლითის ადრეული საფეხურის მეორე ნახევრიდან კვლავ უბრუნდება თავდაპირველ სამოსახლო მღვიმეს და გარკვეული დროის ჩაგდებათ (VI სტერილური ფენა) აგრძელებს ცხოვრებას ფუძისეულ მღვიმეში. ადრე, განვითარებულ, გვიან ზედა პალეოლითში და მეზოლითში, ე. ი. მთელი პლეისტოცენის მანძილზე და ჰოლოცენში ნეოლითური პერიოდის ჩათვლით.

ამრიგად, თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და აფიანჩას მღვიმის კულტურულ ფენათა არსენალს დავუბრუნებთ მისგან გარკვეულ ეტაპზე გამოყოფილ და ცალკე განვითარებულ ზედა პალეოლითის ადრეული საფეხურის კულტურას, სვანთა სავანის სახით, მივიღებთ აფიანჩას მრავალფენიანი სტრატиграფიული ქრილის უკეთ შევსებულ ვარიანტს.

აფიანჩას მღვიმის ფენათა საკუთარი სტრატиграფია და ჩვენს მიერ ჩატარებული მეცნიერული მანიპულაციებით შევსილი კულტურული ფენების სრული სურათი ასე გამოიყურება: აფიანჩას უძველეს ფენას წარმოადგენს სულ ქვედა, ფინალური მუსტიეს ხანის IX კულტურული ფენა. მისი

მომდევნო ხანის ძეგლია სვანთა სავანის II კულტურული ფენა, რომელიც მთელი რიგი მსგავსი ნიშნების გამო ჩავსვით აფიანჩას VIII სტერილური ფენის ადგილზე, რამაც კიდევ უფრო რელიეფურად გამოავლინა აფიანჩას მუსტიესა და ზედაპალეოლითის კულტურების გენეტიკური კავშირ-ურთიერთობა. აფიანჩას VIII ფენას თავზე ადევს მისივე VII, ადრე ზედაპალეოლითური მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც როგორც ადრევე იყო შენიშნული, სვანთა სავანესთან შედარებით რამდენადმე უფრო მოგვიანო ძეგლი უნდა იყოს (ქორქია ლ. 1998: 103-104).

VII ფენას თავზე ადევს VI სტერილური ფენა, რომელიც მიჯნავს მას V – განვითარებული ზედა პალეოლითური ფენისაგან, რომელსაც თავზე ადევს რიგით IV გვიანზედაპალეოლითური ფენა. მათ მოსდევს III და II მეზოლითური და I ნეოლითური ხანის კულტურული ფენები. უდაოა, რომ მომავალში აფიანჩას კულტურული ფენების სტრატиграფიული ჭრილი კვლავ შეივსება ახალ-ახალი აღმოჩენების საფუძველზე გამოვლენილი ერთმანეთთან კულტურულად უფრო მჭიდროდ დაკავშირებული პალეოლითური ხანის ფენებით, ისევე როგორც სვანთა სავანის II ფენამ კუთვნილი ადგილი დაიკავა ადრე ზედა პალეოლითურ და ფინალურ მუსტიურ ფენებს შორის. კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ სვანთა სავანე II, ტიპოლოგიური, ტექნოლოგიური და სტრუქტურული თვალსაზრისით მჭიდროდ უკავშირდება აფიანჩას მუსტიეს ფინალურ საფეხურს და მის ნიადაგზე წარმოშობილი ავტოქტონური კულტურა ჩანს, რომლის შემდგომი განვითარების გარკვეულ სურათს იძლევა აფიანჩას VII ადრე ზედა პალეოლითური ხანის კულტურა.

აფიანჩას მღვიმე სტრატиграფიული მონაცემებით და ქვედა ფენების ქრონოლოგიური ჩარჩოებით ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ჭიათურის რაიონის სოფ. დიდი რგანის ტერიტორიაზე მდებარე ორთვალა კლდის მღვიმის მასალებთან, რომელიც აღმოაჩინა და შეისწავლა ნ. თუშაბრამიშვილმა.

როგორც ცნობილია ორთვალა მღვიმეში გამოვლენილია ორი (I-II) გვიანმუსტიური ფენა, რომელსაც უშუალოდ თავზე ადევს ასევე ორი (I-II) ადრე ზედაპალეოლითური ხანის ფენები. ამ ფენებიდან მომდინარე მასალების ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური ახლო მსგავსების საფუძველზე ნ. თუშაბრამიშვილი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ორთვალა კლდის ზედა პალეოლითი ჩასახულია ადგილობრივ მუსტიურ კულტურაში და მის შემდგომ ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს (Тушабрамишвили Н. Д. 1990: 27-29; თუშაბრამიშვილი ნ. 1994: 3-32). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტური თარიღებით ორთვალა კლდე ზედაპალეოლითურ ძეგლებს შორის ყველაზე ადრეული ძეგლია, რომლის ასაკი 35000-34000 წლებს შორის მერყეობს (ნიორაძე მ. 2010: 16). ე. ი. როგორც ჩანს, იგი ასაკითაც უახლოვდება სვანთა სავანისა და აფიანჩას ძეგლებს.

აფიანჩას მღვიმის, სვანთა სავანის, ორთვალა კლდის მასალებისა და ოქუმის, ტოლონკლდის თუ საგვარჯილის (V ფენა) მონაცემების საფუძველზე, ანთროპოლოგიური მასალების ნაკლებობის მიუხედავად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სამხრეთ კავკასიის ზედაპალეოლითური კულტურა გენეტიკურად არის დაკავშირებული ადგილობრივ მუსტიესთან და ამდენად იგი ავტოქტონური წარმომავლობისაა.

ამგვარად, აფიანჩას მღვიმე ერთ-ერთი ის ძეგლია, რომლის მასალები საფუძველს აცლის Homo Sapiens Sapiens-ის აფრო-აზიური მონოთეისტური წარმოშობისა და კავკასიაში მისი გარედან გვიან შემოღწევის გავრცელების თეორიას.

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ აფიანჩა დიდმნიშვნელოვანი ადგილობრივი პალეოლითური ძეგლია, რომლის ფენები დაყურსულია მრავალმხრივი არქეოლოგიური მონაპოვრებით, როგორც არის: ქვის მასალა, ძვლის ნაკეთობები, პალეონტოლოგიური მონაცემები, საყოფაცხოვრებო დეტალები – კერების სახით, პალინოლოგიური ნაშთები და ა. შ.

ყოველივე ზემოთ თქმულის გარდა, აფიანჩას განსაკუთრებულ მეცნიერულ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტიც, რომ მისი ზედა პალეოლითური ხანის ფენები, სტრატиграფიული განლაგებით

მიღებული შეფარდებითი თარიღები განმტკიცებულია რადიონახშირბადული კვლევის შედეგად მიღებული აბსოლუტური მაჩვენებლებით, როგორც არის აფიანჩას VII ადრე ზედაპალეოლითური ფენის 32000 წლით დათარიღება, V განვითარებული ზედაპალეოლითი ფენა, რომლის ქვედა და ზედა დონეებიდან მიღებული აბსოლუტური მაჩვენებელი $25970 \pm 650 - 17300 \pm 500$ წლებს შორის მერყეობს და IV გვიანპალეოლითური ფენა, რომელიც 14640 ± 340 წლებით თარიღდება (ქორქია ლ. 1998: 13-14; Церетели Л. Д. и др. 1982: 203).

როგორც ცნობილია რადიონახშირბადის მეთოდით (C14) შესწავლის შედეგად მიღებული აბსოლუტური თარიღები საქართველოს ქვის ხანის სხვა ძეგლებიდანაც გაგვაჩნია, როგორც არის ორთვალა კლდე (თუშაბრამიშვილი ნ. 1994: 3-32), ძუძუანა (მეშველიანი თ. და სხვ. 2002: 30), კოტიას მღვიმე (მეშველიანი თ. 2006: 11), სამერცხლე კლდე, გვარჯილას კლდე, დევის ხვრელი, საკაჟია (ნიორაძე მ., ნიორაძე გ. 2012: 13-21) და ა. შ. როგორც ჩამონათვალი ძეგლების მიხედვით ჩანს, ამ კატეგორიის მასალებით ჯერ-ჯერობით მაინც და მაინც არა ვართ განებივრებული და იმის გამო, რომ მათი ერთი ნაწილის ასაკობრივი მაჩვენებელი გადამონმებასაც საჭიროებს, ბუნებრივია იზრდება აფიანჩას მღვიმის როგორც ქრონოლოგიურ-პერიოდიზაციისათვის სანდო ნიშანთვისებების მქონე ძეგლის მნიშვნელობა.

აქვე უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში, იქ, სადაც ამ ნახევარი საუკუნის წინ თითქმის არცერთი ზედაპალეოლითური ძეგლი არ იყო ცნობილი, სადღეისოდ მდ. კოდორის ხეობა, რიონ-ყვირილას აუზთან ერთად, ამ პერიოდის ძეგლების შესწავლის ერთ-ერთ ძირითად ცენტრად უნდა მივიჩნიოთ და კიდევ უფრო საინტერესო ჩანს მისი პერსპექტიული დინამიკა.

დასასრულს ალბათ არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ აფიანჩას მღვიმე ერთ-ერთი ეტალონური ძეგლი ჩანს როგორც საქართველოს, ისე კავკასიისა და წინა აზიის პალეოლითური კულტურის გავრცელების არეალში.

ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ. 1959, ახლად აღმოჩენილი ძველი ქვის ხანის ძეგლები აფხაზეთში. საქართველოში 1958 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი IX სამეცნიერო სესია, მოხსენების თეზისები. თბილისი.
გრვეტის ტიპის გვერდრეტუმიანი ლამელები და გრავეტისნაირი სახვერეტები წარმოადგენენ. ამ ძეგლების მსგავსება აგრეთვე მდგომარეობს მცირე ზომის გვერდამოღარული ისრისპირებისა და გვარჯილას კლდის ტიპის წვეტანების არსებობაში, რომელიც მას აახლოვებს საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებთან. ამ ძეგლების მსგავსება აგრეთვე ნიშანდობლივია ტრაპეციების არარსებობით, სეგმენტებისა და ასიმეტრიული სამკუთხედების სიმცირით. მსგავსება ჩანს ძვლის იარაღებშიც, თუმცა ქვაჭარაში ამგვარი იარაღები უფრო მრავალრიცხოვანია ვიდრე აციში. მასალების მიხედვით კარგად ჩანს ქვაჭარისა და აცის მღვიმის IV ფენის სინქრონულობა.

აცის მე-3 ფენას დ. კრაინოვი გვიანმეზოლითით ათარიღებდა (Крайнов Д. А. 1958). ამ ფენაში კაჟის იარაღები შედარებით ცოტაა – მიკროსაფხეკები, მიკროსაჭრისები, თავირბრეტუმიანი მიკროლაშქრები და ტრაპეციები. ლ. წერეთელი დ. კრაინოვის კვალდაკვალ ამ ფენას გვიანი მეზოლითით ათარიღებდა (წერეთელი ლ. 1973: 100).

როგორც ი. ვორონოვმა აღნიშნა ამით დასრულდა აფხაზეთის ქვისხანის ძეგლების გამოვლენის მიზნით ჩატარებული სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოების I ეტაპი, ე. წ. სოხუმის სამხედრო გზის მონაკვეთზე, ანუ ეტაპი ამ რეგიონის ძეგლების წინასწარული გაცნობისა (Воронов Ю. Н. 1984: 5).

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, განახლებული კვლევა-ძიების შედეგად, საქართველოში საგრძნობლად იმატა მეზოლით-ნეოლითური ძეგლების რიცხვმა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა აფხაზეთის რეგიონი, სადაც უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა, როგორც ადრემეზოლითური, ისე გვიანმეზოლითური ძეგლების ჯგუფი.

1958 წელი ითვლება ამ რეგიონში, მანამდე ჩატარებული საკმაოდ ნაყოფიერი კვლევა-ძიების გაგრძელებად. ძირითადი როლი ამ კვლევაში ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვისხანის შემსწავლელ არქეოლოგიურ ექსპედიციას (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებას (ლ. სოლოვიოვი) და საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების აფხაზეთის საბჭოს (ი. ვორონოვი) (Воронов Ю. Н. 1984: 9).

1958 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი). აღმოჩენილი იყო მეზოლითის ხანის კულტურული ფენები ქვაჭარის (აფხაზ. ქუაბჭარა) მღვიმესა და ჯამპალის ეხში. ძეგლები აღმოაჩინა არქეოლოგმა გ. გრიგოლიამ, მანვე 1958-1963 წლებში გათხარა ქვაჭარის მღვიმე, ხოლო ჯამპალში გააკეთა პირველი საცდელი თხრილი, რის შემდეგაც ეს ძეგლი ბოლომდე გათხარა, ორივე ძეგლი შეისწავლა და გამოაქვეყნა ლ. წერეთელმა. მანვე დასავლეთ საქართველოს ახალი მასალების საფუძველზე გამოყო საქართველოს შავიზღვისპირეთისა და იმერეთის მეზოლითური კულტურები, ხოლო შავიზღვისპირეთის მეზოლითურ კულტურაში გამოყო ძეგლების სამი ქრონოლოგიური ჯგუფი – ადრეული, შუა და გვიანი (წერეთელი ლ. 1973: 21 -77; 84 -93).

დასავლეთ კავკასიის ადრემეზოლითურ ძეგლებს შორის ყველაზე სრულყოფილი კომპლექსი მოგვცა **ქვაჭარის მღვიმე** (ტაბ. I). იგი მდებარეობს გულრიფშის რაიონში, ნებელდის ჩრდილოეთით 4 კმ მანძილზე, სოფ. ყადას მიდამოებში, ზღვის დონიდან 750 მ-ზე. ქვაჭარის მშრალი ხეობიდან დაახ. 300 მ სიმაღლეზე. მღვიმის საერთო სიგრძეა 90 მ, სიგანე 4-6 მ, მაქსიმალური სიმაღლე-1,80 მ-ია. მღვიმის შესასვლელი აღმოსავლეთითაა მიქცეული. შესასვლელში და წინა ფართობზე გაითხარა დაახლ. 150 კვ.მ ფართობი. სადაც გამოყოფილია ხუთი ლითოლოგიური და ორი კულტურული ფენა: ზედა (II, III, IV შრეებით) განეკუთვნება ადრემეზოლითს, ქვედა კი ადრეზედაპალეოლითს (მასალა გამოუქვეყნებელია). ფენების საერთო სიმძლავრე 2 მ-ს აღწევდა. მღვიმის შესასვლელიდან დაახლ. 60 მ მანძილზე არის 12 მ სიღრმის კარსტული ქა, რომლის ფსკერზე აღმოჩნდა მეოთხ-

ეული პერიოდის ცხოველთა ძვლები.

ქვაჭარის ადრემეზოლითური ფენიდან მოპოვებულია 1443 ერთ. კაჟის ნაწარმი, რომელთაგან 532 ერთ. (37 %) დასრულებული იარაღებია, 911 ერთ. (63 %) წარმოების ნარჩენია. იარაღების დასამზადებლად გამოყენებულია სხვადასხვა ფერის ადგილობრივი ტურონ-სენონის წყების კაჟი. ობსიდიანი ერთეულებია.

იარაღები ძირითადად დამზადებულია თხელ, სწორ ლამელებზე, ლამელისებურ ანატკეცებზე, იშვიათად ანატკეცებზე, პირველადი და მეორადი დამუშავების მეშვეობით. მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც აერთიანებს ქვაჭარისა და სხვა ადრემეზოლითურ ძეგლებს მიკროლითური ტექნიკაა.

ქვაჭარის მღვიმის I ფენაში მოპოვებული მასალა აღწერილია ცალკეული შრეების მიხედვით, რომელთა შორის განსხვავება თითქმის არ შეიმჩნევა. ყოველი შრე ერთი და იგივე იარაღთა სახეობებითაა წარმოდგენილი. ოდნავი განსხვავება შეიმჩნევა პირველი შრის მასალაში, რომელშიც აღმოჩენილია „მინის დასამუშავებელი“ იარაღი (ტაბ. V, 9) და ორგვერდრეტუმიანი წვეტანა. მსგავსი იარაღები ცნობილი არ არის საქართველოს პალეოლითური და მეზოლითური ძეგლებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ზედა, პირველ შრეში ჩნდება ორიოდ ახალი ტიპის იარაღი, დანარჩენი მასალა ანალოგიურია ქვედა შრეების ნაშთებისა. აღნიშნულის საფუძველზე ლ. წერეთელმა ქვაჭარაში დაცული კულტურული შრეები ადრე მეზოლითით დაათარიღა. (წერეთელი ლ. 1973: 64). შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ის ახალი ელემენტები ინოვაციურია, მომდევნო ეპოქის მაუნყებელი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. ვორონოვი ქვაჭარის მღვიმის ძირითად ფენას გვიანმეზოლითურად მიიჩნევდა. ადრემეზოლითს იგი აკუთვნებდა ცივი მღვიმის I ფენის ნაწილს და B ფენას მთლიანად. მისივე აზრით აფხაზეთის მეზოლითური ძეგლები შედიან დასავლეთ კავკასიის კულტურულ წრეში, რომელიც მოიცავს გვარჯილას კლდის შესაბამის ფენას, ჭახათის, აცის მღვიმისა და გუბის №7 ეხის მასალებს (Воронов Ю. Н. 1971: 11).

ქვაჭარის კაჟის ინვენტარში არეკლილია დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის ქვის ინდუსტრიის ძირითადი ტექნიკურ-ტიპოლოგიური ტრადიციები. ქვაჭარისა და სხვა ადრემეზოლითურ ძეგლებში თანდათან მცირდება ზედაპალეოლითურ იარაღთა სახეობები და ჩნდება ახალი პროგრესული ელემენტები – მკვეთრად იზრდება მიკროინდუსტრია, მიკროლამელების უპირატესობით. ეს სიახლეები პირდაპირ კავშირშია ქვის იარაღების დამუშავების ახალი მეთოდის ჩასახვასთან (წერეთელი ლ. 1973: 70).

ადრემეზოლითური ეტაპი ხასიათდება მიკროიარაღების და მიკროჩასართების რაოდენობის ზრდით. ტიპური იარაღებია: გვერდრეტუმიანი ლამელები, კიდურა და მიკროსაფხეკები, მიკროსაჭრისები, მიკროსახვრეტები, გრავეტის ტიპის დანები, წვეტანები, გვერდამოდარული ისრისპირები, დიდი რაოდენობითაა ბლაგვზურგა მიკროლამელები, ერთეულებია ასიმეტრიული სამკუთხედები, სამგვერდდამუშავებული ოთხკუთხა მიკროჩასართები, სეგმენტები და გვარჯილას ტიპის წვეტანები. ნიშანდობლივია სრული არარსებობა ტრაპეციებისა. იშვიათად გვხვდება ზედაპალეოლითისათვის დამახასიათებელი ნუკლეუსები, ნუკლეუს-იარაღები და მრავალფაფეცა საჭრისები. (ტაბ. I-III).

ქვაჭარის კაჟის ინდუსტრიის ადრემეზოლითით განსაზღვრას მხარს უჭერს აგრეთვე ამ კომპლექსის ძვლის ნაკეთობების ტიპოლოგიაც. მეზოლითურ ფენაში აღმოჩენილი ძვლის იარაღები, ტიპოლოგიურად და ფუნქციურად ახლოს დგანან გვარჯილას კლდეში აღმოჩენილ ძვლის იარაღებთან – ხელშუბისპირები, სადგისები, საპრიალებლები. აღსანიშნავია ძვლის შედგენილი იარაღების სიმრავლე (ტაბ. V, 7). განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჯეირანის რქის იარაღი (ტაბ. V, 9), რომელსაც ლ. წერეთელი მინის დამუშავებას უკავშირებს. იგი ორივე მხრიდან გადაღესილ-გაპრიალებულია და მიღებულია ბრტყელპირიანი, ოდნავ წაგრძელებული იარაღი, რომლის საერთო

სიგრძე 30 სმ, სამუშაო პირის სიგრძე-8 სმ, რქის ბუნებრივად მოლუნული ნაწილი იარაღის ტარად ყოფილა გამოყენებული, რომელიც ხანგრძლივი ხმარების შედეგად ძლიერ გადაღესილია, შუა ნაწილი კი ხაოიანია. იგი განსხვავდება საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებზე აღმოჩენილი, მცენარის ფესვების სათხრელი იარაღებისაგან (წერეთელი ლ/ 1973: 75).

ქვაჭარის იარაღები უფრო დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა, რის გამოც ისინი უფრო ახალგაზრდადაა მიიჩნეული, ვიდრე გვარჯილას კლდის მასალები, რომელსაც დ. თუშაბრამიშვილი განვითარებული მადლენით ან მადლენის ბოლოთი ათარილებდა. ქვაჭარის ძვლის იარაღებს ანალოგები ყირიმის შან-ყობასა და მურზაკ-ყობას მეზოლითური ფენების მასალებთან გააჩნია (წერეთელი ლ. 1973: 75-77).

იაშთხვას მღვიმე მდებარეობს ქ. სოხუმიდან ათიოდე კმ დაშორებით, მთა იაშთხვას დასავლეთი ფერდობის შუა ნაწილში, მდ. გუმისთის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 300 მ სიმაღლეზე. მღვიმე 1958 წელს აღმოაჩინა არქეოლოგმა გ. გრიგოლიამ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს. ფენების სიმძლავრე 1,40 მ-ს აღწევდა. სტრატиграფიულ ქრილში 4 ლითოლოგიური ჰორიზონტი დადგინდა. ადრემეზოლითური მასალა მომდინარეობდა ჰუმუსის ქვეშ მდებარე მოყვითალო, ღორღნარევი თიხნარიდან. ამ კულტურულ ფენაში მხოლოდ 15 კაჟის იარაღი აღმოჩნდა, რომლებიც გამოიყო გრავეტიკური მოკრონვეტანები (5 ერთ.), გვარჯილას კლდის ტიპის 2 წვეტანა, გვერდრეტუშიანი მიკროლამელები (4 ერთ.), სახვრეტი (2 ერთ.) და თავგვერდრეტუშიანი 2 მიკროჩასართი (ტაბ. VI).

აღნიშნული მასალიდან გამომდინარე იაშთხვას კომპლექსი თავისი ტექნიკურ-მორფოლოგიური ნიშნებისა და ფაუნისტური მასალების გათვალისწინებით ლ. წერეთელმა ძველი ადრემეზოლითურ დროებით სადგომად განსაზღვრა (წერეთელი ლ. 1973: 81-84;

ჯამპალის ეხი მდებარეობს მდ. ამტყელისა და მდ. ჯამპალის შესაყარიდან 230 მ-ის დაშორებით, ჯამპალის ხეობის მარცხენა ნაპირზე, მდინარის დონიდან 60 მ სიმაღლეზე, ზღვის დონიდან 300 მ-ზე. ეხის სიღრმე-4 მ-ია, სიგანე-6,20 მ, სიმაღლე-2,30 მ. სიღრმეში მისი სიმაღლე თანდათანობით კლებულობს 60 სმ-დე. ეხის შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიმართული (ტაბ. VII).

ეხში სულ გაითხარა 26 კვ მ ფართობი. მოპოვებული მასალა მცირერიცხოვანია, სულ 390 ერთ. მათგან 66 ერთ. ცხოველთა ძვლების ფრაგმენტებია. გამთხრელის აზრით ეხი დროებითი სადგომი უნდა ყოფილიყო. მასალის საერთო რაოდენობიდან 267 ერთ. ნარმოების ნარჩენებია (80,24%), 57 ერთ. იარაღებია (13,45%). ნარმოების ნარჩენები მოწმობენ, რომ იარაღი სადგომის ტერიტორიაზე მზადდებოდა (წერეთელი ლ. 1973: 84-93).

კაჟის მასალა თავმოყრილი იყო შესასვლელთან, ცენტრალურ ნაწილში და კერის მიდამოებში. იარაღებს შორის ყველაზე დიდი ადგილი საფხეკებს უჭირავს (35 ერთ. 10,8%), რომლებიც ძირითადად მცირე ზომებით გამოირჩევა (ტაბ. VIII, 1-13, 19), საჭრისები ლამელებზე (5 ერთ. 1,5%) (ტაბ. VIII, 14-17), სახვრეტები (6 ერთ. 1,9%) (ტაბ. VIII, 24-25). ეხში აღმოჩნდა გეომეტრიული ფორმის მიკროიარაღები – სეგმენტები და სამი ტრაპეცია (ტაბ. VIII, 20-23), ბლაგვერდა მიკროლამელები (4 ერთ.) არის თავირიბრეტუშიანი ლამელაც და ძვლის სადგისიც (ტაბ. VIII).

ჯამპალის ეხში აღმოჩენილ ფაუნისტურ ნაშთებში ა. ვეკუას მიერ განსაზღვრულია: კეთილშობილი ირემი, გარეული ღორი და მურა დათვი. აღნიშნული ფაუნა ძირითადად თანამედროვე გეოლოგიური ეპოქისთვისაა დამახასიათებელი.

ჯამპალის ეხის კაჟის ინდუსტრია იარაღთა ტიპოლოგიითა და დამუშავების ტექნიკით ჩვენი აზრით ქრონოლოგიურად ახლოსაა გვიანმეზოლითური ეტაპის ძეგლებთან. უფრო მეტიც, იგი ძალიან ახლოსაა ადრენეოლითურ კაჟის ინდუსტრიასთან, თუმცა მასში ჯერ არ ჩანს ქვის მაგარი ქანების საიარაღე ნედლეულად გამოყენება.

აფიანის მღვიმე აფხაზეთის პირველი მრავალფენიანი ძეგლია, რომელშიც უძრავი სტრატოგრაფია დაფიქსირდა. იგი წარმოქმნილია მთა აფიანის ზედა ცარცის ასაკის გაბრექიებულ კირქვებში (ტურონ-დანიური იარუსი), აფხაზეთის მთისწინა ბორცვოვან ზოლში, მდ. კოდორის ხეობაში, ს. ნებელდის მახლობლად (გულრიფშის რ-ნი), 450 მ ზღვის დონიდან. საერთო ფართობი 276 კვ. მ, სიგრძე-9 მ, სიგანე-17 მ, სიმაღლე-9 მ. შესასვლელი მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთით. კირქვის დიდმა ბლოკმა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ ჩამოვარდნილა IV კულტურული ფენის დალექვის დასაწყისში, გადაღობა მღვიმის სივრცე ორ არათანაბარ ნაწილად. მღვიმის იატაკი სუსტად იყო შეცემენტებული, რამაც ხელი შეუწყო კულტურული ფენების დაცულობას.

სტრატოგრაფიის დადგენისა და ძეგლის კომპლექსური შესწავლის მიზნით 1975 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კოდორის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძ. ნ. ბერძენიშვილი) აფიანის მღვიმეში დაიწყო სტაციონარული გათხრები (1978 წლიდან გათხრებს ხელმძღვანელობდა ლ. წერეთელი).

ექსპედიციაში საბუნებისმეტყველო დარგის (გეოლოგები, პალინოლოგები, პალეონტოლოგი) სპეციალისტების მონაწილეობამ განაპირობა ძეგლის კომპლექსური შესწავლა.

გათხრები ლ. სოლოვიოვისა და შემდგომ ნ. ბერძენიშვილი-წერეთლის ექსპედიციების მიერ მიმდინარეობდა მარჯვენა, დიდ ნიშაში. სადღეისოდ შესწავლილია 136 კვ. მ ფართობი 6 მ სიღრმემდე (ნულის ხაზიდან). მასში დადგენილია 9 ლითოლოგიური ჰორიზონტი და ექვსი კულტურული ფენა (ტაბ. XII). გეოლოგიური შემადგენლობის მიხედვით მღვიმის მთელი დანაღებები დაყოფილია ორ ნაწილად. ზედა ნაწილი (1-3 ჰორიზონტები) წარმოადგენს თანამედროვე გეოლოგიური ეპოქის – ჰოლოცენის დანაღებებს (მეზოლით-ადრენეოლითური ფენები, სიმძლავრით 1,0-1,20 მ), ქვედა – (4-9 ჰორიზონტები) მიეკუთვნება პლეისტოცენს (პალეოლითური ფენების სიმძლავრე 1,20 – 6 -მდე) (Церетели Л. Д., Коркиа Л. О., Шатылова И. В. 1990: 296-298).

ზემოდან პირველი ფენა ადრენეოლითურია, შემდეგ მოდის საკმაოდ სქელი მეორე მეზოლითური ფენის ორი (2 და 3) ჰორიზონტი, III ფენა – ფინალურზედაპალეოლითურია (4-5 ჰორიზონტები), III და IV ფენებს ჰყოფს მე-6 სტერილური ჰორიზონტი. IV ფენა-ადრეზედაპალეოლითურია. IV და V ფენებს ჰყოფს მე-8 სტერილური ჰორიზონტი. V ფენა-გვიანმუსტიეურია. (Церетели Л. Д., Клопотовская Н. Б., Куренкова Е. И. 1982: 199).

სტრატოგრაფია გვიჩვენებს, რომ მღვიმის დასახლებაში ყოფილა ორი შუალედი. მათგან პირველი (ზემოდან), შეესატყვისებოდა ფინალურზედაპალეოლითსა და შუა ზედაპალეოლითის შუა სტადიას, მეორე – გარდამავალ პერიოდს ქვედა პალეოლითსა და ადრეზედაპალეოლითს შორის.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა I-III ფენები ანუ ნეოლითის, მეზოლითისა და ფინალური ზედაპალეოლითის ფენები, რომლებშიც გვაქვს უწყვეტი დასახლება და რაც მთავარია ამ ფენებისათვის არის რადიონახშირბადული (14C) თარიღები.

აფიანის I და II ფენებში იარაღების დასამზადებელ ნედლეულად ძირითადად გამოყენებული იყო ყავისფერი კაჟი, ხოლო III და IV ფენებში – ადგილობრივი ნაცრისფერი. ობსიდიანი ერთეულების სახით იყო წარმოდგენილი.

არქეოლოგიური ნაშთები ძირითადად კონცენტრირებული იყო მღვიმის წინა ნაწილში და კერის გარშემო. იარაღების დამზადება მღვიმეში ხდებოდა, რასაც მოწმობს მრავალრიცხოვანი კაჟისა და რიყის ქვის სხვადასხვა ქანების მასალა – კაჭრები, ნამზადები, ნუკლეუსები, ანატკეც-ანამტვრევეები, ლამელები. ჩანს მღვიმე იყო მუდმივი საცხოვრებელიც და სახელოსნოც. გამთხრელები საგანგებოდ აღნიშნავენ მღვიმის კულტურული ფენების ზედმიწევნით ჰორიზონტალურ დაფენებას.

ადრენეოლითური ფენის კაჟის მასალაში წამყვანი ადგილი უჭირავს წარმოების ნაშთებს, რომელთა შორის მრავლადაა ანატკეც-ანამტვრევეები, ნუკლეუსების- ფანქრისებური, კონუსისებური, ბრტყელი და პრიზმული ფორმები (ტაბ. XV, 1-3; ტაბ. XVI, 1-3, 7-8); მრავალრიცხოვანი

გვერდრეტუშიანი დანისებური ლამელები (ტაბ. XV, 4-9, ტაბ. XVI, 15). თავრეტუშიანი ლამელა (ტაბ. XIV, 18, ტაბ. XV, 23), დაკბილული იარაღები (ტაბ. XIV, 24; ტაბ. 5-6, 12), სახოკი (ტაბ. XVI, 4); კიდურა და მრგვალი მიკროსაფხეკები (ტაბ. XIV, 4-5, 16; ტაბ. XV, 10-21), კუთხისა და გვერდის საჭრისები (ტაბ. XIV, 14), სახვრეტები (ტაბ. XV, 22, 28, 29), გეომეტრიული ფორმის მიკროიარაღები უპირატესად ორფერდამუშავებული ტრაპეციებითაა წარმოდგენილი. სპეციფიკური ფორმაა ნელშეზნეკილი და ასიმეტრიული ტრაპეციები (ტაბ. XIV, 1-3, 7-8, 33-36), სეგმენტები ერთეულებია (ტაბ. XIV, 6, 37-38). არის აგრეთვე სამგვერდამუშავებული მოგრძო სწორკუთხედები (ტაბ. XIV, 9-10). აღსანიშნავია ბლაგვზურგა, ცხვირმოხრილ ლამელაზე ნაკეთები იარაღი, რომელიც ტრასოლოგიური შესწავლის შედეგად სამკელ დანადაა განსაზღვრული (შელინსკი) (ტაბ. XIV, 20).

რიყის ქვის იარაღები კოლექციაში ცოტაა (ტაბ. XVII, 1-8; ტაბ. XIV, 29, 31-32) ნაპოვნია სანაყები, სატეხები, სახეხები, საჩხეხები, სათლელისებური იარაღის ორმხრივნახები სამუშაო პირი და ღარიანი იარაღის ფრაგმენტი ლესვის კვალით (ტაბ. XIV, 31) ძვლის ნაკეთობებიდან აღსანიშნავია ანკესი და ეშვისაგან დამზადებული თოხისებური იარაღი (ტაბ. XIV, 27, 30; ტაბ. XVI, 10-11, 13-14). რიყის ქვის ორი ოვალურ-ბრტყელი საკიდი და ძვლის მცირე ზომის მრგვალ-ბრტყელი მძივები. აღნიშნულ მასალას პარალელები არ გააჩნია ნეოლითურ ძეგლებში. კერამიკა აფიანჩისა და ცივი მღვიმის ადრენეოლითურ ფენებს არ ახასიათებს.

სტრატოგრაფიული მონაცემებისა და კაჟის ინდუსტრიის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, ეს ფენა ადრენეოლითითაა დათარიღებული (Церетели Л. Д., Клопотовская Н. Б., Куренкова Е. И. 1982: 201).

გვიან მეზოლითური (II ფენა) ქვის ტეკცვის ტექნიკა ძირითადად ლამელარულია (წნევიით). ბევრია დანისებური მიკროლამელები. იარაღების უმეტესობა ლამელებზეა ნაკეთები, ნუკლეუსები კონუსისებური და პრიზმისებურია, არის ბრტყელიც, საფხეკები ძირითადად კიდურაა, გვხვდება დუბლირებული და გვერდის (ტაბ. XIII, 20-22), სახვრეტები გაფორმებულია, როგორც ლამელებზე ისე ანატეკეცებზე (ტაბ. XIII, 23-24). კაჟის იარაღებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გეომეტრიული ფორმის მიკროლითები. მათში რაოდენობრივად სჭარბობს მოგრძო, ბლაგვზურგა სეგმენტები (ტაბ. XIII, 5, 11, 32-42). გვხვდება მოგრძო, ორფერდამუშავებული ტრაპეციები, მათში ტიპური ფორმები ცოტაა (ტაბ. XIII, 6, 40-46). კაჟის ნაწარმი წარმოდგენილია ურეტუშო მიკროლამელებითა და გრავეტისებური მიკროწვეტანებით. უკანასკნელები კავკასიის შავიზღვისპირეთში ჩნდება ზედაპალეოლითის დასაწყისში და არსებობენ გვიანმეზოლითამდე. ძვლის იარაღები წარმოდგენილია სადგის-სახვრეტებით (ტაბ. XIII, 27-31), საპრიალებლებითა და ჭვილთებით (Церетели Л. Д. и др. 1981: 49).

აფიანჩის მეზოლითური ფენის კაჟის ინდუსტრია უფრო განვითარებულია ვიდრე ქვაჭარის, ჯამპალისა და აცის მღვიმის მე-4 ფენის მასალები. აღნიშნული კომპლექსი დათარიღებულია მეზოლითის ბოლო სტადიით (Церетели Л. Д., Клопотовская Н. Б., Куренкова Е. И. 1982: 202). აფიანჩის მეზოლით-ნეოლითურ ფენებში წინა საფეხურების ინდუსტრიებთან შედარებით მკაფიოდ ჩანს მიკროლითური და ჩასართების ტექნიკის შემდგომი განვითარება.

აფიანჩის გვიანმეზოლით-ადრენეოლითურ ფენაში აღმოჩენილი იყო შემდეგი ფაუნა: კეთილშობილი ირემი, შველი, გარეული ტახი, ჯიხვი, ზუბრი, კავკასიური როჭო, სამურავი, მურა დათვი, ცხენირემი და თევზების ძვლები. ფაუნა განსაზღვრა პალეონტოლოგმა ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა. (Церетели Л. Д. и др. 1981: 49; 1982: 210; Бердзенишвили Н. З., Церетели Л. Д. 1979: 6). აღმოჩენილი ძვლოვანი მასალა ნათლად მოწმობს მონადირეობისა და მეთევზეობის დიდ მნიშვნელობას მღვიმის მობინადრეთა საარსებო რაციონში.

პალინოლოგიური ანალიზის მეთოდით აფიანჩის მავალფენიანი მღვიმის მთელი დანალექი ფენების შესწავლამ შესაძლებლობა მისცა სპეციალისტებს თვალი გაედევნებინათ ამ რეგიონის

ფლორის განვითარებისთვის მუსტიეს ხანიდან ადრენოლითამდე და ალედგინათ ბუნებრივი გარემოს ცვლილების ხასიათი, რომელშიც ცხოვრობდა პირველყოფილი ადამიანი აფხაზეთის ტერიტორიაზე. პალინოლოგები გამოყოფენ განვითარების სამ ეტაპს. ჩვენთვის საინტერესოა მესამე ეტაპი, რომელიც მოიცავს შუაზედაპალეოლითის მეორე ნაევარს, ზედაპალეოლითის ფინალურ სტადიას, გვიან მეზოლითსა და ადრენოლითს, როდესაც იწყება თანდათანობითი დათბობა. აფიანჩის მღვიმის მიმდებარე ტერიტორიაზე ისევ ვრცელდება წინვოვანი და ფართოფოთლოვანი ტყეები (Церетели Л. Д., Клопотовская Н. Б., Куренкова Е. И. 1982: 198-212).

ამგვარად, აფიანჩის მღვიმის არქეოლოგიური შესწავლა პალინოლოგიის, პალეოზოოლოგიის, რადიონახშირბადულ, გეომორფოლოგიურ და სხვა მეთოდებთან ერთობლიობაში, ნათელს ჰფენს ეკოლოგიურ პირობებს, რომლებშიც უხდებოდა ცხოვრება ადამიანს ამა თუ იმ ეპოქებში.

განხილული ძეგლების მასალები მკაფიოდ ასახავენ განვითარებული მითვისებითი მეურნეობის ცალკეული დარგების (ნადირობა, მეთევზეობა, შემგროვებლობა) არსებობას.

ნადირობის დამადასტურებელი მასალა მრავლადაა მოპოვებული მეზოლით-ადრენოლითური ძეგლების კულტურულ ფენებში.

აფხაზეთის მრავალფენიანი ძეგლები მკაფიოდ მონაშთებენ მეთევზეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ზედაპალეოლითის ადრეული საფეხურიდან. ცივი მღვიმის I ფენაში (ორინიაკი) დიდი რაოდენობითაა ნაპონი მსხვილი ორაგულის ხერხემლის მალეები და წვრილი თევზების ძვლები. ამავე ძეგლის გვიანმეზოლითურ ფენაში ორაგულისა და სხვა თევზების ძვლებთან ერთად ნაპოვნია ჭვილთებიც. აფიანჩის ადრენოლითური ფენიდან ცნობილია ძვლის ანკესი და ბადის რიყის ქვის სანაფი. სათევზაო იარაღებადაა მიჩნეული გვიანმეზოლითურ სადგომებზე ნაპოვნი ასიმეტრიული სამკუთხედები (ბიბიკოვი).

მასალებიდან ირკვევა, რომ გვიანმეზოლით-ადრენოლითში პრიმიტიულ მეთევზეობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ უკვე გვაქვს ამ დარგის დიფერენციაცია. მასალები ცხადყოფენ, რომ თევზის ჭერა ხდებოდა, როგორც ჭვილდებით, ასევე ანკესისებური იარაღებითა და სათევზაო ბადით.

შემგროვებლობის საგანი უნდა ყოფილიყო ტყის მრავალრიცხოვანი, საკვებად ვარგისი ნაყოფი და ველური მარცვლეული ჯიშები, რომლებითაც განსაკუთრებით მდიდარია ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთი. ეკოლოგიური პირობები და ველური მარცვლეულის ენდემური ჯიშები (ფეტვისნაირები და სხვ.) აპირობებდნენ რთული შემგროვებლობის განვითარებას.

მითვისებითი მეურნეობის აღნიშნულ დარგებს ემსახურებოდა კაჟის მთელი ინდუსტრია, განსაკუთრებით კი მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის მიკროიარაღები. ისინი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ნაწილობრივ შემგროვებლობისა, ნაწილობრივ კი სანადირო და სათევზაო იარაღების ჩასართებად. ე. ი. ყველა შემთხვევაში მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები გამოიყენებოდა მითვისებითი მეურნეობის საჭიროებისათვის (ნებიერიძე ლ. 1975: 97).

აფხაზეთის მეზოლითური ძეგლების კაჟის ინდუსტრიის ერთობლივი შესწავლის შედეგად, შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელი გახდა კავკასიის შავიზღვისპირეთის მეზოლითში განვითარების სამი ქრონოლოგიური ეტაპის გამოყოფა: ადრემეზოლითი – ქვაჭარა, იაშთხვა, აცი IV, ცივი მღვიმის Γ და E ფენები; შუა მეზოლითი – ჯამპალი II; გვიანი მეზოლითი – ცივი მღვიმის B-2, აცი III, აფიანჩა II-III ფენები (წერეთელი ლ. 1973); ადრენოლითი წარმოდგენილია ცივი მღვიმის B-1, აფიანჩა I, აცი II ფენებით.

აფხაზეთის მღვიმური ძეგლების (ცივი მღვიმე, აფიანჩა, აცი) კულტურული ფენების სტრატეგრაფიის განხილვამ მკაფიოდ გვიჩვენა, რომ გვიანი ზედაპალეოლითიდან მოყოლებული ადრენოლითის ჩათვლით კულტურული ფენები წყვეტილის გარეშე ერთმანეთზე უშუალოდაა დაფენებული,

ხოლო მათი ქვის ინდუსტრიების შესწავლამ ცხადჰყო, რომ კულტურა ამ რეგიონში მემკვიდრეობითად ვითარდებოდა, მკაფიოდ ჩანს მათ შორის გენეტიკური კავშირი. ამიტომ, ამ ძეგლების რადიონახშირბადული (14C) თარიღების გამოყენება, გვიანზედაპალეოლითისა, მეზოლითის და ადრენეოლითის შორის ქრონოლოგიური ზღვარის განსაზღვრისათვის შესაძლებლად მიგვაჩნია.

სადღეისოდ უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის მეზოლითური კულტურის ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრა მიახლოებით უკვე შესაძლებელია აფიანჩის მღვიმის მეზოლითური და ფინალურზედაპალეოლითური ფენების რადიონახშირბადულ (14C) თარიღებზე დაყრდნობით და ამავე დროს დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთის სხვა მღვიმური ძეგლების შესაბამისი ფენების თარიღების გათვალისწინებით.

აფიანჩის მღვიმის გვიანმეზოლითური ფენისათვის მიღებულია ორი, რადიონახშირბადული, კალიბრებული თარიღი: მათგან ერთი მიღებულია გვიანმეზოლითური ფენის ზედა ნაწილიდან, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ადრენეოლითურ ფენას – JE 9690+160 წ. ძვ.წ. ანუ დაახ. X ა-ის შუა ხანები. მეორე ნიმუში აღებულია მეზოლითური ფენის შუა ნაწილიდან – JE 9960+160 წ. ძვ. წ. ანუ X ა-ის დასაწყისი (ტაბ. XII).

აღნიშნული თარიღებიდან გამომდინარე აფხაზეთის რეგიონში ადრენეოლითის ქვედა ზღვარად ზოგადად უნდა მივიჩნიოთ X ათასწლეული.

აფიანჩის ფინალური ზედაპალეოლითური (III) ფენის რადიონახშირბადული (14C) კალიბრებული თარიღია: 14 640 + 350 (ГИН 2565) – ეს მეზოლითის ქვედა ზღვარია. აღნიშნული ნიმუშები განსაზღვრულია ქ. სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის შესაბამის ლაბორატორიაში (Церетели Л. Д., Коркиа Л. О., Шатылова И. В., Куренкова Е. И. 1989) (ტაბ. XII).

აღნიშნული თარიღები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მეზოლითის ზედა და ქვედა ზღვარი, ადრენეოლითისათვის – ქვედა და ფინალური ზედა პალეოლითის ზედა ზღვარი.

მიახლოებული თარიღია აგრეთვე მიღებული კავკასიის შავიზღვისპირეთის მეორე ძეგლის – ვორონცოვის მცირე მღვიმის გვიანზედაპალეოლითური ფენიდან: 14 100 + 140 წ. (JE=700). ეს თარიღი ახლოსაა აფიანჩის სინქრონული ფენის თარიღთან და აფიქსირებს პლეისტოცენის ბოლო ეტაპს, რომელიც შეესატყვისება ვიურმის ცივი მაქსიმუმის შემდეგ დაწყებულ დათბობას (Любин В. П., Соловьев Л. Н. 1971: 39).

ახშთირის მღვიმის ნახშირბადული თარიღების მიხედვით მეზოლითის ქვედა ზღვარი 12 000-10 000 წწ. ძვ. წ. შორის გადის.

ამ თარიღებს ამაგრებს აგრეთვე, ჩრდილო კავკასიის ჩაგაის მღვიმის მეზოლითური ფენის რადიონახშირბადული თარიღი: 9566 +10 წ. ძვ. წ. ანუ X ს-ის შუა ხანები და მეზმის მღვიმის მეზოლითური ფენის ორი აბსოლუტური თარიღი: 12 960+60 წ. და 13 860 +70 წ. ძვ. წ. (Трифонов В. А. 2009: 90).

ნიშანდობლივია აგრეთვე, უკანასკნელ ხანებში ქიათურის რ-ის ს. სვერში შესწავლის პროცესში მყოფი მღვიმის – კოტიას კლდის მეზოლითური ფენის რადიონახშირბადული (14C) კალიბრებული თარიღი – ძვ. წ. XI ა-ის და მეზოლითური სამარხის თარიღი – 9500 წ. ძვ. წ. (მეშველიანი თ. 2000). ამ მღვიმის მონაცემებთან დასტურდება ადრენეოლითის ქვედა ზღვარად XI- X ა-ის შუა ხანები.

მეზოლითის ქრონოლოგიური ჩარჩოს შესახებ ზოგად წარმოდგენას იძლევა აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთის მღვიმეების – პალიგავრასა და შანიდარის (ზაგროსის მთიანეთი) მეზოლითური ფენების თარიღები – ძვ. წ. XIII- XI ათასწლეულებია (Mellart J. 1975: 283).

ადრე ნეოლითის ქვედა ზღვარად ძვ. წ. X ათასწლეული დასტურდება წინააზიური უკერამიკო ნეოლითის ძეგლებითაც, რომლებიც ძვ. წ. IX-VIII ათასწლეულებით თარიღდება.

ამგვარად, აფიანჩის მღვიმის რადიონახშირბადული თარიღებიდან გამომდინარე დასავლეთ

კავკასიის შავიზღვისპირეთის მეზოლითური კულტურის ქრონოლოგიური ჩარჩო ზოგადად უნდა განისაზღვროს ძვ. წ. XV-X ათასწლეულის შუა ხანებით.

სადღეისოდ უკვე არსებული რადიონახშირბადული (14C) თარიღების საფუძველზე, სტრატოგრაფიისა და წინააზიური მეზოლით-ადრენეოლითური (უკერამიკო) ძეგლების თარიღებზე დაყრდნობით უკვე შესაძლებელია აფხაზეთისა და კერძოდ მთელი დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთის ადრენეოლითური კულტურის ზოგადად ძვ. წ. IX- VIII ათასწლეულებით განსაზღვრა.

§2. „ლია“ ნეოლითური ნამოსახლარები

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთის (აფხაზეთი) „ლია“ ნეოლითური ძეგლების დახასიათებას ვიწყებთ ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე, ჯერჯერობით ერთადერთი, ეტალონური სტრატოგრაფიის მქონე ქვედა შილოვკის (ადღერის რ-ნი) ნეოლითური ნამოსახლარით.

საერთოდ თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთის (აფხაზეთი) განვიხილავთ დასავლეთ კავკასიის კულტურულ-ისტორიულ ასპექტში, როგორც მის ერთიან, ორგანულ ნაწილს.

ქვედა შილოვკის ნამოსახლარის მნიშვნელობა განუზომლად დიდია, რადგან მან აღნიშნული რეგიონის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილში დაადასტურა ოდიშის კულტურის ნეოლითური ნამოსახლარის არსებობა. ძეგლისა, რომლის უძრავი კულტურული ფენის მონაცემებმა საბოლოოდ გაფანტა ეჭვი ოდიშის ტიპის ნამოსახლარების ერთფენიანობის შესახებ და საბოლოოდ დაასაბუთა ოდიშის ნეოლითური კულტურის ძეგლების არქეოლოგიური კომპლექსის შემადგენელი კომპონენტების: ქვის დამუშავების მიკროლითური, მაკროლითური (ორმხრივი ათლა) და ხეხვა-პოლირების ტექნიკით დამზადებული იარაღებისა და კერამიკის თანაარსებობა. აღნიშნული კომპონენტები ახასიათებს დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთის ყველა გვიანნეოლითურ ძეგლს

ქვედა შილოვკის ნეოლითური ნამოსახლარი მდებარეობს მდ. ფსოუს მარჯვენა ნაპირზე, ზღვიდან 4 კმ-ში, მდ. ფსოუსა და მის შენაკად გუმარეას შორის არსებული კონცხის კიდეზე.

ძეგლი 1951 წელს აღმოაჩინა ადგილობრივმა მხარეთმცოდნე-პედაგოგმა ნ. გუმილევსკიმ, რომელმაც მდ. ფსოუს მარჯვენა, გაშიშვლებულ ნაპირზე მიაკვლია მუქი შეფერილობის კულტურულ ფენას და მის ხევში, ამ ფენიდან ჩარეცხილ კაჟის მასალასა და კერამიკის ფრაგმენტებს. ჩანდა, რომ ნამოსახლარი ინტენსიურად ზიანდებოდა მდინარის მიერ.

1952-1953 წლებში ლ. სოლოვიოვისა და ნ. გუმილევსკის მიერ ჩატარდა მცირე მასშტაბის ძეგლის გადარჩენითი სამუშაოები (Соловьев Л. Н. 1967: 3-36).

1957 წელს ა. ფორმოზოვისა და ა. სტოლიარის მიერ ნამოსახლარზე განხორციელდა გათხრები, რომელმაც მოიცვა ძეგლის გადარჩენილი ნაწილი. მოპოვებული იყო მეტად საინტერესო მასალა და გაკეთდა მნიშვნელოვანი დასკვნები (Формозов А. А., Столяр А. Д. 1960: 103-107; Формозов А. А. 1962: 129-147).

იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანებში არქეოლოგიურ ლიტერატურაში, გამოთქმული იყო მოსაზრება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში (Трифонов В. А. 2009) და საერთოდ დასავლეთ კავკასიაში (მეშველიანი თ. 2011) ნეოლითური კულტურის არ არსებობის შესახებ, საჭიროდ ვთვლით ქვ. შილოვკის მონაცემებს პირველ რიგში და ამასთანავე სხვა ძეგლებთან შედარებით უფრო ფართოდ შევეხოთ. ამიტომ ტაბულაზე მოგვაქვს ლ. სოლოვიოვისა და ა. ფორმოზოვის მიერ სხვადასხვა დროს დაფიქსირებული ქრილები და მათი მახასიათებლები (ტაბ. XXXII, ნახ. 1 და 2).

კულტურული ფენა განფენილი ყოფილა კონცხის ქვედა ნაწილში, დელუვიონზე, რომელშიც

მკაფიოდ იკვეთებოდა ორი მუქი ფერის ლინზა. ფენის სიმძლავრე საშუალოდ 0,5-0,6 მ-ია.

ა. ფორმოზოვისა და ა. სტოლიარის მიერ გაკეთებულმა სტრატეგრაფიულმა თხრილმა მოიცვა მდ. ფსოუს გასწვრივ მდებარე რუხი კულტურული ფენის ლინზის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი. მისთვის თვალის გადავლება მოხერხდა აგრეთვე დასავლეთ კედელზეც. სამხრეთ კედელზე ლინზა მთელი სიმძლავრით იყო გამოსახული (Формозов А. А. 1962: 132).

გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ნაშთები ჩნდებოდა უშუალოდ, თხელი კორდოვანი ფენის ქვეშ მდებარე ჩალისფერ თიხნარში (I ფენა). ამ ფენაში მასალა არაერთგვაროვანია. მასში დიდი ზომის ნაცრისფერ და წითელ კაჟის ნატეხებთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე მინის წიდეები. კერამიკა იყო, როგორც ხელით ნაძერწი, ისე ჩარხზე ნაკეთები, წითელი ფერის ზედაპირზე სავარცხლისებური იარაღით მოსწორების კვალით (მასალა ანტიკური ხანითაა დათარიღებული). ეს ფენა 20 სმ-იან ჰორიზონტებად იყო პრეპარირებული, მაგრამ მასალის ხასიათი მთელ ფენაში ერთნაირი აღმოჩნდა.

I ფენა, ქვედა ნაწილში თანდათან მუქდებოდა, 0,6-0,8 მ სიღრმემდე სანამ, არ გამოიკვეთა რუხი, ნაცროვანი, II კულტურული ფენის მუქი ლინზა, რომელიც მკაფიოდ ჩანდა მთელ თხრილში. მასში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ოქრის ნაშთი, ქვარგვანები, დამუშავებული კაჟი. სჭარბობდა წვრილი არტეფაქტები: ლამელათა განივკვეთები, ტრაპეციები, სეგმენტები, სახვრეტ-ბურღები, ნვეტანები, ქვის იარაღები და ხელით ნაძერწი კერამიკა. მასში, დამუშავებული კაჟი და კერამიკა უფრო მეტი იყო, ვიდრე ზედა, I ფენაში. მეორე ფენაში საერთოდ აღარ დაფიქსირებულა ანტიკური ხანის მასალა, იგი სრულიად მართებულად ერთ კომპლექსადაა მიჩნეული.

საინტერესო ფაქტია, რომ I ფენის მასალაში ქვის იარაღების იგივე ტიპებია, რაც მეორე კულტურულ ფენაში, თუმცა შედარებით ნაკლები. ზედა ორ ფენას შორის სტერილური შრე არ არსებობდა.

II კულტურულ ფენას ენაცვლებოდა ბლანტი, უმასალო, ყვითელი თიხები. ქვის იარაღების დასამზადებელი ნედლეული ორივე ფენაში იდენტურია.

ა. ფორმოზოვისა და ლ. სოლოვიოვ-ნ.გუმილევსკის კოლექციებში არც ერთი განსხვავებული ტიპის იარაღი არ დადასტურებულა. გამონაკლისია I ფენაში აღმოჩენილი ერთადერთი ადღერის ტიპის თოხი, რაც არ გვხვდება ლინზასა და საერთოდ კულტურულ ფენაში (Формозов А. А. 1962: 134).

ჩვენი აზრით, ეს მეტად საყურადღებო სტრატეგრაფიული ფაქტია, რომელიც კარგი მაჩვენებელია ამ ტიპის იარაღების მოგვიანო თარიღისა ნეოლითთან შედარებით. ანალოგიური თოხები ცნობილია ხასუნდან (V ათასწლეული). მსგავსი იარაღები არ არის ცნობილი დასავლეთ კავკასიის ნეოლითური ძეგლებიდან. (ოდიში, კისტრიკი, ანასეული II და სხვ.).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ლ. სოლოვიოვის დაკვირვება კულტურულ ფენაზე, რომელიც აგრეთვე შეიცავს ნეოლითური ნასახლარის სავარაუდო კონსტრუქციულ დეტალებს. (Соловьев Л. Н. 1967: 3-36).

ძირითადი სადგომი, რომელიც ნახევარმინურადაა მიჩნეული, მდებარეობდა ჩრდილოეთი ფერდის ძირში. მისი იატაკი ჩაჭრილი იყო დელუვიონში, ხოლო თვით სადგომი თაროსებურად ყოფილა შეჭრილი კონცხის ფერდში. ლ. სოლოვიოვის დაკვირვებით მინურის გადახურვა კოჭებს ეყრდნობოდა, რომელთა ჩრდილო ბოლო გადებული უნდა ყოფილიყო ხელოვნურად გაკეთებული ჭრილის კიდეზე. კოჭების სამხრეთი ბოლო კი დამაგრებული ყოფილა ბოძებზე დაყრდნობილ გრძივ ძელზე. ფერდზე ჩამომავალი წვიმის წყლისგან სადგომის დასაცავად სახურავის უკანა მხარის გასწვრივ 1 მ-ში, ჩანდა 0,4 მ სიღრმისა და სიგანის თხრილის კვალი, რომლის ძირში ნაპოვნი იყო კერამიკის ისეთივე ფრაგმენტები, როგორიც აღმოჩნდა კულტურულ ფენაში. სადგომის სავარაუდო სიგრძე 6-7 მ, სიგანე-5 მ უნდა ყოფილიყო. მისი კულტურული ფენა იდო დედაქანში ხელოვნურად ამოღე-

ბულ თხრილში, რომელშიც მრავლად იყო კერამიკული ფრაგმენტები, კაჟისა და ქვის სხვადასხვა ქანისაგან ნაკეთები იარაღები და მათი წარმოების ნარჩენები. მასში იყო აგრეთვე საგანგებოდ მოტანილი კაჟის კაჭრები და რიყის ქვარგვალეები. მონაპოვრის დიდ ნაწილს და თვით კულტურულ ფენასაც ადგილ-ადგილ ცეცხლის კვალი აჩნდა (Соловьев Л. Н. 1967: 9-10).

კულტურული ფენის ლინზიდან მომდინარე არქეოლოგიური მონაპოვარი ა. ფორმოზოვის მიერ დახასიათებულია და ტაბულებზე მოცემული. ჩვენც სწორედ ამ მასალას ვეყრდნობით ქვ. შილოვკის ქვის ინდუსტრიისა და კერამიკის განხილვისას.

ქვ. შილოვკის კომპლექსის ნეოლითურობის ყველაზე მკაფიო მაჩვენებელია ქვის სხვადასხვა ქანების მაკროლითური ტექნიკით და ხეხვა-პოლირების მეშვეობით ნაკეთები იარაღები. ამიტომ ძეგლის დახასიათებისას ამ კომპონენტით დავინიშებთ:

უძრავ კულტურულ ფენაში აღმოჩენილი იყო ქვის სხვადასხვა ქანის მასალისგან – თიხოვანი ფიქალის, ქვიშაქვის, ასპიდური თიხების (შავი ფიქალი), პორფირიტისა და დიორიტისგან დამზადებული იარაღები. აღნიშნული ნედლეული ხასიათდება ფიქალისებური სტრუქტურით, რისი წყალობითაც ადამიანი ადვილად იყენებდა მას იარაღების დასამზადებლად. ლიტერატურაში მათ გამაერთიანებელი სახელით- ფიქალებით იხსენიებენ. მანამდე სანამ ნეოლითელი ადამიანი გადავიდოდა რიყის ქვებისგან პოლირებული იარაღების დამზადებაზე უპირატესობას ანიჭებდა ფიქალის სავადასხვა სახეობების გამოყენებას, რაც შედარებით უფრო ადვილი იყო, რადგან ადრეულ სტადიაზე ქვის ტკეცვასა და მის დამუშავებაში იყენებდნენ იგივე მეთოდებს, როგორსაც კაჟზე, რისი ნათელი მაგალითი გვაქვს ცივი მღვიმის მასალებიდან (Соловьев Л. Н. 1967: 17).

ქვ. შილოვკის ნამოსახლარზე დიდი რაოდენობითაა (22 ერთ.) ნაპოვნი კაჟისა და გაკაჟებული ქვიშაქვის იარაღები დამუშავებული უხეში, მაკროლითური ტექნიკით. ორმხრივი ათლის ტექნიკა ნეოლითის პირმშოა. ამ ნივთების ნაწილი უხეშ საჩხე იარაღებადაა კლასიფიცირებული, ნაწილი კი – ცულების ნამზადებად (ტაბ. XXXIV,3) იარაღების სამუშაო პირის ნამახვილება ხდებოდა ხეხვით ქვიშაქვის, ზოგჯერ კი გრანიტის, პორფირიტისა და ტუფოგენური ქანების სახეხვით.

ქვ. შილოვკის ა. ფორმოზოვისეულ კოლექციაში სულ 8 განსხვავებული ზომისა და პროპორციების პოლირებული ცულია (ტაბ. XXXIV, 1). ზოგი მათგანი მთლიანადაა ნახეხი, ზოგს კი მხოლოდ სამუშაო პირი აქვს დამუშავებული. მათი დდი ნაწილი დაზიანებულია ხმარებისგან,

ნამოსახლარზე აღმოჩენილი იყო რიყის ქვის მრგვალგანივკვეთიანი, წვერნათილი იარაღებიც. ჩვენი აზრით ისინი დაზიანებული ცულებისგან უნდა ყოფილიყო გადაკეთებული წერაქვისებურ იარაღებად (ტაბ. XXXIV, 4).

ცულების ფორმები და ხარისხი მოწმობს, რომ ნეოლითელ მოსახლეობას უკვე კარგად ჰქონდა ათვისებული ქვის იარაღების პოლირების ტექნიკა. მათი ანალოგები ცნობილია კისტრიკიდან, ოდიშისა და ანასეული II-ის ნამოსახლარებიდან, თუმცა ჩამოთვლილ ძეგლებთან შედარებით მათი რაოდენობა ქვ. შილოვკაში ნაკლებია. კოლექციაში არის მცირე ზომის სატეხ-სათლელები (სიგრძე-3 სმ, სიგანე – 2 სმ). მათ პარალელები გააჩნია დასავლეთ კავკასიის ყველა ნეოლითურ კომპლექსში. მცირე რაოდენობით იყო ნაპოვნი სოლისებური ცულები, შავი ფიქალის თიხები და ბრტყელი ქვები ნახეხი ზედაპირით. მაგრამ არც ერთი ტიპური ხელსაფქვავის ქვა ნაპოვნი არ ყოფილა. არ არის ქვიჯები, ფილთაქვები და ოდიშისა და ანასეული II-ის ტიპის სახეხ-სასრესები. ქვის გახვრეტილი იარაღი ნამოსახლარზე არ აღმოჩენილა. არის მხოლოდ მრგვალი ქვები ჩაღრმავებებით, რომელთა დანიშნულება გაურკვეველია.

ქვ. შილოვკის მეორე კულტურული ფენის ლინზაში ქვის სხვადასხვა ქანის იარაღებთან და კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა ტიპური ნეოლითური კაჟის ინდუსტრია, რომლის ანალოგიური კომპლექსები უკლებლივ მეორდება დასავლეთ საქართველოს ყველა გვიანნეოლითურ ძეგლზე. იარაღების ნამზადის ძირითადი სახეა ანატკეცი და დანისებური ლამელები. ქვ. შილოვკაში ბევ-

რია ლამელების განივკვეთები, გამოყენებულია ცალმხრივი და მოპირდაპირე სიბრტყეზე მდებარე რეტუში. გვხვდება რეტუში მხოლოდ ქვედა სიბრტყეზეც, რაც არ ახასიათებს ცივი მღვიმისა და აფიანჩის გვიანმეზოლითს. არსებული ინოვაციების მიუხედავად მკაფიოდ ჩანს ამ რეგიონის გვიან-მეზოლითურ და ნეოლითურ ინდუსტრიებს შორის გენეტიკური კავშირი. (Соловьев Л. Н. 1967: 13).

თუ გავითვალისწინებთ ა. ფორმოზოვის მიერ გათხრილი მცირე ფართობის ზომებს (3 X 5 მ), რომელმაც მოიცვა უძრავად გადარჩენილი კულტურული ფენის ლინზა, საიდანაც მოპოვებული იყო აღნიშნული კოლექცია, გაკვირვებას იწვევს კულტურული ფენის სიმძლავრე და მასში აღმოჩენილი იარაღთა სერიების სიმრავლე.

ამ ინდუსტრიის ყველაზე მრავალრიცხოვანი და მეტყველი სერიაა გეომეტრიული ფორმის მიკროლითები-ტრაპეციები (171 ერთ) და სეგმენტები (31 ერთ.) (ტაბ. XXXIII, 1-2, 4-8). ეს იარაღები მორფოლოგიური ნიშნებით იმეორებენ ამავე რეგიონის გვიანმეზოლითური ძეგლების ანალოგიურ იარაღთა ტიპებს, თუმცა მათი დამუშავების ტექნიკაში შეინიშნება სიახლეც. გვხვდება მეზოლითისათვის სრულიად უცნობი სპეციფიკური ხერხი – გეომეტრიული მიკროლითების ორმხრივი დამუშავება (Формозов А. А. 1962: 134). მიკროლითების დამუშავების ამგვარი ტექნიკა ცნობილია პალესტინის ნატუფიური (Garrod D. and Bate D. 1937: Pl. VIII, 14, 27; IX, 30, 35) და ჰელუანის სადგომებიდან (Чайлд Г. 1956: 62). გეომეტრიული მიკროლითების დამუშავების ორმხრივი ხერხი მიჩნეულია წინააზიიდან კავკასიაში გავრცელებულად, რის საფუძველსაც იძლევა კავკასიურ ძეგლებთან შედარებით უკერამიკო ნატუფიური ძეგლების სიძველე (Формозов А. А. 1962: 136).

ანალოგიური ტექნიკით დამუშავებული მიკროლითების ერთეული შემთხვევები ცნობილია დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური ძეგლებიდან (კისტრიკი, ოდიში, ანასეული II).

დასავლეთ კავკასიის გეომეტრიული მიკროლითების დამუშავების სპეციფიკური ფორმაა აგრეთვე, მცოცავი რეტუშით ზურგათილი ტრაპეციები, რომლებიც გვხვდება კისტრიკის კოლექციაში, მაგრამ რაც შეეხება ქვ. შილოვკას, მასში მხოლოდ მინიშნებაა ამ ხერხის გამოყენებაზე. ამგვარი იარაღები დამახასიათებელია ყირიმისა და სტეპური უკრაინისათვის (Крайнов Д. А. 1960).

ქვ. შილოვკის ნამოსახლარზე გეომეტრიული მიკროლითების გარდა ნაპოვნია აგრეთვე, სხვა მრავალი მიკროლითური ნაწარმი დამზადებული კაჟის თხელ, სწორნახნაგა ლამელებზე, რომლებიც ატკეცილია კაჟის კარგად დანახნაგებული პრიზმული ან ბრტყელი ნუკლეუსებიდან. მასალის ანალიზი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ნეოლითელი მოსახლეობა უკვე კარგად იყო დაუფლებული კაჟის დამუშავების მიკროლითურ ტექნიკას, ქვის ორმხრივ ათლას და იარაღების პოლირებას.

რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზეა სახვრეტ-ბურღები (51 ერთ.), (ტაბ. XXXIII, 2, 9-10), ციცაბო რეტუშით დამუშავებული სამუშაო წვერით (ტაბ. (Формозов А. А. 1962: 134).

ქვ. შილოვკისა და კისტრიკისათვის სპეციფიკური ფორმაა რეტუშით თავგამოყვანილი ლამელეები (ტაბ. XXXIII, 11-13). კოლექციაში ერთეულებია საფხეკები, საჭრისები, ასტამისებური იარაღები, თავრეტუშიანი და დკბილული ლამელეები,

ქვ. შილოვკაში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. კერამიკა ხელითაა ნაძერწი, ფხვიერია, აქვს გლუვი კედლები. მიუხედავად მათი ფრაგმენტულობისა მაინც შესაძლებელია სავარაუდო ფორმების აღდგენა. კერამიკული ნაკეთობები ეკუთვნოდა სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბრტყელძირა, სწორკედლა, უყურო, უორნამენტო ქილებს, ქოთნებს და კათხებს (სიმაღლე 6 სმ-დან 25 სმ-დე, დიამეტრი 6 – 20 სმ, კეცის სისქე 1-2 სმ-დე უნდა ყოფილიყო), ზოგჯერ ოდნავ გამოხერხილი გვერდებით, ბაკო ხშირად სწორია, ან მომრგვალო, ზოგჯერ შიგნით ოდნავ შეღუნული ან გადმონეული. არის ბრტყელი ჯამისა თუ თეფშის ნატეხი. კეცს ურევია მდინარის სილა, რომელიც ხშირად ჩანს ნატეხის ზედაპირზე. ზოგჯერ შეიმჩნევა კირისა და მარგანცის ნაწილაკებიც, რის გამოც ფრაგმენტებს აქვს მონითალო ლაქები. კერამიკა სუსტადაა გამომწვარი. (ტაბ. XXXIV, 9-16) (Формозов А. А. 1962: 144).

ქვ. შილოვკის კერამიკას უახლოესი პარალელები გააჩნია კისტრიკის, ოდიშისა და ანასეული II-ის სამეთუნეო ნაწარმთან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქვ. შილოვკისა და კისტრიკის კერამიკას ორნამენტი არ ახასიათებს.

ნამოსახლარზე არ იყო ნაპოვნი ძვლოვანი მასალა, რაც განპირობებულია ნიადაგის სპეციფიკური შედგენილობით.

ქვედა შილოვკის შემდეგ, გადავდივართ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი „ლია“ ნეოლითური ნამოსახლარების ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დახასიათებაზე.

გულრიფშის რაიონის მეზოლით-ადრენეოლითური ხანის ძეგლები ძირითადად თავმოყრილია მდ. კოდორისა და მისი შენაკადების ხეობებში, რომელთა უმრავლესობა კარსტული მღვიმეებითა და კლდოვანი ეხებითაა წარმოდგენილი, რომლებშიც მათი წინამორბედი ზედაპალეოლითური გვაროვნული ჯგუფები სახლობდნენ. ამ რეგიონიდან ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი „ლია“ ადრენეოლითური – **ზემო ლემსას** ნამოსახლარია ცნობილი.

ძეგლი მდებარეობს ს. ნებელდის დასავლეთით 5 კმ მანძილზე მთა პრცხას სამხრეთ დამრეც ფერდზე, ს. მეტელევიკისა და ზემო ლემსას სავარგულების შესაყართან. ზღვის დონიდან 560 მ სიმაღლეზე (ტაბ. XVIII).

1964 წელს აღნიშნულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მხარეთმცოდნეების მიერ შეკრებილი იყო მრავალრიცხოვანი ზედაპირული კაჟის მასალა, რომელიც ლ. სოლოვიოვმა მაშინვე წინასწარულად ნეოლითით დაათარილა.

1968 წელს ნამოსახლარზე ი. ვორონოვისა და მხარეთმცოდნეების მიერ გაკეთებული სადაზვერვო თხრილებისა და ზედაპირულად მოპოვებული მასალის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე ი. ვორონოვმა ძეგლი ადრენეოლითით დაათარილა (Воронов Ю. Н. 1970: 172-173), თუმცა უფრო გვიან გამოსულ ნაშრომში იგი მას ადრენეოლითიდან განვითარებულ ნეოლითზე გარდამავალი საფეხურით ათარილებდა (Воронов Ю. Н. 1984: 40).

1976 წლიდან ნამოსახლარზე მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახ. ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძ. ი. ვორონოვი), რომლის მიზანი იყო ნებელდის რაიონის ნეოლითის შესახებ არსებული მონაცემების შემოწმება და ახალი მასალების მოპოვება.

სავარაუდო ნამოსახლარის სამხრეთ ნაწილში, სადაც ეროზიის კვალი არ შეინიშნებოდა, უძრავი ფენის პოვნის მიზნით დამატებით გაითხარა სამი თხრილი – საერთო ფართობით 140 კვ. მ. სიღრმე- 0,8-1 მ უდრიდა, მაგრამ უძრავი ფენის პოვნა მაინც შეუძლებელი გახდა. გაირკვა, რომ ნეოლითური ფენა გადმოადგილებული იყო. ი. ვორონოვის აზრით ნეოლითური ნამოსახლარი 20-50 მეტრით უფრო მაღლა მდებარეობდა. შუა საუკუნეებში ტყის მასივის ინტენსიური ჭრის შედეგად ფენა გადმორეცხილა და ახალ ვითარებაში დალექილა.

1976 წლის გათხრების შედეგად კაჟის ნაწარმის სახით მოპოვებული კოლექცია 500 ერთეულს უდრიდა. შემდეგ გაერთიანდა სხვადასხვა წლებში (1968, 1972 და 1976 წწ.) მოპოვებული მასალები, რის შედეგადაც გამოიკვეთა მეტად მეტყველი კოლექცია, რომელმაც გააფართოვა წარმოდგენა ნებელდის მიკრორაიონის ნეოლითური მოსახლეობის მატერიალური კულტურის შესახებ.

იარაღების დასამზადებელ ნედლეულად ძირითადად კაჟს, იშვიათად ობსიდიანს და რიყის ქვას იყენებდნენ. ობსიდიანისა და კაჟის იარაღების დამზადების ტექნიკასა და ფორმებში განსხვავდება არ შეიმჩნევა.

კაჟისა და ობსიდიანის ინდუსტრია ხასიათდება ლამელარული ტექნიკითა და გეომეტრიული ფორმის მიკროლითებით. ტრაპეციები და სეგმენტები (ტაბ. XIX, 6-24) ზომებითა და მოხაზულობით მსგავსია ანალოგიური იარაღებისა გვიანმეზოლითური და ნეოლითური ძეგლებიდან. განსაკუთრებული სიახლოვე შეინიშნება კისტრიკისა და ქვედა შილოვკის გეომეტრიულ მიკროლითებთან.

ან. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათში ჯერ არ არის გვიანნეოლითისათვის (კისტრიკი, ქვ. შილოვკა) დამახასიათებელი მიკროლითების ორმხრივი დამუშავება და ზურგის ათლა მცოცავი რეტუშით. სამწუხაროდ ი, ვორონოვს ამ იარაღების რაოდენობა აღნიშნული არა აქვს, თუმცა ტაბულიდან ჩანს, რომ კოლექციაში მათი საკმაოდ დიდი ჯგუფია წარმოდგენილი. გეომეტრიული მიკროლითები დიდი ზომის ორფერდამუშავებული ტრაპეციებით გამოირჩევა (ტაბ. XIX, 12, 23, 24). არის მოგრძო სამგვერდამუშავებულიც. სეგმენტები შედარებით ნაკლებია და ხასიათდება მოგრძო ფორმებით (ტაბ. XIX, 7,11). ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია დამუშავებისა და გამოყენების კვალის მქონე ლამელები. საფხეკებში გამოიყოფა ლამელებსა და ანატკეცებზე ნაკეთები კიდურა, მომრგვალო და მიკროლითურები (ტაბ. XIX,25-36). საჭრისები საკმაოდ მრავალრიცხოვანია, რომლებიც ჩამოყალიბებულია ლამელებზე, ანატკეცებსა და ნუკლეუსების ნატეხებზე. ლამელებზე დამზადებულებში არის მარტივი და თავრეტუმიანი ცალები (ტაბ. XX, 1-13); სახვრეტები და დაკბილული იარაღები (ტაბ. XX, 23-31) შედარებით ცოტაა. სახვრეტებს აქვს გრძელი და კარგად რეტუშირებული წვერი. ისინი გვხვდება, როგორც ლამელებზე, ისე ანატკეცებზე. ნუკლეუსების წამყვანი ფორმებია ცალმხრივგამოყენებული კონუსური და პრიზმული ცალები. მკაფიო სერიას ქმნიან მიკრონუკლეუსები (ტაბ. XIX,1-5). შეინიშნება ზოგიერთი ნუკლეუსის გადაკეთება ასტამად, ბურღად ან საჭრისად. წვეტანები ძირითადად ანატკეცებზეა ნაკეთები, რომელთა ცალი გვერდი ხშირად ქვედა სიბრტყიდანაა დამუშავებული. ბურღები ძალიან გავრცელებულია გვიანნეოლითურ ძეგლებზე (კისტრიკი, ქვ. შილოვკა), აქ კი მხოლოდ ერთადერთია და ისიც ატიბური.

ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით იყო ნაპოვნი ქვის სხვადასხვა ქანებისგან ნაკეთები დაზიანებული იარაღების ნაწილები: აღსანიშნავია სათლელი, მოგრძო და მომრგვალო რიყის ქვები ხეხვისა და ამოღარვის კვალით, ხელკვერები, სოლისებური იარაღი, სახეხები, კაჟის კონკრეციები, რიყისქვის ანატკეც-ანამტვრევები გამოყენების კვალით (ტაბ. XXI,1-13).

ზემო ლემსას კაჟის ინდუსტრიის შედარებით-ტიპოლოგიურმა ანალიზმა მკაფიოდ გამოავლინა ამ მასალის გენეტიკური კავშირი ადგილობრივ მეზოლითთან.

კოლექციაში არის სხვადასხვა დროის მასალის მინარევებიც, რაც მკაფიოდ გამოიყოფა ძირითადი კოლექციიდან.ნამოსახლარზე ადრეული კერამიკა არ აღმოჩენილა. (Воронов Ю. Н. 1979: 20-27; Воронов Ю. Н. 1984: 29-40; Воронов Ю. Н. 1970).

გალი I ნეოლითური ნამოსახლარი მდებარეობს ქ. გალის ჩრდილოეთით 8 კმ მანძილზე, სოფ. პირველ გალში, ზღვის დონიდან 72 მ სმაღლეზე, მშრალი ხევის – „ჭუბურწყარის“ მარცხენა ნაპირის ტერასაზე და დაახლოებით 2 ჰა ფართობს მოიცავს (ტაბ. XXII). ამჟამად, ამ ტერასაზე ჩაის პლანტაციაა გაშენებული, ნიადაგი ყოველწლიურად მუშავდება ჩაის კულტივაციის მიზნით, რის გამოც კულტურული ფენა დარღვეულია. ნამოსახლარი 1973 წელს არქეოლოგმა გ. ხუბუტიამ აღმოაჩინა, რომელზედაც დიდძალი ზედაპირული მასალა შეკრიბა.

1974 წელს საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძ. ნ. ბერძენიშვილი) ნამოსახლარზე სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა. გაითხარა სამი საძიებო თხრილი (ზომით 3 x 2 მ) საიდანაც მოპოვებული იყო 7 204 ერთ. მასალა. ზედაპირული მასალის შეგროვების შედეგად კი- 2 374 ერთ. საერთო ჯამში მოპოვებული იყო 9578 ერთეული – კაჟის, რიყისქვის იარაღ-ხელსაწყოები და წარმოების ნარჩენები.

1977 წელს ძეგლზე ისევ განაახლა სავლე სამუშაოები აღნიშნულმა ექსპედიციამ (ხელმძ. ნ. ბერძენიშვილი, რაზმის უფროსი კ. კალანდაძე). დადგინდა კულტურული ფენების შემდეგი მონაცვლეობა:

1. კორდოვანი ფენა, ჰუმუსნარევი, წვრილი ქვების ჩანართით, დარღვეული, შეიცავს კულტურულ ნაშთებს. სისქე-5-8 სმ.

II. ჰუმუსოვანი ფენა, მოშავო, დარღვეული, სისქე-20-30 სმ, შეიცავს კულტურულ ნაშთებს.

III. მოყვითალო თიხნარი, მკვრივი, მცირე რაოდენობით შეიცავს ნაშთებს. სისქე- 10-15 სმ.

აღნიშნული სამუშაოს შედეგად, დამატებით მოპოვებულ იქნა 2000-მდე ნივთი. საერთო ჯამში კი გალი I-ის ნამოსახლარის კოლექცია 11 578 ერთ. აღწევს. კულტურული ფენა ნამოსახლარზე დარღვეული აღმოჩნდა (Бердзенишвили Н. З., Каландадзе К. С., Хубуთია Г. 1980: 20-22). აღნიშნულ კოლექციაში აშკარა უპირატესობითაა წარმოდგენილი წარმოების ნარჩენები. ნედლეულად ძირითადად კაჟი იყო გამოყენებული.

გალი I-ის ნამოსახლარის კაჟის ინდუსტრიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია განვითარებული ლამელარული ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის მიკროლითები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია ორფერდამუშავებული ტრაპეციებით (ტაბ. XXIII, 1-19) და ერთეული სეგმენტებით რომლებსაც ანალოგები აფიანჩისა და ზემო ლემსას კომპლექსებში გააჩნია. წარმოების ნარჩენები წარმოდგენილია პრიზმული, კონუსური, ამორფული ნუკლეუსებით (67 ერთ.) და მათი ნატეხებით (43 ერთ.), პირველადი (114 ერთ.) და მეორადი ანატეხვებით (286 ერთ.) და სხ. მკაფიო სერიებს ქმნიან დანისებური ლამელები გამოყენების კვალით (ტაბ. XXIII, 8-9, 40, 47-48), თავრეტუშიან ლამელებში (ტაბ. XXIII, 49-58) გამოიყოფა თავსნორ, თავირიბ და თავამოღარული ცალები. იარაღებში დაახლოებით თანაბარი რაოდენობითაა საჭრისები (32 ერთ.) (ტაბ. XXIII, 28-39) და საფხეკები (31 ერთ.) (ტაბ. XXIII, 41-46). საჭრისები დამზადებულია ვიწრო და მოკლე თავგადამტვრეულ ლამელებზე. სჭარბობს მარტივი ფორმები – კუთხის, სწორი, ირიბი და თავამოღარული ცალები. მომრგვალო და მიკროლითური საფხეკები უკვე აღარ არის ამ ჯგუფის იარაღებში წამყვანი. მრავლადაა თხელი ანატეხვებისა თუ ლამელისებური ანატეხვების ბოლოებსა და გვერდებზე დამზადებული მომრგვალო ან სწორპირიანი საფხეკები, კომბინირებული იარაღები (5 ერთ.) – დანა-საფხეკი, საფხეკ-საჭრისი.

რიყის ქვის გახეხილი იარაღები შემდეგი სერიებითაა წარმოდგენილი: ცულები, სახეხები, ხელსაფქვავის ქვა (ტაბ. XXV, 1), იარაღების სახეხ-საპრიალებლები (ტაბ. XXVI, 2-3), ორმხრივამოღარული სახრელის ტიპის ნივთი (ტაბ. XXV, 2), შურდულის ქვები, მაკროლითური ტექნიკით დამუშავებული წერაქვისებური იარაღი (ტაბ. XXIV, 1-12). ზურგათილი მალალი ტრაპეციები, სწორკუთხედები და კერამიკა ამ ნამოსახლარს არ ახასიათებს.

კ. კალანდაძე გალი I-ის ნამოსახლარს შუა ნაოლითით ათარილებს (კალანდაძე კ. 1986: 47-50).

ლუმურიშის ნამოსახლარი მდებარეობს ქ. გალის ჩრდილოეთით 11 კმ მანძილზე, მდ. ოქუშის მარცხენა ნაპირის ყველაზე მაღალ, მესამე ტერასაზე, ზღვს დონიდან 415 მ სიმაღლეზე. ტერასა, რომელზედაც ნამოსახლარი მდებარეობდა წაგრძელებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ თითქმის 2 კმ მანძილზე (სიგანე 500 მ.), აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება მაღალი მთები – ოისრე და კირილი, რომელსაც იგი უშუალოდ ებჯინება, ჩრდილოეთიდან კი მდ. ოქუში ჩამოედის. სოფლის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი გაშლილია და ზღვისკენაა მიმართული.

ძველი 1966 წელს აღმოაჩინა არქეოლოგმა გ. ხუბუტიამ, რომელმაც სოფლის სხვადასხვა მონაკვეთებზე დიდძალი ზედაპირული მასალა შეკრიბა.

ნამოსახლარი ითხრებოდა 1969-1973 წლებში საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვისხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძ. ნ. ბერძენიშვილი, რაზმის უფროსი კ. კალანდაძე).

ნამოსახლარის კულტურული ფენის ზედა ნაწილი დარღვეული აღმოჩნდა, ქვედა კი ნაწილობრივ უძრავ მდგომარეობაში იყო გადარჩენილი. მისი საერთო სიმაღლე 45-60 სმ უდრიდა.

ტერასის ოდნავ შემალლებულ მონაკვეთებში მიკვლეული იყო ოვალურად განლაგებული შვიდ-ოთხე ნამოსახლარის ნაშთი, რომელთა შორის მანძილი 200-300 მ-ია გამთხრელები იქ ნეოლითური სოფლის ნაშთის არსებობას ვარაუდობდნენ (კალანდაძე კ. 1970: 125-139).

საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთები თიხატეხვითი იატაკების სახით იყო წარმოდგენილი.

შეინიშნებოდა არქეოლოგიური მასალის თავმოყრა. კ. კალანდაძე ვარაუდობს, რომ ნეოლითური სოფელი რამდენიმე საცხოვრებელი კვარტალისგან შედგებოდა. ნაშთების განსაკუთრებული სიმრავლე შეინიშნებოდა ტერასის ცენტრალურ ნაწილში. ლუმურიშის მთელი მასალის (18 384 ერთ.) ნახევარზე მეტი (12 082) ზედაპირულადაა შეკრებილი, ხოლო დანარჩენი (6302 ერთ.) გათხრების შედეგადაა მოპოვებული. სულ გაკეთდა 14 სადაზვერვო თხრილი.

იარაღების დასამზადებელ ნედლეულად უპირატესად კაჟი ყოფილა გამოყენებული, შედარებით იშვიათადაა რიყის ქვა, ობსიდიანი, ბაზალტი და არგილიტი.

ლუმურიშის ნამოსახლარზე მოპოვებული მრავალრიცხოვანი კოლექციიდან (18 384 ერთ.) 11% (2069 ერთ.) იარაღია, დანარჩენი 89 % (16 315 ერთ.) კი წარმოების ნარჩენები. ისინი წარმოდგენილია კაჭრებით (24 ერთ.), ანატკეც-ანამტვრევებით (16 834 ერთ.) და სხვადასხვა სახის ნუკლეუსებით (1065 ერთ.) (ტაბ. XXVII, 1-4, 11-15, 22-23), რომელთა შორის სჭარბობს პრიზმული, კონუსური და ბრტყელი ფორმისანი. კოლექცია ხასიათდება ურეტუმო და მეორადი დამუშავების მქონე ლამელების დიდი სერიებით. (სულ 2 137 ერთ.).

იარაღებიდან წამყვანი ადგილი საფხეკებს უჭირავს (426 ერთ.) (ტაბ. XXVIII, 1-4, 7-13, 15-21, 24-25). ნაშადის ხასიათის მიხედვით მათში გამოიყოფა: ვიწრო ლამელების ბოლოზე, მომრგვალო ანატკეცებზე და განიერ ლამელისებურ ანატკეცებზე ნაკეთები ცალები. რაოდენობის მიხედვით შემდეგ ადგილზეა საჭრისები (278 ერთ.) (ტაბ. XXIX, 1-23). მათი უმრავლესობა ლამელებზეა დამზადებული. სამუშაო პირის მიხედვით მათში გამოიყოფა: მარტივი ცალმხრივი, მარტივი ორმხრივი, თავრეტუმიანი საჭრისების ჯგუფები.

კომპლექსის დანარჩენი იარაღები წარმოდგენილია სახოკებით (125 ერთ.), გეომეტრიული ფორმის მიკროლითებით (100 ერთ.), დანებით (96 ერთ.), სახვრეტებით (962 ერთ.) (ტაბ. XXVIII, 30-33), რეტუმორებით (44 ერთ.), დაკბილული (34 ერთ.) და კომბინირებული იარაღებით (32 ერთ.), ასტამებით, შალაშინებით (8 ერთ.), ხონებით (7 ერთ.) და სხვ.

რიყისქვის იარაღები უმეტესად წარმოდგენილია ხეხვის ტექნიკით შესრულებული ნაკეთობებით. შედარებით იშვიათია პოლირების ტექნიკით დამზადებული ნაწარმი.

ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია: ცულები (11 ერთ.), სატეხ-სათლელები (10 ერთ.), სახეხ-სასრესები (10 ერთ.), თავბოლონამახვილებული წერაქვები (15 ერთ.), თოხისებური იარაღი, შურ-დულის ქვები, სალესები (14 ერთ.) ტაბ. XXX-XXXI). დადასტურებულია ქვის ამოღარვისა და გახვრეტის ცდის ორიოდ შემთხვევა.

ლუმურიშის ნამოსახლარს კ. კალანდაძე შუა ნეოლითის დასაწყისით ათარილებს (კალანდაძე კ. 1986, გვ. 30).

ჩხორთოლის ნეოლითური ნამოსახლარი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თავისი მრავალრიცხოვანი კომპლექსით და რაც მთავარია უძრავი კულტურული ფენის მონაცემებით. მან კიდევ ერთხელ, სხვა დასავლეთ კავკასიის ნეოლითური ძეგლების მსგავსად დაასაბუთა ამ ნამოსახლარის ერთფენიანობა და კომპლექსის ერთიანობა.

ჩხორთოლის გვიანნეოლითური ნამოსახლარი მდებარეობს ქ. გალის ჩრდილო-დასავლეთით ოციოდე კილომეტრის მანძილზე, ზღვის დონიდან დაახ 200 მ სიმაღლეზე. ნამოსახლარი მიკვლეულია მაღალ ზეგანზე, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენაა წაგრძელებული (700 X 200 მ). ზეგნის შუა წელზე აღმოსავლეთ ფერდობის საზღვართან მიკვლეულ იქნა უძრავი კულტურული ფენა (ტაბ. XXXV, 1)

არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩატარდა 1971-1977 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძ. ნ. ბერძენიშვილი, რაზმის უფროსი კ. კალანდაძე).

ჩხორთოლის ნამოსახლარზე კულტურული ფენების საერთო სიმძლავრე 60-70 სმ აღწევდა და შესდგებოდა 3 ორიზონტისგან, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდა სიმკვრივით, შეფერილობით და მასალის რაოდენობით. ძეგლის სტრატეგრაფია ასეთია:

1. მოშავო ჰუმუსი, დარღვეული, წვრილი ქვების ჩანართით, ფხვიერი, დიდი რაოდენობით შეიცავდა კულტურულ ნაშთებს. სისქე 20-40 სმ.

2. შავი ფერის ნიადაგი, მკვრივი, უძრავი, სხვადასხვა ზომის, დაკუთხული პატინირებული ქვების ჩანართით, რომლებსაც ცეცხლის კვალის შედეგად გადანატეხში წითელი შეფერილობა ჰქონდა. დიდი რაოდენობით შეიცავდა არქეოლოგიურ ნაშთებს. ფენის სისქე 20-25 სმ.

3. რუხი-მონაცრისფრო თიხნარი, ძალზედ მკვრივი (ნაცრით შეცემენტებული თიხა), უძრავი, 20 სმ სისქის. ზედა ჰორიზონტებთან შედარებით მცირე რაოდენობით შეიცავდა კულტურულ ნაშთებს. აღსანიშნავია, რომ ამ ფენაში არ აღმოჩნდა კერამიკა და რიყის ქვის გახეხილ-ნაპრი-ალები იარაღები. იგი განფენილი იყო მოყვითალო დელუვიურ თიხებზე (დედაქანი) (კალანდაძე კ. 1986: 32).

ჩხორთოლის ნამოსახლარზე პრეპარაციის გზით უძრავი კულტურული ფენა გამოვლინდა 144 კვ. მ ფართობზე (Бердзенишвили Н.З., Каландадзе К.С., Хуბутია Г. 1980: 20-22; კალანდაძე კ. 1986: 30-46).

კ. კალანდაძის ვარაუდით, მესამე ჰორიზონტი იყო მრავალჯერ მოტკეპნილი და გამკვრივებული იატაკის ნაშთი, რომელმაც ზედმეტი სიმკვრივე და რუხი შეფერილობა მიიღო მეორე ჰორიზონტიდან ჩაჭონილი წყლის ზემოქმედების შედეგად (კალანდაძე კ. 1986: 32). აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამწუხაროდ შესაძლოა აღნიშნული მოსაზრების გამო, გამთხრელის მიერ არ იყო ცალკე გამოყოფილი და აღწერილი ამ ჰორიზონტში მოპოვებული ნაშთები, რაც ძალიან გამოგვადგებოდა ზედა ფენების მასალებთან შესადარებლად. მითუმეტეს, რომ გამთხრელის ინფორმაციით მესამე ჰორიზონტის მასალა არსებითად განსხვავდებოდა ზედა ფენების კომპონენტებისაგან (მასში არ იყო კერამიკა და რიყის ქვის იარაღები), ამიტომ არ უნდა გამოირიცხოს მისი სახით უკერამიკო ნეოლითის არსებობა. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია.

ჩხორთოლის ნამოსახლარზე გამოვლინდა საცხოვრებლის იატაკი, მასზე გამართული კერებით, იატაკში ჩაჭრილი სამეურნეო დანიშნულების დიდი ზომის (30 X 40 X 90 სმ) ორმოებით, რიყის ქვებით შემოწყობილი ბოძების საყრდენი მცირე ზომის (10 X 15 X 25 სმ) ღრმულებით, ნაცროვან-ნახშიროვან ფენაში ჩამწვარი ძვლოვანი მასალით, რომლის განსაზღვრაც ვერ მოხერხდა.

მთელ ნამოსახლარზე პრეპარაციის დასრულების შემდეგ მკაფიოდ იკითხებოდა დიდი ზომის შავი ლაქები (3 X 3 მ.), რომლებიც მრგვალი გეგმარების მქონე წნული ნაგებობის კვალი უნდა ყოფილიყო (კალანდაძე კ. 1986: 44-45).

როგორც აღვნიშნეთ, ჩხორთოლის კოლექცია დასავლეთ კავკასიის ნეოლითურ ძეგლებს შორის ყველაზე დიდია (22 024 ერთ.). იარაღები ნამოსახლარზე ძირითადად კაჟისა და რიყის ქვისგანაა დამზადებული. იშვიათად გვხვდება ობსიდიანის, არგილიტისა და ბაზალტისაგან ნაკეთები ნაწარმიც. მასალის საერთო რაოდენობიდან 12% (20001 ერთ.) იარაღია, დანარჩენი – 88 % (ანუ 20 023 ერთ.) წარმოების ნარჩენებია. ჩხორთოლი – დასავლეთ კავკასიის დანარჩენი გვიანნეოლითური ძეგლების მსგავსად ნამოსახლარი-სახელოსნოა.

წარმოების ნარჩენები წარმოდგენილია-კაჭრებით (25 ერთ.), სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსებით (700 ერთ.) (ტაბ. XXXV, 1-7), ანამტვრევებით (787 ერთ.), ანატკეცებით (5600 ერთ.), რეტუშორებით, ურეტუშო ლამელებით (93135 ერთ.) და სხვა.

კაჟის იარაღებში რაოდენობის მიხედვით უპირატესობა ენიჭება საჭრისებს (406 ერთ.) (ტაბ. XXXVI, 1-12), შემდეგ მოდის საფხეკების სხვადასხვა ფგუფები (სულ 154 ერთ.) (ტაბ. XXXVI, 1-13), გეომეტრიული ფორმის მიკროლითები 188 ერთ. რაც მთელი იარაღების 9,4 % შეადგენს.

მათში ორი ტიპია წარმოდგენილი: ტრაპეციები (175 ერთ.) და სეგმენტები (13 ერთ.) (ტაბ. XXXVIII, 1-32), სახოკები (82 ერთ.), დაკბილული იარაღები (25 ერთ.) (ტაბ. XXXVII, 1-22), სახვრეტები (ტაბ. XXXVII, 29-30), თავამოლარული (ტაბ. XXXVIII, 42-55) და გვერდამოლარული ლამელები, კომბინირებული იარაღები (15 ერთ.), შუბისპირი (2 ერთ.) და ისრისპირი, ხონები (6 ერთ.) შალაშინები (4 ერთ.), სათლელები (7 ერთ.), რეტუშორები (14 ერთ.).

ჩხორთოლში არ არის ზურგათლილი ტრაპეციები და ზურგათლილი სწორკუთხედები, რის გამოც იგი გვიანნეოლითურ ძეგლებს შორის ყველაზე ადრეულად გამოიყურება.

რიყის ქვის იარაღები წარმოდგენილია: ცულებით (51 ერთ.) (ტაბ. XXXIX, 1-12), სასრეს-სანაყებით (124 ერთ.) (ტაბ. XLII, 1-15), ხელსაფქვავის ქვებით (23 ერთ. (ტაბ. XLII, 1) (ტაბ. XLIII), სახეხ-საპრიალებლებით (5 ერთ.) (ტაბ. XL, 9-10), ხელჩაქუჩებით (7 ერთ.), საწაფებით (3 ერთ.), მინის საჩიჩქნებით (10 ერთ.), თოხისებური იარაღით (2 ერთ.), სალესებით (7 ერთ.), შურდულის ქვებით (3 ერთ.) (ტაბ. XXXIX, 1-12; ტაბ. XL, 1-12).

კერამიკა (90 ერთ.), წარმოდგენილია ქდეულპირიანი, დიდი ზომის ქილისებური ჭურჭლის ყელ-პირის უყურო ფრაგმენტით (ტაბ. XLIII, 12), კეცი მორუხო-მონითალოა, ხელით ნაძერწი, უხეში, თიხა კვარცნარევი, კეცის სისქე-1 სმ. მსგავსი ორნამენტი ცნობილია ოდიშიდან, ანასეული II-დან და გურიანთიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კერამიკა მხოლოდ ზედა ორ ჰორიზონტშია ნაპოვნი.

ჩხორთოლის ნეოლითური კომპლექსის სხვა სინქრონულ ძეგლებთან შედარებისას გაირკვა, რომ დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლებიდან იგი ყველაზე მეტ სიახლოვეს იჩენს ოდიშის ნამოსახლართან და აგრეთვე ამავე რეგიონში მდებარე ლუმურიშისა და გალი I-ის კომპლექსებთან.

კისტრიკის ნამოსახლარი მდებარეობს ქ. გუდაუთის მოსაზღვრე, სოფ. ბამბორას ტერიტორიაზე, მდ. კისტრიკის მარჯვენა ნაპირის ქალისზედა მეორე ტერასის შემალღებაზე, მდ. კისტრიკის შესართავთან შავ ზღვაში. ნამოსახლარის საერთო ფართობი დაახ. 6 ჰა უდრის. მისი მაღალი ნერტილი ზღვის დონიდან 4,8 მ-ია. ნამოსახლარი ზღვის თანამედროვე ნაპირიდან გამოყოფილია დაახ. 100 მ სიგანის ზოლით (ტაბ. XLIV, 1).

ძეგლი 1940 წელს აღმოაჩინა და მასზე მოპოვებული მრავალრიცხოვანი ზედაპირული მასალა გამოაქვეყნა ადგილობრივმა მხარეთმცოდნე-ექიმმა ა. ლუკინმა (Лукин А. Л. 1950: 247-286).

1941 წლის აპრილში აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული იყო მცირე მასშტაბის ექსპედიცია (ხელმძ. ლ. სოლოვიოვი), რომლის მიერაც ზედაპირულად და საცდელი თხრილების საშუალებით მოპოვებული იყო მრავალრიცხოვანი მასალა, გაკეთდა რიგი საველე დაკვირვებებისა. კოლექცია იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იმავე წლის სექტემბრისათვის დაიგეგმა გათხრების ფართოდ გაშლა, მაგრამ ივნისში დაწყებულმა მეორე მსოფლიო ომმა ჩაშალა ეს გეგმა.

კისტრიკის ნეოლითური ნამოსახლარის კოლექცია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის (აფხაზეთი) ერთ-ერთი დიდი კოლექციაა ამ პერიოდის ძეგლებს შორის. მარტო ა. ლუკინის მიერ მოპოვებული მასალა 13 500 ერთეულს ითვლის, რომელშიც არ იგულისხმება 1941 წლის ლ. სოლოვიოვის ექსპედიციისა და მითუმეტეს არც ჩვენს მიერ 1958-1960 წლებში საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვისხანის შემსწავლელ ექსპედიციაში მუშაობისას კისტრიკის ნამოსახლარზე ჩატარებული დამატებითი სადაზვერვო სამუშაოების დროს შეგროვებული კოლექცია. აღნიშნულმა მასალებმა ნაწილობრივ შეავსო ა. ლუკინის მიერ მოპოვებული. ამასთანავე ჩვენ არქეოლოგ ვ. ბუანიას ხელშეწყობით დავამუშავეთ ამჟამად სოხუმისა და ახალი ათონის მუზეუმებში დაცული კისტრიკის ნამოსახლარის კოლექციები და აგრეთვე ა. ლუკინის გამოუქვეყნებელი კოლექცია, რომელშიც მივაკვლიეთ სრულიად ახალ, ტიპოლოგიურად მანამდე უცნობ მასალას (ისრისპირი).

ა. ლუკინის მონაცემებით კულტურული ფენა არათანაბარი სიმძლავრის იყო და მთლიანად

ფარავდა ნამოსახლარის ტერიტორიას. ჩვეულებრივ იგი იწყებოდა 10-15 სმ-დან, ხშირად კი ზედაპირიდანაც და აღწევდა 30-65 სმ-დე. ფენის ზღვრული სიღრმე ერთ შემთხვევაში 80 სმ-დე დაფიქსირდა. ნამოსახლარის დიდ ნაწილზე ნიადაგი 45 სმ-ის სიღრმემდე იხვნებოდა (პლანტაჟი), რომლის დროსაც ხდებოდა ფენის ადგილზე გადაბრუნება. კულტურული ფენის ქვედა ნაწილი მთელ ნამოსახლარზე უძრავად იყო შემონახული. მასალის განლაგება განსხვავებული ყოფილა. ზოგ ადგილას სჭარბობდა ცულები და სატეხები, ზოგან – ნამზადები, სხვაგან – ნვრილი იარაღები. იყო მონაკვეთები სადაც უმრავლესობას კერამიკა წარმოადგენდა, იყო აგრეთვე კაჟისა და ნუკლეუსების გროვები. დროთა ვითარებაში ეს სურათი ნაშლილა მინის სხვადასხვა სამუშაოების შედეგად (Лукин А. Л. 1950: 250). კულტურული ნაშთების დაფენების თანამიმდევრობის დადგენა ძეგლზე შეუძლებელი გახდა, რადგან სამუშაო დიდ თანხას მოითხოვდა (Лукин А. Л. 1950: 51).

კულტურული ფენა წარმოდგენილი იყო დიდი რაოდენობის რიყნარის ლორღით, ცალკეული რიყისა და სხვადასხვა ქანის ქვარგვალეების მინარევით. ქვებისა და ლორღის გროვებში ნაპოვნი იყო სხვადასხვა დაცულობის ქვისა და კაჟის იარაღები, კერამიკის ფრაგმენტები და წარმოების ნარჩენები. იარაღების ნედლეულის წყარო იყო ნამოსახლარის მოსაზღვრე ზღვის სანაპირო, რომელზეც მრავლად მოიპოვებოდა ნახეხ-ნაგორები სხვადასხვა ქანის, ფორმისა და ზომის კაჭრები და ქვარგვალეები.

კოლექცია დიდი რაოდენობით შეიცავს კაჟისა და ქვის მაგარი ქანებისაგან დამზადებულ იარაღ-ხელსაწყოებს, წარმოების ნარჩენებს და კერამიკის ფრაგმენტებს. მცირე რაოდენობით იყო ობსიდიანიც.

კაჟისა და ობსიდიანის მასალის განხილვისას პირველ რიგში ყურადღებას იქცევს მაღალ დონეზე განვითარებული იარაღების დამუშავების მიკროლითური ტექნიკა. დიდი რაოდენობითაა გეომეტრიული ფორმის მიკროლითები – ორფერად დამუშავებული, დიდი ზომის სიმეტრიული ტრაპეციები (ტაბ. XLV, 1-42). რკალდაბლაგვებული სეგმენტები და მცოცავი, წნევეთი რეტუმით ზურგათლილი მაღალი ტრაპეციები, რომლებიც გვიანეოლითის ერთ-ერთ დამატარებელ ფორმად ითვლება. აღსანიშნავია, რომ გეომეტრიული მიკროლითების უმეტესობა ორმხრივდამუშავებულია (ტაბ. XLV, 1-2, 9).

კისტრიკის კაჟის იარაღებიდან აღსანიშნავია სხვადასხვა ფორმის საფხეკები, ლამელებზე ჩამოყალიბებული ცალმხრივი და ორმხრივი საჭრისები (ტაბ. X, 11-12), ბევრია ლამელებზე ნაკეთები სახვრეტ-ბურღები, სხვადასხვა ტიპის რეტუმიანი ლამელები, კომბინირებული იარაღები, ნამგლის ჩასართები, სახოკები, შალაშინები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთადერთი კაჟის ისრისპირი, რომელიც ჩვენს მიერ იყო ნაპოვნი ა. ლუკინის გამოუქვეყნებელი კოლექციის დამუშავებისას და გამოქვეყნებული. იგი რომბისებური ფორმისაა, ორმხრივდამუშავებული მცოცავი რეტუმით, ყუნწი მკაფიოდ არა აქვს გამოკვეთილი (ნებიერიძე ლ. 1972: ტაბ. XLII).

წარმოების ნარჩენები წარმოდგენილია: კონუსური, პრიზმული, და მიკრონუკლეუსებით (ტაბ. XLV, 58, 69). მრავლადაა კაჟის კაჭრები, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ანატაკეც-ანამტვრევები და ხელკვერები.

იარაღების დამზადებისას იყენებდნენ ქვის გაპობის, ათლის, ხეხვის, პოლირებისა და მოკოდვის ტექნიკას. ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით იყო აღმოჩენილი ქვის სხვადასხვა ქანებისაგან გახეხვა-პოლირებისა და მაკროლითური ტექნიკით დამზადებული იარაღები-ცულები (ტაბ. XLIX, 1, 8-9; ტაბ. L, 1-5), სატეხ-სათლელები (ტაბ. XLVI, 1-2; ტაბ. XLVIII, 4-13), საჭრეთლები, საჩეხები, საპრიალებლები, თოხისებური და წერაქვისებური მაკროლითები – მინის დასამუშავებელი იარაღები (ტაბ. XLVII, 1-3, 6-7); ხელსაფქვავის ქვები, (ტაბ. XLIV, 2), სანაყები, სახეხები, საბეგველები, სოლისებური იარაღები, ასტამები, ხელჩაქურჩები, სანაფები (ტაბ. XLVI, 7), შურდულის

ქვები. იარაღების უმეტესობას მკაფიოდ ეტყობა გამოყენების კვალი. არის გაურკვეველი დანიშნულების იარაღებიც.

ქვის ნაწარმში რაოდენობრივი უპირატესობა აქვთ ცულებს. ისინი ტიპოლოგიურად მრავალგვარია, არის გვერდნახნაგაიანი, გვერდნობოიანი, გრძელი და წაკვეთილი ფორმისანი. სამუშაო პირი გახეხილ-გაპრიალებულია, ყუა კი ხშირად მოკოდვილი. განივკვეთი უმეტესად ოვალურია, თუმცა არის ბრტყელი ცულებიც (სიგრძე-9-18 სმ-მდე; სიგანე-3-7,5 სმ-დე მერყეობს). გვხვდება იარაღები გახვრეტის ცდებით (ტაბ. XLIX, 1). თუმცა არც ერთს სატარე ხვრელი არ გააჩნია. ხდებოდა დაზიანებული ცულების გადაკეთებაც ჩაქუჩებად ან სახეხებად.

თოხები სხვადასხვაგვარია. შემორჩენილია მათი პრიმიტიული ფორმებიც, უფრო სწორად თოხის პროტოტიპები (ე. წ. „გორბუშკები“) (ტაბ. XLVI, 5, 8), რომლებიც მიიღებოდა ოვალური რიყისქვის გრძელი გვერდის ატკეცვით. აქვთ სეგმენტისებური მოყვანილობა და შეზნექილი ქორდა. ცალი ბოლო ატეხილია ტარში ჩასმის მიზნით (ტაბ. II, 4; ტაბ III, 1, 2). ანალოგიური იარაღები ლ. სოლოვიოვის მიერ თოხად მიჩნეული, ცნობილია ცივ მღვიმიდან (ტაბ. III, 4). არის სხვადასხვა სახის თოხებიც. (ტაბ. XLIX, 4).

ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით იყო აღმოჩენილი თიხის ნეოლითური ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. XLIX, 18-20), რომლებიც ზღვისპირეთის ჰავისა და ნამოსახლარის ტერიტორიაზე წარმოებული მრავალჯერადი სამეურნეო თუ საამშენებლო სამუშაოების გამო მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული. მიუხედავად ყოველივესი, ცალკეული ნაწილების მიხედვით დგინდება, რომ ფრაგმენტები ეკუთვნოდა ბრტყელძირა, სწორკედლა, ქილისებურ, ქოთნისებურ და ტაფისებურ ნაკეთობებს. იშვიათად ჭურჭელს ოდნავ გადახრილი კედელი და მომრგვალო ან წანვეტებული ბაკოები ჰქონდა. ძირების დმ მერყეობს 5-17 სმ-მდე. ზოგიერთ ძირზე შეიმჩნეოდა ჭილოფის ანაბეჭდი. თიხა ხელით ნძერწია, უხეში, სუსტად გამომწვარი, ურევია სილა, ზოგზე კირის წვრილი ნაწილაკები და ნალვენთებიც შეიმჩნევა. ზედაპირზე ზოგჯერ ემჩნევა მოგლუების შედეგად გაჩენილი წვრილი ხაზები, ზოგის ზედაპირი კი დაშაპრულ-დაბზარულია. კეცი მორუხო-მონაცრისფრო ან მოვარდისფროა (Лукин А. П. 1950: 280).

კისტრიკის ნამოსახლარის ერთ-ერთ ორმოში აღმოჩენილია დანახშირებული მარცვლეული, რომელთა სახეობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. ძვლოვანი მასალა დადასტურებული არ ყოფილა, ამ რეგიონში უკვე აღნიშნული, არახელსაყრელი კლიმატის გამო. ხის დამუშავებასა და ტყის გაჩეხვაზე (ახოს აღება, საცხოვრებელი ნაგებობის მოწყობა) უნდა მიუთითებდეს მრავალრიცხოვანი ხე-ტყის დამამუშავებელი ქვის იარაღები. კისტრიკის მცხოვრებთა მეურნეობაში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მეთევზეობას, რასაც მოწმობს ძეგლზე აღმოჩენილი ბადის სანაფები.

ძეგლი გვიანნეოლითით თარიღდება.

კისტრიკის ნამოსახლარზე აღმოჩენილი იყო 6 ფრაგმენტი ქსოვილიანი კერამიკისა და ერთი კვირისტავი. ეს ნივთები შესაძლოა არც იყოს ძირითადი კომპლექსის კუთვნილება, რადგან ჯერჯერობით ამგვარი რამ არც ერთი ნეოლითური კომპლექსიდან ცნობილი არ არის. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს მასალა იყოს ინოვაცია და ნეოლითის ქრონოლოგიურ ჩარჩოში ამ კომპლექსის შედარებით გვიანდელობაზე მიუთითებდეს.

ვფიქრობთ, რომ ა. ლუკინი მართებულად მიიჩნევს კისტრიკის მობინადრეებს მთისწინა ზოლიდან ზღვის სანაპიროზე ჩამოსახლებულებად, რაც მისი აზრით სამეურნეო დაფერენციაციის მაჩვენებელი უნდა იყოს. იგი კისტრიკისთვის დასაბუთებულად მიიჩნევს პრიმიტიული მინათმოქმედების, მეთუნეობის, ნადირობის, მეთევზეობისა და მესაქონლეობის საწყისების არსებობასაც (Лукин А. П. 1950: 284).

ა. ლუკინის აზრით, მოსალოდნელია მთისწინეთის „ღია“ ნეოლითური ნამოსახლარების აღმოჩენა. მის დროს მთისწინა ზოლიდან მხოლოდ ერთადერთი ოდიშის ნამოსახლარი იყო ცნობი-

ლი. დღესდღეობით მარტო აფხაზეთის რეგიონში უკვე ექვსი „ღია“ ნეოლითური ნამოსახლარია აღმოჩენილი, რომ არაფერი ვთქვათ დასავლეთ საქართველოს სხვა „ღია“ ნეოლითურ ნამოსახლარებზე.

მიმოვიხილეთ რა აფხაზეთში სადღეისოდ არსებული ყველა ნეოლითური ძეგლი, დაწყებული უადრესი, მღვიმური მეზოლით-ადრენეოლითური სადგომებიდან (ცივი მღვიმე, აფიანჩა, აცი) შუა და გვიანნეოლითური ღია“ ნამოსახლარებით (გალი I, ლუმურიში, ჩხორთოლი, ქვ. შილოვკა, კისტრიკი) დამთავრებული, მკაფიოდ წარმოჩნდა ნეოლითური ტექნიკის, ნეოლითური ყოფის ჩასახვისა და მისი თანდათანობითი, ადგილობრივი განვითარების პროცესი. გამოვლინდა ის საფუძველი, რომელზედაც წარმოიქმნა მწარმოებლურ მეურნეობაზე ორიენტირებული, თვისებრივად ახალი მეურნეობის მქონე ნეოლითური დასახლებები. მკაფიოდ გამოიკვეთა ამ ძეგლების მახასიათებელი ნიშნები: კაჟის იარაღების დამუშავების მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის მიკროლითები, მაკროლითური ტექნიკისა (ორმხრივი ათლა) და ხეხვა-პოლირების მეთოდით ქვის სხვადასხვა ქანებისგან დამზადებული იარაღები და კერამიკა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამახასიათებელი ნიშნები სხვადასხვა ძეგლში განსხვავებული თანაფარდობით გვხვდება იმის და მიხედვით, თუ ძეგლს რა ადგილი უჭირავს ნეოლითის ქრონოლოგიურ ჩარჩოში.

ცხადად ჩანს, რომ ნეოლითის ადრეულ ეტაპზე ეს ნიშნები პრიმიტიულობითა და ფორმათა ჩამოუყალიბებლობით ხასიათდება (ადრეულ ეტაპებს კერამიკა არ ახასიათებს), შემდგომ კი მკაფიოდ შეინიშნება პროგრესული ელემენტების თანდათანობითი ჩასახვა და განვითარება სრულყოფისაკენ (კისტრიკი).

მეზოლით-ადრენეოლითური კულტურის ელემენტების ჩასახვა ზედა პალეოლითში მკაფიოდ ჩანს აფიანჩის მღვიმის ზედაფენების მაგალითზე, რომელშიც ფინალურზედაპალეოლითზე სტერილური შრის გარეშე უშუალოდ იყო დაფენებული გვიანმეზოლითური ფენის ორი პორიზონტი და შემდეგ ადრენეოლითური ფენა. აშკარაა, ამ კულტურების კაჟის ინდუსტრიების გენეტიკური კავშირი და ერთმანეთიდან გამომდინარეობა. ამგვარივე მაგალითი გვაქვს ცივი და აცის მღვიმეებიდანაც.

ნეოლითური კულტურის ელემენტები ჩასახული ჩანს ამავე რეგიონის გვიანმეზოლითში. აფხაზეთის მღვიმური მრავალფენიანი ძეგლებიდან აგრეთვე ნათლად გამოჩნდა, თვით მეზოლითური კულტურის ფესვები ზედაპალეოლითში. აფიანჩის მღვიმის მონაცემები, ნეოლითური ტექნიკის ჩანასახებს მეზოლითზე უფრო ადრეული ფენებიდანაც ავლენენ: ადრემეზოლითური (F) და ზედაპალეოლითური (E) ფენებიდან უკვე იწყება ფიქალის, ქვის მაგარი ქანებისა და რიყისქვის საიარაღე ნედლეულად გამოყენება და მათი პრიმიტიული დამუშავება (Соловьев Л. Н. 1967: 27). სახეზეა ნეოლითური ტექნიკის უადრესი საწყისები.

ყოველივეს მივყვართ დასკვნამდე, რომ ამ რეგიონის მეზოლით-ადრენეოლითური კულტურები ადგილობრივი წარმოშობისაა და ფესვებით ღრმად უკავშირდებიან წინარე კულტურებს.

მემკვიდრეობითობა მეზოლითურ კულტურასთან, აგრეთვე მკაფიოდ ჩანს „ღია“ ნეოლითური ძეგლების არქეოლოგიური კომპლექსების განხილვიდანაც. გენეტიკური კავშირი ამავე რეგიონის წინარე კულტურასთან ვლინდება გალი I-სა და ლუმურიშის ნამოსახლარების ქვის ინდუსტრიების დეტალური შედარებიდანაც.

გალი I-სა და ლუმურიშის კომპლექსის მოკლე ტიპოლოგიური დახასიათებაც კი ნათლად გვიჩვენებს ადრენეოლითიდან გვიანნეოლითზე გარდამავალ ნიშნებს, რაც მკაფიოდ ჩანს, როგორც გეომეტრიული მიკროლითების, ისე რიყისქვის იარაღების მაგალითზეც (ტაბ. XXVII, 26-71). კერძოდ, თუ ადრენეოლითისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ორფერდდამუშავებული ტრაპეციები, ლუმურიშში მათთან ერთად ჩნდება სამგვერდდამუშავებულებიც და საკმაოდ დახვეწილი

ფორმის სეგმენტები დაბლაგვებული რკალით, რომლებიც ერთ-ერთი ატრიბუტია, დასავლეთ ამერიკაკავასიის გვიანნეოლითური ძეგლებისა (ნებიერიძე ლ. 1972: 73). ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ გვიანნეოლითისათვის დამახასიათებელი გეომეტრიული მიკროლითების ყველაზე გვიანდელი ფორმები-ზურგათლილი მაღალი ტრაპეციები და ზურგათლილი სწორკუთხედები ლუმურიშს არ ახასიათებს.

გარდამავალი ნიშნები აგრეთვე კარგად ჩანს ლუმურიშის რიყისქვის იარაღების ტიპოლოგიური შედარებისას წინარე და მომდევნო საფეხურის ძეგლების მასალებთან. ადრენეოლითურ ნამოსახლარებთან შედარებით, ლუმურიშში მატულობს რიყისქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების რაოდენობა და ნაირსახეობა. უმჯობესდება მათი დამუშავების ხარისხი. ცულებს და სატეხ-სათლელებს უჩნდება გვერდითი წახნაგები და ნიბოები. აღნიშნული ელემენტები ადრენეოლითური რიყისქვის იარაღებზე არ გვხვდება, გვიანნეოლითური ძეგლებისათვის კი ფართოდაა დამახსიათებელი.

გალი I და ლუმურიშის ნამოსახლარებს კერამიკა არ ახასიათებს. ამ ნიშნით ისინი უახლოვდებიან ადრენეოლითურ ძეგლებს და განსხვავდებიან გვიანნეოლითურისგან.

ლუმურიშის ნამოსახლარის ქვის ინდუსტრიას უახლოესი პარალელები გააჩნია გალი I-ის, ჩხორთოლის, კისტრიკის, ოდიშისა და ანასეული II-ის მასალებთან. როგორც ვხედავთ, გვიანნეოლითის ზოგიერთი ნიშანი უკვე ისახება გალი I-სა და ლუმურიშის ტიპის ძეგლებში. მათი საშუალებით შესაძლებელი გახდა დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში ნეოლითის შუა საფეხურის გამოყოფა.

მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების შესწავლის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ იარაღების ეს სახეობა და საერთოდ მიკროლითური ტექნიკა არა მარტო ქრონოლოგიის მგრძნობიარე მაჩვენებელია, არამედ მითვისებითი მეურნეობის ხვედრითი წონისაც (ნებიერიძე ლ. 1986: 55-79). გვიანნეოლითურ ძეგლებში (ჩხორთოლი, ქვ. შილოვკა, კისტრიკი) გეომეტრიული ფორმის მიკროლითებს გარკვეული ხვედრითი წონა ჰქონდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მითვისებითი მეურნეობის ტრადიციულ დარგებს ჯერ კიდევ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ნეოლითელი ტომების მეურნეობაში.

როგორც განხილული ძეგლების კომპლექსებიდან ჩანს, მათში ტრადიციული და ინოვაციური ელემენტების შერწყმა სახეზეა. აშკარაა, რომ პროგრესული ელემენტები მეურნეობის ახალ, განვითარებად დარგებს უკავშირდებოდა.

გვიანნეოლითური საფეხურის კომპლექსები ნეოლითური ძეგლების საერთო მასიდან დღემდე ისევ გამოიყოფა მასალის ტიპოლოგიურ-შედარებითი ანალიზისა და გამორიცხვის მეთოდის საფუძველზე, რადგან ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი გვიანნეოლითური ფენის შემცველი არც ერთი მრავალფენიანი ძეგლი.

აფხაზეთის გვიანნეოლითური ძეგლების ქვის მასალისა და კერამიკის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი საშუალებას იძლევა გვიანნეოლითის ჩარჩოში ძეგლების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დადგენისა. ირკვევა, რომ ამ კომპლექსებს შორის შედარებით ადრეულია ქვედა შილოვკის ნამოსახლარი, ხოლო გვიანი-კისტრიკი.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის (აფხაზეთი) „ღია“ ნეოლითურ ნამოსახლართა მასალები მკაფიოდ გვიჩვენებენ მეურნეობის შერეულ ფორმას, რომელშიც შერწყმულია ტრადიციული და პროგრესული ელემენტები. არქაული ელემენტები ასახავენ მითვისებითი მეურნეობის დარგების (ნადირობა, მეთევზეობა, შემგროვებლობა) ნილს მეურნეობაში, ხოლო პროგრესულით საბუთდება ამ ნამოსახლარებზე მინათმოქმედების გარკვეული მნიშვნელობა. მთავარი და წამყვანი ამ მეურნეობაში იყო, განვითარებადი ელემენტები, რომლებიც სხვადასხვა კომპლექსში განსხვავებული რაოდენობითაა წარმოდგენილი.

ნეოლითური ნამოსახლარების მასალები ცხადჰყოფენ, რომ მწარმოებლური მეურნეობის ელემენტების ჩასახვის პროცესი ერთი ეპოქისა და რეგიონის ფარგლებშიც კი არ იყო ერთდროული. ზოგან მითვისებითი მეურნეობა შედარებით მეტ ხანს ინარჩუნებდა თავს.

აფხაზეთის რეგიონში ყველაზე მკაფიოდ ახალი ეკონომიკის ნიშნები თავს იჩენს ლუმურიშის, ჩხორთოლისა და კისტრიკის ნამოსახლარებზე, დანარჩენებზე მათი რაოდენობა შედარებით მცირეა. აღნიშნულ ნამოსახლარებზე კარგადაა წარმოდგენილი მაკროლითური ტექნიკით დამზადებული სამინათმოქმედო დანიშნულების იარაღები – წერაქვისნაირი, თოხისნაირი და წვერნამახული მაკროლითები; ხეხვის, პოლირებისა და მოკოდვის კომბინირებული ტექნიკით ნაკეთები მიწის დასამუშავებელი იარაღები, სხვადასხვა ტიპის ცულები, რომელთა დიდი ნაწილი ახოს ასაღებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არ არის გამორიცხული მათი ერთი ნაწილი მიწის დასამუშავებლადაც გამოყენებულიყო. მრავლადაა სამინათმოქმედო პროდუქტების დასამუშავებელი იარაღები – ხელსაფქვავის ქვები, ქვიჯები, საბეგველ-საცხეველები, სახეხ-სასრესები, სანაყები და სხვ. მკაფიო სერიითაა წარმოდგენილი სამკელი დანის ჩასართები – დაკბილული ლამელები. ყველაზე ნიშანდობლივი კი ცივ მღვიმეში აღმოჩენილი გარეული ღომის მარცვლებია და კისტრიკის სამეურნეო ორმოში დანახშირებული მარცვლეულის პოვნაა (Соловьев Л. Н. 1956: 27).

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთის პირობებში შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ საახოვე, თოხური, ურწყავი მინათმოქმედების ჩასახვა-განვითარება. ურწყავი იყო იგი ისტორიულად დასავლეთ კავკასიის მთელ რეგიონში, ასეთად რჩება იგი დღემდე (კიკვიძე, ი. 1976: 19). ახოს აღებასთან ერთად ტყის მოწვის სისტემაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ს. სემიონოვმა ექსპერიმენტალურად დაასაბუთა, რომ არსებული იარაღების საშუალებით მითვისებითი მეურნეობის ბაზაზე სრულიად შესაძლებელი იყო საახოვე მინათმოქმედების წარმოება (Семенов С. А. 1974: 122).

ამრიგად, აფხაზეთის ნეოლითური ძეგლების (ლუმურიში, ჩხორთოლი, კისტრიკი) მაგალითზე მინათმოქმედება მკაფიოდ დასტურდება. თუ ადრე საეჭვო იყო საქართველოს შავიზღვისპირეთის ძეგლების სამინათმოქმედო იარაღების კუთვნილება ნეოლითის უძრავი ფენისადმი, სადღეისოდ უკვე გვაქვს რიგი ნეოლითური ძეგლებისა უძრავი კულტურული ფენებით (ჩხორთოლი, ქვ. შილოვკა, ხორში), სადაც ტიპურ ნეოლითურ კომპლექსებთან ერთად დადასტურდა სამინათმოქმედო იარაღებიც (თოხისებური, წერაქვისებური იარაღები, ხელსაფქვავის ქვები და სხვ.).

აფხაზეთის ნეოლითური ძეგლების საფუძველზე უკვე დასტურდება ადგილობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი მწარმოებლური მეურნეობა, რომელიც ჩაისახა შავიზღვისპირეთის მთისწინა ზეგანბორცვოვან ზოლში, სადაც ყველაზე საუკეთესო პირობები იყო პრიმიტიული მინათმოქმედების განვითარებისთვის.

აფხაზეთისა და საერთოდ დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთის ნამოსახლარებზე მინათმოქმედების ფაქტის დადასტურების შემდეგ, ბუნებრივია დგება საკითხი, რომელმა კულტურამ ჩაუყარა საფუძველი მინათმოქმედებას ამ რეგიონში?

ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ ადრენეოლითში უკვე გვაქვს მითითება ველური ფეტვის კულტივირებისა, რისი მაუწყებელიცაა ცივ მღვიმეში მისი აღმოჩენა. აღნიშნული ფაქტი იმის უდავო მოწმობაა, რომ ამ რეგიონის მთისწინა ზოლში გავრცელებული ყოფილა მარცვლეულის ეს სახეობა, რომელსაც საკვებად იყენებდნენ მღვიმის ბინადარნი. მეცნიერთა (ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, კიკვიძე) მოსაზრება, რომ დასავლეთ კავკასიაში მინათმოქმედებას სათავეს უდებენ ფეტვისნაირები, არქეოლოგიურად საბუთდება ცივი მღვიმის მასალით. დასავლეთ კავკასიის ნეოლითურ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი სამინათმოქმედო დანიშნულების იარაღების შესწავლის საფუძველზე მივიღივართ დასკვნამდე, რომ ნეოლითელი ტომები უკვე გადასულნი იყვნენ მწარმოე-

ბლურ მეურნეობაზე და განვითარების გარკვეული გზა ჰქონდათ გავლილი.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში (აფხაზეთი) უკვე გვიან მეზოლითიდან და განსაკუთრებით მეზოლითიდან ნეოლითზე გარდამავალ ხანაში დაიწყო ინტენსიური ათვისება მდინარისპირა ტერასებისა, ხოლო ადრენეოლითში უკვე ათვისებულია მთისწინა ზეგან-ბორცვოვანი და შუა მთის ზოლი. შავიზღვისპირა ტერასაზე დასახლების ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი შემთხვევაა ცნობილი – კისტრიკის ნამოსახლარი. როგორც ჩანს, ამ რეგიონის ხელსაყრელმა ეკოლოგიურმა პირობებმა შექმნა რეალური შესაძლებლობა მწარმოებლური მეურნეობის ადრეული ჩასახვისათვის, რასაც ადასტურებს ნეოლითური ძეგლების (გალი I, ლუმურიში, ჩხორთოლი, კისტრიკი) მრავალრიცხოვანი, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სამეურნეო დანიშნულების იარაღები (თოხები, წერაქვები, სამკელი დანები, ხელსაფქვავის ქვები, ქვიჯები, სახეხსანაყები და სხვ.) და რაც მთავარია ამ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი მარცვლეულის ნაშთები (ცივი მღვიმე, კისტრიკი).

ამრიგად, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში (აფხაზეთი) განსახლებულმა უძველესმა ტომებმა ადრენეოლითში შექმნეს საფუძველი მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბებისათვის, რამაც განაპირობა შემდგომ ეპოქებში საზოგადოების გადასვლა განვითარების უფრო მაღალ, პროგრესულ საფეხურზე. ჩასახული მწარმოებლური მეურნეობის განვითარების შემდგომი გზა ხასიათდებოდა მწარმოებლური ეკონომიკის სვედრითი წონის თანდათანობითი ზრდით, შერეული, კომპლექსური მეურნეობის ტიპის მქონე, მეტად თავისებური, გვიანნეოლითური კულტურის ჩამოყალიბებით (ოდიშის კულტურა).

ოდიშის კულტურის ძეგლები მკაფიოდ გვიჩვენებენ ამ კულტურის გავრცელებას შავიზღვისპირეთის (აჭარიდან მოკიდებული ადღერის რ-მდე) მთისწინა ზეგან-ბორცვოვან ზოლში და მათ მჭიდრო კავშირს დასავლეთ კავკასიის დანარჩენ ნეოლითურ ძეგლებთან (ნებიერიძე ლ. 1986: 174).

აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური ძეგლების ერთობლივმა შესწავლამ, მკაფიოდ წარმოაჩინა, დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში გავრცელებული ერთგვაროვანი, ადგილობრივი და მეტად თვითმყობადი ნეოლითური კულტურა, რომელიც განსხვავდება მეზობელი მხარეების სინქრონული ძეგლებისაგან. ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, რომ შემდგომი კვლევა-ძიება აღმოსავლეთ საქართველოშიც გამოავლენს იდენტურ კულტურას, რის საფუძველსაც გვაძლევს სიონის (მარნეულის რ-ნი) ნამოსახლარის ანალოგიური კომპლექსი.

დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთის ნეოლითურ კულტურაში გამოყოფილია ორი ლოკალური ვარიანტი: მათგან ერთი მოიცავდა აფხაზეთის ტერიტორიას და ადღერის რაიონს (ქვედა შილოვკა, კისტრიკი), მეორე კი – სამეგრელოსა და გურიის ტერიტორიას (ოდიში, ანასეული II, გურიანთა, მამათი, ჩხორთოლი) (ნებიერიძე ლ. 1972: 108; 116).

აფხაზეთის რეგიონის ნეოლითური კულტურის მატარებელმა ტომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დასავლეთ კავკასიის უძველეს ისტორიაში.

დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთის „ღია“ ნეოლითური ძეგლებისათვის ჯერჯერობით არა გვაქვს რადიონახშირბადული (14C) თარიღები.

აფხაზეთისა და საერთოდ დასავლეთ კავკასიის ნეოლითური კულტურის ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დასადგენად სანამ, არ გვექნება ამ პერიოდის შესატყვისი რადიონახშირბადული თარიღები, ვეყრდნობით ტერიტორიულად და ქრონოლოგიურად ყველაზე ახლო მდგომ დასავლეთ საქართველოს მღვიმური ენეოლითის, კერძოდ ძუძუანის მღვიმის (ჭიათურის რ-ნი) თარიღებს.

მათგან ერთი თარიღი, რომელიც ბევრად ადრე იყო ცნობილი ძუძუანიდან ND-315 ძვ. წ. 4366+217. არა ერთხელ გვექონდა გამოყენებული დასავლეთ ამიერკავკასიის გვიან-ნეოლითური ძეგლების ზედა სავარაუდო თარიღის განსაზღვრისათვის. მისი გათვალისწინებით ნეოლითის ზედა ზღვარად მიჩნეული გვექონდა ძვ. წ-ით VI ათასწლეული.

სადღეისოდ უკვე ცნობილია, ამავე მღვიმის I ფენიდან დამატებით 5 ახალი, კალიბრებული თარიღი, რომლებიც ძირითადად ემთხვევა ადრე არსებულს. ესენია:

1. TB 315a 4372-4649 წწ. ძვ. წ-ით; 2. TB 315B 4992- 5373 წწ. ძვ. წ-ით; 3. TB 316a 3073-3461 წწ. ძვ. წ-ით; 4. TB 316B 4207- 4391 წწ. ძვ. წ-ით; 5. RTT- 5700 4318- 4393 წწ. ძვ. წ-ით (მეშველიანი თ., ყვავაძე ე., ჯაყელი ნ. 2011: 32). თარიღები გადმოყვანილია ძვ. ნელთალრიცხვის შესაბამისად.

როგორც ვხედავთ, ეს თარიღებიც ზოგადად აფიქსირებენ ძვ. ნელთალრიცხვით V ათასწლეულს. ამიტომ, ნეოლითური ძეგლებიდან რადიონახშირბადული (14C) თარიღების მიღებამდე, გვიანი ნეოლითის ზედა ზღვარად ჯერჯერობით ისევ რჩება ძვ. წ. VI ათასწლეული.

ლიტერატურა:

1. კალანდაძე კ. 1973, ლუმურიშის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1970 წელს ჩატარებულ სამუშაოთა შედეგები. მსკა, ტ. I. თბილისი.
2. კალანდაძე კ. 1974, ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971-1973 წწ. ჩატარებული გათხრების ანგარიში. მსკა, ტ. VI. თბილისი.
3. კალანდაძე კ. 1986, დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე. თბილისი.
4. კიკვიძე ი. 1976. მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი.
5. მეშველიანი თ. და სხვ. 2000, კოტიას კლდის მღვიმე და პალეოლითური ადამიანის პირველი სამარხი კავკასიაში. „ძიებანი“, №17-18. თბილისი.
6. მეშველიანი თ. 2011, დასავლეთ საქართველოში ნეოლითის წარმოშობის საკითხისათვის. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე II(47-B). თბილისი.
7. მეშველიანი თ. და სხვ., 2011, სახელმწიფო გრანტის „მონადირე შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა საქართველოში“ ფარგლებში 2002-2009 წწ. ჩატარებული სავლე არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. „ძიებანი“. №20.
8. მეშველიანი თ., ყვავაძე ე., ჯაყელი ნ. 2011, ჭიათურა-საჩხერის ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2008-2009 წლებში ძუძუანას მღვიმეში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. „ძიებანი“, № 20.
9. ნებიერიძე ლ. 1972, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბილისი.
10. ნებიერიძე ლ. 1975, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები საქართველოს ქვის ხანის ძეგლებში. მაცნე, ისტორიის სერია, № 3.
11. ნებიერიძე ლ., 1978. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბილისი
12. ნებიერიძე ლ. 1986, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები (გვიანმეზოლითი-ენეოლითი). თბილისი.
13. ნებიერიძე ლ. 1991, ნეოლითი. საქართველოს არქეოლოგია (აკადემიური გამოცემა), I. თბილისი.
14. ნებიერიძე ლ. 2011, დასავლეთ კავკასიის ნეოლითური კულტურის მცდარი ინტერპრეტაციის შესახებ (პასუხად ვ. ტრიფონოვს). კრ.: აფხაზეთი II. არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები. თბილისი.
15. ნებიერიძე ლ. 2012, დასავლეთ კავკასიის ნეოლითური კულტურა და ზოგიერთი მიუღებელი მოსაზრება. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაცნე, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია. № 4.
16. საბაშვილი მ. 1966, საქართველოს სსრ ნიადაგები. თბილისი.
17. წერეთელი ლ. 1973, მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში. თბილისი.
18. Бадер Н. О., Крайнов Д. А. 1972, Раскопки Ацинской пещеры. АО 1971. Москва.
19. Бгажба О. Х., Бжания В. В. и др. 1971, Археологические исследования в Абхазии. АО 1970 года. Москва.
20. Бжания В. В. 1970, Исследование памятников каменного века в Абхазии. „АО 1969 года“. Москва.
21. Бжания В. В., Соловьев Л. Н. 1973, Раскопки поселения Кистрик, „АО 1972 года“. Москва.
22. Бердзенишвили Н. З., Церетели Л. Д. 1978, Результаты работ Причерноморской археологической экспедиции. ПАИ в 1975 г. Тбилиси.

23. Бердзенишвили Н. З., Церетели Л. Д. 1979, Полевые работы Причерноморской археологической экспедиции. ПАИ в 1976 г. Тбилиси.
24. Бердзенишвили Н. З., Церетели Л. Д. 1979, Полевые работы Причерноморской археологической экспедиции. ПАИ в 1976 г. Тбилиси.
25. Бердзенишвили Н. З., Церетели Л. Д., Мгеладзе Н. Р. 1980, Пещерная стоянка Апианча. ПАИ в 1977 г. Тбилиси.
26. Бердзенишвили Н. З., Церетели Л. Д. 1983, К вопросу об истоках неолитической культуры Черноморского побережья Грузии (по материалам пещеры Апианча). Изыскания по мезолиту и неолиту СССР. Ленинград.
27. Бердзенишвили Н. З., Каландадзе К. С., Хубутиа Г. 1980, Неолитические поселения в Гальском районе. ПАИ в 1977 г. Тбилиси.
28. Бурчак-Абрамович Н. И. 1965, Фауна пещерных стоянок Южной Абхазии. „Пещеры Грузии „ № 7. Тбилиси.
29. Бурчак-Абрамович Н. И. 1969, Ископаемые позвоночные пещер Кавказа, „Acta musei Macedonici scientiarum naturalium”. t. XI, № 7, (97). Скопје.
30. Верещагин Н. К. 1939, Млекопитающие Кавказа. Москва-Ленинград.
31. Воронов Ю. Н. 1969, Археологическая карта Абхазии. Сухуми.
32. Воронов Ю. Н. 1970, Раннеэнеолитическое поселение у с. Цебельда в Абхазии. СА, № 4.
33. Воронов Ю. Н. 1979, Раскопки раннеэнеолитического поселения в пос. Верхняя Лемса (Цебельда). ПАИГ в 1976 г. Тбилиси.
34. Воронов Ю. Н. 1984, Памятники каменного века военно-сухумской дороги. Тбилиси.
35. Габуния М. К., Церетели Л. Д. 1977, Мезолит Грузии. КСИА, Памятники эпохи мезолита. в. 142. Москва.
36. Крайнов Д. А. 1958, Отчет Сочинского отряда Северо Кавказской экспедиции о раскопках Ацинской пещерной стоянки. Архив АН СССР. р. I, №1830.
37. Крайнов Д. А. 1965, Результаты раскопок Ацинской пещерной стоянки. Материалы сессии посвященной итогам археол. и этногр. исследований 1964 года в СССР. тез. докл. Баку.
38. Крайнов Д. А. 1960, Пещерная стоянка Таш Аир I как основа для периодизации послепалеолитических культур Крыма. МИА, №91. Москва.
39. Лукин А. Л. 1950, Неолитическое селище Кистрик близ Гудаут. СА, XII. Москва.
40. Любин В. П. Соловьев Л. Н. 1971, Исследования Малой Воронцовской пещеры на Черноморском побережье Кавказа. МИА, № 173. Москва.
41. Семенов С. А. 1974, Происхождение земледелия. Ленинград.
42. Соловьев Л. Н. 1940, О новых геологических и археологических наблюдениях, сделанных в Абхазии в 1938 году. КСИИМК, III. Москва.
43. Соловьев Л. Н. 1956, Значение археологического метода для изучения карста северной части Черноморского побережья Кавказа. Вопросы карста на юге европейской части СССР. Ялта.
44. Соловьев Л. Н. 1961, Об итогах археологических раскопок в гроте Хупинипшахва в 1960 г. Т А И , XXXII.
45. Соловьев Л. Н. 1965, Древнее поселение Кистрик в Абхазии. Материалы сессии, посвященной итогам археологических и этнографических исследований в 1964 г. в СССР. (тезисы докладов), Баку.
46. Соловьев Л. Н. 1965, Многослойное поселение Кистрик близ г. Гудаут. Тезисы докладов XVI научной сессии Абхазского института (об итогах научно-исследовательских работ 1964 г.). Сухуми.
47. Соловьев Л. Н. 1967, Неолитические поселения Черноморского побережья Кавказа – Нижнеши-

- ловское и Кистрик. Материалы по археологии Абхазии. Тбилиси.
48. Соловьев Л. Н. 1973, Гарпуны Холодного грота. „Кавказ и Восточная Европа в древности”. Москва .
 49. Соловьев Л. Н., Орелкин В. С. 1961, Находки костей человека в гроте Хупинипшахва (Холодный грот) в Абхазии. ВА.
 50. Соловьев Л. Н. 1978, Верхнепалеолитическая стоянка грота Кеп-Богаз в Абхазии. „Пещеры Грузии”, №7. Тбилиси.
 51. Соловьев Л. Н. 1987, Памятники каменного века Абхазии. Тбилиси.
 52. Трифонов В. А. 2009, Существует ли на Северо-Западном Кавказе неолит? Адаптация культур палеолита-энеолита к изменениям природной среды на Северо-Западном Кавказе. Теза. Санкт-Петербург.
 53. Формозов А. А., Столяр А. Д. 1960, Неолитические и энеолитические поселения в Краснодарском крае. СА, № 2.
 54. Формозов А. А. 1962, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа. МИА, № 102, М.
 55. Формозов А. А. 1963, Обзор исследований мезолитических стоянок на Кавказе. СА, № 4.
 56. Формозов А. А. 1965, Каменный век и энеолит Прикубанья. Москва.
 57. Церетели Л. Д. 1973, Мезолитическая культура Причерноморья Кавказа. Автореф. диссертация кандидата исторических наук. Тбилиси.
 58. Церетели Л. Д., Мгеладзе Н. Р. 1981, Раскопки многослойной пещерной стоянки Апианча. ПАИ в 1978 г. Тбилиси.
 59. Церетели Л. Д., Мгеладзе Н. Р. 1982, Раскопки пещеры Апианча. ПАИ в 1979 г. Тбилиси.
 60. Церетели Л. Д., Клопотовская Н. Б., Куренкова Е. И. 1982, Многослойный памятник Апианча (Абхазия). В сб.: „Четвертичная система Грузии”, к XI международному конгрессу по изучению четвертичного периода (ИНКВА). Тбилиси.
 61. Церетели Л. Д., Клопотовская Н. Б. 1982, Палеогеография древнего человека по материалам пещеры Апианча (Кавказское Причерноморье). Тез. докладов XI конгресса ИНКВА, 2. Москва.
 62. Церетели Л. Д. 1985, Остатки доисторического человека на территории Абхазии. ПАИ в 1982 г. Тбилиси.
 63. Церетели Л. Д. 1986, Результаты работ Кодорской археологической экспедиции. ПАИ в 1983 г. Тбилиси.
 64. Церетели Л. Д. 1987, Многослойный памятник Апианча. ПАИ в 1984-1985гг. Тбилиси.
 65. Церетели Л. Д., Коркия Л. О., Шатылова И. И., Куренкова Е. И. 1989, Некоторые результаты комплексного изучения пещерной стоянки Апианча. Геохронология четвертичного периода. Тез. докладов Всесоюзного совещания. Москва.
 66. Церетели Л. Д., Коркия Л. О., Шатылова И. И. 1990, Итоги археологического и палеонтологического изучения многоярусной стоянки Апианча. Сб.: Хроностратиграфия палеолита Северной, Центральной и Восточной Азии и Америки. Доклады Международного симпозиума. Новосибирск.
 67. Чайлд Г. 1956, Древнейший Восток в свете новых раскопок. Москва.
 68. Garrod D. and Bate D. 1937, The stone age of mount Carmel. Vol. 1. Oxford. Pl. VIII, 14, 27; IX, 30, 35.
 69. Mellart J. 1975, The neolithic of the Near East. L.
 70. Neuville R. 1951, Le paleolithique et le mesolithique du desert de Judee. „Archives de J Institut de paleontologie Humaine, memoire 24, Paris, fig. 51, 12-16; 56, 8; 69,30.

ტაბულების აღწერილობა:


- ტაბ. I. ქვაჭარის მღვიმე. გეგმა, განივი და გრძივი ჭრილები (წერეთლის მიხედვით).
- ტაბ. II. ქვაჭარის მღვიმე. ადრემეზოლითური ფენის კაჟის ინდუსტრია: 1-4- ნუკლეუსები; 5-13, 20-24- საფხეკები; 14-19- საჭრისები; 25-31, 33-35, 47-48-ლამელები; 36-41-სწორკუთხედები; 50-სეგმენტი; 56-57-სამკუთხედები და სხვადასხვა ტიპის იარაღები. (წერეთლის მიხედვით).
- ტაბ. III. ქვაჭარის მღვიმე. ადრემეზოლითური კაჟის ინდუსტრია (წერეთლის მიხედვით).
- ტაბ. IV. ქვაჭარის მღვიმე. ადრემეზოლითური ფენის ძვლის იარაღები (წერეთლის მიხედვით).
- ტაბ. V. ქვაჭარის მღვიმე. ადრემეზოლითური ფენის ძვლის იარაღები (წერეთლის მიხედვით).
- ტაბ. VI. იაშთხვას მღვიმე. ადრემეზოლითური კაჟის მასალა (წერეთლის მიხედვით).
- ტაბ. VII. ჯამპალის მღვიმე. გეგმა (წერეთლის მიხედვით).
- ტაბ. VIII. ჯამპალის მღვიმე. მეზოლითური ფენის კაჟის მასალა (წერეთლის მიხედვით).
- ტაბ. IX. ცივი მღვიმე (ხუბინიპშახვა). განივი ჭრილი (სოლოვიოვის მიხედვით).
- ტაბ. X. ცივი მღვიმე. 1-5-ძვლის ჭვილთები; 6-35, 36-42-კაჟისა და რიყისქვის იარაღები (სოლოვიოვის მიხედვით).
- ტაბ. XI. ცივი მღვიმე. რიყისქვის სხვადასხვა დანიშნულების იარაღები. 16-ქვის საკიდი (სოლოვიოვის მიხედვით).
- ტაბ. XII. აფიანჩის მღვიმე. გრძივი ჭრილი; აბსოლუტური თარიღები (წერეთლის მიხედვით).
- ტაბ. XIII. აფიანჩის მღვიმე. გვიანმეზოლითური ფენის (მე-2 და მე-3 ჰორიზონტები). 1-31-კაჟისა და ძვლის იარაღები (ნ. ბერძენიშვილისა და ლ. წერეთლის მიხედვით); 32-46-ამავე ფენის გამოუქვეყნებელი მასალა.
- ტაბ. XIV. აფიანჩის მღვიმე. ადრენეოლითური ფენა. 1-32-ქვისა და ძვლის იარაღები (ნ. ბერძენიშვილისა და ლ. წერეთლის მიხედვით); 33-38-გეომეტრიული ფორმის მიკროლითები (ამავე ფენის გამოუქვეყნებელი მასალა).
- ტაბ. XV. აფიანჩის მღვიმე. 1-30-ადრენეოლითური ფენის გამოუქვეყნებელი კაჟის მასალა.
- ტაბ. XVI. აფიანჩის მღვიმე. 1-15-ადრენეოლითური ფენის გამოუქვეყნებელი კაჟისა და ძვლის იარაღები.
- ტაბ. XVII. აფიანჩის მღვიმე. 1-8-ადრენეოლითური ფენის ქვის სხვადასხვა დანიშნულების იარაღები (გამოუქვეყნებელი მასალა).
- ტაბ. XVIII. ზემო ლემსა. ადრენეოლითური «ლია» ნამოსახლარი. თხრილებისა და ჭრილების გეგმა (ვორონოვის მიხედვით).
- ტაბ. XIX. ზემო ლემსას ნამოსახლარი. კაჟის მასალა; 1-5-ნუკლეუსები; 6-24 გეომეტრიული ფორმის მიკროლითები; 25-36-საფხეკები (ვორონოვის მიხედვით).
- ტაბ. XX. ზემო ლემსას ნამოსახლარი. 1-32-კაჟის სხვადასხვა დანიშნულების იარაღები (ვორონოვის მიხედვით).
- ტაბ. XXI. ზემო ლემსას ნამოსახლარი. 1-13- რიყისქვის სხვადასხვა დანიშნულების იარაღები (ვორონოვის მიხედვით).
- ტაბ. XXII. გალი I-ის ნეოლითური ნამოსახლარი. 1-სიტუაციური გეგმა. 31-36- კაჟის ნუკლეუსები (კ. კალანდაძის მიხედვით).


- ტაბ. XXIII. გალი I-ის ნამოსახლარი. 1-58-კაჟის მასალა (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXIV. გალი I-ის ნამოსახლარი. 1-12- რიყის ქვის იარაღები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXV. გალი I-ის ნამოსახლარი. 1-4-რიყის ქვის იარაღები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXVI. გალი I-ის ნამოსახლარი. რიყის ქვის იარაღების სახეხ-საპროალებლები და სახეხ-სასრესები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXVII. ლუმურიშის ნეოლითური ნამოსახლარი. 1-4, 11-15, 22-23- კაჟის ნუკლეუსები, გეომეტრიული ფორმის მიკროლითები და რეტუშიანი ლამელები(კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXVIII. ლუმურიშის ნამოსახლარი. 1-13, 15-21, 24-25-საფხეკები; 14-დანა, თავრეტუშიანი ლამელები, სახვრეტები, წვეტანისებური იარაღები (კ.კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXIX. ლუმურიშის ნამოსახლარი. 1-23-კაჟის სხვადასხვა ტიპის საჭრისები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXX. ლუმურიშის ნამოსახლარი. 1-14-რიყის ქვის იარაღები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXXI. ლუმურიშის ნამოსახლარი. 1-11- რიყისქვის იარაღები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXXII. ქვედა შილოვკის ნეოლითური ნამოსახლარის ჭრილები: 1-ა. ფორმოზოვისა და 2-სოლოვიოვის მიხედვით.
- ტაბ. XXXIII. ქვედა შილოვკის ნამოსახლარი.1-8-გეომეტრიული ფორმის მიკროლითები; 9-10-წვეტანები; 11-13-რეტუშით თავგამოყვანილი ლამელები (ფორმოზოვის მიხედვით).
- ტაბ. XXXIV. ქვედა შილოვკის ნამოსახლარი. 1-8- რიყისქვის იარაღები; 9-16- კერამიკა (ფორმოზოვის მიხედვით).
- ტაბ. XXXV. ჩხორთოლის ნეოლითური ნამოსახლარი. 1-სიტუაციური გეგმა, 2-1-7-კაჟის ნუკლეუსები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXXVI. ჩხორთოლის ნამოსახლარი. კაჟის მასალა. 1-13-საფხეკები; 14-15-სახვრეტები; 1-12-საჭრისები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXXVII. ჩხორთოლის ნამოსახლარი. კაჟის მასალა. 1-22, 26-28-დაკბილული და გვერდრეტუშიანი ლამელები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXXVIII. ჩხორთოლის ნამოსახლარი. კაჟის მასალა. 1-32-გეომეტრიული ფორმის მიკროლითები; 33-60-თავრეტუშიანი ლამელები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XXXIX. ჩხორთოლის ნამოსახლარი. 1-12-რიყის ქვის სხვადასხვა დანიშნულების იარაღები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XL. ჩხორთოლის ნამოსახლარი. 1-12-რიყის ქვის იარაღები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XLI. ჩხორთოლის ნამოსახლარი. 1-16-რიყის ქვის დაზიანებული იარაღები (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XLII. ჩხორთოლის ნამოსახლარი. 1-15-რიყის ქვის სახეხ-სასრესები; 16-ხელსაფქვავის ქვა (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XLIII. ჩხორთოლის ნამოსახლარი. 1-11-რიყის ქვის იარაღები; 12-თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (კ. კალანდაძის მიხედვით).
- ტაბ. XLIV. კისტრიკის ნეოლითური ნამოსახლარი. 1-სიტუაციური გეგმა. 2-ხელსაფქვავის ქვები (ლუკინის მიხედვით).
- ტაბ. XLV. კისტრიკის ნამოსახლარი. კაჟის მასალა (ლუკინის მიხედვით).

- ტაბ. XLVI. კისტრიკის ნამოსახლარი. რიყის ქვის იარაღები (ლუკინის მიხედვით).
 ტაბ. XLVII. კისტრიკის ნამოსახლარი. რიყის ქვის იარაღები (ლუკინის მიხედვით).
 ტაბ. XLVIII. კისტრიკის ნამოსახლარი. რიყის ქვის იარაღები (ლუკინის მიხედვით).
 ტაბ. XLIX. კისტრიკის ნამოსახლარი. რიყის ქვის ცულები და სატეხ-სათლელები, თოხი, 10-11-ზურგათლილი ტრაპეციები; 18-20-კერამიკა (ლუკინის მიხედვით).
 ტაბ. L. კისტრიკის ნამოსახლარი. რიყის ქვის პოლირებული ცულები (ლუკინის მიხედვით).



DESCRIPTION OF PLATES

- Pl. I Kvachara Cave. Plan and Cross Sections.
 Pl. II-III Kvachara Cave. Early Mesolithic flint industry.
 Pl. IV-V Kvachara Cave. Early Mesolithic bone objects (accord. Tsereteli).
 Pl. VI Iashtkhva Cave. Early Mesolithic flint objects (accord. Tsereteli).
 Pl. VII Jampali Cave. The plan (accord. Tsereteli).
 Pl. VIII Jampali Cave. Mesolithic flint objects (accord. Tsereteli).
 Pl. IX Tsivi Mgvime. Stratigraphic section (accord. Solovev).
 Pl. X-XI Tsivi Mgvime. Stone and flint artefacts.
 Pl. XII Apiancha Cave. Stratigraphic section. Absolute dates (accord. Tsereteli).
 Pl. XIII-XVII Apiancha Cave. Late Mesolithic and early Neolithic flint and bone implements (unpublished).
 Pl. XVIII Zemo Lemsა. Early Neolithic open settlement. The plan of trenches and cross sections (accord. Voronov).
 Pl. XIX-XXI Zemo Lemsა. Flint implements of various types (accord. Voronov).
 Pl. XXII Gali I, Neolithic settlement. 1-situational plan. 31-36-flint objects (accord. Kalandadze).
 Pl. XXIII-XXVI Gali I. Flint objects (accord. Kalandadze).
 Pl. XXVII-XXXI Ghumurishi Neolithic settlement. Stone instruments.
 Pl. XXXII Kveda Shilovka Neolithic settlement. Stratigraphic sections.
 Pl. XXXIII-XXXIV Kveda Shilovka settlement. Stone objects and ceramic material (accord. Formozov).
 Pl. XXXV Chkhortoli Neolithic settlement. Situational plan and flint objects (accord. Kalandaze).
 Pl. XXXVI-XLII Chkhortoli settlement. Flint and stone objects (accord. Kalandaze).
 Pl. XLIII Chkhortoli settlement. The fragments of pottery and stone tools (accord. Kalandaze).
 Pl. XLIV Kistriki Neolithic settlement. Situational plan.
 Pl. XLV-L Kistriki Neolithic settlement. Stone objects and ceramic fragments (accord. Lukin).






ქვაჭარის გამოქვაბული





განივი ჭრილი


ქვაჭარა



1959 წ.




















2-საინჟინერო უნივერსიტეტი
 ტბების
 (კადასტრი)



სანაპირო ზონის






ცივი მღვიმე
გაბიცი ქვილი






ლორდაანი მასივი


0 50 100 მ











































С. А. ДАВЫДОВ
ИЗДАНИЕ ПЕРВОЕ
1977 г.






















XXX


XXX



1




2



3



4




5



6




7




8



9



10



11




12





13



14







0 2M


1 2 3 4 5 6 7 8

ქვედა შილოვკის ნამოსახლარი. მდ. ფსოუს მარჯვენა ნაპირის ჭრილი (ა. ფორმოზოვის მიხედვით.)
 1. ჭაღის რუხი ფერის დანალექები; 2. შავი ფენა; 3. ბაცი თიხნარი; 4. ქვიშა; 5. რუხი კულტურული ფენა
 6. მოლურჯო-მონაცრისფრო თიხები; 7. შკეროვი ყვითელი თიხნარი; 8. კულტურული ნაშთები.






ქვედა შილოვკის ნამოსახლარის ჭრილი (ლ. სოლოვიოვის მიხედვით)
 1. მესამეულის თიხნარი; 2. 10 მეტრიანი ტერასის რიყნარი; 3. დელუვიური რიყნარი;
 4. თიხნარი; 5. კულტურული ფენა-ლიწები; 6. რუხი თიხნარი; 7. ბაცი ნაცრისფერი თიხნარი;
 8. მოყვანისფრო-მონაცრისფრო ქვიშნარი; 9. ჭაღის დანალექები.








არსოვანი 1977 წ. მ 1:50


























16























აფხაზეთის ენოლოგიისა და ადრებრინჯაოს ხანის კულტურა

§1. აფხაზეთის ენოლოგიისა და ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კვლევის შესწავლის ისტორია

აფხაზეთის სიძველეები თავიდანვე იპყრობდა საგანგებო ყურადღებასა და ინტერესს როგორც ცნობისმოყვარე მოგზაურთა, ასევე სპეციალისტ მკვლევართა შორის. ამათ რიცხვს ეკუთვნოდა დიუბუა დე მონპერე, მ. ბროსე, ა. უვაროვი, ვ. სიზოვი, ა. მილერი, ვ. სტრაჟევი, დ. ბაქრაძე და სხვა. მათ სპეციალური მეცნიერული გამოკვლევები ან გათხრები აფხაზეთში არ ჩაუტარებიათ, ამიტომაც მათი მოსაზრებები ზედაპირული, შთაბეჭდილებითი ხასიათისა იყო და აქედან გამომდინარე ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული. ცხადია ასეთ ვითარებაში გაკეთებული დასკვნები სამხრეთ კავკასიაში უძველესი კულტურების არარსებობის შესახებ სრულიად მცდარი იყო (Бжания В. В. 1967: 99-115).

აფხაზეთის ისტორიულ-არქეოლოგიურ სიძველეთა სისტემატური მეცნიერული შესწავლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო.

1922 წელს ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის სიძველეთა შესწავლის საქმეს. პირველი არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც დაფიქსირდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, იყო დოლმენები, რომელთა შესწავლასაც მიეძღვნა ბევრი მკვლევარის ნაშრომი, როგორც უცხოური, ასევე სამამულო.

დოლმენების შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს (ლ. ლავროვი, ა. სპიცინი, მ. ფელიცინი, რ. მუნჩაევი, ვ. მარკოვინი და სხვ.), მაგრამ ჩვენ მათ გარჩევას არ შევუდგებით.

1930 წლებში აღმოჩენილი იყო ეშერის და ოთხარას დოლმენები მ. ივაშჩენკოს მიერ. ეშერას დოლმენებს თხრიდა ბ. კუფტინიც (Куфтин Б. А. 1949: 258-322).

განსაკუთრებული დამსახურება დოლმენების შესწავლის საკითხში მიუძღვის პროფ. ოთ. ჯაფარიძეს. 1955-56 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედიციამ გათხარა ორი დოლმენ ეშერაში (II და III) და გამოიკვლია მ. ივაშჩენკოსა და ბ. კუფტინის მიერ 1934, 1937 წლებში გათხრილი და გამოუქვეყნებული დოლმენების მასალები. ოთ. ჯაფარიძემ გამოყო დოლმენებში ფორმების მიხედვით 3 ჯგუფი და მცირე დოლმენები ადრებრინჯაოს ეპოქას მიაკუთვნა (ჯაფარიძე ოთ. 1971: გვ. 212-240). ამავდროულად ხდებოდა უძველესი ნასახლარების ძიება და კვლევა, საკუთრივ ენოლოგიისა და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების შესწავლა დაკავშირებულია ლ. სოლოვიოვის სახელთან. აფხაზეთის ადრელითონების ხანის ნასახლარებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ოჩამჩირის ნასახლარი, რომელიც საზღვაო პორტთან მდებარეობს. არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 1935-36 წლებში მ. ივაშჩენკოს და ლ. სოლოვიოვის მიერ ბ. კუფტინის საერთო ხელმძღვანელობით (Соловьев Л. Н. 1939: 5-65).

1939 წელს ლ. სოლოვიოვმა აღმოაჩინა კამანისა და კალდახვარას ფარდულები, რომელთა მასალამ საშუალება მისცა მკვლევარს ისინი ენოლოგიის ეპოქისადმი მიეკუთვნებინა (Соловьев Л. Н. 1960: 75).

1945-46 წლებში ლ. სოლოვიოვმა აღმოაჩინა გუმისთას ნასახლარი და სამაროვანი (Соловьев Л. Н. 1958: 130), სადაც მან რამოდენიმე სამარხი გათხარა. მან ეს ძეგლი ადრებრინჯაოს ხანას მიაკუთვნა. გუმისთას ნასახლარს შემდგომში თხრიდა და იკვლევდა ვ. ბჟანია 1964-68 წლებში (Бжания В. В. 1969: 58, 62), რის შედეგადაც გუმისთას ნასახლარი ძვ. წ. III ათასწლეულის ფარგლებით დათარიღდა.

1968 წელს კოდორის ხეობაში აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ორი მღვიმე: ახრა-კამპში და პალი. სხვა კულტურულ ფენებს შორის დაფიქსირებული იქნა ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ფენაც (Бжания В. В. 1973: 65-71), მასალების გაანალიზების შედეგად მკვლევარმა ეს მღვიმეები ოჩამჩირულ კულტურას მიაკუთვნა.

1950-58 წლებში ლ. სოლოვიოვი თხრის და იკვლევს ვორონცოვის მღვიმეების სისტემას ადლერის რაიონში, მდ. კუდეფსტას ზედა დინების აუზში. ამ მღვიმეების გათხრამ საშუალება მისცა ავტორს კარდინალური საკითხები წამოეჭრა, როგორც ენეოლით-ადრებრინჯაოს კულტურასთან დაკავშირებით, ასევე მისი ურთიერთობის განსაზღვრით ჩრდილო კავკასიასთან (მაიკოპის კულტურა) (Соловьев Л. Н. 1958: 135-184).

1964 წელს ლ. სოლოვიოვი, ვ. ბჟანია და ი. ვორონოვი იკვლევდნენ სპილენძ-ბრინჯაოს ხანის სამაროვანს ახალ გაგრაში.. 1964 წელს ვ. ბჟანიამ გათხარა და გამოაქვეყნა მაჭარის ნასახლარის მასალები, რომლის ქვედა მე-4-ე და მომდევნო მე-3-ე ფენა ავტორმა ენეოლით-ადრებრინჯაოს მიაკუთვნა (Бжания В. В. 1966: 115). ამ ხანებშივე ენეოლითის კულტურული ფენები აღმოჩნდა სოხუმის ახლო გუადიხუს მთაზე. 1952-53 წლებში მ. ტრაპისა და ა. კალანდაძის მიერ მოპოვებული მასალა უმეტესად ქვის იარაღებისაგან შედგებოდა, რის მიხედვითაც ნასახლარი ენეოლითის ხანით განისაზღვრა. ეს ფენა სრულიად განადგურებული იყო გვიანი ბრინჯაოს და ანტიკური ხანის სამარხებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. წვინარიას გათხრები გუდაუთის ს. გუანდრაში, სადაც 3 კულტურული ფენა დაფიქსირდა. აქედან ქვედა ენეოლითის, ხოლო მომდევნო ადრებრინჯაოს ხანისა, ავტორი ათარილებს ძვ. წ. III ათასწლეულის ფარგლებით (Цвинария И. И. 1978: 97). ნასახლარმა მოგვცა ძალზე საყურადღებო მასალები არქიტექტურის, ქვის ინდუსტრიისა და კერამიკული ნაწარმის შესასწავლად.

1968-70 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხარა კლდოვანი ფარდული – ოქუმის მღვიმე (ნ. ბერძენიშვილი), სადაც 8 კულტურული ჰორიზონტი აღმოჩნდა. საკუთრივ ენეოლითის კულტურული ფენა ბრეკჩიის ორი შრის შუაში იყო მოქცეული და ძალიან მნიშვნელოვან მასალებს შეიცავდა (გ. ფხაკაძე 1979: 68-76).

1971 წელს დაიწყო გათხრები გუდაუთის რაიონში მდებარე გუანდრას ნასახლარზე, რომლის მონაპოვარმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზეთის სიძველეების შესწავლაში.

1969 წელს გამოვიდა ი. ვორონოვის არქეოლოგიური რუკა, არქეოლოგიური ეპოქების მოკლე დახასიათებით (Воронов Ю. И. 1969).

1969 წელს ვ. ბჟანიამ მცირე გათხრები ჩაატარა ახრა-კამპისა და პალის ფარდულებში და გათხარა გუმისთის ნასახლარი.

ოთხარას დოლმენი ჯერ კიდევ 1930 წელს აღმოჩნდა, მაგრამ მისი გათხრები ი. წვინარიამ 1975 წელს ჩაატარა. დოლმენი ს. ოთხარაში ზღვიდან საკმაოდ შორს, მთისწინა მაღალ ზოლში მდებარეობდა. იგი ძალზე საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ძველ ნასახლარზე იყო გამართული და ყორღანისებური ყრილიც ჰქონდა (Цвинария И. И. 1990: 12-70). ამავე პერიოდში მანვე გათხარა ხუაპის დოლმენების ჯგუფი.

აფხაზეთის სიძველეთა შესწავლის და გადარჩენის თვალსაზრისით დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურ ექსპედიციას (ხელმძღვანელი პროფ. მ. ბარამიძე). ექსპედიცია დაკავშირებული იყო კოლხიდმშენის პროექტთან და 1976-1990 წლებში დაზვერვებსა და გათხრებს აწარმოებდა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. შედეგად აღმოჩნდა 200-მდე ახალი არქეოლოგიური ძეგლი სხვადასხვა

არქეოლოგიური პერიოდისა. მათ შორის გალის რაიონში სოფ. ფიჩორში გაითხარა და ბოლომდე იქნა შესწავლილი ნასახლარი ცენტრალურ ბორცვზე, რომელიც შეიცავდა 8 კულტურულ ფენას ძვ. წ. III ათასწლეულიდან ახ. წ. VI საუკუნემდე. ის გახდა ეტალონური ძეგლი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთისა და საერთოდ კოლხეთის ძეგლების ქრონოლოგიური შკალის შედგენა მოხერხდა (Baramidze M., Pkhakadze G. 2008: 249-267).

§2. აფხაზეთის ენეოლითური კვლავი

ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი (აფხაზეთი) სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების სიუხვით გამოირჩევა. ამ ტერიტორიაზე კარგადაა წარმოდგენილი ენეოლითური ხანის ძეგლებიც. ისინი ორ გეოკლიმატურ გარემოში გვხვდება. ზღვისპირა ტერასებზე ღია ნასახლარები და ბორცვოვან ზოლში მღვიმეები. აფხაზეთის ენეოლითური ძეგლები ძირითადად ერთგვაროვანია და თავსდება ენეოლითის ქრონოლოგიური შკალის სხვადასხვა სიმაღლეზე. რის გამოც საერთო მსგავსებებთან ერთად აქვს ქრონოლოგიური განსხვავებებიც.

ამათგან ყველაზე ადრეულებია ატარას, ფსოუსა და გუად-იხუს ნასახლარები.

ატარა ოჩამჩირის რაიონში მდებარეობს მთისწინა პირველ ბორცვოვან ზოლში, ბუნებრივი ბორცვის თხემზე. იგი ითხრებოდა 1976-78 წწ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციის მიერ (რაზმის უფროსი გ. ფხაკაძე). ძეგლი ერთფენიანია კულტურული ფენის სისქე 30-45 სმ გაითხარა დაახლოებით 100 კვ მ ფართობი. მყარი სათავსოს დაჭერა არ მოხერხდა, მაგრამ მინატკეპნილი მოედნები, ზედ ნაცარ-ნახშიროვანი ლაქებით კერების ნაშთით, რომელთა გარშემო თავმოყრილი იყო არქეოლოგიური მასალა – კერამიკა და ქვის ნივთები – აშკარად მეტყველებენ აქ ნასახლარის არსებობაზე.

ქვის მასალა მცირერიცხოვანია, მაგრამ ტიპური. სიბრტყით გახეთქილი რიყის ქვისაგან დამზადებულია რამდენიმე საფხეკი, ქვის სალესი, არის ხელსაფქვავის ნატეხიც.

კაჟის ლამელები ურეტუშოა, მაგრამ გამოყენების კვალი ეტყობათ.

კერამიკულ მასალაში უპირატესად ძირებია შემორჩენილი, ბრტყელი სქელქუსლიანი. ქილებისა და ქოთნების ფრაგმენტები კარგად მოგლუვებული ზედაპირით გამოირჩევიან, რომელთაც პარალელური ხაზები ეტყობა – სავარცხლისებური იარაღით მოსწორების კვალი. კერამიკა ძირითადად მოვარდისფრო-ნაცრისფერი ან მონითალო ოქრისფერია. თიხის ცომში შემომჩნევა ქვიშის, კირისა და ქარსის მინარევები (Пхакაძე Г., Барамидзе М. 1977: 474-475) (ტაბ. II).

ფსოუს ნასახლარი მდებარეობს მდ. ფსოუს შესართავთან, ადღერის ახლოს. ამ ტერიტორიაზე გათხრები ჩატარებული არ ყოფილა, მაგრამ ლ. სოლოვიოვის დაზვერვების შედეგად აკრეფილი მასალა მისი ენეოლითური კულტურისათვის მიკუთვნების საშუალებას იძლევა. ნასახლარზე რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალეული იარაღი და კაჟი არ აღმოჩენილა. რიყის ქვის ნივთებიდან აღსანიშნავია „პიკის“ ტიპის იარაღები, ხელსაფქვალების ფრაგმენტები, ბადის სანაფები ორმხრივ ამოღარული თოკის ჩასაბმელად და „სოჭი-ადღერის“ ტიპის თოხების დიდი რაოდენობა.

კერამიკა ფოროვანია, სუსტად გამომწვარი, მურა-ნაცრისფერი. უმეტესობა სწორკედლიან ჭურჭლებს განეკუთვნება, რომელთა ზედაპირი დაკბილული იარაღით ან ტოტებითაა მოსწორებული, რაც მასზე პარალელურ ხაზებს ტოვებს. ჭურჭელი ძირითადად უყუროა, სადა (Соловьев Л. Н. 1939: 138).

გუად-იხუს ნასახლარი 1952-53 წლებში მიკვლეული იყო მ. თრაპშის მიერ. იგი ქ. სოხუმის ჩრდილოეთით მდებარეობს, სოხუმისა და ბირცხის საზღვარზე, ასევე ენეოლითადაა მიჩნეული. რიყის ქვის იარაღების გარდა ნასახლარი ფენა სრულიად განადგურებული იყო გვიანბრინჯაოსა და

ანტიკური ხანის სამარხებით. ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია გახეხილ-გაპრიალებული ცულები, თოხები, სანაფები, ხელსაფქვავეები. კერამიკა მუქია, შლადი და სუსტად გამომწვარი (Бжания В. В. 1969: 15).

ენეოლითურ ძეგლებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ოქუმის მღვიმე.

ოქუმის მღვიმე მდებარეობს გალის რაიონში, მდ. ოქუმის ხეობაში, მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ლუმურიშიდან 12 კმ-ზე. იგი ითხრებოდა 1968-70 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ნინო ბერძენიშვილი).

ოქუმი კლდოვანი მღვიმეა, კარსტული წარმოშობის, ფართობი 8X5 კვ მ, შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აქვს. დადგინდა 8 კულტურული ჰორიზონტი საერთო სიმაღლით 1.5 მ. ქვედა ჰორიზონტები პალეოლითურ ნაშთებს შეიცავს. I და III ჰორიზონტები სტერილური შეცემენტებული ბრეკჩიებია, ხოლო მათ შორის მოთავსებულია შავი და ნაცრისფერი ჰუმუსოვანი ნიადაგი, რომელიც ენეოლითის კულტურის ნაშთებს შეიცავს. ფენის სიმაღლე 15-20 სმ (ტაბ. III).

მიუხედავად იმისა, რომ ფენა თხელია და შესაბამისად შედარებით მცირერიცხოვან მასალას იძლევა, მისი სტრატოგრაფიული მდებარეობა ბრეკჩიის ორ ფენას შორის ამ მასალას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. მონაპოვარი შეიცავს კერამიკას, ქვისა და კაჟის ინვენტარს (ფხაკაძე გ. 1979: 68-76).

კერამიკა ხელით ნაძერწია, სუსტად გამომწვარი, რბილი, შლადი. კერამიკაში ორი ტიპის ნაწარმი გამოიყოფა: 1. თხელკეციანი ნატეხები სუფთა თიხისგან ნაკეთები წვრილმარცვლოვანი ქვიშის და ქარსის მინარევით და 2. შედარებით სქელკედლიანი ნატეხები, რომლის ცომში გარდა ქვიშისა კვარცის ზოგჯერ მოზრდილი ნატეხებიც გვხვდება. უმეტესობა ვარდისფრადაა გამომწვარი, ნაკლებია შავი ან ლეგა-მონაცრისფრო ფრაგმენტები, არის გადანატეხში ერთფენოვანი და სამფენიანი ნატეხიც. ჭურჭლის უმეტესობა ანგობირებულია და შემდეგ სუსტად მოპრიალებული. კერამიკა იმდენად ფრაგმენტულია, რომ მის აღდგენაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, მაგრამ ძირისა და პირ-გვირგვინის ფრაგმენტები მაინც იძლევიან ფორმებზე გარკვეულ წარმოდგენას.

პირის ფრაგმენტების მიხედვით ისინი კოჭბებს ან ქოთნებს უნდა ეკუთვნოდნენ. იგივეს მეტყველებს შემორჩენილი ჭურჭლის ყელის ნატეხები. ისინი ან მარტივი ცილინდრულია ან ცილინდრული წელში გამოყვანილი, ძირები სქელია, ბრტყელი კუთხოვანი გადასვლით კედლებზე. ყურები არ ჩანს, შემკულობა წარმოდგენილია წერტილოვანი ან ფოსოებიანი ორნამენტით, ამოკანრული ხაზებით ან ზედაპირი მოსწორებულია კბილიანი იარაღით, რომელიც პარალელურ ხაზებს ტოვებს (ტაბ. IV).

ქვის იარაღი ცოტაა, სატეხის ნამზადი და რიყის ქვის საპრიალებელი შუაში ღარით (ტაბ. V).

ოქუმის მღვიმეში შესანიშნავადაა წარმოდგენილი კაჟის მასალა, კაჟი კირქვიერი წარმოშობისაა მოთეთრო-მონაცრისფრო ან ღია ნაბლისფერი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კაჟის მიკროლითები: ორი ტრაპეცია, სეგმენტი და პატარა ზურგდაბლაგვებული ლამელა. ლამელები ძეგლზე კიდევ მთელი სერიებიტაა წარმოდგენილი. ისინი ორფერდაა, არის თავსწორი და თავრეტუშირებული ცალები. ზოგ მათგანს რეტუში არ აქვს, მაგრამ აშკარად გამოყენების კვალს ატარებენ. კოლექციაში სერიებიტაა წარმოდგენილი საფხეკები. ისინი ნებისმიერი ფორმის ანატკეცზეა დამზადებული. თუ ანატკეცი მოზრდილია უხეში რეტუში შემოუყვება, თუ მომცროა ფაქიზი მძივისებური. უმეტესობა დისკოსებრი ფორმისაა. გვაქვს დუბლირებული საფხეკიც და კომბინირებულიც (ტაბ. VI).

ნანახია პრიზმული ნუკლეუსი და უამრავი ქერცლისებური ანატკეცი, რომელიც იმის მაჩვენებელია, რომ კაჟის იარაღთა წარმოება ადგილზე ხდებოდა. არის ნუკლეუსზე დამზადებული სახოკიც.

ოქუმის კაჟის მასალა ძალზე არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებს და ამასთან დაკავშირებით გამოთქმული იყო ეჭვი, რომ ბრეკჩიების ქვედა ფენა (III) შესაძლოა არც ისეთი სტერილური იყო როგორც თავიდან ჩაითვალა, რის გამოც ენეოლითური ფენა არ იყო დაზღვეული ქვემოდან პალეოლითური ნაშთების შეღწევისაგან. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ამ ფენის ენეოლითის ხანისადმი მიკუთვნება არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგან ასაკი კერამიკული პროდუქციის მიხედვით არის განსაზღვრული. გარდა ამისა შუა და წინა აზიის მთელ რიგ ძეგლებზე სწორედ მიკროლითური იარაღების სიუხვე აღინიშნება (ფხაკაძე გ. 1979: 75).

პარალელური მასალების საფუძველზე (იმერეთის მღვიმეები. სამელე კლდე, საგვარჯილე, დარკვეთი, თეთრი მღვიმე, ძუძუანა და სხვ.) ოქუმის მღვიმე ენეოლითის განვითარებული საფეხურით განისაზღვრება.

ვორონცოვის მღვიმეთა სისტემა მდებარეობს ადღერის რაიონში, მდ. კუდეფსტას სათავეში, ზღვიდან 22 კმ მანძილზე. იგი ითხრებოდა 1953-54 წლებში აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ. ხელმძღვანელი ლ. სოლოვიოვი. მღვიმე ორსართულიანია, ქვედა მწკრივში მდებარეობს ფარდული „ოჩაჟნი“, ხოლო ზედა მწკრივში „ზალოჟენი“ და „კოლოკოლნი“. ამათგან „ოჩაჟნი“ ყველაზე არქაულია. გათხრების მცირე მასშტაბების მიუხედავად (გაითხარა მხოლოდ ერთი დარბაზი) აქ დიდძალი კაჟის და ქვის იარაღი აღმოჩნდა. რიყის ქვის კომპლექსი წარმოდგენილია სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული სოლისებური და ყუანამახვილებული ცულებით, სათლელ-სატეხებით, მოკოდვის ტექნიკით დამუშავებული „პიკის“ ტიპის იარაღებით, კვირისტავეებით და შესანიშნავად გახეხილ-გაპრიალებული სხვადასხვა პროფილის ქვის სერპანტინის და მერგელის სამაჯურებით (ტაბ. VII). კაჟის იარაღები მრავალგვარია და ქვას ბევრად ქარბობს. ზოგი მასიურ ანატაკეცზეა ჩამოყალიბებული და ორმხრივ დამუშავებული მცოცავი რეტუშით – საფხეკები, ჩასართები, წვეტანები, სახვრეტები, საჭრისები. განსაკუთრებით მრავალნაირია ისრისა და შუბისპირები: სამკუთხა, ყუნწიანი, სწორფუძიანი, რომბისებური, ფუძემომრგვალებული. ყველა მათგანი ორმხრივდამუშავებულია და ტექნიკის სრულყოფით გამოირჩევა (ტაბ. VIII).

ძვლის ნივთებიდან აღსანიშნავია სახვრეტები, მახათები, საპრიალებლები; ძალიან საინტერესო აღმოჩენაა ტახის ეშვისაგან დამზადებული ფირფიტები მრგვალნახვრეტის, გაპრიალებული ზედაპირით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კერამიკული პროდუქცია; იგი ხელით ნაძერწია, მურა ნაცრისფერი ან მოშავო, მრგვალძირიანი. აღდგენილი იქნა რამოდენიმე ჭურჭელი ქოთნის ფორმის, ბირთვისებური ტანით და ძაბრისებური ყელით, პირქვეშ მრგვალი და სამკუთხა ფოსოები შემოუყვება. სულ ზედა ნაწილში ოქროს სპირალური საკიდეა ნაპოვნი (ტაბ. IX).

„ოჩაჟნის“ კერამიკა იმეორებს კრასნოდარის მხარის, ყუბანისპირეთის მთელი რიგი ძეგლების ფორმა-პროფილებს, რომლებიც ადრემაიკოპურ ან წინამაიკოპურ კულტურისთვისაა დამახასიათებელი (Соловьев Л. Н. 1958: 48-50).

იგივე ადრემაიკოპურ მასალებში პოულობენ ანალოგებს ქვის სამაჯურებიც (მეშოკო, იასენოვა, პოლიანა, ვესიოლიე და სხვ.).

ამავე დროს „ოჩაჟნის“ ფარდულის ქვისა და კაჟის მასალები და კერამიკა ახლოს დგას იმერეთის მღვიმეთა მასალებთან.

ძეგლის გამთხრელი ლ. სოლოვიოვი თავდაპირველად ამ მასალებს ნეოლითს აკუთვნებდა, ხოლო შემდეგ დააზუსტა ასაკი და გვიან ნეოლითით და ადრე ენეოლითით განსაზღვრა.

ვორონცოვის მღვიმეთა სისტემის ზედა მწკრივში მდებარეობს ფარდულები „კოლოკოლნი“ და „ზალოჟენი“. ორივე ფარდული თანადროულ და მსგავს ინვენტარს იძლევა. ქვის იარაღების რაოდენობა შემცირებულია; წარმოდგენილია თითო სოლისებური ცულითა და სატეხისებური იარაღით;

ასევეა კაჟის რამოდენიმე საფხეკი და ერთი ორმხრივდამუშავებული ასიმეტრიული ისრისპირი. ჩნდება თიხის კვირისტავეები, ზოგჯერ ორნამენტირებული ფრჩხილისეული ნაჭდევეებით (ტაბ. X).

კერამიკა ძველ ტრადიციებს განაგრძობს, მხოლოდ ჭურჭლის ზედაპირი უფრო მოგლუვებულია. სფერულტანიანი და ძაბრისებურყელიანი ფორმების გვერდით ცილინრულყელიანი ქოთნები, ბადიები და დერგისებური ჭურჭლები ჩნდება ყურის ჩანასახით. ორნამენტი რელიეფური სარტყელია ყელზე ან მხრის დასაწყისში ზედ ანაბეჭდებით. ამასთან ერთად თავს იჩენს მალაღბარისხოვანი წითლად და მოყავისფროდ გაპრიალებული კერამიკის ფრაგმენტები, აშკარად იმპორტული (Соловьев Л. Н. 1958: 152-153) (ტაბ. XI).

ფარდულ „ზალოჟენში“ ნანახია სპილენძის ორმხრივლესილი დანისპირი (?). მასალისა და პარალელების მიხედვით ვორონცოვის მღვიმეთა სისტემა ენეოლითის განვითარებულ ეტაპს მიეკუთვნება. აქვე არის კიდევ ერთი ფარდული ტონელი, რომელიც გვიან ბრინჯაოს მასალებს შეიცავს.

ენეოლითური კულტურის ნაშთები აღმოჩნდა ახშტირის მრავალფენიან მღვიმეში. ახშტირის მღვიმე მდებარეობს მდ. მზიმთას მარჯვენა ნაპირზე (აღლერის რაიონი). ძეგლს იკვლევდა ს. ზამიატინი (მასალები ლენინგრადის ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმშია დაცული), მაგრამ იგი გამოქვეყნებული არ ყოფილა. მღვიმეში 5 მ სისქის დანაღებებში ხუთი ფენა გამოიყო. აქედან ორი ენეოლითურ მასალებს შეიცავდა. ს. ზამიატინს ეს ფენა ჯერ ნეოლითურად მიაჩნდა, შემდეგ კი ენეოლითად განსაზღვრა. ამ ორი ფენიდან ქვედა უფრო არქაული ჩანს. აქ ნაპოვნია მიკროლითები-ტრაპეციები, თავრეტუშირებული ლამელები, ფოთლისებური ორმხრივდამუშავებული შუბისპირი, გახეხილ-გაპრიალებული ქვის სათლელი, სახვრეტები, საპრიალებლები და სხვ.

კერამიკა ანალოგიურია დასავლეთი ამიერკავკასიის დანარჩენი მღვიმეების მასალის, ბრტყელი, სქელქუსლიანი ძირებით, მომრგვალებული კორპუსით, ორნამენტი იშვიათია, მათ შორის არის „თევზიფხური“, როგორც ოქუმსა და დარკვეთში.

ანალოგიური მასალებია მოლდოვკასა და იმერეთის ყურედან (ნებიერიძე ლ. 1978: 140-142).

აფხაზეთის ტერიტორიაზე გათხრილი და შესწავლილია ისეთი ძეგლები, სადაც სტრატოგრაფიულ ჭრილში მოცემულია როგორც ენეოლითური, ასევე ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენები. ასეთი ძეგლებია მაჭარას და გუანდრას ნასახლარები.

მაჭარას ნასახლარი გულრიფშის რაიონში მდებარეობს, მდ. მაჭარის ზღვასთან შერთვის ადგილას და ზღვისპირა ტერასული დასახლებების ტიპს განეკუთვნება. იგი მიკვლეული იყო ე. შანცერის და ვ. გრომოვის მიერ 1936 წელს. 1962 წელს ის მოინახულა მ. თრაპშმა, ხოლო 1964 წელს ძეგლის გათხრები დაიწყო აფხაზეთის დ. გულუას სახ. ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ ვ. ბჟანიას ხელმძღვანელობით.

ნასახლარზე სტრატოგრაფიულად 4 კულტურული ფენა დადგინდა (Бжания В. В. 1966: 115). ამათგან ქვედა IV ფენა სწორედ ენეოლითის ხანას მიეკუთვნება, იგი ზოგ ადგილებში ზედა III ფენისაგან 0.15-0.2 მ სისქის სტერილური შრითაა გამოყოფილი. ენეოლითური საცხოვრისის ნაშთები მუქ ან ღია ნაცრისფერ ქვიშნარშია განლაგებული და წარმოდგენილია რიყის ქვის გროვებითა და ნაცროვანი ლაქებით, რომელთა ირგვლივ რიყის ქვებია გარშემოწყობილი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა ორმო-ნახევრადმინური.

შედარებით ბრტყელი ფორმის რიყის ქვები, რამოდენიმე ადგილას მჭიდროდ იყო ჩანყობილი ერთმანეთის გვერდით და ქვაფენილის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ამ „მოედნებზე“ იყო კონცენტრირებული მონაპოვართა უმრავლესობა.

ქვის ინდუსტრია წარმოდგენილია კაჟის რამოდენიმე ანატკეცით და უამრავი რიყის ქვის იარაღით: საჭრელებით, სატეხებით, საფხეკებით, სამტვრევებით, დისკოსებური ფორმის ე. წ. „სოხუმის ტიპის“ თოხებით და სხვ. ბევრია ხელსაფქვავეები.

იარაღი დამზადებულია ატკეცვის ტექნიკით სიბრტყით ნაპობ რიყის ქვებზე, რომელთა ნაპირები დამატებითი დარტყმით არის ნამახვილებული.

ქვედა ფენის კერამიკა ერთი ტიპისაა. უხეშად ნამზადია, ურევია დაფხვნილი გრანიტის, ქვიშისა და კალციტის ნაწილები. გამომწვარია სუსტად მურა-მონითალო ან მოყავისფროდ. აქვს მასიური ქუსლიანი ბრტყელი ძირები, ზედ ჭილოფის ან ფოთლების ანაბეჭდით, ჭურჭლის ფორმებში ნამყვანი ფიალისებურია, მომრგვალებული გვირგვინით, რომელიც ზოგ შემთხვევაში პირმოყრილია და ზოგჯერ პირგადაშლილი. ყურები არ ჩანს, არც ორნამენტი (ტაბ. XII). ჭურჭლის ზედაპირი თითქმის ყოველთვის მოსწორებულია რაღაც სავარცხლისებური იარაღით ან ბალახის კონით, რომელიც შესაძლოა ერთგვარ დეკორად მიიჩნეოდა. ვ. ბჟანია მაჭარის IV ფენის მასალების გაანალიზების შედეგად, განსაკუთრებით კი ანაბეჭდიანი ძირების მსგავსების საფუძველზე ოჩამჩირის მასალებთან, აკეთებს დასკვნას, რომ მაჭარაცა და ოჩამჩირეც ერთი კულტურული წრის ძეგლებია, მხოლოდ მაჭარა უფრო ადრეულია და წინ უსწრებს ოჩამჩირეს. მაჭარის IV ფენის თარიღია C^{14} 3810 ± 90 . მაჭარას ნასახლარის მე-3-ე ფენა ადრებრინჯაოს განეკუთვნება და მას შემდეგ განვიხილავთ.

გუანდრას ნასახლარიც ზღვისპირა ტერასაზე მდებარეობს, ახალ ათონთან ზღვის სანაპიროსა და აფიკაფსარის ბორცვოვან მასივს შორის. გუანდრა ითხრებოდა 1971 და მომდევნო წლებში აფხაზეთის დ. გულუას სახ. ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ. ხელმძღვანელი ი. წვინარია. გათხრილი ფართობი 170 კვ მ-ია. დადასტურდა სამი კულტურული ფენის არსებობა. ზედა A ფენა სრულიად განადგურებული იყო ყოველწლიური მიწის სამუშაოების გამო. ფენა B ადრებრინჯაოს განეკუთვნება, ხოლო ქვედა B კი განსაზღვრულია ენეოლითის ეპოქით (Цвинария И. И. 1978: 11-12).

B ფენა – ენეოლითი – უძველესია და პირდაპირ ქვიშნარ გრუნტზე დევს. მომდევნო ფენისაგან ვინრო სტერილური შრითაა გამოყოფილი. ნასახლარზე აღმოჩენილია მრგვალი ფორმის ძირისაკენ შევიწროვებული ნახევრადმინურები (დმ 3.2-5.6 მ-მდე). მათ მოტკეპნილი იატაკები ქონდათ. ნახევრადმინურის ნაპირებზე განლაგებული ფოსოები სარებზე შემოწნულ და თიხით შემოლესილი ფაცხისებური ნაგებობების არსებობას ადასტურებდა.

არქეოლოგიურ მასალას შეადგენს რიყის ქვის იარაღები, კაჟის ანატკეცები და კერამიკა.

რიყის ქვის იარაღებიდან ყურადღებას იპყრობს სოლისებური სატეხები და ცალპირლესილი სათლელები, რომლებიც გახეხვა-გაპრიალების ტექნიკითაა დამზადებული. „სოჭი-ადლერის“ და „სოხუმის“ ტიპის თოხები, „პიკის“ ტიპის იარაღები, რიყის ქვის მრგვალი ბადის სანაფები მოპირდაპირე გვერდზე ამოღარული, ატკეცვა-მოკოდვის გზითაა დამზადებული. კაჟის მასალა უხვადაა წარმოდგენილი, მაგრამ იარაღები არ არის, თუმცა ზოგ ანატკეცს ნამუშევრობის კვალი ატყვია.

კერამიკა უხეშია, მაგრამ კარგად გამომწვარი, ურევია ქვიშა, კალციტი, კვარცი და შპატი. უმეტესად არის მურა-მოშავო, მოყავისფრო, მურა მონითალო და ნაცრისფერიც. ფორმები: ქილები, ქოთნები, ღრმა ჯამები, სწორკედლებიანი ჭურჭელი. კერამიკა შემკობის სიუხვით გამოირჩევა. არის ჭრილი, ღარული სახეები, ზედაპირის მოსწორების კვალი, შედარებით ნაკლებია წერტილოვანი ორნამენტი. ჭურჭლის გვირგვინზე ზოგჯერ ნაჭდევები აღინიშნება (ტაბ. XIII). პარალელური მასალების გათვალისწინებით აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ძეგლებიდან გუანდრის B ფენას ავტორი ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოსა და ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისს შორის ათავსებს.

ჩრდილო დასავლეთ კოლხეთის (აფხაზეთის) ენეოლითის ხანის ყველა ჩვენს ხელთარსებული ძეგლების აღწერის შედეგად გაირკვა, რომ ორი ტიპის ნასახლარებთან გვაქვს საქმე. ღია ნასახლარები: ფსოუ, ატარა, მაჭარა, გუანდრა და მღვიმე ნასახლარები: ოქუმი, „ოჩაჟინი“, „კოლოკოლინი“, „ზალოჟენი“, ახშტირი. არცერთ ჩამოთვლილ ძეგლზე მყარი საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთი

აღმოჩენილი არ ყოფილა. თუმცა გამთხრელები ვარაუდობენ, რომ მაჭარასა და გუანდრაზე მიწურები და ნახევრადმინურები უნდა ყოფილიყო, რომლის ზედა ნაწილი სარ-ლასტზე მოწნული და ზოგჯერ თიხით შელესილი იქნებოდა „ფაცხის“ მსგავსად (ფხაკაძე გ. 1993: 51).

ნასახლარებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ძირითადად ერთგვაროვანია. ესაა ქვა, კაჟი, კერამიკა, იშვიათია ძვლისა და რქის ნივთები. მასალა თავმოყრილი იყო სავარაუდო საცხოვრებელთა იატაკებზე ან ქვითშემონყობილი ნაცროვანი ორმოების (კერები?) გარშემო.

ქვის იარაღების ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური ანალიზი აშკარად ადასტურებს, რომ ინდუსტრია ძლიერი ნეოლითური ტრადიციების კვალს ატარებს. ფართოდ იხმარება რიყის ქვის, ბაზალტის, სერპანტინის და ქვის სხვა ჯიშებისაგან დამზადებული იარაღები. განსაკუთრებით აღსანიშნავია რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული ცალპირლესილი და სოლისებური ცულები, სათლელები, სატეხები და სხვ., რომლებიც პირდაპირ ანალოგიებს წარმოადგენენ ქვედა შილოვკისა და კისტრიკის ნეოლითური იარაღებისა. ნეოლითშივე იწყებს გამოჩენას ქვის იარაღების დამუშავების ახალი ტექნიკა – ატკეცვა და მოკოდვა, რომელიც ენეოლითსა და შემდეგ ადრებრინჯაოში ვითარდება და აფხაზეთისათვის უნივერსალურ ხასიათს იღებს.

ატკეცვა-მოკოდვითაა დამზადებული ენეოლითური იარაღების უმრავლესობა: ცულები, სატეხები, სათლელები, თოხები, „პიკის“ ტიპის იარაღები. ფართოდ იხმარებოდა სიბრტყით გაპოხილი რიყის ქვები, რომელთა ნაპირების დამატებით ჩამოტეხვისა და წამახვილების შედეგად გამოიყენებოდა საფხეკებად, საჭრისებად და სხვ. ქვის ინდუსტრიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვის თოხებს. „სოჭი-ადლერის“ რეგიონის ძეგლებიდან ცნობილია ე. წ. „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხები, მას ვინრო ყუა აქვს და მომრგვალებული სამუშაო პირი. ამ ტიპის თოხებზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მიიჩნევენ მათ ცულებად, სათლელებად, კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სეგმენტების პროტოტიპად და სხვ. სადღესოდ ერთი ცხადია, რომ იგი მინათ-მოქმედებასთანუნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამ თოხებს პარალელები წინა აზიის მასალებში ეძებნება სუზა I, ჯემდეთ-ნასრი, ხასუნა, სიალკი (რ. მუნჩაევი, ა. ფორმოზოვი), სადაც ასევე სამინათმოქმედო იარაღად ითვლება (ფხაკაძე გ. 1993: 61).

მაჭარასა და გუანდრას ნასახლარებზე ამასთან ერთად გვხვდება მეორე ე. წ. „სოხუმის ტიპის“ თოხი. იგი დისკოსებური ან ოდნავ ოვალური ფორმისაა, დამზადებულია ატკეცვა-მოკოდვით და სამუშაო ნაპირები დამატებითაა დამუშავებული, ჩამოსწორებული და წამახვილებული. ორივე ტიპის თოხი ადრებრინჯაოშიც განაგრძობს არსებობას (ტაბ. IX).

კაჟის იარაღები აფხაზეთის ენეოლითურ ძეგლებზე ძალზე უმნიშვნელოდაა წარმოდგენილი, ესაა ანატკეცვები და უხეში ლამელები რეტუმის გარეშე, ზოგჯერ ნამუშევრობის კვალით.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ოქუმისა და ახშტირის მღვიმეები. აქ ნაპოვნია გეომეტრიული მიკროლითები, ტრაპეციები და სეგმენტების მთელი სერია თავსწორი და ტავრეტუშირებული ლამელებისა, ზურგდაბლაგეხული ლამელა, პრიზმული ნუკლეუსი, სახოკებად გამოყენებული ნუკლეუსები და სხვა. ასეთივე კომპლექსითაა კაჟის იარაღები წარმოდგენილი ახშტირის მღვიმეში: ტრაპეციები, თავრეტუშირებული ლამელები, ფოთლისებრი ორმხრივდამუშავებული შუბისპირი; კაჟის ორმხრვდამუშავებული ისრისა და შუბისპირების სიმრვალით გამოირჩევა „ოჩაჟნი“ ფარდულიც. კაჟის ზემოთაღნიშნული იარაღები ნეოლითური ტრადიციების ძლიერ კვალზე მიგვითითებენ და ამავე დროს საფუძვლიანად მიგვანიშნებენ, რომ მღვიმეთა ენეოლითური კულტურული ფენები ამავედროულად ღია ნასახლარებზე (მაჭარა, გუანდრა) უფრო ადრეულებია. ამას მოწმობს არა მარტო კაჟის ინდუსტრიის ანალიზი, არამედ ასევე კერამიკული პროდუქცია.

ენეოლითური კერამიკა მთლიანობაში ასევე ნეოლითურ ტრადიციებს უკავშირდება. იგი ხელით ნაძერწია, სუსტად გამომწვარი, ძირითადად მსხვილმარცვლოვანი, ქვიშის კვარცის (ატარა) და ქარსის ჩანართებით (ოქუმი). ასევე შედგება დაფშვნილი გრანიტის, კალციტის (მაჭარა), შამო-

ტის ჩანართებისაგან (გუანდრა) და ა. შ. კერამიკა არათანაბარი ფერისაა, გამომწვარია მონაცრისფრო-მონითალოდ, მურა-მოვარდისფროდ, მურა-მოშავოდ, გამოირჩევა სწორკედლიანი ქილები, ყელიანი ქოთნები, პირმომრგვალებული ჯამები, პირგადაშლილი ფიალები. ჭურჭლის ჯერ კიდევ სველი ზედაპირი მოსწორებულია რალაც დაკბილული საგნით, რომელიც მასზე პარალელურ ხაზებს ტოვებს. ძირები მასიურია, ბრტყელი, ქუსლიანი. ჭურჭელი ზოგჯერ ანგობირებულია და მოგლუვებული ან მოპრიალებული (ოქუმი, გუანდრა).

ორნამენტი იშვიათია, უმეტესად ფოსოებია ან ნერტილები პირქვეშ, ამოკანრული ირიბი ხაზებით ან წიწვისებური „თევზიფხური“ (ოქუმი, ახშტირი), ძირზე ფოთლის ან ჭილოფის ანაბეჭდით (მაჭარა, ატარა). ყურები არ აქვთ. გუანდრის ჭურჭელზე შვერილი კოპებიც ჩანს, რაც მისი ყველაზე გვიანდლობის დამდასტურებელია.

C¹⁴ თარიღი მაჭარის IV ფენიდანაა აღებული, ესაა 3810±90, რაც ძვ. წ. IV ათასწლეულის დასაწყისია, შესწორებული, კალიბრირებული დათარიღებით. ენეოლითის ძეგლების საერთო ასაკი ძვ. წ. V ათასწლეულში გადადის.

ნიშანდობლივია, რომ ძუძუანას მღვიმის ზედა ენეოლითური ფენის თარიღი ახლახან განსაზღვრული იყო 4318-4393 ძვ. წ. (BTT-5700).

აფხაზეთის ენეოლითური მასალები ახლო პარალელებს იმერეთის რიონ-ყვირილას აუზის ძეგლებში პოულობენ, როგორც ქვის იარაღების ფორმა-დანიშნულების, ასევე კერამიკული პროდუქციის სახით (სამელე კლდე, დარკვეთი, საგვარჯილე II ფენები, ძუძუანა, თეთრი მღვიმე და სხვ.).

აფხაზეთის ენეოლითურ ძეგლებზე მოპოვებული ქვისა და კაჟის იარაღების მორფოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ჯგუფების ნასახლარებზე მეურნეობის განსხვავებული ხასიათი ფიქსირდება, რაც კარგად აისახა სამეურნეო დანიშნულების ქვის იარაღების კომპლექსებში.

ღია ტერასულ ნასახლარებზე (მაჭარა, გუანდრა, ფსოუ, გუად-იხერ) „პიკის“ ტიპის ნერაქვისებური იარაღების სიჭარბე სამინათმოქმედო საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

მინათმოქმედებას უკავშირდება ასევე „სოხუმისა“ და „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხები და სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული ხელსაფქვავეები, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ნასახლარებზე იქნა დიდი ოდენობით მოპოვებული. ამავე ძეგლებზე ნანახი ქვის ბადის სანაფები, მრგვალი ან ოვალური ფორმისა, მოპირდაპირე მხარეს თოკის ჩასაბმელად ამოღარული, მეთევზეობის მნიშვნელოვან როლზე მიგვითითებს.

მღვიმურ ნასახლარებზე (ოქუმი, ოჩაჟნი, ახშტირი) სამინათმოქმედო ხასიათის იარაღები არ ჩანს, არ არის არც „პიკის“ ტიპის ნივთები, არც თოხები, არც ხელსაფქვავეები. „ოჩაჟანისა“ და ახშტირში ისრისა და შუბისპირების არსებობა კი იმას ადასტურებს, რომ ამ ძეგლების მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი მონადირეობას ეჭირა. შესაძლოა ამასთან იყო დაკავშირებული ქვის გახვრეტილი კვირისტავეებიც (ქსოვა).

აფხაზეთის არცერთ ენეოლითურ ნასახლარზე არ ყოფილა შენიშნული ცხოველთა ძვლები. ეს უკანასკნელები ან არ იყო საერთოდ აღმოჩენილი ან ყურადღება არ იქნა მიქცეული. მაშინ როდესაც რიონ-ყვირილას აუზის მღვიმე ნამოსახლარებში, რომლებთანაც აფხაზეთის მასალები უახლოეს კავშირს ამყლავნებენ, დაფიქსირებულია და ზედმინევით კარგადაა შესწავლილ-გამოყოფილი როგორც შინაური, ასევე გარეულ ცხოველთა ძვლები, რომელზედაც იმდროინდელი ადამიანი ნადირობდა (კეთილშობილი ირემი, შველი, გარეული ტახი და სხვ.).

აფხაზეთის ენეოლითური მასალების სიახლოვე რიონ-ყვირილას სინქრონულ ძეგლებთან განსაკუთრებით თვალსაჩინოა მღვიმეთა მაგალითზე. ფარდულ „ოჩაჟნიში“ აღმოჩენილი ქვის გახვრეტილ-გაპრიალებული სამაჯურები პირდაპირ ანალოგებს პოულობს რიონ-ყვირალს მღვიმეთა მასალებში (საგვარჯილე, დარკვეთი, ცუცხვათი, ძუძუანა და სხვა) ერთის მხრივ და მეორეს მხრივ

ყუბანისპირეთში ე. წ. მაიკოპის კულტურის ადრეული ეტაპის ძეგლებში (მემოკო, სკალა, იასენევა, პოლიანა, ვესიოლი და ა. შ.).

ამ ბოლო ხანებში კავკასიის მკვლევარები ამ ადრეულ ეტაპს წინამაიკოპურს უწოდებენ და საკუთრივ მაიკოპის კულტურის სუბსტრატად მიიჩნევენ (Рысын М. Б. 2000: 32). დარკვეთის ეხის შესწავლის დროს ლ. ნებიერიძემ აფხაზეთისა და იმერეთის ძეგლები ყუბანისპირეთის მასალებთან ერთად ერთ კულტურაში გააერთიანა, როგორც ლოკალური ვარიანტები (ნებიერიძე ლ. 1986: 101). ვ ტრიფონოვი ამ წინამაიკოპურ კულტურას „მემოკო-დარკვეთის“ კულტურას უწოდებს, შეჰყავს რა ამ ჯგუფში ვორონცოვის მღვიმეთა ძეგლებიც (Трифонов В. А. 2011: 190-192).

აღნიშნული საკითხი საკმაოდ რთულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, ამიტომაც მასზე მსჯელობას აქ არ ვაპირებთ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ რეგიონების ერთიანობაზე ჩვენ არაერთი წერილი გვაქვს გამოქვეყნებული. გამოვყავით კიდევ მთელი რიგი ნიშნები, რითაც დასავლეთ საქართველოს (იმერეთი, აფხაზეთი) მღვიმეები ადრემაიკოპის ან წინარემაიკოპის ძეგლებთან ერთიანდებიან: 1. ქვის ინდუსტრიაში ნახევრ-ნაპრიალებ იარაღთა მსგავსი კომპლექსი, კაჟის ისრის და შუბისპირები, გეომეტრიული მიკროლითების შემორჩენის ფაქტი. 2. ძვლისა და რქის ძვლების ფართოდ გამოყენება. 3. ქვისა და სხვადასხვა ჯიშის სამაჯურები, დამზადებისა და ფორმების იდენტურობა. 4. მსგავსი კერამიკული ფორმები, შედარებით თხელკეციანი, ნაპრიალები, ძაბრისებრი ყელით და მრგვალი ძირით (დასავლეთ საქართველოს მღვიმეებში ამათთან ერთად უხეში, ნეოლითიდან მომდინარე ჭურჭლები სჭარბობს დამახასიათებელი ორნამენტით). 5. თიხის კვირისტავების სიმრავლე. 6. მსგავსება ცხოველთა მცირე ფიგურებში. 7. დასახლების ერთნაირი ტიპი – მღვიმე-ნაბინავრები და სხვ.

აქვე მოყვანილია ქართველ მკვლევართა მოსაზრებები, მიღებული სამეღე-კლდის მასალების ანალიზის საფუძველზე, დასავლეთ საქართველოს ენეოლითური კულტურის მონაწილეობაზე მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბებაში (ფხაკაძე გ. 1985: 22-26).

ინტერესი მაიკოპის კულტურის წარმომავლობისა და დათარიღების პრობლემის გამო არ ნელდება. ამ ბოლო ხანებში მას მიეძღვნა არაერთი ნაშრომი უცხოელი მკვლევარებისა, ძალზე საყურადღებოა ამ მხრივ აზერბაიჯანში გამოკვლეული ძეგლები (ლეილა-თეფე, ბეიუკ-კესიკი და სხვ.). ს. კორენევესკი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა მაიკოპის კულტურა, მას მაიკოპ-ნოვოსვაბოდნაის ერთობას უწოდებს და წინა აზიის ძეგლების გათვალისწინებით ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევრით და ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს (Кореневский С. Н. 2004: 95-100)

თვით დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურაში ჩვენ ორი ლოკალური რეგიონი გვაქვს გამოყოფილი: აფხაზეთი (ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი) და რიონ-ყვირიალს აუზი. ამ ორი რეგიონის მასალების ურთიერთშედარება ასეთი დასკვნის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

ქვის ინდუსტრია ორივე რეგიონში წამყვანია და უპირველესი ადგილი მინათმოქმედების იარაღებს უჭირავს, მაგრამ აშკარაა ის მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომლებიც ამ ორი რეგიონის საწარმოო იარაღთა ფორმასა და დამუშავების ტექნიკაში ვლინდება, რაც პირველ ყოვლისა ბუნებრივი პირობებით აიხსნება და შემდეგ საქმიანობის წესით (ფხაკაძე გ. 2006: 24-26).

დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა ბევრ საერთოს ამჟღავნებს განსაკუთრებით კერამიკული ნაწარმით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ადრესამინათმოქმედო კულტურასთან, კერძოდ კი ე. წ. „სიონის ტიპის“ ძეგლებთან (სიონი, ნოფი, არახლო, ჟინვალი, ბოდორნა, ხერთვისი, დამწვარი გორა, წითელი გორები, ბერიკლდეები და სხვ.). ასეთივე ტიპის თიხის პროდუქცია ცნობილია სომხეთიდან (ტეხუტა, ნორაბაცი) აზერბაიჯანიდან (რუსთეფე, ლეილა-თეფე, მენტეჟი, ალიკემეკ-თეფე) და დაღესტანიდან (გინჩა, ჩინნა). ამ უკანასკნელ ხანებში ამ ტიპის ძეგლები აღმოჩნდა ჩეჩნეთში, ინგუშეთში და ყუბანისპირეთშიც.

„სიონის“ ტიპის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში ენეოლითურის გვიან ეტაპზე ჩნდე-

ბა, ძირითადად განსხვავდება შულავერი-შომუთეფეს კულტურის მასალებისაგან და შეიცავს მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ ზოგ ელემენტს, ამიტომ „სიონის“ ტიპის ძეგლებს იმთავითვე მიკუთვნებული აქვთ საშუალოდ ადგილი შულავერ-შომუთეფესა და მტკვარ-არაქსის კულტურებს შორის. კავკასიის შავიზღვისპირეთის გვიანენეოლითური კულტურა კი ადგილობრივი ნეოლით-ენეოლითის წიაღშია აღმოცენებული და რაიმე საგრძნობი ცვლილებების გარეშე ადრებრინჯაომდე აღწევს. ამიტომ საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული ვარაუდი, რომ იგი შესაძლოა, მართლაც, გავრცელდა დასავლეთი საქართველოდან აღმოსავლეთისაკენ და აქ გარკვეული როლი ითამაშა „სიონის“ ტიპის გვიანენეოლითური კულტურის ჩამოყალიბებაში (Пхакадзе Г. Г. 1988: 211).

§3. აფხაზეთის ადრებრინჯაოს ხანის კვლევები

IV ათასწლეულის ბოლოსათვის დასავლეთ ამიერკავკასიის მოსახლეობის ცხოვრებაში თავს იჩენს პროგრესული ცვლილებანი, რომელიც ისტორიული განვითარებით იყო განპირობებული. მთელი მომდევნო ათასწლეულის მანძილზე ეს ცვლილებები მატულობს: მინათმოქმედების ინტენსიფიკაცია, მესაქონლეობის ახალი ფორმები, ხელოსნობის განვითარება, პირველ რიგში მეტალურგიისა, განაპირობებდნენ სანარმოო ძალების შემდგომ განვითარებას და ახალ სანარმოო ურთიერთობების ჩამოყალიბებებს, რომელიც გარკვეულ ასახვას პოულობდა მატერიალურ კულტურაში.

მინათმოქმედებამ და მესაქონლეობამ მალაღგანვითარებულ მეტალურგიასთან ერთად შეიქმნა ახალი ეკონომიკის მყარი საფუძველი, რომელმაც თავის მხრივ გამოიწვია მნიშვნელოვანი სოციალური ძვრები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ დროისათვის საბოლოოდ მთავრდება დასავლეთ ამიერკავკასიის მთელი ტერიტორიის ათვისება, მათ შორის საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიისა. ამ დროისათვის მჭიდროდ დასახლებულია ბარი, მდინარეთა ხეობები, ბორცვიანი ზოლი, ზღვის სანაპირო და მალაღმთიანი რაიონებიც. ბუნებრივია, რომ კულტურული ფენები ყველგან ერთნაირი ინტენსივობით და სიმძლავრით არ არის წარმოდგენილი. ფენები განსაკუთრებით ინტენსიურია მაინც იმ ძეგლებზე, სადაც ადამიანი ადრე ბრინჯაოს წინა პერიოდშიც სახლობს. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ძეგლებზე გვაქვს როგორც ენეოლითური, ისევე ადრებრინჯაოს ხანის ფენებიც. ასეთი სურათი უფრო მღვიმე-ნასახლარებზე გვხვდება. მძლავრი კულტურული ფენებია გორა-ნამოსახლარებზე (ფიჩორი) და ბუნებრივ შემადგენლობაზე ფერდობებზე. უფრო ნაკლებ ინტენსიური ჩანს დასახლება ზღვისპირა ტერასებზე (გუანდრა, მაჭარა, ჩაქვი) და მალაღმთიან რეგიონებში (სვანეთი), მაგრამ არცერთი მათგანის სეზონურ დასახლებად მიჩნევა არ იქნებოდა სწორი; პირიქით, მასალების მიხედვით ისე ჩანს, რომ ყველგან მტკიცედ დამჯდარ მინათმოქმედ-მესაქონლე მოსახლეობასთან უნდა გვექონდეს საქმე (ფხაკაძე გ. 1993: 30-31).

ძვ. წ. III ათასწლეულში მთავრდება ძირითადად ტომთა კონსოლიდაციის პროცესი, რის შედეგადაც კავკასიაში ყალიბდება ამ პერიოდის ორი უდიდესი კულტურა: მტკვარ-არაქსი და მაიკოპი.

დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორია, მათ შორის აფხაზეთი, მოქცეული აღმოჩნდა ამ ორ კულტურას შორის. აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მას მტკვარ-არაქსის კულტურა ესაზღვრება, ჩრდილო დასავლეთით კი მაიკოპის კულტურა. ეს სიტუაცია, ბუნებრივია, გარკვეულ დაღს აჩენს მისი კულტურის ხასიათსა და შემდგომ განვითარების გზას.

ძვ. წ. III ათასწლეული ფაქტობრივად წარმოადგენს ადრებრინჯაოს ხანის ქრონოლოგიურ ჩარჩოს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ამ პერიოდში, ისევე როგორც ენეოლითში ორ რეგიონად ჩანს

გაცოფილი: რიონ-ყვირილას აუზი და კოლხეთის დაბლობი მიმდებარე ბორცვიანი ზოლით.

დასავლეთ ამიერკავკასიის ადრებრინჯაოს ხანაში ორი კულტურული რეგიონის გამოყოფა განპირობებულია მათი განსხვავებული კულტურული ატრიბუციით და აქედან გამომდინარე ადრებრინჯაოს კულტურის განსხვავებული ხასიათით და განვითარების განსხვავებული გზებით.

მხედველობაში გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში რიონ-ყვირილას აუზის ტერიტორია მთლიანად შედის მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში, მაშინ როდესაც კოლხეთის დაბლობში და მიმდებარე ბორცვიან ზოლში გამოვლენილ III ათასწლეულის ძეგლებზე სრულიად არ გვაქვს მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის დამადასტურებელი არცერთი ფაქტი; როგორც ჩანს კოლხეთის დაბლობზე, საკუთრივ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში – აფხაზეთში, ამ პერიოდში კულტურის რაიმე საგრძნობ ტრანსფორმაციას არ ჰქონია ადგილი; და ადრებრინჯაოს კულტურის ფორმირება, როგორც ჩანს, უფრო წინამორბედი ეპოქების ტრადიციათა გაგრძელება-განვითარების გზით მიდიოდა (ფხაკაძე გ. 1993: 119-120).

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთსა და ზღვისპირა ბორცვიან ზოლში ძვ. წ. III ათასწლეულს (ადრებრინჯაოს ხანა) შემდეგი ძეგლები განეკუთვნება: ნასახლარები – მაჭარა (III ფენა), გუანდრა (V ფენა), ოჩამჩირე, აჭანდარა-გუმისთა, ფიჩორის ქვედა ფენა, ახრა-კამპშისა და პალის ეხები.

სტრატეგრაფიული მონაცემებისა და არქეოლოგიური მასალების ურთიერთშედარების შედეგად ადრებრინჯაოს ხანის დასახლებულ ძეგლებს შორის შიდა პერიოდიზაციის მიახლოებით დადგენა ძნელად ხერხდება.

ადრებრინჯაოს ადრეული ეტაპის ძეგლებია: ვორონცოვის მღვიმეთა სისტემაში „კოლოკოლნი“ და „ზალოჟენი“ ფარდულები.

განვითარებულ ეტაპს განეკუთვნება ოჩამჩირისა და გუმისთის ნასახლარები, ფიჩორი (მე-8-ე ფენა) ახრა-კამპშის და პალის ეხები, გუმისთის ყორღანი და პატარა და საშუალო დოლმენები.

ფინალური ეტაპი წარმოდგენილია შემდეგი ძეგლებით: მაჭარა (III ფენა), გუანდრა (V ფენა), ფიჩორის ნასახლარი (მე-7-ე და მე-6-ე ფენები).

ადრებრინჯაოს ადრეულ საფეხურზე საცხოვრებლად ისევ გამოიყენება კარსტული გამოქვაბულები (ვორონცოვი); ამ მღვიმეებში თიხატყეპნილი იატაკების ნაშთებიცაა შემორჩენილი, რომლებშიც ზოგჯერ კერებია ჩალესილი. ფარდულები „კოლოკოლნი“ და „ზალოჟენი“ გვიანეოლითისა და ადრებრინჯაოს საწყისით იყო განსაზღვრული. ადრებრინჯაოს ხანის ფენა და მასალები აღმოჩენილი იყო კამანისა და კალდახვარას მღვიმეებშიც.

კამანის მღვიმე ქ. სოხუმიდან 8 კმ-ში მდებარეობს, კამანის მთის აღმოსავლეთ ფერდობზე. ძეგლს თხრიდა აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია 1938-40 წლებში. არქეოლოგიური სამუშაოები დაკავშირებული იყო კოდორის ხეობის სიძველეთა კვლევასთან.

კამანის მღვიმეში რამდენიმე კულტურული ფენა დაფიქსირდა. E ფენა შეიცავდა რიყის ქვის რამოდენიმე ნივთს, კაჟის ანატეკებს და ცხოველთა ძვლებს.

კერამიკა ორი ტიპით იყო წარმოდგენილი; ერთი – ხელით ნაძერწი უხეში ქვიშა და დანაყილი კალციტის მინარევიანი ჭურჭლით, რომელთა ზედაპირი სავარცხლისებრი ნივთით იყო მოსწორებული, იშვიათად შეიმჩნევა ჭრილი ორნამენტიც. და მეორე – მცირერიცხოვანი ჯგუფი კერამიკისა, კარგად განლექილი თიხისგან ნაძერწი მურა-მონითალო ზედაპირგაპრიალებული, ზედ წვეტიანი შევრონების გამოსახულებით.

ლ. სოლოვიოვმა E ფენა ოჩამჩირის ნასახლარის თანადროულად მიიჩნია. მომდევნო D ფენა კი დოლმენების მე-2-ე ფენას დაუკავშირა და ძვ. წ. II ათასწლეულით განსაზღვრა (Соловьев Л. Н. 1940: 87).

კალდახვარას ეხი მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, მიკვლეულია ლ.სოლოვიოვის მიერ 1.5 მ სიღრმეზე. მან აღმოაჩინა ადამიანის ძვლები (სამარხი?), რომელსაც გაპრიალებულზედა-

პირიანი ჭურჭლის ფრაგმენტები ახლდა. მკვლევარმა მათი დათარიღებისაგან თავი შეიკავა.

ადრებრინჯაოს ხანის ფენები აღმოჩენილი იქნა აფხაზეთის მთიან ზოლში – მღვიმეებში ახრა-კაპში და პალი.

ახრა-კაპში მდებარეობს ქ. სოხუმიდან 30 კმ-ში მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე, ციცაბო კლდიან ფერდობზე, მდინარის კალაპოტიდან 40-50 მ სიმაღლეზე, შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთით აქვს, გამოკვეთილია კირქვიან მასივში და აქვს სწორი იატაკი. მღვიმის ფართობი ჩამონალენებით არის დაფარული.

1968 წელს აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის დ. გულიას სახ. ინსტიტუტის ექსპედიციამ დაიწყო მღვიმის გათხრები (Бжания В. В. 1973: 65). მღვიმეში 4 ფენა დაფიქსირდა, აქედან ადრებრინჯაოს მასალებს მე-4-ე ფენა შეიცავდა. იგი პირდაპირ მდინარეულ ქვიშნარ გრუნტზე მდებარეობდა. გაჯერებული იყო ნაცრით, ნახშირით და კულტურული ნაშთებით.

კაჟისა და ქვის იარაღები ნაკლებმეტყველია, დამზადებულია მსხვილ ანატაკეცებზე, რომელთა ერთი გვერდი სამუშაოდაა დათხელებული (საჭრისები, საფხეკები). აღსანიშნავია ქვიშაქვის ნამზადი სატეხისებრი იარაღისათვის (ტაბ. XIV).

ძეგლის თარიღის განმსაზღვრელად კერამიკა გვევლინება. იგი კარგად გამომწვარია, ხელით ნაძერწი დანაყილი კალციტის მინარევით თიხის ცომში. ფორმათა უმეტესობა ქილებია, ბრტყელიანი სწორი ან ოდნავ გადაშლილი პირით. ჭურჭლის უმრავლესობას მარყუჟისებრი ყურები აქვს, რომელიც სპეციალური შვერილით მაგრდება ჭურჭლის კედელში. ზოგ მათგანზე ყურის ნაცვლად სხვადასხვა ფორმის შვერილებია დაძერწილი. იშვიათია დიდი ზომის მუცელგამობერილი ჭურჭელი მასიური ყურებით. ჭურჭლის ზედაპირი მოსწორებულია სავარცხლისებრი იარაღით, რომელიც ზედ პარალელურ ხაზებს ტოვებს, ზოგჯერ ეს ხაზები იმდენად ღრმაა, რომ ღარული ორნამენტის შთაბეჭდილებას ქმნის (Бжания В. В. 1973: 66-67).

პალის ეხიცი მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, კლდის მწვერვალზე. მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთით, კირქვების დიდი ლოდებით იყო ამოვსებული, მაგრამ ექსპედიციამ მოახერხა თავისუფალ მცირე ფართობის შერჩევა და სტრატეგრაფიის დადგენა. სადაზვერვო თხრილის სიღრმე 1.50 მ იყო, ფართობი 2X2 კვ. მ.

ეხში 7 განსხვავებული ნიადაგისეული ფენა დაფიქსირდა. ამათგან ადრებრინჯაოს V და VI ფენები განეკუთვნებოდნენ. კაჟი და ქვა სრულიად უმნიშვნელო რაოდენობისა იყო და აბსოლუტურად უსახური.

პალის კერამიკა ზედმინევენით ანალოგიური აღმოჩნდა ახრა-კაპში მღვიმის მასალისა. ქილისა და ქოთნისებრი ფრაგმენტები თიხის ცომში დანაყილი კალციტის მინარევით. ძირები ბრტყელი ან ქუსლგაზიდული, ყურები მარყუჟისებური, ორნამენტი წარმოდგენილი იყო შტამპით დატანილი ჰორიზონტალური ზოლებით. არის პრიალაზედაპირიანი ფრაგმენტებიც (ტაბ. XV).

ამ ორი ძეგლის სრული თანადროულობა ეჭვს არ იწვევს. გამთხრელი ვ. ბჟანია მათ ოჩამჩირის ნასახლარს ადარებს და მიაჩნია, რომ მათში განლაგებული ეს ორივე ძელი ოჩამჩირულ კულტურის წრეს ეკუთვნის, მხოლოდ ოჩამჩირის ნასახლარზე უფრო გვიანდელი არიან, რადგან აქ კერამიკის ორნამენტაციისთვის უკვე შტამპის გამოყენება დასტურდება. ათარიღებს დაახლოებით ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნით (Бжания В. В. 1973: 69-70).

აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებს შორის **ოჩამჩირის ნასახლარს** განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და გარკვეული თვალსაზრისით ერთ-ერთ ეტალონურ ძეგლად გვევლინება.

ნასახლარი მდებარეობს ქ. ოჩამჩირიდან ჩრდილოეთით 5 კმ-ის მანძილზე, მდ. ჯიქამურას ზღვასთან შეერთების ადგილას. აქ მდინარის მეორე ტერასაზე მიკვლეული იყო სამი ნამოსახლარი ბორცვი. ამათგან ე. წ. მდინარის მეორე ტერასაზე მიკვლეული იყო სამი ნამოსახლარი ბორცვი.

ამათგან ე. წ. „დასავლეთის“ ყველაზე ადრეული აღმოჩნდა (სიტუაციური გეგმა). მისი ძირა ფენა ადრელითონების ეპოქას განეკუთვნებოდა (ბორცვის სიმაღლე-6 მ, სიგანე-70 მ). გათხრები პორტის მშენებლობასთან იყო დაკავშირებული. არქეოლოგიურ სამუშაოებს ანარმოებდა ჯერ მ. ივაშჩენკო (1935 წ.), შემდეგ ლ. სოლოვიოვი (1936 წ.) აკად. ბ. კუფტინის საერთო მეთვალყურეობის ქვეშ.

„დასავლეთის ბორცვი“ (ლ. სოლოვიოვი ამ ბორცვებს ყორღანებს უწოდებს) სამ კულტურულ ფენას შეიცავდა: შუასაუკუნეები, ანტიკური და „ენეოლითური“ (Соловьев Л. Н. 1939: 264) (ტაბ. XVI).

აკად. ბ. კუფტინი და ლ. სოლოვიოვი ოჩამჩირის ნასახლარს „ენეოლითურს“ უწოდებდნენ, რაც იმ პერიოდისთვის სავსებით მართებული იყო, რადგან სამხრეთ კავკასიაში საერთოდ ჯერ არ იყო ცნობილი ადრესამინათმოქმედო კულტურის ძეგლები. შემდეგ კი მათი გამოჩენისა და ახლადმოპოვებული სინქრონული მასალების გათვალისწინების საფუძველზე ენეოლითურად მიჩნეული ნასახლარები, როგორცაა ოჩამჩირე, დაბლაგომი და სხვა ადრებრინჯაოს ეპოქას მიეკუთვნა (ფხაკაძე გ. 1993: 88).

ოჩამჩირის ნასახლარის ქვედა ადრებრინჯაოს ფენა ზღვის დონეზე და უფრო ღრმადაც მდებარეობდა. ზედა კულტურული ფენისაგან იგი იზოლირებული იყო მურა-მონითალო თიხნარის სქელი (1-1.4 მ), სავსებით სტერილური შრით, რაც არქეოლოგიური ნაშთების სუფთა სახით შემონახვას უწყობდა ხელს. ამ კულტურული ფენიდან, რომელიც 3 მ სიღრმემდე ჩადიოდა, ამოღებული იქნა ირმის რქის გახვრეტილი იარაღი და ცხვრის თიხის ქანდაკების ფრაგმენტი.

ნასახლარზე არქიტექტურული ნაშთები აღმოჩენილი არ ყოფილა. საერთოდ ნასახლარზე გათხრები წარმოებდა ტრანშეებად, რაც მთლიანი სურათის წარმოდგენას ძალზე უშლიდა ხელს. ამ თხრილებს შორის ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა თხრილი №23, სადაც დაფიქსირდა გამომწვარი თიხატკეპნილი მოედნები (დმ-3 მ), რომლებიც ზოგჯერ რიყის ქვით მოკენჭილ ფენაზე იყო გადალესილი. იქვე აღმოჩენილი ბათქამის გროვები ძელისა და წნელის ანაბეჭდებით ცხადად მეტყველებდა აქ მსუბუქი, „ფაცხის“ ტიპის ნაგებობების არსებობაზე მოტკეპნილი იატაკებითა და წნული თიხით შელესილი კედლებით (Соловьев Л. Н. 1939: 10).

ოჩამჩირის ნასახლარზე ცოტაა გამოქვეყნებული, განსაკუთრებით მისი ქვედა კულტურული ფენის შესახებ. ფაქტიურად ფართო სამეცნიერო წრისათვის იგი ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ ძეგლად რჩება. ამის გამო მიზანშეწონილად მივიჩნევთ ამ ძეგლზე მოპოვებული მასალების უფრო დაწვრილებით განხილვას. ამ მიზნით ჩვენ თავიდან გამოვიკვლიეთ და აღვწერეთ ეს მასალები, რომლებიც სოხუმის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში ინახებოდა (ფხაკაძე გ. 1993: 86-92).

ნასახლარის მასალები წარმოდგენილია ქვის, კაჟის, რქის და ძვლის ნივთებით. მასალის დიდი ნაწილი კერამიკაა.

თავიდან უნდა ითქვას, რომ ქვის ინდუსტრიასა და კერამიკულ პროდუქციასაც აშკარა ენეოლითური ტრადიციების კვალი ეტყობა.

ქვის გახეხვა-გაპრიალების ტექნიკა ისევ უცნობია. იარაღების უმრავლესობა დამზადებულია რიყის ქვისგან ატკეცვისა და მოკოდვის წესით. ისინი ძირითადად წარმოადგენენ სიგრძივ გაპობილ ანატკეცებს, რომელთა სამუშაო ნაპირი ცალი მხრიდან დამატებითი დარტყმებითაა დამუშავებული. ნამყვანი იარაღებია: საჭრისები, სათლელები, სატეხები, წვეტანები, ცულისა და თოხის ტიპის იარაღები. არის ოვალური, მომრგვალო და სამკუთხა მოყვანილობის ცულები. თოხისებური იარაღი ორია, ორივე ჩამოყალიბებულია სიგრძივ გაპობილ მოგრძო და ვიწრო რიყის ქვებზე და სამუშაო ნაწილი ნამახვილებულია დამაბლაგველი რეტუმით. სხვა ნივთებიდან აღსანიშნავია შურდულის ქვები, ორმხრივ ამოღარული ბადის სანაფები, სანაყები, მრგვალნახვრეტიანი ქვიშაქვის კვირისტავეები და გრანიტის ხელსაფქვავეები ნავისებური და დისკოსებური ფორმისა.

კაჟის წარმოება დაცემულია, ნუკლეუსები ამორფულია, ამორფულია ანატკეცთა უმრავლე-

სობაც, ზოგჯერ მუსტიერული ანატკეცებიც კია გამოყენებული. ლამელები არ არის. საფხეკები, საჭრისები და სახოკებიც ძალზე მცირე და არატიპურია. ამ კომპლექსში ყურადღებას იპყრობს ორმხრივ მცოცავი რეტუმით დამუშავებული ისრისპირები. ისრისპირი სულ სამია, სამივე ასიმეტრიული, ქუსლამოლარული, ფრთებდაშვებული, ერთი მათგანი ყუნნიანია. კაჟი მონითალო-მოყავისფროა. ასეთი ფორმისაა ხელშუბისპირებიც. საყურადღებო ფაქტია ნასახლარზე კაჟის ნამგლისპირების არსებობა. ისინი ორმხრივდამუშავებულია, შედარებით ფართო ფასეტებით, კარგად გამოსახული კბილანებით, ხან ორივე, ხან კი – ცალ მხარეს, მოპირდაპირე გვერდები ამოლარულია ჩარჩოში მჭიდროდ ჩასამაგრებლად. კაჟის იარაღების მთელი კომპლექსი საცხოვრებლის იატაკზეა, ჩვეულებრივ, განლაგებული.

ძვლისაა სახვრეტები, სადგისები. რქისაა თოხისნაირი მოგრძო ყუაგახვრეტული იარაღი და რაღაც მოგრძო ორწვერნამახული ნივთი (უცხო დანიშნულების) (ტაბ. XVII).

ლითონის ნივთები ნასახლარზე აღმოჩენილი არ ყოფილა. მასალის უმრავლესობა კერამიკაა. იგი ხელით ნაძერწია, ცალკეა გამომშრალი ჭურჭლის შუა ფენა და შემდეგ შიგნიდან და გარედან შემოღესილია თიხის თხელი ფენით. თიხის ცომს ურევია – ქარსი, კირი, კვარცი, დანაყილი კალციტი, შამოტი. გამომწვარია მურა-მოშავო, მურა-მოვარდისფრო, მურა-მონითალო, მოყავისფრო და ღია წაბლისფრად. ფორმებია: ქილები, ქოთნები, დერგები, ჯამები, კოჭბის ტიპის და კასრისებური ჭურჭლები. უმრავლესობას ზედაპირზე პარალელური ზოლები ეტყობა, რაღაც დაკბილული იარაღით მოსწორების კვალი. ზოგიერთის ზედაპირს ორგანული ნაშთის დაწვის შედეგად მიღებული ხაზები და ნასვრეტები ემჩნევა. ზემოთჩამოთვლილი ტიპის პროდუქცია მასობრივი ხასიათისაა და, როგორც ჩანს, ფუნქციონალურად სამზარეულო და სამეურნეო ჭურჭლებს წარმოადგენდა.

დერგები პირგადაშლილი, უყელო, მოგრძო, კვერცხისებურტანიანი ჭურჭლებია, პირშესქელებული, მრგვალი ან დანახნაგებული ქობით, რომელსაც ხშირად ხელით შესწორების კვალიც ეტყობა. ქოთნებს შედარებით კარგად გამოყოფილი ყელი აქვთ, გადმოშლილი პირი და გამობერილი ტანი. კასრისებური და ჯამისებური ჭურჭლები ყოველთვის პირმოყრილია. ძირების უმრავლესობა ბრტყელია, სწორი ან ირიბი კუთხით მიძერწილი კედელთან, არის ოდნავმომრგვალებულებიც. ყველაზე ხშირია მასიური ქუსლგაზიდული ძირები, დათხელებული ნაპირებით. თითქმის ყველა მათგანი ქუსლთან ხელითაა შესწორებული და თითების ანაბეჭდი ეტყობა. ბრტყელ ძირებზე ხშირად ქსოვილის ან ჭილოფის კვალი შეიმჩნევა.

ყური ჭურჭლის ყველა ტიპს ახასიათებს. ის უმეტესად პირსა და მხარზეა მიძერწილი, განსაკუთრებით დიდი ზომის ჭურჭლებზე და ჯამ-ფიალებზე. დანარჩენებს ყური ყელსა და ტანზე აქვთ მიმაგრებული. ყურები მოგრძო მარყუჟისებური ფორმისაა და შედარებით მოკლე და განიერი, შუაში ღართ. ყველა შემთხვევაში ისინი სპეციალური შვერილებით მაგრდებიან ჭურჭლის კედელში; არის ამ ტიპის ყურების ჰორიზონტალურად მიმაგრების ფაქტებიც. შემკულობის ყველაზე გავრცელებულ სახეობას შვერილ-კოპები წარმოადგენს: ესენი სხვადასხვა ფორმისაა: ძუძუსებური, ქიმისებური, მოგრძო ოვალური, ზემოდან შებრტყელებული, უნაგირისებური, ჯიბისებური. ზოგჯერ ამ შვერილ-კოპებს ზემოდან თითების ანაბეჭდიც ეტყობა (ტაბ. XVIII). ორნამენტის კიდევ ერთი ვარიანტია ყელზე ან მხარზე დაძენილი რელიეფური სარტყელი, რომელსაც თითების, ვიწრო ირიბი ნაჭდევების და მარცვლისებური ფორმის ჭდეულები აქვს. არის ირიბი ნაჭდევები პირქვემ და კიბისებრი ნაკანრებიც ტანზე (ტაბ. XIX).

ამ უხეშ კერამიკასთან ერთად, არის შავი და მუქი ყავისფერი ზედაპირმელებილი და მოპრი-ალებული ფრაგმენტებიც – ფიალის, კოჭბის, ბოკალისა და ვაზისებური ჭურჭლის ყელ-გვერდებისა, მათ მხოლოდ ქარსი და წვრილად დანაყილი კალციტი ურევია, უფრო თხელკეციანია, ვიდრე ზემოაღნიშნული სამზარეულო ნაწარმი. რამდენიმე მუქზედაპირიან და გაპრიალებულ ფრაგმენტს ჭრილი გეომეტრიული ორნამენტი ამშვენებს: ზიგზაგი ყელის გარშემო ან ბადისებური სახე ტანზე

(ტაბ. XX). ფრაგმენტების სიმცირე ამ ჭურჭლების მთლიან ფორმებზე წარმოდგენის საშუალებას არ გვაძლევს. ამ ჯგუფს, ალბათ, სავსებით სამართლიანად, ბ. კუფტინი და ლ. სოლოვიოვიც სუფრის ჭურჭლად მიიჩნევენ, მათ ბ. კუფტინი დამატარილებელ მნიშვნელობას ანიჭებდა და უკავშირებდა სირიის, მცირე აზიის და ხმელთაშუაზღვის ენეოლითს, განსაკუთრებით კი – სირიის უძველეს კერამიკას (საკრეგიოზი), თავის ჭრილი გეომეტრიული ორნამენტის გამო (Куртин Б. А. 1950: 267).

ლ. სოლოვიოვი ოჩამჩირის ქვედა ფენას მიიჩნევდა გუმისთას ნასახლარისა და ადრეული დოლმენების ქვედა ფენის თანადროულად. გარდა ამისა იგი ერთ საფუძველს ხედავდა ოჩამჩირის მოკენჭილ მოედნებსა და დოლმენების იატაკის მოკენჭვას შორის და მიაჩნდა, რომ ამ რიტუალში ჩანს ის მჭიდრო კავშირი, რაც იყო ზღვისპირა ნასახლარებსა (ოჩამჩირე) და მათში გამართულ დოლმენებს შორის (Соловьев Л. Н. 1939: 55). ბ. კუფტინის აზრითაც დოლმენების მშენებლებს ზღვისპირას უნდა ეცხოვრათ.

ლ. სოლოვიოვი ოჩამჩირის ქვედა ფენას, პალესტინის (ბეტ-მირსიმი) მასალებთან ანალოგების გამო (ჭურჭლის ძერწვის ტექნიკა, ზედაპირის მოსწორება სავარცხლისებური ნივით და სხვ.) და კ. შეფერის დათარიღების გათვალისწინებით (ძვ. წ. 2400-2300) ათავსებდა ძვ. წ. 2300-1800 შორის. შემდეგ კი მან ოჩამჩირის ნასახლარის ქვედა ფენის გეოლოგიური მდებარეობის მიხედვით (სუბორელური პერიოდის დასაწყისი) ძველის ასაკი ძვ. წ. III ათასწლეულით განსაზღვრა (Соловьев Л. Н. 1939: 51).

უკანასკნელ ხანებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმერეთის რეგიონში აღმოჩენილმა ძეგლებმა (დაბლაგომი, არგვეთი) და განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობზე გალის რაიონში გათხრილმა ფიჩორის ნასახლარმა ახლებურად დააყენა ოჩამჩირის ნასახლარისა და მონაპოვრის ინტერპრეტაციისა და დათარიღების საკითხები.

როგორც ცნობილია არქეოლოგიურ მასალებს შორის ქვის ინდუსტრია განსაკუთრებული კონსერვატიულობით გამოირჩევა, და ეს პირველ რიგში დასავლეთ საქართველოს მიმართაა მართებული, რადგან იქ ქვის იარაღების ფორმა და ტექნიკა დიდხანს ინარჩუნებს ტრადიციულ ნიშნებს, თითქმის გვიან ბრინჯაოს ხანამდე, ამიტომაც ოჩამჩირის ქვის ნანარმი ახალს არაფერს გვაძლევს.

ჩვეულებრივ ძეგლის რაობის, ხასიათის, კულტურული კუთვნილებისა და სხვა ამგვარი საკითხების კვლევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა კერამიკულ პროდუქციას ენიჭება, როგორც ყველაზე მასობრივ, დამახასიათებელ და განმსაზღვრელ ელემენტს.

ოჩამჩირის ნასახლარის ადრებრინჯაოს ხანის ფენის კერამიკა თავისი დამზადების ტექნიკით, ზედაპირის დამუშავებით, ფორმა-პროფილებითა და დანიშნულებით ზედმინევენით ემსგავსებ ფიჩორის ცენტრალური ბორცვის ქვედა მე-8-7 ფენის ნანარმს. იდენტურია ასევე ვერტიკალურად ან ზორიზონტალურად დაძერწილი ყურის ფორმები (მარყუჟისებური ან ფართო, შუაში ღარიანი), რომლებიც სპეციალური შვერილით მაგრდება ჭურჭლის კედელში. ჭურჭლის ძირებზე ქსოვილის ან ჭილოფის ანაბეჭდები, მრავალგვარი შვერილ-კოპები (ოვალური, ძუძუსებრი, ჯიბისებური, ფოლაქისებური და სხვ.), სრულიად ანალოგიური ორნამენტული სახეები: დაჭდეული რელიეფური სარტყელი მხრის გარშემო, მარცვლისებური, კოპისებური, სწორი და ირიბი ნაჭდევები ჭურჭლის პირქვეშ ან ყელზე – მკაფიოდ მეტყველებს ამ ორი ნასახლარის სინქრონულობასა და კულტურულ ერთიანობაზე.

კერამიკის მეორე მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია ორივე ნასახლარზე, ასევე სავსებით ერთგვაროვანია. ესაა შედარებით სუფთა თიხისაგან ნაძენი თხელკედლიანი შავად და მუქად ნაპრიალები ნაკეთობანი, ე. წ. სუფრის ჭურჭელი – ფიალების, კოჭების, ბოკალების, ყელიანი ქოთნებისა და „ვაზის“ ფორმისა; უმეტესად სადა და ჭრილი გეომეტრიული სახეებით შემ-

კული. კერამიკის სწორედ ეს ჯგუფი გვაძლევს საშუალებას დავინახოთ კულტურული კავშირები და ურთიერთობანი სამხრეთ კავკასიის თანადროულ ძეგლებთან, კერძოდ კი მტკვარ-არაქსის ფინალური ეტაპისა და თრიალეთის ადრეული ყორღანების მასალებთან (ფხაკაძე გ. 1993: 90-91).

ძალზე საყურადღებო და ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ეს კულტურული ურთიერთკავშირები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რეგიონებს შორის თვით დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებსა და მასალებზეც შესანიშნავად აისახა.

იმერეთის ტერიტორიაზე გათხრილი და შესწავლილია დაბლაგომისა და არგვეთის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარები, რომელთა ზედა ჰორიზონტებში მტკვარ-არაქსის კულტურის ტიპური კერამიკული ნაწარმის გვერდით, ერთ ფენაში ფიქსირდება ოჩამჩირე-ფიჩორის დამახასიათებელი კერამიკა. ე. ი. ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში დასავლურ-კოლხური ადრებრინჯაოს კულტურა ვრცელდება აღმოსავლეთის მიმართულებით და იჭრება იმერეთის რეგიონში; ამავე დროს აღმოსავლეთ საქართველოდან ფინალური მტკვარ-არაქსი და თრიალეთის ადრეყორღანული კულტურა ვრცელდება დასავლეთის მიმართულებით და თავის კვალს ტოვებს კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარებზე (პრიალა, ჭრილორნამენტიანი კერამიკა).

კულტურული დიფუზიის ასეთი მომენტის დადგენა დასავლეთ ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის გარკვეულ შუქს ფენს მთლიანად სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ბევრ კულტურულ პროცესს. ამავე დროს ჩვენ გვაძლევს საფუძველს, სწორად განისაზღვროს მათი კულტურული ურთიერთობა და ასაკი.

ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მე-8-7 ფენების თარიღის C14-ით ძვ. წ. 2295-ა, ხოლო კალიბრებით კი 2760 ძვ. წ. არგვეთის ნასახლარის ზედა ჰორიზონტის C14 არის 2390 ძვ. წ., ხოლო კალიბრებით 2850 ძვ. წ.

აქედან გამომდინარე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, ოჩამჩირის ნასახლარის ადრებრინჯაოს ფენა ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით განვსაზღვროთ (ფხაკაძე გ. 2011: 77, 62).

აფხაზეთის ადრებრინჯაოს ხანის განვითარებული ეტაპის მეორე საყურადღებო ძეგლი – გუმისთას ნასახლარია. **გუმისთა** მდებარეობს ქ. სოხუმიდან 3 კმ-ში ჩრდილო-დასავლეთით, მდ. გუმისთას მარცხენა მალალ ზღვიურ ტერასაზე, ახლოს კლდოვან ნაპირთან. იგი მიკვლეული იყო ჯერ კიდევ 1945 წელს ლ. სოლოვიოვის მიერ. 1948 წელს მან გათხარა ამ ტერიტორიაზე მდებარე დაბალი ყორღანი, რომელიც 6 სამარხს შეიცავდა (Соловьев Л. Н. 1958: 148-149). მიცვალებულები მინის ზედაპირზე იყვნენ დაკრძალული მოკრუნჩხული თავით დასავლეთისაკენ და თითოეული სამარხი ქვის წრით იყო შემოსაზღვრული, ხოლო ზემოდან ქვისა და მინის ყრილი ეყარა. ინვენტარს შეადგენდა ქილისა და ქოთნის ფორმის ჭურჭლის ფრაგმენტები, პატარა ზომის რიყის ქვის ცული და ქვის საკიდი ბიკონუსური ფორმის ნახვრეტი. 1964 წელს გუმისთას ნასახლარზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა ვ. ბჟანიამ. მის მიერ გავლებულმა ორმა თხრილმა საშუალება მისცა ავტორს ნასახლარის ზუსტი სტრატეგრაფია დაედგინა (Бжания В. В. 1969: 58-62).

ნასახლარზე რაიმე მყარი საცხოვრებელი ნაგებობის კვალი აღმოჩენილი არ ყოფილა.

მონაპოვრის კოლექცია ქვითა და კერამიკით არის წარმოდგენილი. ლამელების უმრავლესობა რიყის ქვისგანაა დამზადებული (ქვიშაქვა, კირქვა) ატკეცვა-მოკოდვის ტექნიკით. ზოგიერთი მათგანის სამუშაო ნაპირი დამატებითი დარტყმებით ან ნერტილოვანი ტექნიკით არის წამახვილებული. გამოიყოფა იარაღების რამდენიმე ჯგუფი: დისკოსებური თოხები, ხელსაფქვავეები, ბადის სანაფები, სატყეხები, საჭრისები, სანაყები, შურდულები, ქვები. ამათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი ე. წ. „სოხუმის“ ტიპის დისკოსებური თოხებია (300 ც); ისინი მომრგვალო ან ოდნავ ოვალური რიყის ქვებია, რომელთაც ცალ მხარეს მთელს პერიფერიაზე დამატებითი დარტყმებით ატკეცილი და წამახვილებული აქვთ სამუშაო ნაპირი. რიყის ქვისაა ბრტყელი გახვრეტილი საკიდები ოვალური ფორმის და დანის ფრაგმენტი დამზადებული მოგრძო და ვიწრო რიყის ქვისგან (ფიქალი) პირმომ-

რგვალეული; იგი ტიპოლოგიურად მაჭარის ნასახლარზე აღმოჩენილ (II ფენაში) დანას ემსგავსება და ასევე ზედმინვენით ანალოგიურია „ზალოჟენის“ ფარდულის სპილენძის დანისპირისა (ტაბ. XXI).

კერამიკა მრავალრიცხოვანია, ნაძერწია ხელით, ურევია ქვიშა ან დანაყილი კალციტი, კარგად გამომწვარია, იშვიათად ზედაპირგაპრიალებული. ძირითადი ფორმებია: ქილა, ქოთანის, ჯამი. ჭურჭელი საშუალო ზომისაა, ძირები ბრტყელია, ზიგჯერ ნახვრეტით, პირი სწორი ან ოდნავ გადმოშლილი, ყურები მარყუჟისებურია, ზოგჯერ მათ ნაცვლად შვერილებია დაძერწილი.

ჭურჭლის უმრავლესობა უხვადაა შემკული ჭრილი ან დაშტამპული გეომეტრიული ორნამენტით: ბადისებური, თევზიფხური, სამკუთხედები, შვერონები და სხვ. (ტაბ. XXII).

ლ. სოლოვიოვი ძეგლს ადრეენეოლითურად მიიჩნევდა, მაგრამ ვ. ბუანიამ მასალებისა და პარალელების საფუძველზე იგი ადრებრინჯაოს ეპოქით განსაზღვრა და ოჩამჩირის ნასახლარზე გვიანად მიიჩნია კერამიკული ფორმებისა და ორნამენტაციის მიხედვით.

გასული საუკუნის 70-იან წლებში გუმისთას მახლობლად აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ფენები **აჭანდარაში** (ხელმძღვანელი ვ. ბუანია). ნაგებობის კვალი აღმოჩენილი არ ყოფილა. მონაპოვარი მასალა ქვითა და კერამიკით არის წარმოდგენილი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გუმისთა-ლეჩკოპი-აჭანდარა ერთმანეთს ებმის ტერიტორიულად და ერთდროული დასახლების კვალს ატარებს. აჭანდარას ნასახლარზე დიდი რაოდენობით იქნა აკრეფილი რიყის ქვისა და კაჟის ნაწარმი. რიყის ქვის იარაღები ოჩამჩირის მასალების იდენტურია. სიგრძით გაპობილ რიყის ქვის იარაღებს გვერდებზე ფართო ფაცეტებით წამახვილებული სამუშაო პირი აქვს. ბევრია გვერდამოღარული სანაფები, სალესები, შურდულის ქვები.

კერამიკა ჯამ-ფიალებისა და ქოთნისებური ჭურჭლისაგან შედგება, ის ხელით ნაძერწია, ხვინჭის, შამოტის, ქვიშისა და კირის მინარევით, უმეტესად მოვარდისფრო-აგურისფერი ან ღია მონაცრისფროა. არის ფრაგმენტები წითელი შავსარჩულიანი ჭურჭლებისა, უფრო ქოთნების. მათ აქვთ ქობიანი მოყრილი პირი და ბრტყელი ფართო ძირი. ტანზე ხშირია უსწორმასწორო ღრმა ხაზები.

ჯამ-ფიალები პირმოყრილია, ხშირად ზედაპირი წითლად აქვს შეფერილი. გვირგვინზე ირიბი ან წინვისებური ნაჭდევეები შეიმჩნევა. პირქვემ ხშირია დაჭდეული რელიეფური სარტყელი ან ირიბი ღრმა ნაჭდევეები, რომლებიც ზოგჯერ ყურზედაც ვრცელდება. ყურები მარყუჟისებურია, კედელში ჩასამაგრებელი შვერილით, როგორც ოჩამჩირეში. ჭურჭლის ზედა და ზოგჯერ შიდაპირიც სავარცხლის კბილისმაგვარი იარაღით არის მოსწორებული და პარალელურ ხაზებს ატარებს. ოჩამჩირესა და გუმისთას ანალოგიურად ეს ნასახლარიც III ათასწლეულის შუა ხანებს იქნა მიკუთვნებული. როგორც ითქვა აჭანდარა გუმისთას თანადროულია და ორივე მათგანი უფრო მოგვიანო ეტაპისაა ვიდრე ოჩამჩირეს ნასახლარი, რომელიც ჩვენ ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარს მივაკუთვნებთ. გუმისთა-აჭანდარას არქეოლოგიური კომპლექსებისათვის ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანები მისაღებად მიგვაჩნია.

მომდევნო ხანის ძეგლებს შორის უნდა განვიხილოთ მაჭარისა და გუანდრის ნასახლარები, რომლებშიც სტრატეგრაფიულად დადგენილია რამოდენიმე კულტურული ფენის არსებობა. **მაჭარას ნასახლარის 4** კულტურული ფენიდან – ძირა მე-4-ე ფენის შესახებ, რომელიც ენეოლითურე ეპოქით თარიღდება, ჩვენ წინა პარაგრაფში ვისაუბრეთ. მე-3-ე ფენა ძირა მე-4-ე ფენისაგან 0.15-0.2 მ სისქის სტერილური შრითაა გამოყოფილი. ამ ფენაში ნასახლარის ნაშთის გამოყოფა არ მოხერხდა, თუმცა გარშემო თიხისგან, ფერის მიხედვით, გამოიყოფოდა მუქი ლაქები, გაჯერებული ნახშირ-ნაცრითა და არქეოლოგიური მონაპოვრებით, რაც გამთხრელმა საცხოვრებელ მოედნებად მიიჩნია, რომლებზედაც ალბათ მსუბუქი მოწნული ნაგებობები იქნებოდა გამართული (Бжаниа В. В. 1966: 113-126).

მე-3-ე ფენის არქეოლოგიური მასალები ქვითა და კერამიკით იყო წარმოდგენილი. ქვის ია-

რალების დამუშავებაში ატკეცვისა და ზედაპირის მოკოდვის ტექნიკა ისევ წამყვანია, თუმცა იშვიათად გახეხილ-გაპრიალებული ცალებიც გვხვდება. გამოიყოფა: ხელსაფქვაები, სატეხები, სათლელები, წვეტანები, საფხეკები, დანისებრი იარაღები, ბადის სანაფები, ხელცულები, საპრი-ალელები, მრგვალი ბრტყელი ქვები, შუაში ნახვრეტი. ქვის იარაღებს შორის „სოხუმისა“ და სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხები აღარ იხსენიება. კაჟის ამორფული ანატკეცებია, რომელთაგან ზოგიერთი საფხეკად იქნებოდა გამოყენებული. კერამიკის უმრავლესობა მურა-მონაცრისფრო ან მურა-მოყავისფროა, ხელით ნამზადი, თიხის ცომს ურევია ქარსი, ქვიშა, კვარცი, შამოტი. ზოგ მათგანს ზედაპირი ანგობირებული და მოგლუვებული აქვს. კერამიკა ფრაგმენტულია, ფორმების აღდგენის საშუალებას არ იძლევა. ძირები ბრტყელია, ყურები მარყუჟისებრი, კედელში ჩასამაგრე-ბელი სპეციალური შვერილით. ჭურჭელთა უმრავლესობას, ეტყობა, მოკლე სწორი ყელი ჰქონდა და ოდნავ გადაშლილი პირი. არის სწორკუთხა ფორმის ჭურჭლებიც. ამ ფენაშია აღმოჩენილი სამყურა ჭურჭელიც, მას აქვს მოკლე ყელი, გადაშლილი პირი, დამრეცი, განიერი მხრები და მოგრძო ტანი ბრტყელ, განიერ ძირზე. თვით ვ. ბჟანია ამ ჭურჭელს მტკვარ-არაქსის კერამიკას ადარებს: ქვაცხ-ელას, საჩხერეს, ოზნის და ჩრდილოეთ კავკასიის მასალებს (ველიკენტი, დოლინსკოე) (Бжания В. В. 1966: 121). ჩვენი აზრით მაჭარას სამყურა ჭურჭელი უფრო ამ უკანასკნელისაკენ იხრება, რადგან ჩვენში მტკვარ-არაქსის ამგვარი ნაწარმი სრულიად განსხვავებული ფორმა-პროფილით ხასიათდება (ტაბ. XII, 2).

ნასახლარის მე-2-ე ფენა უშუალო გაგრძელება მე-3-ე ფენისა, მათ შორის გამყოფი შრე არ დაფიქსირებულა. ქვის, კაჟისა და კერამიკული პროდუქციის თვალსაზრისით იგი ახალს არაფერს არ გვაძლევს. მასალაში აღსანიშნავია „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხების სიჭარბე (მე-3-ე ფენაში თოხი წარმოდგენილი არ იყო). ამავე დროს საყურადღებოა ამ ფენაში ქსოვილიანი ჭურჭლის აღ-მოჩენა, რაც ლ. სოლოვიოვის აზრით უადრეს მარილის წარმოებასთან არის დაკავშირებული. ვ. ბჟანია მე-2-ე ფენას ადრებრინჯაოს ხანის ბოლოსა და შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისს აკუთვნებს. ამ ფენების კერამიკა საკმაოდ უხვადაა ორნამენტირებული, უფრო შემკულია ზედაპირმოგლუვე-ბული ჭურჭლები. ორნამენტული მოტივებია: ამოღარული ხაზები – ვერტიკალური და ჰორიზონ-ტალური, ზიგზაგები, ნინვისებრი სახეებისა და მარცვლისეული ნაჭდევების სხვადასხვა ვარიაცია, შტამპი სამკუთხა და რომბისებური, კანელურები და შევრონები, სავარცხლისკბილისეული სახეები. არის ფრჩხილისებრი ნაჭდევებიც, თვითონ გამთხრელი ვ. ბჟანია დეკორის პარალელებს პოულობს დინა-გუძუბასა და „ნაოხვამუს“ ძირა ჰორიზონტებში. მას მაჭარის 3 ფენა ოჩამჩირის ნასახლარზე უფრო გვიანდელად მიაჩნია და ადრებრინჯაოს ბოლოთი ათარილებს, II ათასწლეულის პირველი საუკუნეებით (Бжания В. В. 1966: 123).

გუანდრას ნასახლარის საერთო გათხრილ ფართობში (170 კვ. მ) დადასტურდა სამი კულ-ტურული ფენა: ზედა – A – სრულიად არეული, მინის სამუშაოების გამო, B განსაზღვრულია ადრებრინჯაოს ხანით, ხოლო B – ენეოლითით. ამ ორ ფენას შორის სტერილური თხელი შრეა. B – ენეოლითის ფენის მასალები ჩვენ წინა პარაგრაფში გვქონდა განხილული.

როგორც ავტორი აღნიშნავს, B ფენაში ნასახლარის ნაშთები წარმოდგენილია მრგვალი გეგმის მიწურით, სამეურნეო ორმოებით, გაურკვეველი დანიშნულების ქვის გროვებით (Цвинария И. И. 1978: 9-10).

მასალას შეადგენს ქვის ნაწარმი და კერამიკა. რიყის ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია ორი გვერდამოღარული ბადის სანაფი, ორმხრივდამუშავებული სატეხები და ცალპირლესილი სატეხ-ები, „სოხუმისა“ და „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხები, „პიკის“ ტიპის უნივერსალური იარაღები, რომლებიც როგორც ჩანს, თოხებად ან სატეხებადაც გამოიყენებოდა. ბევრია სიგრძით გაპობილი რიყის ქვა გამოყენების კვალით. კაჟი ანატკეცებითაა წარმოდგენილი, თუმცა ავტორი გამოყოფს სახვრეტებს, საფხეკებს და ტრაპეციის ფორმის იარაღებსაც კი. საერთოდ მის მიერ ჩამოთვლილი

ყველა იარაღი იმდენად ამორფული და ატიპიურია, რომ ჩამოყალიბებული სახეც არა აქვს და რაიმეს თქმა ძნელია.¹

კერამიკა ხელით ნაძერწია, მონითალო-მონაცრისფრო ან მურა-მოშავო. ცომს ურევია ქვიშა, კალციტი, კვარცი, შამოტი და გამომწვარია შედარებით სუსტად. კეცი თხელია, ფოროვანი, ზოგჯერ ანგობირებული, მოგლუვებული. ძირები ბრტყელია, პირი სწორი, ჩვეულებრივ დაძერწილქობიანი. ჭურჭლები ქილის ან ქოთნის ფორმისაა. მათ ახასიათებთ სწორი დათხლებული ან მომრგვალებული პირი. არის პირგადმოკეცილი ჭურჭლები და მომრგვალებულმუცლიანი ქოთნებიც. შედარებით მცირეა სწორკედლიანი ჭურჭელი. ფორმათა ნაირგვარობით ხასიათდება ჯამები: არის როგორც უყელო, ისე ყელჩაღარული, პირგადაშლილი, სწორკედლიანი; არის პირფართო, ქუსლიანი სასმისი; მაღალფეხიანი ლარნაკი; ბოკალისებური ჭურჭლები და რქიანი სადგრები. ყურებია როგორც ფართო, შუაში ღარი, ასევე მოგრძო ლენტისებური, კედელში ჩასამაგრებელი სპეციალური შვერილით. არის კოპისებური და უნაგირისებური დანაძერწებიც (ტაბ. XXIII).

დეკორი ძალიან მრავალფეროვანია და უხვადაა დატანილი ჭურჭლების ზედაპირზე, სამწუხაროდ, მხოლოდ ორნამენტირებული ფრაგმენტებია და იმის დადგენა, თუ რა ტიპის ჭურჭელზე როგორი შემკულობა იყო, შეუძლებელია.

ორნამენტირებული მოტივებია: გვირგვინის დაბეჭდვა, ირიბი გაფანტული ღარები, წინვისებური სახეები, მარცვლისებური ნაჭდევები, რელიეფური სარტყელი, ზოგჯერ ზედ თითის ან ირიბი მოკლე ხაზების ანაბეჭდებით, სავარცხლისკბილისეული შტამპი და ფოსოები. არის შემთხვევები, როდესაც რამდენიმე სახის დეკორი ერთ ფრაგმენტიზე გვხვდება. თვითონ ავტორი ი. წვინარია ამ მასალებისათვის პარალელებს ეძებს მაჭარაში, კისტრიკში, აგუბეკოვში, ნოფში, მაიკოპში, დიხა-გუძუბაში და სხვა, რაც სრულიად გაუმართლებელია, რადგან თითქმის ყველა მოყვანილი პარალელი სრულიად სხვადასხვა პერიოდს ეკუთვნის. გარდა ამისა, B ფენას, რომლის სიმძლავრე სულ 78 სმ-ია, იგი მთელი III ათასწლეულის სიგრძეზე ჭიმავს. ერთი სიტყვით, B ფენა ძვ. წ. მთელი III ათასწლეულით აქვს დათარიღებული (Цвинария И. И. 1978: 46).

გუანდრას B ფენის კერამიკული მასალის კიდევ ერთხელ გადახედვა გვარწმუნებს, რომ როგორც ფორმით, ასევე დეკორით, იგი ძალზე ახლოს დგას მაჭარას მე-3-ე ფენის ნაწარმთან, რაღაც ელემენტებით (ყურები, რელიეფური სარტყელი). იგი ოჩამჩირესთანაც ნახულობს საერთოს, მხოლოდ გუანდრას B ფენა, რაღა თქმა უნდა, უფრო გვიანდელია. ამიტომ, უფრო უპრიანია, მაჭარას ნასახლარის 3 ფენის ანალოგიურად, იგი სადღაც III ათასწლეულის მეორე ნახევარს მიეკუთვნოს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე გათხრილ ძეგლებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ფიჩორის ნასახლარს ეკუთვნის, როგორც ყველაზე სრულად და მთლიანად გათხრილ და შესწავლილ ძეგლს.

ფიჩორის ნასახლარი მდებარეობს აფხაზეთში, გალის რაიონის სოფ. ფიჩორში, ზღვის ნაპირიდან 400 მ ჩრდილოეთით ზღვის დაბალ ტერასაზე. ნასახლარის ცენტრში აღმართულია ცენტრალური ბორცვი (სიმაღლე-5 მ, დიამეტრი-60 მ). მის ირგვლივ ორ რიგად განლაგებულია კიდევ 10 შემადგენელი. თითოეულ ამ ხელოვნურ ბორცვს და მთელს სისტემას შემოუყვება 5-12 მ სიფართის ხელოვნური არხი, რომელიც სამხრეთით ზღვას და ჩრდილოეთით კიდევ 2 ნამოსახლარ კომპლექსს უკავშირდება. ამით დასტურდება ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობა კოლხეთში ხელოვნური არხების, როგორც სამომოსვლო არტერიის არსებობის შესახებ. პარალელურად ეს არხები ასრულებდნენ სამეურნეო და თავდაცვით ფუნქციებს.

ცენტრალურ ბორცვზე დაფიქსირდა ერთმანეთისაგან სტერილური შრეებით გამოყოფილი 8

¹ ამ ძეგლის ადგილზე ნახვისა და მასალების გადათვალთვლების შემდეგ ისთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ B ფენაში ზედა გვიანბრინჯაოს მასალებიც შეიძლება იყოს შერეული, რადგან ნასახლარი, ფაქტიურად, ქვიშნარში მდებარეობს, რაც ფენების დანახვას და ერთმანეთისაგან გამოყოფას აძნელებს.

კულტურული ფენა, რომლებიც მოიცავენ დროის მონაკვეთს ძვ. წ. III ათასწლეულიდან ძვ. წ. III საუკუნის საწყისამდე. მსგავსი სტრატეგრაფიის მქონე ძველი კავკასიაში ჯერჯერობით უცნობია და მის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება მთელი რიგი ძველების ახალ ქრონოლოგიურ ასპექტში გააზრება და პერიოდიზაცია.

ცენტრალურ ბორცვზე წარმოდგენილი 8 კულტურული ფენიდან ქვედა ორი – მე-7-ე და მე-8-ე – ადრებრინჯაოს ეპოქას განეკუთვნება. ისინი ერთმანეთისაგან ზოგან 40-50 სმ სისქის სტერილური შრით გამოიყოფიან, ზოგან კი ერთიანდებიან და ერთ ფენას ქმნიან. ფენების მდგომარეობის და მასალის იდენტიფიკაციის გათვალისწინებით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ ერთი ეპოქის კულტურული ფენის ორ ჰორიზონტთან უნდა გვეკონდეს საქმე. ერთიანი ფენის სისქე 3 მ-ია. გათხრილი ფართობი 600 კვ. მ-ია. არქიტექტურული ნაშთები ორივე ფენაში დაფიქსირდა. ეს იყო ჯარგვალური და ფაცხის ტიპის ნაგებობანი, რომელთაც ძირა ფენაში ჭაობისებური ნყლიანი ნიადაგისგან დასაცავად ხიმინჯები იყო გამოყენებული.

მე-7-ე ფენაში წრიული და ოთხკუთხა მოყვანილობის ნაცარ-ნახშიროვანი ლაქები გაინმინდა, ძელებისა და ბოძების ბუდეებითა და ბათქაშებით. თიხის იატაკი კენჭების ფენაზე იყო მოლესილი (ტაბ. XXIV).

ქვედა მე-8-ე ფენაში შემორჩენილი იყო ხიმინჯებიანი, ხის ბაქნიანი სათავსოების ნაშთები, ბოძები ბუდეებში თიხით იყო ჩალესილი. თვითონ ხიმინჯები დაახლოებით 60 სმ სიმაღლის კარგად გათლილ ხის ნაჭრებს წარმოადგენდა, რომელთაც ცალი ბოლო წანვეტილი, ხოლო მეორე სწორად ჰქონდათ გადაჭრილი. წვეტიანი ბოლოთი ხიმინჯი მიწაში მაგრდებოდა, ხოლო ბრტყელი ბოლო ბაქნის გასამართავი მოედნისათვის იყო შემზადებული. ხიმინჯები თანაბარი მანძილით იყო დაშორებული ერთმანეთს და ორმხრივად გაჭედილი ხის მორებით. ასეთ საყრდენზე დალაგებული იყო ფიცრული ბაქანი, რომელიც შემდეგ თიხის სქელი ფენით იყო დაფარული. დიდძალი ბათქაში წნულის ანაბეჭდით ფაცხის ტიპის ნაგებობის არსებობას მიანიშნებდა.

მე-8-ე ფენის იატაკის დონეზე გაინმინდა რიყის ქვებისაგან შეკრული წრე, რომელზეც ენყო ირმის რქის ძირი, დანახშირებული მარცვლეული, ოთხმხრივი ყალიბი (ოთხი სხვადასხვა ნივთისათვის), ცულისა და თიხის ყალიბები, ხის სახნისი და ჩამსხვრეული ჭურჭლების ფრაგმენტები

სათავსოს აგებულება, ნივთების განლაგება და არტეფაქტების კომპლექსი ექვს არ ინვევდა, რომ იგი საკულტო დანიშნულების სათავსო უნდა ყოფილიყო (ფხაკაძე გ. 1992: 280).

მოპოვებული მასალის უმრავლესობას კერამიკა წარმოადგენს. იგი ხელით ნაძერწია, კარგად გამომწვარი, უხეში და მსხვილმარცვლოვანი, თიხის ცომს ურევია ქვიშა და ქარსი დიდი რაოდენობით, კირი და კვარცი – უფრო ნაკლებად. ჭურჭელთა მასა მურა-მოვარდისფრო, აგურისფერი, მურა-მონაცრისფრო და მოშავოა. გამოირჩევა დერგის, ქოთნის, ქილის, ჯამის ფორმის ჭურჭელი, უმრავლესობას ზედაპირი სავარცხლის კბილისებური იარაღით აქვს მოსწორებული, რის შედეგადაც პარალელური ხაზები ემჩნევა. დერგები დიდი ზომისაა, პირქობიანი, გვირგვინშესქელებული, ოდნავ გამოსახული ყელითა და მოგრძო კვერცხისებური ტანით. ქილები და ქოთნები უფრო თხელგვირგვინიანი და პირგადაშლილია, მაღალი ყელი თანდათან გადადის კორპუსზე. ეს ჭურჭელი ყოველთვის შემკულია სხვადასხვა ფორმის შვერილ-დანაძერწებით: ძუძუსებური კოპით ან ნყვილი კოპით; ქიმისებური შვერილებით, ფოლაქისებური კოპით; ჯიბისებური შვერილით. ზოგჯერ ეს დანაძერწები ზემოდან თითების ანაბეჭდებით ან მოკლე ირიბი ღარებითაა შემკული (ტაბ. XXV, ტაბ. XXVI). მთელი ეს ორნამენტული ანსამბლი საოცარ მრავალფეროვნებას ქმნის ზომების, ფორმების, ძერწვის სიმკვეთრისა თუ სიმსუბუქის ნიუანსების თვალსაზრისით. ზოგ მათგანს ყურებიც გააჩნია; მათი უმრავლესობა გვირგვინიდან იწყება, ბოლო კი სპეციალური შვერილით ჩაძერწილია ჭურჭლის კედელში. ყურები არის მარყუჟისებური, ოვალური და მრგვალგანივკვეთიანიც. ზოგი მათგანი ფართოა და ღარით ორადაა გაყოფილი. გვხვდება ყურის ჰორიზონტალურად დამაგრების

ფაქტებიც. იმ ჭურჭლებს, რომელთაც ყურები აქვთ, შვერილ-კოპები აღარ ახასიათებთ და მხოლოდ რელიეფური სარტყლით არიან დამშვენებული პირქვეშ ან ტანზე, რომელთაც ანალოგიურად თითების ანაბეჭდები ან ირიბი ნაჭდევი ეტყობათ. ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმი აშკარად სამზარეულო დანიშნულებისაა, ზოგიერთი მათგანი სანოვაგისა თუ სითხის შესანახადაც უნდა ყოფილიყო განკუთვნილი (ტაბ. XXVII).

აქვეა ამავე ფორმის, მხოლოდ მომცრო ზომის, სუფრის ჭურჭელი: ქილები, ქოთნები, კოჭბის, სასმისია და ჯამისებური, რომელთაც უფრო მოგლუვებული ზედაპირი აქვთ და უფრო გულიანად ნაკეთები ჩანან; არის როგორც პირმოყრილი, ასევე ფართოპირიანიც. ძირები ჩვეულებრივ ბრტყელია, კუთხოვანი ან ოდნავმომრგვალებული გადასვლით კედელზე. სუფრის ჭურჭელს ქუსლგამოყვანილი და მაღალი ღრუქუსლიანი ძირები აქვთ, როგორც ჩანს, ვაზისებური ჭურჭლებისა. ძირის ბევრ ფრაგმენტს ქილოფისა და ქსოვილის ანაბეჭდი ეტყობა.

ზემოაღნიშნული კერამიკული ნაწარმის გვერდით მკვეთრად გამოიყოფა სრულიად განსხვავებული კერამიკული პროდუქცია როგორც ფორმით, ასევე დამზადების ტექნიკით. ესაა თხელკეციანი, სუფთა, განლექილი თიხისაგან გამოძერწილი შავპირილა, მუქი ყავისფერი პირილა და ჩალისფერი მოპრიალებული ჭურჭელი. ფორმის მიხედვით უმეტესობა კოჭბის, სასმისის და ვაზის ფორმისაა, თუმცა, ზოგი შეიძლება ქოთანიც იყოს; საინტერესოა, რომ ყველა მათგანი მომცრო ზომისაა, ახასიათებს კარგად პროფილირებული, გადმოშლილი გვირგვინი, მკვეთრად გამოყვანილი ცილინდრული ყელი, კარგად გამოსახული მხარი და პატარა ძირი. ლენტისებური ყურები პირსა და მხარზეა მიძერწილი. ზოგ მათგანს კოპებიც ამშვენებს. ყველა ორნამენტირებულია ჭრილი გეომეტრიული სახეებით, რომლებიც ყელსა და მხარზეა მოთავსებული და ხშირად ყურებზედაც გადადიან. კერამიკის ეს ტიპი თავის უახლოეს პარალელებს როგორც ფორმა-პროფილებითა და ზედაპირის დამუშავებით, ასევე თავისი ორნამენტაციით, პოულობს თრიალეთის ადრეული ყორღანების მასალებში და უფრო კი ბედენის კულტურაში (ტაბ. XXVIII).

მასობრივი სამზარეულოს ტიპის კერამიკა სავსებით იდენტურია ოჩამჩირის ნასახლარის მასალისა და ძალიან ახლოს დგას გუმისთა-აჭანდარას კერამიკულ ნაწარმთან.

ფიჩორის მე-8-ე ფენის თარიღი C14 განსაზღვრულია (TB 460) 4245 ± 60 ძვ. წ. აღრიცხვით. კალიბრირებული ძვ. წ. 4710 ± 109 (Pkhakadze G., Baramidze M. 2008: 249-267).

ფიჩორის ნასახლარზე კარგად არის წარმოდგენილი ქვის ნაწარმიც. რიყის ქვისაა ბადის სანაფები (გვერდამოღარული და დისკოსებური), შუაში ნახვრეტი; სალესები, საბეგველები, ხელსაფქვავეები; კაყისაა ცალმხრივ და ორმხრივდაკბილული ნამგლისპირები, ზოგჯერ თავ-ბოლოამოღარული (ოჩამჩირის ტიპისა). არის ორმხრივდამუშავებული ქუსლამოღარული და ყუნწიანი ისრისპირები (ტაბ. XXX).

მეტალურგიის მაღალი დონის მაჩვენებელია ათობით (60 ცალი) ორსაგდულიანი ყალიბი ყუამილიანი მრგვალპირიანი ცულის ჩამოსასხმელად. ბევრია ყუაგახვრეტილი სამკუთხა ოვალური ფორმის თოხის ჩამოსასხმელი ყალიბიც. აქვე აღმოჩნდა თოხი, რომელიც ერთ-ერთ მათგანშია ჩამოსხმული. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ოთხმხრივი ყალიბი, ოთხი სხვადასხვა იარაღის ჩამოსასხმელად (სატევარი, კოვზი, შუბისპირი და უცნობი საგანი); ასეთი 3 ყალიბი იქნა აღმოჩენილი. ანალოგები ჩვენთვის უცნობია. ყალიბები, ციცხვები, ფიალისებური მრგვალძირა ჭურჭელი ლითონის ნაშთით, საქშენი მილები, წიდა და სხვა, იმის მანიშნებელია, რომ ლითონის ნივთების ჩამოსხმა ადგილზე ხდებოდა. ნასახლარის ფართობზე ერთ ადგილას თავმოყრილი იყო რაღაც თეთრი ნივთიერება, რომელიც შეიძლება დარიშხანიც ყოფილიყო. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ფიჩორიდან უახლოვესი ლითონის მადნის საბადო 200-250 კმ-ში მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის მთიანეთში, აშკარა ხდება, რომ უკვე კარგად ორგანიზებულ ნამდვილ მეტალურგიულ წარმოებასთან გვაქვს საქმე ცალკე გამოყოფილი მომპოვებელი და გადამამუშავე-

ბელი ცენტრებით (Барамидзе М. 1988: тезисы доклада) (ტაბ. XXIX).

მინათმოქმედების დანიშნულება დამაჯერებლადაა დოკუმენტირებული ორი სხვადასხვა ტიპის ხის სახენებების აღმოჩენით, რომლებიც ეჭვგარეშე გუთნურ მინათმოქმედებას უკავშირდება (Пхакаძე Г. 1986: 191).

ფიჩორის ნასახლარის მე-6-ე ფენა, რომელიც გამთხრელების მიერ შუაბრინჯაოდ იყო მიჩნეული, მასალების ხელახლა გადახედვის შემდეგ თითქმის იდენტური გამოდგა მე-7-ე ფენისა (ჭურჭლის ფორმები, ორნამენტი, ყურები და სხვ.), ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ მე-6-ე ფენა გარდამავალ ეტაპს უნდა ასახავდეს ადრედან შუაბრინჯაოზე, ხოლო ფიჩორის მე-5-ე ფენა აშკარად შუაბრინჯაოს ხანით უნდა განისაზღვროს (ფხაკაძე გ. 1998: 34; Pkhakadze G., Baramidze M. 2008: 249-267).

ადრებრინჯაოს ეპოქას წარმოგვიდგენს აფხაზეთის დოლმენებიც. ისინი ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებს განეკუთვნებიან, კერძოდ კი ადრეული დოლმენები, რომლებიც პატარა ზომებით გამოირჩევა.

დოლმენები გავრცელებულია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც ზღვასთან ახლოს, ასევე მთის ზოლში (ემერი, აზანთა, ოთხარა, ყულანურხვა, შრომა, ხუაბ და სხვ.). მათ გათხრასა და შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ა. ლუკინს, ლ. სოლოვიოვს, ბ. კუფტინს, ო. ჯაფარიძეს, ი. წვინარიას და სხვ.

ემერში და საერთოდ მთელს აფხაზეთში დღემდე ცნობილი ყველა დოლმენი დაახლოებით ერთი ტიპისაა. ისინი წარმოადგენენ მეგალითურ სამარხ ნაგებობებს, რომელთაც გეგმაში ტრაპეციის ფორმა აქვთ. აგებულია ოთხი ვერტიკალურად დადგმული მასიური ბრტყელი ქვისაგან და მეხუთე ქვითაა გადახურული. ზოგ დოლმენს იატაკადაც ქვის ფილა აქვს. წინა კედელში, რომელიც ყოველთვის სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიქცეული, მრგვალი ხვრელი აქვს, რომელიც ქვის საცობით იხურებოდა. გვერდითი კედლები ზოგჯერ საბჯენებით ან ქვის ლოდებითაა შემონწყობილ-გამაგრებული, ზოგიერთი მათგანი კი მინითაა დაფარული. საინტერესოა სოფ. ოთხარაში გათხრილი დოლმენი, რომელსაც გარშემო ორ რიგად კრომლები შემოუყვებოდა, თვითონ კი სრულიად დაფარული იყო ყორღანული მინაყრილით (ოთხარა, ხუაპი).

დოლმენი კოლექტიური საგვარეულო სამარხია. მასში დაკრძალვის წესის ზუსტად დადგენა არ ხერხდება. ბ. კუფტინის აზრით, დოლმენები გამოიყენებოდა მეორადი დაკრძალვისათვის და ძვლები წინა კედელში დატანებული ხვრელით შეჭქონდათ (Куфтин Б. А. 1949: 275).

პროფ. ო. ჯაფარიძემ ზომის მიხედვით დოლმენები 3 ჯგუფად დაყო: პატარა, საშუალო და მოზრდილი. პატარა დოლმენები (ზომები: 2.25X2 მ; სიმაღლე-1.20 მ) ტლანქად ნაკეთებია და ყველაზე არქაულ მასალას შეიცავს. ასეთებია 1955-56 წლებში გათხრილი ემერის II და III დოლმენები. ფორმა-რეკონსტრუქციისა და დაკრძალვის წესით ისინი არ გამოირჩევიან სხვა სამარხებისაგან, მათი ინვენტარი ძირითადად თიხის ჭურჭლით არის წარმოდგენილი. კერამიკა ხელით, ტლანქად ნაქრნია, მონითალო ან მოშავო ფერის. გამოირჩევა ქოთნები, ქილები, სწორკედელა და მრგვალკედლიანი ჯამები, სასმისები. ორნამენტი იშვიათია და წინვისებური ამოკანრული სახეებითაა წარმოდგენილი. ჭურჭლები უპირატესად პატარა ზომისაა და ფიქრობენ, რომ სპეციალურად სამარხში ჩასატანებლად იყო დამზადებული (ტაბ. XXXI). გარდა კერამიკისა, ადრეულ დოლმენებში გვხვდება სპილენძის ბრტყელი, ყუნწიანი ისრისპირი, ოვალური სასაფეთქლე ხვია, სპილენძის დამლილი სატევრისპირი, ლითონის ფირფიტის ფრაგმენტები, თიხის კვირისტავი და კაჟის ქუსლამოლარული ისრისპირები (ჯაფარიძე ო. 1971: 238).

საშუალო ზომის დოლმენები უკეთაა ნაგები, სხვა მხრივ კი – ფორმა-კონსტრუქციითა და დამარხვის წესით – პატარა ზომის დოლმენებისაგან არ განსხვავდება. კერამიკა თავისი ფერით, ფორმებითა და ორნამენტით პატარა დოლმენების მასალას იმეორებს, მაგრამ მნიშვნელოვანია ის

გარემოება, რომ მათში ლითონის ნივთები უკვე დიდი რაოდენობით და ნაირგვარობითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპილენძის ყუადაქანებული ცულები, მასრაგახსნილი და მასრაშეკრული ცალი და სამკაპა კავები. ზოგი შესანიშნავი წნული ორნამენტით შემკული. კავკასიაში გავრცელებული კავებიდან აფხაზეთის დოლმენების ცალები ყველაზე ადრეულია. აქვეა აღმოჩენილი ბრტყელი ფოთლისებური მაღალყუნნიანი სატევრისპირები, საკინძები და სხვ. ლითონის ინვენტარი დამზადებულია ჩამოსხმით დარიშხანიანი სპილენძისაგან (5%) (ტაბ. XXXII).

დოლმენების კვლევა რამოდენიმე ათეულ წლებს მოიცავს, მაგრამ დღემდე გადაუჭრელია მათი წარმოშობის, გავრცელებისა და დათარიღების პრობლემები, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი შესწავლის პრობლემა ჯერ კიდევ დგას მკვლევართა წინაშე.

აფხაზეთის დოლმენები ზოგიერთ მკვლევარს გამოჰყავს მცირე აზია-სირია-პალესტინიდან (ლ. სოლოვიოვი) ზღვის გზით, სამხრეთ კავკასიის გვერდის ავლით. იგი აფხაზეთის დოლმენების ქვედა ფენას, რომელიც ბ. კუფტინის მიერ იყო გამოყოფილი და ყველაზე ადრეულად მიჩნეული, უკავშირებდა ოჩამჩირის ნასახლარისა და ნანილობრივ გუმისთის მასალებს, სინქრონულად მიიჩნევდა მათ და ამის საფუძველზე ხაზავდა კულტურულ რეგიონს ენგურიდან ადღერამდე, რომელსაც უწოდებდა „სამხრეთ დოლმენურ კულტურას“. ამ კულტურის ცნობილი ძეგლები, როგორც უკვე ითქვა, იყო ოჩამჩირის ნასახლარი და დოლმენების ძირა ფენა. მათ ძირითადად გამაერთიანებელ ელემენტს წარმოადგენდა ლენტური ტექნიკით ნაკეთები კერამიკა სავარცხლისკბილისეული კვალით ზედაპირზე, ირიბი ნაჭდევებით, წინვისებური სახეებითა და (Соловьев Л. Н. 1958: 151) დაკეჭნილი შვერილებით, რომელთაც პალესტინის მასალებთან აკავშირებდა და მცირე აზიიდან ხალხის მიგრაციას აწერდა. მცირე აზიასთან მჭიდრო კონტაქტებით ხსნიდა ზ. ანჩაბაძეც დოლმენების გამოჩენას კავკასიაში (Анчабадзе З. В. 1964: 94).

ლ. სოლოვიოვი ამავე დროს მდ. ენგურის სამხრეთით გამოყოფს „პროტოკოლხურ“ კულტურას, რომელიც „სამხრეთ დოლმენურის“ მონათესავე იყო. ეს „პროტოკოლხური“ კულტურა III-II ათასწლეულის მიჯნაზე მოიტანეს კოლხეთის დაბლობზე ისევ მცირე აზიიდან გადმოსახლებულმა ქაშქებმა. მათმა გამოჩენამ თითქოს მატერიალური კულტურის შეცვლა გამოიწვია, სრულიად გაქრა მანამდე ამ ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი კულტურა და ახალი გავრცელდა (Соловьев Л. Н. 1958: 162). ლ. სოლოვიოვის ეს დებულება სრულიად მცდარ საფუძველზე იყო აგებული. მას ეგონა, თითქოს კოლხეთის დაბლობზე ადრე გავრცელებული იყო აღმოსავლეთი ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელი „მტკვარ-არაქსის“ კულტურა, რომ თითქოს დიხა გუძუბას ქვედა ფენაში ნაპოვნი იყო მტკვარ-არაქსული ნაწარმი; ამიტომ დიხა-გუძუბა დაბლა-გომთან ერთად ამ კულტურის გავრცელების სფეროში შეყავდა. მაგრამ დიხა გუძუბაზე მტკვარ-არაქსული კერამიკა აღმოჩენილი არასოდეს ყოფილა. ლ. სოლოვიოვის ეს შეცდომა გამომდინარეობს ბ. კუფტინის ერთ-ერთი მოსაზრებიდან, რომელიც ლ. სოლოვიოვის მიერ არასწორად იყო გაგებული, კერძოდ, ბ. კუფტინი დაბლა-გომის განხილვის დროს, მის ზედა ჰორიზონტში აღმოჩენილი კერამიკის ნაწილს ამსგავსებდა კოლხეთის უძველეს ნასახლართა პროდუქციას, მაგრამ ეს სწორედ ის ჭურჭელი იყო, რომელიც მკვეთრად გამოირჩეოდა ადგილობრივი ნაწარმისაგან და არაფერი ჰქონდა საერთო მტკვარ-არაქსის კულტურასთან.

ამგვარად, ლ. სოლოვიოვის დასკვნა კოლხეთის დაბლობზე მოსახლეობის შეცვლისა და შესაბამისად მატერიალური კულტურის შეცვლის შესახებ, სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყურება (ჯაფარიძე ო. 1971: 180-182; 1976: 231-232). პირიქით, სრულიად სანინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ჩვენ არაერთხელ გვაქვს აღნიშნული, რომ მთელი დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და მათ შორის აფხაზეთშიც თავიდანვე გავრცელებული იყო ადგილობრივ ნეოლითურ კულტურაზე აღმოცენებული და დაფუძნებული, მასთან გენეტიკურად დაკავშირებული ადრეული-თონების ხანის კულტურა, უკვე ერთხელ და საბოლოოდ ჩამოყალიბებული ქვის დამუშავების

ტექნიკით, არქიტექტურით, საკმაოდ დამახასიათებელი კერამიკული კომპლექსით და სხვა. ისიც აშკარაა, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის უძველეს კულტურათა განვითარებაში რაიმე საგრძნობი ინოვაციები ან ტრანფორმაციები არ შეიმჩნევა (ფხაკაძე გ. 1993: 30-31).

როგორც ზემოთ ითქვა აფხაზეთის დოლმენების შესწავლაში უპირველესი წვლილი ბ. კუფტინს, ლ. სოლოვიოვს და ოთ. ჯაფარიძეს მიუძღვის. სწორედ ოთ. ჯაფარიძის მიერაა აფხაზეთის დოლმენებში ზომებისა და მასალის მიხედვით ქონოლოგიურად სამი ჯგუფის გამოყოფა, რომელთაგან მცირე და საშუალო დოლმენები ადრებრინჯაოს ეპოქითაა განსაზღვრული (ჯაფარიძე ოთ. 1961: 212-238; 1976: 190-193).

სადღეისოდ აფხაზეთის დოლმენები მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული ჩრდილო კავკასიის, კერძოდ კი ყუბანისპირეთის დოლმენებთან – ნოვოსვობოდნიასა და ჯგუფთან (რ. მუნჩაევი, ვ. მარკოვინი, ა. რეზეპკინი, მ. რისინი, ო. კორენევესკი და სხვ.), მაგრამ მათ ურთიერთგავლენასა და წარმომავლობაზე მაინც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული. თვით აფხაზი მკვლევარები ბ. ანჩაბაძე, შ. ინალ-იფა, ლ. წვინარია და სხვა მათ ადგილობრივ წარმოშობას გულისხმობენ. ლ. სოლოვიოვი და ი. ვორონოვი ყუბანისპირეთის დოლმენების ადრეულობაზე საუბრობენ აფხაზეთის ძეგლებთან შედარებით (Воронов Ю. Н. 1965: 73). მაგრამ აფხაზეთის დოლმენების მასალებისა და განსაკუთრებით კი მათი კონსტრუქციების გათვალისწინებით ეს მოსაზრება სრულიად მცდარი ჩანს. აფხაზეთის დოლმენების მარტივი ფორმა, ფილებით აგება, ხვრელი წინა კედელში, მინისზედა განლაგება წარმოადგენს სწორედ დოლმენის კლასიკურ სტილს და მის დანიშნულებას ზედმინვენიტ შეესაბამება (საგვარეულო სამარხი, მეორადი დამარხვა).

ჩრდილო კავკასიური დოლმენები სულ სხვადასხვა ფორმისა და კონსტრუქციებისაა. ამავე დროს ზედ მინაყრილიც გააჩნია, რაც თავისთავად ხელს უშლის დოლმენის, როგორც საგვარეულო სამარხის ასეთ გამოყენებას და კედელში დატანილი ხვრელიც ასეთ ვითარებაში სრულიად უაზრო და უფუნქციო ხდება (Пхакадзе Г. 2002: 109; ფხაკაძე გ. 2006: 138-140).

ჩვენ სავსებით მართებულად მიგვაჩნია მ. რისინის მოსაზრება დოლმენების წარმომავლობის პოლიცენტრიზმის შესახებ. რომ ეს იყო უნივერსალური იდეა, რომელიც მჭიდრო კონტაქტების საშუალებით გავრცელდა მთელი ევრაზიის ტერიტორიაზე და ამ იდეამ შემდეგ ყველა რეგიონში თავისი ისტორიული განვითარების შესაბამისად მისთვის მისაღები გამოხატულება მიიღო (Рысын М. 2000: 89).

აფხაზეთის ადრეული დოლმენებისათვის ზუსტი თარიღი არ არსებობს, მცირე დოლმენები ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლოს, ხოლო საშუალო ზომის დოლმენები ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებითაა განსაზღვრული (ჯაფარიძე ოთ.), ხოლო ი. წვინარიას ისინი ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლომდე მიყავს (Цвинария И. И. 1990: 45).

დოლმენებზე და მათ შორის აფხაზეთის დოლმენებზეც მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს. ახალი ძეგლების აღმოჩენამ ჩრდილო კავკასიაში, მათმა ახლებურმა გააზრებამ გამოიწვია ძველი მონაცემების გადახედვის აუცილებლობა. წარმოიშვა ამ პრობლემისადმი სრულიად ახალი კუთხით მიდგომის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დავაფიქსიროთ ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება დოლმენების და კერძოდ აფხაზეთის დოლმენების შესახებ.

პირველყოვლისა ნაკლებად დასაბუთებულად გვეჩვენება ვარაუდი, რომ ევრაზიის ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე განფენილი დოლმენები ერთი რომელიმე ცენტრიდან იყო გავრცელებული. გაცილებით უფრო მისაღებად მიგვაჩნია “პოლიცენტრიზმის” იდეა. მართალია, დოლმენები და საერთოდ მაგალითური ძეგლები ცნობილია ევროპა, აზია და აფრიკაში, მაგრამ ყველა ამ ცალკეულ რეგიონში მათ გააჩნიათ გარკვეული სპეციფიკა, თავისებურებანი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშნები. დოლმენების მშენებელთა მიგრაცია, ერთი რომელიმე ადგილიდან ჯერ დამტკიცებულიც არ არის და არც ამის რაიმე კვალი ჩანს.

ხალხთა მიგრაციას ან თუნდაც ტალღას პირველ რიგში უნდა გამოეწვია საგრძნობი ცვლილება თვით არქეოლოგიურ მასალაში; უნდა ასახულიყო იმ მატერიალურ კულტურაზე სადაც მათ შეაღწიეს. მაგრამ ასეთი ფაქტებიც ჯერჯერობით არსად არ ყოფილა დადასტურებული. როგორც ჩანს უფრო მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ დოლმანების აგება ეს იყო “უნივერსალური იდეა”, გავრცელებული მჭიდრო კონტაქტების მეშვეობით (ვაჭრობა, გაცვლა, ინფიტრაცია) {Рисин м. 2000:89}, რომელმაც შემდეგ ყოველ რეგიონში თავისი ისტორიული განვითარების შესაბამისად მისი კულტურებისათვის უფრო მისაღები გამოხატულება მიიღო {Сцвинария 1990:21}.

აფხაზეთის დოლმენების აგებულება გვარწმუნებს, რომ ისინი იმეორებენ ამავე ტერიტორიაზე არსებულ ტრადიციულ ქვეყნების ფორმას და კონსტრუქციებს. დოლმენების კავშირი ქვაყუთების ფორმას და კონსტრუქციებს. დოლმენების კავშირი ქვაყუთებთანაღნიშნული აქვს ი. წვინარიას {8, გვ 21}. დასავლეთ კავკასიაში გავრცელებულ სხვა უფრო რთული აგებულების დოლმენტთან (შედგენილი, ორკამერიანი, კორიდორული, გალერიანი და სხვა) შედარებით აფხაზეთის ფილებით შეკრული დოლმენები აშკარად უფრო მარტივად და ადრეულად გამოიყურებიან.

აფხაზეთის დოლმენები წინა კედელში დატანებული ხვრელით წარმოადგენს ამ მიწისზე-და ნაგებობათა კლასიკურ ტიპს, რომელიც მრავალჯერადი გამოყენებისათვის იყო გამიზნული. როგორც ცნობილია სწორედ ამ ხვრელის საშუალებით შეჭკონდათ მიცვალებულთა დანაწევრებული ძვლები სამარხში. ამიტომ ნებისმიერი ყრილი სამარხის თავზე სრულიად ეწინააღმდეგებოდა მის, როგორც კოლექტიური სამარხის დანიშნულებას და თვით ხვრელიც კარგავს თავის ფუნქციას და უაზრო ელემენტად იქცევა {ფხაკაძე 2006: 38-44}

ჩრდლო კავკასიის “დოლმენების მშენებელთა კულტურა” ასე უნოდებს მას არქეოლოგი მ. რისინი და მიაჩნია, რომ “დოლმენების კულტურა” არასწორი ტერმინია მათი ასაკი შუა ბრინჯაოს ხანითაა განსაზღვრული. მაშასადამე ისინი აფხაზეთის დოლმანებზე გვიანდელია, ვინაიდან აფხაზეთის მცირე და საშუალო ზომის დოლმენები ადრე ბრინჯაოს ხანაში იწყებს ფუნქციონირებას. ნოვაციები, რომლებიც შენიშნულია ჩრდილოეთ კავკასიის დოლმენებში, როგორც კერამიკულ პროდუქტიაში, ისე ლითონის ნაწარმში (ყუადაქანებული ცულები, ყუნწიანი სატევრები, კაკვები, სპირალური ხვიები და სხვა) უკავშირდება სწორედ სამხრეთ კავკასიას და კერძოდ კი საჩხერის მეტალურგიულ ცენტრს. ამასთანავე სამხრეთ კავკასია განიხილება, როგორც ტრანსლაციის გზა, რომლითაც ხმელთაშუაზღვისპირულ — ეგეოსურ-მცირეაზიური სამყაროს მიღწევები ვრცელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში.

აფხაზეთის დოლმენების კერამიკა, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული უკვე პირველ მკველვართა მიერ (ბ. კუფტინი, ო. ჯაფარიძე) მცირე ზომისაა, არ გააჩნია არავითარი სამეურნეო დანიშნულება და როგორც ჩანს მზადდებოდა სპეციალურად სამარხში ჩასატარებლად. მაგრამ ჭურჭლის ფორმები (ჯამი, ქილა, ქოთანი, სასმისი) და ორნამენტი (სავარცხლისკბილისეული ზოლები, ამოკანრული საზოვანი და წინვოვანი სახეები) მთლიანად იმეორებენ აფხაზეთის იმავდროული ნასახლარების კერამიკულ მასალას (ოჩამჩირე, გუმისთა, აჭანდარა, ფიჩორი). ასევე იდენტურია ქვისა და ძვლის მასალა.

ინტერესმოკლებული არ არის ის გარემოება, რომ ოთხარის და ხუაპის დოლმენები მიწისქვეშა იყო ადრესამინათმოქმედო ნასახლარებზე და ქვის ინდუსტრიის მემკვიდრეობითი ხასიათი შესანიშნავად დგინდება სწორედ აქ მოპოვებულ ნივთიერ მასალაში.

ოთხარის დოლმენს ზემოდან მინაყრილი ქონდა, მაგრამ გამოკვლევამ აჩვენა, რომ იგი მეორადი იყო და გაკეთდა დოლმენზე გვიან, მასში შუასაუკუნეების ავლდამის გამართვის შემდეგ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ ვფიქრობთ რომ აფხაზეთის ადრეული დოლმენები ჩრდილოეთ კავკასიის ამ რიგის ძეგლებს ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ და წარმოადგენენ ხვრელიანი დოლმენების ყველაზე მარტივ, კლასიკურ ტიპს. ისინი ადრე ბრინჯაოს ხანას

განეკუთვნებიან, რაც აშკარად დასტურდება მათში აღმოჩენილი ნივთიერი მასალით (კერამიკა, ქვა, ძვალი). ამავე ტერიტორიაზე განლაგებულ ადრეულ ნამოსახლარებთან (ოჩამჩირე, გუმისთა, აჭანდარა) ერთ კულტურულ ეტაპს ქმნიან, რომელიც თავისი ფესვებით ადგილობრივ ნეოლითურ ტრადიციებს უკავშირდება.

აფხაზეთის ადრეული დოლმენები ვფიქრობთ ბოლო მონაცემების გათვალისწინებით ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულით შეიძლება განისაზღვროს. (ფხაკაძე 2006: 139)

* * *

ამრიგად, ჩვენს მიერ დახასიათებული და აღწერილია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის – აფხაზეთის ძვ. წ. III ათასწლეულის ძეგლები და მასალები რეგიონების მიხედვით. თავიდანვე იყო ხაზგასმული, რომ ჯერ კიდევ ენეოლითის ეპოქაში დასავლეთ ამიერკავკასიაში შემოიხაზა ორი ლოკალური რეგიონი: რიონ-ყვირილას აუზი და კოლხეთის დაბლობი მიმდებარე ბორცვიანი ზოლით. ისიც ითქვა, რომ ადრებრინჯაოს ხანაში, რომელიც ძირითადად ძვ. წ. III ათასწლეულს მოიცავს, მატერიალურ კულტურათა სხვაობა ამ ორ რეგიონს შორის კიდევ უფრო ძლიერდება.

რიონ-ყვირილას აუზის ადრებრინჯაოს ხანაში მთლიანად მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში ექცევა და ეს კულტურა არსებობს აქ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლომდე (Пхაკაძე Г. 1991: 19).

კოლხეთის ზღვისპირეთსა და ბორცვიან ზოლში – აფხაზეთში – განსხვავებული სიტუაცია აისახება. ადრებრინჯაოს ხანაში აქ ვითარდება ის მატერიალური კულტურა, რომელიც წინამორბედ ეპოქათა ტრადიციებზეა დამყარებული (ნეოლითი, ენეოლითი) და რომელთა მემკვიდრეობა აშკარად ეტყობა მთელი ბრინჯაოს ხანის მასალებს.

აქ გამოვლენილ ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურაში არ შეიმჩნევა რაიმე საგრძნობი ინოვაციები თუ ტრანსფორმაციები და საზოგადოება განაგრძობს განვითარებას გენეტიკურად კოდირებული გზით.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ტერიტორია და საერთოდაც დასავლეთი ამიერკავკასია ორი იმ დროისათვის უძლიერეს კულტურებს შორის მდებარეობდა მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის, მაგრამ იგი არცერთი მათგანის კულტურულ წრეში არ მოქცეულა.

აქ, როგორც უკვე ითქვა, ვითარდებოდა თავისთავადი ადგილობრივ ფესვებზე დაფუძნებული მატერიალური კულტურა, რომელსაც ჩვენ კოლხეთის ადრებრინჯაოს კულტურა ვუწოდებთ და რომლის ერთ-ერთ ორგანულ შემადგენელ ნაწილს აფხაზეთი შეადგენს (Пхაკაძე Г. 2009-2010: 74-86). მაგრამ ეს რეგიონები და კულტურები იზოლირებულნი არ იყვნენ ერთმანეთისგან და ჩვენ ხშირად ვაფიქსირებთ ურთიერთკონტაქტებსა და ურთიერთგავლენებს, როგორც ჩრდილო კავკასიისა, ასევე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის კულტურებთან. ადრებრინჯაოს ხანაში ასეთი მჭიდრო ურთიერთობები შეიმჩნევა კოლხეთისა და მტკვარ-არაქსის ძეგლებს შორის. მაგალითად გამოდგება კოლხეთის უძველეს ნასახლართა კერამიკის გამოჩენა რიონ-ყვირილას აუზში (არგვეთი, დაბლა-გომი) და თრიალეთ-ბედენის ელემენტების გამოვლენა აფხაზეთის ნასახლარებზე (ოჩამჩირე, ფიჩორი). კოლხეთის ადრებრინჯაოს კულტურა მონყვეტილი არ არის გარესამყაროსაგან, იგი გარკვეულწილად ჩაბმულია იმ კულტურულ ურთიერთობებში, რომელთაც ამ პერიოდში ადგილი აქვთ ამიერკავკასიის, მცირე აზია-ხმელთაშუაზღვისპირეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოკავკასიას შორის (ფხაკაძე გ. 1993: 14).

* * *

ძვ. წ. III ათასწლეული მწარმოებლური მეურნეობის შემდგომი აღმავლობით ხასიათდება. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დამადასტურებელი მასალები ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში გვხვდება. ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება იწვევდა მოსახლეობის ზრდას და ეს გარე-

მოება კი თავის მხრივ აპირობებდა ახალი ფართობების ათვისების აუცილებლობას. ამიტომაც ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე ნასახლართა ნაშთები თითქმის ყველა გეოგრაფიულ გარემოში გვხვდება: მღვიმეებში, ზღვისპირა დაბლობზე და ტერასებზე, მდინარეთა ხეობებში და მაღალმთიან ზოლშიც.

ზღვისპირა ტერასებზე საცხოვრებელი მინურებითა და ნახევარმინურებითაა წარმოდგენილი. საცხოვრებელთა იატაკებზე და კერების გარშემო თავმოყრილია ჩვეულებრივი ჭურჭლის ფრაგმენტები, ქვისა და კაჟის იარაღები, რქისა და ძვლის ნაკეთობანი, ქვისა და ლითონის ადგილობრივი წარმოების დამადასტურებელი ნივთები, ცხოველთა ძვლები და მარცვლეულის ნაშთები (მაჭარა, გუანდრა).

ზღვისპირა დაბლობებზე ხელოვნური ბორცვები ფიქსირდება, რომლებიც ხიმინჯებზე აღმართული ხის ბაქნებით, თიხის სქელი ფენებით მოზენიული მოედნებით და წნულკარკასიანი თიხით შელესილი ნაგებობებით ხასიათდება (ოჩამჩირე, ფიჩორი).

თითქმის ყველა ნასახლარზე გვხვდება მიწის დასამუშავებელი იარაღები, რომელთა სიმრავლე და დიფერენცირება უკვე კარგად ჩამოყალიბებულ და საკმაოდ წინნასულ მინათმოქმედებაზე მეტყველებს.

მიწის დამუშავება ხდებოდა ქვის, რქისა და ხის იარაღებით. „პიკის“ ტიპის და წერაქვისნაირი იარაღის საშუალებით, რომელთაც ჰორიზონტალური ან ვერტიკალური დასაგები ტარი ჰქონდათ – ნიადაგის განერა-გაკვალვა ხდებოდა; ამავე მიზნით იხმარებოდა ირმის რქის ძირისგან ნაკეთები წვერნამახული მიწის სახვნელები. ფიჩორის ნასახლარის ადრებრინჯაოს ფენაში აღმოჩენილი ორი ტიპის ხის სახნისი III ათასწლეულში უკვე გუთნურ მინათმოქმედებას გვიდასტურებს, რომელშიც გამწევი ძალა იხმარებოდა (ტაბ. XXIII). მოსავალს კაჟის ცალგვერდ და ორგვერდდაკბილული ნამგლებით იღებდნენ. კაჟის ნამგლისპირები ჩვენთან ადრეული ეპოქიდან ჩნდება და გვიანობამდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

დასავლეთ საქართველოში, ტყიანი ლანდშაფტის პირობებში, როგორც ფიქრობენ, მინათმოქმედება საახოვე უნდა ყოფილიყო. ტყისა და ბუჩქნარის გაკაფვასა და განმენდასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქვის სხვადასხვა ფორმის ცულები, რქის თოხები, „სოხუმისა“ და „სოჭი-ადლერის“ ტიპის ქვის თოხები და სხვ. მინათმოქმედებასთან არის დაკავშირებული ქვის სხვადასხვა ჯიშისგან დამზადებული ხელსაფქვავეებიც, რომლებიც ათეულობითაა ნაპოვნი ყველა ნასახლარზე. კოლხეთის დაბლობზე მინათმოქმედება ურწყავი უნდა ყოფილიყო, ნიადაგის სინოტივე და კლიმატი თავიდანვე გამოიციხავდა მორწყვის აუცილებლობას. სადრენაჟო თხრილები, რომლებიც კოლხეთის დაბლობზეა დაფიქსირებული, პირიქით, ნიადაგის ზედმეტი წყლისაგან განტვირთვას ემსახურებოდა.

რიგ ნასახლარზე შემორჩენილია კულტურულ-მცენარეული ნარჩენები. კულტურული მარცვლეულიდან წარმოდგენილია: რბილი ხორბალი, ორმარცვალა ხორბალი და კილიანი ქერი. სარეველებიდან: შვრია და ღვარძლი.

ფიჩორის ნასახლარის მე-8-ე ფენის თიხით მოლესილ იატაკზე აღმოჩენილ იქნა დიდი რაოდენობის მარცვლეულის ნაშთები, ირმის რქის სახვნელთან და ცულის ყალიბებთან ერთად. მარცვლეულში, ძირითადად, გამოიყოფა რბილი ხორბალი და კილიანი ქერი. აქვე იყო ნაბლის, რკოს, ველური თხილის და სხვა პროდუქტების ნარჩენებიც.

ამ პერიოდში, მინათმოქმედებასთან ერთად, გარკვეულ განვითარებას აღწევს მესაქონლეობაც. შინაური ცხოველის ძვლები აღმოჩენილ იქნა ფიჩორში და ოჩამჩირეში დიდი ოდენობით. ოჩამჩირის ნასახლარზე ნანახი იყო სამი ფალანგა ტანმორჩილი ძროხისა, ხარის ძვლები, ღორისა და წვრილფეხა რქოსანთა ძვლები – უფრო ნაკლები რაოდენობით (Соловьев Л. Н. 1939: 5, 12).

როგორც ირკვევა, ადრებრინჯაოს ხანაში, დასავლეთ საქართველოში, როგორც ჩანს, მესაქონ-

ლეობა უკვე კარგად განვითარებული და საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა. პროცენტული უპირატესობა მსხვილფეხა რქოსან საქონელს ჰქონდა, შემდეგი ადგილი ღორის მოშენება-მოვლას ეჭირა, ხოლო წვრილფეხა რქოსანი საქონელი შედარებით ნაკლებად იყო წარმოდგენილი.

მეურნეობაში ჯერ კიდევ გარკვეულ როლს ასრულებდა მონადირეობა. ამას ამტკიცებს გარეულ ცხოველთა და ფრინველთა ძვლები, რომელთა ნაშთებიც უპირატესად მღვიმეებში გვხვდება. ამასვე მიუთითებს, ნაწილობრივ, ისრისა და შუბისპირების მრავალფეროვნება და დიფერენცირებაც.

ქვის სათლელები, კაჟის საფხეკ-სახოკები, ძვლის ნემსები და სადგისები ტყავის დასამუშავებლად იხმარებოდა.

ზღვის სანაპირო ზოლში და მდინარეთა ხეობებში გარკვეულ როლს ასრულებდა მეთევზეობაც. რიყის ქვის მრგვალი და გვერდამოლარული ბადის სანაფები, ძვლის ანკესები, სწორედ მეთევზეობის უტყუარი საბუთებია.

ქსოვის უკვე კარგად ჩამოყალიბებულ ჩვევებზე უნდა მიგვითითებდეს ქვისა და თიხის მრგვალი, კონუსური და ბიკონუსური კვირისტავეების საკმაო რაოდენობა, რომელთაგან ზოგი შემკულია და ჭურჭლის ძირებზე შერჩენილი ქსოვილის ანაბეჭდები მიტკლისებური და ჭილოფისებურია. ჭილოფისებური ნაქსოვებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ერთია უფრო თხელი და შორი-შორ ნაქსოვი, მეორე – უხეში მჭიდროდ ნაქსოვი, უფრო სქელი საფუძველში და მჭიდროდ მოქსოვილი ვინრო მისაქსელით. პირველი ტიპის ჭილოფი გვხვდება დიხა-გუძუბასა და დაბლა-გომში, მეორე კი – დიხა-გუძუბასა და ოჩამჩირეში. მიტკლისებური ქსოვის ნიმუშები ცნობილია პალესტინის ადრებრინჯაოს ხანის კერამიკაზე. ამიერკავკასიაში საქსოვ მასალად გამოიყენებოდა როგორც სელის, ასევე მატყლის და თხის ბენვის ძაფი. პალესტინაში ჭილოფი ნაქსოვია ლელქაშისაგან (ადრებრინჯაოს ხანა). საერთოდ ცნობილია, რომ მარტივი ქსოვის ნიმუშები ნეოლითის უწინარესი ხანიდანაა ცნობილი წინა აზიასა და სამხრეთ ევროპაში. როგორც ირკვევა ძვ. წ. III ათასწლეულის ძირითადი საქსოვი ბოჩკო იყო სელი, შემდეგ კი ხმარობდნენ სელსა და მატყლსაც. ცნობილი იყო ქსოვა როგორც მარტივი საშუალებით, ასევე მისაქსელით. ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ სწორედ მისაქსელით არის მოქსოვილი დიხა-გუძუბას, ოჩამჩირის და დაბლა-გომის ნიმუშები.

ამ დროისათვის უკვე მაღალ საფეხურს აღწევს მეთუნეობა და წარმოების ცალკე დარგად გვევლინება. ის ჯერ კიდევ ხელით ნაძერწია, მაგრამ ფორმებისა და დანიშნულების მიხედვით მრავალგვარობით გამოირჩევა; წარმოდგენილია როგორც სამზარეულო და სანოვაგის შესანახი, ასევე სუფრისა და საპარადო ჭურჭელი.

კერამიკის წამყვანი ფორმებია: ქილები, ქოთნები, ჯამები, ცილინდრულტანიანი და მაღალყელიანი ჭურჭელი, სქელგვერდიანი დერგები და სასმისები – ესენი უფრო ჩვეულებრივი ყოველდღიური დანიშნულებისაა. ზედაპირზე სავარცხლისკბილისეული იარაღით მოსწორების კვალი ეტყობათ. ყურები მარყუჟისებურია ან განიერი შუაში ღარით, ისინი სპეციალური შვერილით მაგრდებიან ჭურჭლის კედელში, მიძერწილია როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად. ახასიათებთ ნაირგვარი შვერილ-კოპები, დეკორი რელიეფური სარტყელია უმეტესად მხრის გარშემო, რომელიც თითის ანაბეჭდით, ხან კი ირიბი ხაზებითაა დაჭდეული. ზოგ მათგანს მთელ ტანზე წინვისებური, მარცვლისებური, კიბისებური და ფრჩხილისეული ორნამენტი აქვს დატანილი. ადრებრინჯაოს გვიან ეტაპზე შევრონებიცა და შტამპიც ჩნდება. ფიჩორისა და ოჩამჩირის ნასახლარების, ასევე მაჭარას კერამიკის ბრტყელ ძირზე ქსოვილის ანაბეჭდები ჩანს (ტაბ. XXXIV).

სუფრის ჭურჭელი იმავე ფორმებისაა, მაგრამ უფრო მომცრო ზომის, ზედაპირმომრგვალებული და ნაკლებ ორნამენტირებული.

აფხაზეთის ნასახლარებზე არის ჭურჭლის მეორე შედარებით მცირე ჯგუფი (ტაბ. XXXV), რომელიც მკვეთრად გამოირჩევა ადგილობრივი ნაწარმისაგან, დამზადებულია სუფთა თიხისა-

გან, კარგად გამომწვარია და შავი ან მუქი პრიალა ზედაპირით ხასიათდება. შემკულია ქრილი გეომეტრიული სახეებით, რომელიც ზოგჯერ ყურზეც გადადის. წარმოდგენილია კოჭისებური, ხილის ვაზისებური, ბოკალისებური და ქოთნის ფორმებით. იშვიათად, მაგრამ მაინც აღინიშნება ზიარჭურჭელის აღმოჩენის ფაქტები. კერამიკის ეს ჯგუფი ზედმიწევნით ემსგავსება თრიალეთ-ბედენის კულტურის მასალებს, რაც იმის მანიშნებელი და დამადასტურებელია, რომ ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთისაკენ – კოლხეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ხდება ადრეული ყორღანების კულტურის გავლენის გავრცელება (ფხაკაძე გ. 1992: 243). ეს მოვლენა ცალმხრივი არ არის და ამავე დროს ხდება კოლხეთის უძველესი ნასახლარების კერამიკის გავრცელება აღმოსავლეთისაკენ რიონ-ყვირილას მტკვარ-არაქსულ წრეში.

ეს ორმხრივი გავლენა და ურთიერთკავშირები მკაფიოდ აისახა ორივე რეგიონის ძეგლებზე.

მაგრამ ძვ. წ. III ათასწლეულში კულტურის მკვეთრი დანიშნულების ძირითადი მიზეზი მაინც მეტალურგიის განვითარება უნდა ყოფილიყო. თითო-ოროლა ლითონის ნივთით წარმოდგენილ ენეოლითურ ხანასთან შედარებით, ადრებრინჯაოს ეპოქაში მეტალურგიის მკვეთრი აღმავლობა ხდება.

ლითონის იარაღ-სამკაულის მოზღვავება აღინიშნება მთელი კოლხეთის დაბლობზე. ეს ვითარება ლითონის ნაწარმის გარედან შემოტანის შთაბეჭდილებას შექმნიდა, თვით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზევე რომ არ იყოს წარმოდგენილი წარმოება-დამზადებასთან დაკავშირებული ნივთების მთელი კომპლექსი – ტიგელები, ციცხვები, ნამზადებისა და იარაღების ათობით ყალიბი, საქშენი მილები, წიდეები და სხვა. ყუამილიანი, ყუადაქანებული ცულები, თოხები, სატევრები, სხვადასხვაგვარი ქინძისთავეები, საკიდები, კავები და სხვანი ახლოს დგანან აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ამ ტიპის იარაღ-სამკაულთან და გარკვეულად უკავშირდებიან წინა და მცირეაზიურ სამყაროს – სამხრეთით და კავკასიას – ჩრდილოეთით.

ლითონის ნივთების დამზადება-ჩამოსხმა-გამოჭედვა და ცვილის მოდელის დაკარგვის წესი მეტალურგიული წარმოების განვითარების მაღალ დონეზე მიგვითითებს. ამაზე მეტყველებს სპილენძის ნივთები – 2-7% დარიშხანისა და ზოგჯერ ანთიმონის შენაერთებით.

როგორც ფიქრობენ მცირე მასშტაბის სპილენძის საბადო აფხაზეთში უნდა ყოფილიყო, რამაც, გარკვეულ პერიოდში, ადგილობრივი მეტალურგიის განვითარებაში საკმაო როლი ითამაშა.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, სპილენძის ნივთები ძვ. წ. III ათასწლეულის საწყისიდან იჩენს თავს. სპილენძის ორმხრივლესილი, პირმომრგვალებული დანისპირი დაფიქსირდა ვორონცოვისა და კამანის მღვიმეში. მომდევნო ხანაში მათი რიცხვი მატულობს.

შესანიშნავადაა წარმოდგენილი ლითონი აფხაზეთის დოლმენებშიც, ამ შემთხვევაში ძვ. წ. III ათასწლეულს მიკუთვნებული მცირე და საშუალო ზომის დოლმენებში. მცირე ზომის დოლმენებში აღმოჩნდა სპილენძის ბრტყელი ყუნწიანი სატევრისპირი, სატევრისპირის ნაშთი, ოვალური სასაფეთქლე ხვია და რალაც ფირფიტის ფრაგმენტები.

საშუალო დოლმენებში ინვენტარი მრავლდება, გვაქვს ყუადაქანებული ცულები, მასრაგახსნილი და მასრაშეკრული კავები, მათ შორის სამკაპაც, ერთ მათგანზე შესანიშნავი წნული ორნამენტით: ყუნწიანი ფოთლისებური სატევარი, ოთხნახნაგა სადგისი, საკინძები და სხვ. ამათ დასამუშავებლად გამოყენებული ყოფილა ჩამოსხმის, გამოჭედვის და ცვილის მოდელის დაკარგვის წესი. ამათგან რამდენიმე ნივთის ანალიზია გაკეთებული და ყველგან დარიშხანიანი სპილენძია ფიქსირებული. ცულებსა და სატევრებში დარიშხანი 2.7%-დან 6.73%-მდე მერყეობს. ცულები ჩამოსხმულია და შემდეგ დამატებით ნაჭედი. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, დოლმენური სატევრისპირების ნაწილი (3.75-4.4% დარიშხანის შემცველობით) ჭედვით ყოფილა დამზადებული წინასწარჩამოსხმული ნამზადისაგან. კავებიც დამატებით გამოჭედილი უნდა იყოს, ხოლო წნულორნამენტის კავი ცვილის მოდელის დაკარგვის წესითაა ჩამოსხმული. კავებს პირდაპირი ანალოგები ჩრდილოეთ

კავკასიაში მოეპოვება, კერძოდ, აბაძეხსკაიასა და ნოვოსვაბოდნიას დოლმენის კავებში, რომლებიც აგრეთვე დარიშხანიანი სპილენძისგან არიან ჩამოსხმული (2.73%). დოლმენების უმეტესი ინვენტარი: ყუადაქანებული ცულები, სატევრისპირები და სამკაული, მჭიდრო კონტაქტებს ავლენს საჩხერის ყორღანული სამაროვნის მასალებთან (აბესაძე ც. 1969: 64-65).

ძვ. წ. III ათასწლეულის ლითონის წარმოების შესწავლის თვალსაზრისით უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს გალის რაიონის სოფ. ფიჩორში ადრებრინჯაოს ხანის ფენებში მოპოვებული მასალა. ლითონის წარმოება აქ წარმოდგენილია როგორც ნივთებით, ისე ყალიბებით. ლითონის ნივთებს შორის ყველაზე მრავლად თოხია, მოგრძო, ოვალური ფორმისა, 12-13 სმ სიგრძის, მომრგვალებული, შედარებით შევინროებული სამუშაო პირით და უფრო ფართო ნაწილში ყუითა და ნახვრეტით. აქვეა აღმოჩენილი ამ თოხის ჩამოსასხმელი ყალიბი. ყალიბები მაგრად გამომწვარი თიხისაა ან ქვის, ათეულობით გვხვდება ყუამილიანი ცულის ყალიბები. ისინი, როგორც ჩანს, ორსაგდულიანი უნდა ყოფილიყო, ყუაზე ყოველ მათგანს რელიეფური ხაზი გაუყვება. ყუის სიგრძეა 2 სმ, ცულის საერთო სიგრძე – 14-15 სმ, პირის სიგანე – 6 სმ. ცული შევეულტანიანია, ყუისაკენ უფრო შევინროებულია, პირისაკენ კი გაფართოებული. გაკვირვებას იქვევს ის გარემოება, რომ ამ რაოდენობის ყალიბების მიუხედავად, ცულის მხოლოდ ორი ფრაგმენტი აღმოჩნდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ყალიბი აბსოლიტურად ერთი და იმავე ტიპის ყუამილიანი ცულის ჩამოსასხმელად არის გაკეთებული. ფიჩორის უიამილიანი ცულის კავკასიაში ზუსტ ანალოგს ჯერჯერობით ვერ დავასახელებთ. ძალზე საინტერესო და, ალბათ, უნიკალურიც არის აქვე აღმოჩენილი ერთი ოთხმხრივი ყალიბი, რომლის ყოველ მხარეს სხვადასხვა ნივთი ჩამოსხმებოდა: მასრიანი შუბისპირი, სატევრისპირი, კოვზისებური ნივთი და გაურკვეველი დანიშნულების რაღაც საგანი. მეორე ასეთივე ყალიბი იმდენად ფრაგმენტულია, რომ იარაღთა სახეობის დადგენა არ მოხერხდა. ციციხეებზე ლითონის ნალვენტები იყო შემორჩენილი. ერთ-ერთი სათავსოს იატაკზე დარიშხანისებური თეთრი ფხვნილი იყო გაფანტული. ყველა ზემოთქმული იძლევა საშუალებას, რომ ფიჩორის ნასახლარზე ლითონის წარმოება ვიგულისხმოთ. დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ნასახლარებსა და სამრხეულ ძეგლებში წარმოდგენილი ლითონის ნივთების რაოდენობა და ჩამოსხმის პროცესისათვის საჭირო ყველა ელემენტის არსებობა თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ მადნის დამუშავება ამავე ტერიტორიაზე ხდებოდა. როგორც არაერთგზის ითქვა, უახლოესი ლითონის საბადო ამ ნასახლარიდან 200-250 კმ მანძილზე მდებარეობდა კავკასიონზე, ეს კი უკვე კარგად ორგანიზებულ და ჩამოყალიბებულ მეტალურგიულ საქმეზე მეტყველებს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში უკვე ცალკე იყო გამოყოფილი მადნის მოპოვების საქმე და მადნის დამუშავება. ნასახლარებზე ნედლეულის მიტანა ხდებოდა, ხოლო მისი შემდეგი დამუშავება – ჩამოსხმა, გამოჭედევა, ნივთის დამზადება და სხვ. ადგილზე წარმოებდა.

სამკაულის დამზადება უკვე დიდი გემოვნებით გამოირჩეოდა. ამის მაჩვენებელია დიდი რაოდენობა და ნაირგვარობა მძივების, საკიდების, საკინძების, სამაჯურების, სასაფეთქლე ხვიების. მძივები, უმეტესად, თეთრი პასტისაა, ცილინდრული ან მომრგვალებული ფორმების. საინტერესოა ფიჩორში დომინოსებური მძივსაკიდის აღმოჩენის ფაქტი, რომელიც ზედაპირზე ორნამენტებითაა შემკული და სხვ.

ამრიგად, ძვ. წ. III ათასწლეულში დასავლეთ ამიერკავკასია და კერძოდ აფზაზეთი წარმოგვიდგება როგორც მეურნეობრივად, ასევე ეკონომიურად დანიშნულ მხარედ, მაღალ დონეზე განვითარებული სახნავი მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით, მიწათმოქმედებაში გამწვანევი ძალის გამოყენებით, უკვე ჩამოყალიბებული ხელოსნობის დარგებით (მეთუნეობა, ქვის დამუშავება, ქსოვა, ლითონის წარმოება, საიუველირო საქმე) და ფართოდ გაშლილი, აქტიური კულტურულ-ისტორიული კონტაქტებით.

ლიტერატურა

1. ბარამიძე მ. 1998, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში.
2. ბარამიძე მ., ჩიგოშვილი თ., ფხაკაძე გ. და სხვ. 1976-90, აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები. PAI. თბილისი.
3. მენაბდე მ., კილურაძე თ. 1986, სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
4. ნებიერიძე ლ. 1986, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის ადრეული საფეხურები. თბილისი.
5. ფხაკაძე გ. 1979, ოქუმის გამოქვაბულის ენეოლითური ნაშთები. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VII. თბილისი.
6. ფხაკაძე გ. 1985, დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურისა და მაიკოპის კულტურის ურთიერთობის საკითხები. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები I. თბილისი.
7. ფხაკაძე გ. 1992, ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში. „საქართველოს არქეოლოგია“, ტ. II.
8. ფხაკაძე გ. 1993, დასავლეთი ამიერკავკასია ძველი ნელთალრიცხვის III ათასწლეულში. თბილისი.
9. ფხაკაძე გ. 2006, აფხაზეთის ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები. კრებული აფხაზეთი I. თბილისი.
10. ფხაკაძე გ. 2006, აფხაზეთის დოლმენების კვლევის ზოგიერთი ასპექტი. კრებული აფხაზეთი I. თბილისი.
11. ფხაკაძე გ. 2011, ოჩამჩირის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. კრებული აფხაზეთი III. თბილისი.
12. ჯავახიშვილი ვ. 1971, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის (ავტორეფერატი). თბილისი.
13. ჯაფარიძე ო. 1955, დოლმენური კულტურა საქართველოში. თსუ შრომები.
14. ჯაფარიძე ო. 1961, ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი.
15. ჯაფარიძე ო. 1976, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.
16. ჯაფარიძე ო. 2006, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი.
17. Анчабадзе З. В. 1964, История и культура древней Абхазии. Сухуми.
18. Апакидзе А. М. Бурчуладзе А. Л. 1987: Радиоуглеродное датирование археологических и палеоботанических образцов. Тбилиси.
19. Барамидзе М. Б., Пхакадзе Г. Г. и др. 1981-85, Археологические исследования в с. Пичори. PAI.
20. Барамидзе М., Пхакадзе Г. 1977, Археологические раскопки в Атара в 1977 г. А. О. М.
21. Бгажба О. Х., Воронов Ю. Н. 1982, История изучения археологии Абхазии. Сухуми.
22. Бжания В. В. 1965, Энеолитическое поселение на горе Гуад-иху. АТМ. Сухуми.
23. Бжания В. В. 1966, Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы. С. А. Москва.
24. Бжания В. В. 1967, История изучения памятников энеолита и бронзы в Абхазии. Сухуми.
25. Бжания В. В. 1969, Результаты обследования Гумистинского поселения в 1964 г. КСИА 115. Москва.
26. Бжания В. В. 1973, Поселение Очамчирской культуры в горах Абхазии. Сбор. Кавказ и Восточная Европа в древности. Москва.

27. Воронов Ю. Н. 1969, Археологическая карта Абхазии. Сухуми.
28. Иващенко М. М. 1936, Исследование архаических памятников в Абхазии. ИНИИК 3. Тбилиси.
29. Куфтин Б. А. 1949, Материалы к археологии Колхиды, I. Тбилиси.
30. Куфтин Б. А. 1950, Материалы к археологии Колхиды, II. Тбилиси.
31. Марковин Б. М. 1978, Дольмены Западного Кавказа. Москва.
32. Марковин Б. М. 1997, Дольменные памятники Прикубанья и Причерноморья. Москва.
33. Мунчаев П. М. 1975, Кавказ на заре Бронзового века. Москва.
34. Пхакадзе Г. Г. 1998, Некоторые вопросы энеолита Западного Кавказа. Сообщения А. Н. ГССР 130 №1. Тбилиси.
35. Пхакадзе Г. Г. 2002, Некоторые соображения о дольменах Абхазии. Международная конференция Кавказа. Тбилиси.
36. Пхакадзе Г. Г. 2009-2010, Археология Кавказа. Тбилиси.
37. Рысын М. В. 2000, Культурная трансформация и кулмтура строителей дольменов на Кавказе. Санкт-петербург.
38. Соловьев Л. Н. 1937, Археологические раскопки близ Очамчире в Абхазии. С. А. IV. Москва;- Ленинград.
39. Соловьев Л. Н. 1939, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии. Материалы по истории Абхазии, вып. XV. Сухуми.
40. Соловьев Л. Н. 1958, Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху энеолита и бронзы. Стоянки Воронцовской пещеры. Труды Абхазского ИЯЛИ 29. Сухуми.
41. Цвинария Н. Н. 1978, Поселение Гуандра. Тбилиси.
42. Цвинария Н. Н. 1990, Новые памятники дольменной культуры в Абхазии. Тбилиси.
43. Pkhakadze G. Baramidze M. 2008, The Settlement at Pichori and Colchian Bronze age chronology. Archaeology in Southern Caucasus. Perspectives from Georgia. Peeters Leuven Paris.

ტაბულაჲის აღწერილობა

- | | |
|------------------|--|
| ტაბ. I | აფხაზეთის ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების გავრცელების რუკა. |
| ტაბ. II | ატარას ნასახლარი. ქრილი და ძირის ფრაგმენტები. |
| ტაბ. III | ოქუმის მღვიმე. ქრილი. |
| ტაბ. IV | ოქუმი. კერამიკის ფრაგმენტები. |
| ტაბ. V | ოქუმი. რიყის ქვის იარაღები. |
| ტაბ. VI | ოქუმი. კაჟის ლამელები. |
| ტაბ. VII | “ოჩაჟნი“ ფარდული. ქვის ინვენტარი (ლ. სოლოვიოვის მიხედვით). |
| ტაბ. VIII | ფარდული „ოჩაჟნი“. კაჟის ისრისა და შუბისპირები, ძვლის ნივთები (ლ. სოლოვიოვის მიხედვით). |
| ტაბ. IX | ფარდული „ოჩაჟნი“. „სოხუმისა“ და „სოჭი-ადღერის“ ტიპის თოხები. |
| ტაბ. X | ფარდულები „კოლოკოლნი“ და „ზალოჟენი“. ქვის ინვენტარი (ლ. სოლოვიოვის მიხედვით). |
| ტაბ. XI | ფარდულები „კოლოკოლნი“ და „ზალოჟენი“. კერამიკა (ლ. სოლოვიოვის მიხედვით). |
| ტაბ. XII | მაჭარას ნასახლარი. მე-4-ე და მე-3-ე ფენის კერამიკის ფრაგმენტები, მე-2-ე და |

	მე-4-ე ფენის კერამიკა და ორნამენტირებული ფრაგმენტები (ვ. ბჟანიას მიხედვით).
ტაბ. XIII	გუანდრას ნასახლარი. B ფენის კერამიკა (ი. წვინარიას მიხედვით).
ტაბ. XIV	ახრა-კაპშისა და პალის ეხების ქვის იარაღი. 1-12-პალიდან, 3-11-ახრა-კაპში.
ტაბ. XV	კერამიკის ნიმუშები ეხებიდან ახრა-კაპში და პალი. 1, 3-10, 12, 13, 16-ახრა-კაპში, 2, 11, 14, 15, 17-პალი.
ტაბ. XVI	ოჩამჩირე. სიტუაციური გეგმა (ლ. სოლოვიოვის მიხედვით).
ტაბ. XVII	ოჩამჩირე. ქვის, ძვლისა და რქის ნივთები.
ტაბ. XVIII	ოჩამჩირის ნასახლარი. კერამიკის ფორმები.
ტაბ. XIX	ორნამენტირებული კერამიკის ნიმუშები.
ტაბ. XX	ოჩამჩირე. შვერილები და ყურები.
ტაბ. XXI	ქვის იარაღები გუმისთას ნასახლარისა და ყორღანიდან. 1, 2, 6-8, 10-20-ნასახლარი.
ტაბ. XXII	კერამიკის ფრაგმენტები გუმისთას ნასახლარიდან.
ტაბ. XXIII	გუანდრას ნასახლარის B ფენის კერამიკა.
ტაბ. XXIV	ფიჩორის ნასახლარი. მე-8-ე ფენის არქიტექტურული ნაშთები.
ტაბ. XXV	ფიჩორის ნასახლარი. მასალები მე-8-ე ფენიდან.
ტაბ. XXVI	ფიჩორი. მე-7-ე ფენის მასალები.
ტაბ. XXVII	ფიჩორი. მე-7-ე და მე-8-ე ფენის ჭურჭლის ფორმები და დეკორი.
ტაბ. XXVIII	შავპრიალა კერამიკის ნიმუშები ჭრილი ორნამენტით ფიჩორის მე-7-ე და მე-8-ე ფენებიდან.
ტაბ. XXIX	ფიჩორი. ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები.
ტაბ. XXX	კაჟის იარაღები ფიჩორიდან და ქვის ცულები.
ტაბ. XXXI	დოლმენების კერამიკა.
ტაბ. XXXII	დოლმენების ლითონის ნივთები.
ტაბ. XXXIII	ფიჩორი. ხის სახნისები და ოთხმხრივი ყალიბი.
ტაბ. XXXIV	ადრებრინჯაოს ხანის ტრადიციული კერამიკის ფორმები და დეკორი.
ტაბ. XXXV	მუქი და შავპრიალა ჭურჭელი აფხაზეთის ძეგლებიდან.


DESCRIPTION OF PLATES

Pl. I	The map of distribution of Aeneolithic and Early Bronze sites in Abkhazeti.
Pl. II	Atara settlement. The stratigraphic section, fragments of bottoms.
Pl. III	Okumi Cave. Stratigraphic section.
Pl. IV	Okumi. Fragments of pottery.
Pl. V.	Okumi. Stone implements.
Pl. VI	Okumi. Flint implements.
Pl. VII	Cave „Ochazhni“. Stone implements (accord. L. Solovev).
Pl. VIII	Cave „Ochazhni“. Flint and bone objects (accord. L. Solovev).
Pl. IX	Cave „Ochazhni“. Pottery. Hoes of „Sokhumi“ (2) and „Sochi-Adler“ types (1).
Pl. X	Caves „Kolokolni“ and „Zalozheni“. Stone objects (accord. L. Solovev).
Pl. XI	Caves „Kolokolni“ and „Zalozeni“. Clay vessels (accord. L. Solovev).
Pl. XII	Machara settlement. Ceramic fragments of the 4 st and the 3 rd layers, pottery of the 2 nd



and the 4th layers.

- Pl. XIII** Guandra settlement. Ceramics from the B layer.
- Pl. XIV** Caves „Akhra-Kapsh“ and „Pal“. Stone implements.
- Pl. XV** The ceramic fragments from caves „Akhra-Kapsh“ and „Pal“.
- Pl. XVI** Situational plan of Ochamchire settlement (accord. L. Solovev).
- Pl. XVII** Ochamchire settlement. Stone, bone and horn objects.
- Pl. XVIII** Ochamchire. Various forms of vessels.
- Pl. XIX** Ornamented fragments.
- Pl. XX** The types of handles and projections.
- Pl. XXI** Stone implements from Gumista settlement and the burial mound.
- Pl. XXII** The fragments of the ceramic vessels from Gumista settlement.
- Pl. XXIII** Guandra settlement. The ceramic forms from the B layer.
- Pl. XXIV** Pichori settlement. The architectural remains of layer 8.
- Pl. XXV** Pichori settlement. The archaeological material from layer 8.
- Pl. XXVI** Pichori. The material from layer 7.
- Pl. XXVII** Pichori. The ceramic forms and ornaments from layers 7 and 8.
- Pl. XXVIII** Dark polished ware with incisions.
- Pl. XIX** Pichori. Objects related to the metallurgical process.
- Pl. XXX** Pichori. The flint tools and the shaft hole stone axes.
- Pl. XXXI** Pottery from the dolmans.
- Pl. XXXII** Metal weapons from the dolmans.
- Pl. XXXIII** Pichori. Two wooden ploughs and the four-sided mould.
- Pl. XXXIV** Early Bronze Age traditional ceramic forms and decoration.
- Pl. XXXV** Dark polished pottery from Abkhazeti sites.

ატარა
ნამოსახლარი




- 1- კორდოვანი ფენა
- 2- მონაცრისფრო თიხნარი
- 3- მოწითაღ-მოყვითაღო ფენა
- 4- გრუნტი





ოქუმის პალეოლითური გამოქვაბული


სამხრეთ-დასავლეთ მხრის კრილი





- 1 ბრექჩია
- 2 ნეოლით-ქეოლითის ფენა
- 3 ბრექჩია
- 4 ღია ყვითელი თიხარი, კირქვის ღორღით შევსებული
- 5 მოშავო თიხარი, ნაყარი ქვით შევსებული
- 6 ყვითელი თიხარი, ღორღის მცირე ჩანართით

















1






2

























ბიჭვინტაშის მუზეუმი
















































1




2




3




4




5




6



7




8



9





10



11





THE ANCIENT MATERIAL CULTURE OF ABKHAZETI

Summary

The territory of Abkhazeti is situated between the Black Sea and Caucasus, due to this location the sea and mountain climate are harmoniously combined. The geopolitical conditions of Abkhazeti, its vertical zones, abundance of lakes and rivers, various flora and fauna and the riches of the dry carse caves from the very start was optimal for settling and leading an active life. This is the reason of concentrating on the territory of Abkhazeti of the entire first rate monuments beginning from the Old Stone Age to the late medieval centuries.

The archaeological monuments of Abkhazeti are in close relations with the outer world cultural material.

Starting from the new stone age (10th-6th centuries B.C.) the similar development in producing economic is observed all over the East Black Sea material culture of West Georgia. In the following epochs cultural-economical relations are more obvious. In the early Bronze Age (middle of the 4th-3rd millennia B.C.) all over the Black Sea east region – Colchis lowland and the foothills the homogeneous culture is spread. Abkhazeti is its organic part and it is one of the advanced regions of the cultural-historical zone of Circumpont, with its powerful agriculture, cattle breeding, very advanced metallurgy and ore processing.

The Old Stone Age Culture of Abkhazeti (G. Grigolia). In this paper we discuss the large group of the Stone Age monuments discovered in the north-western region of Georgia in the area of Abkhazeti since 1934. The chronological bounds of the aforesaid group contain the open settlements and the cave dwellings of the period from the Ashell epoch to the Upper Paleolithic.

The main attention was focused on the group of the standard monuments of the Lower Paleolithic which were found near Sokhumi in the village of Iashtkhva. The famous specialist of the Prehistoric sciences of Caucasus – S. Zamiatnin was the first who found and studied these monuments.

In the appropriate consequence we represent the merit of all the scientists who contributed to the study of the scientific problematic issues regarding the abovementioned monuments: the attempts to specify the archaeological issues; the investigation of the technical traditions of the stone material from the monuments of the Auchelian and the Mousterian periods; the study of the cultural peculiarities of the Lower Paleolithic settlements and the ways of their provenance.

The second part of the research paper is dedicated to the cave settlements of the Upper Paleolithic period those were unknown in the region of Abkhazeti half a century ago. These are: Okumi Cave in the Gali district; Svanta Savane in the Amtkela and the Kodori rivers basin and the multilayer Apiancha Cave in the Kodori river basin.

The genetic relationship between the Upper Paleolithic monuments and the local Mousterian culture was confirmed once more on the basis of the interpretation of the material proceeding from these monuments.

Considering the stratigraphic data of the caves (Apiancha-Okumi), the structural equality of the layers (Svanta Savane-Apiancha), typological and technological peculiarities of the stone implements, palynological data (Apiancha) and the data providing the absolute dates of the layers the chronological scheme of the first half of the Upper Paleolithic was formed that can be effectively used while discussing the chronological issues concerning the Stone Age monuments of Georgia, the

Caucasus and the Near East.

The lately discovered sites are also discussed and joined to the scientific circulation that enhances and enriches the spatial areal map of the Stone Age monuments located in the Black Sea littoral of Georgia.

Mesolithic-Neolithic cultures of Abkhazeti (L. Nebieridze). The aim of our research is to show on the basis of empirical data how in frame of the local and unique Mesolithic culture appears new, Neolithic lithic tool processing technology. At the same time there is a gradual transition from hunter-gatherer economy to a productive economy. At a later stage of the Neolithic originates the Odishi early farming culture.

Abkhazeti is a unique region, which gives us opportunity to observe the formation of primeval cultures and its development from Paleolithic to Chalcolithic period.

This region is more significant than other regions of south-west Caucasus. Here are presented all stages of development of Mesolithic and Neolithic cultures, which show how Mesolithic society form hunter-gatherer transforms to a new, Neolithic, an agricultural society.

In a first section of the chapter 2 are described Mesolithic cave sites of Abkhazeti, and in a second section are given characteristics of Neolithic camp sites of the region. Along with investigation of Abkhazian sites, we consider necessary to overview the well stratified sites from Sochi and Adler regions (historical parts of Abkhazeti, now in Russian federation), because they reveal close, cultural relation with Abkhazian and all other Mesolithic and Neolithic sites of South-West Caucasus.

Caucasus Black Sea shore was widely settled in Mesolithic and Neolithic periods. This was conditioned by biological and geological environment formed in the end of the Pleistocene and beginning of the Holocene, which was advantageous for settling in cave settlements or camp sites as well.

Materials we have studied, makes clear that Mesolithic-Neolithic culture in Black Sea region of Caucasus was homogeneous, with local variations.

By stratigraphic and comparative-typological analyses of Neolithic sites, was developed periodization of Neolithic period of Abkhazeti which was divided in three parts:

1. Early Neolithic period, which are presented by sites: cave Tsivi Mgvime (Cold Cave) I, Apiancha I, Atsi and Zemo Lemsá (Upper Lemsá) camp site.
2. Middle Neolithic: Gali I and Ghumurishi camp sites.
3. Late Neolithic period. Camp sites: Chkhortoli, Nizhnyaya Shilovka (Lower Shilovka) and Kistriki.

The lithic industries and ceramic of abovementioned archaeological sites are studied in following paper.

After analyzing of Neolithic complexes we can conclude that productive economy should be formed locally. In early Neolithic period the processes of transition from Hunter-Gatherer to agriculture can be observed.

So far, radiocarbon data for Neolithic period of Western Caucasus doesn't exist. Considering the radiocarbon data from Mesolithic layer of cave Apiancha, with radiocarbon dates from Chalcolithic sites and comparative-typological analyses of materials from similar sites in region and Near East, it's possible to date Neolithic culture of Western Caucasus to the 9th-6th millennia B.C.

The Aeneolithic and Early Bronze Age Culture of Abkhazeti (G. Pkhakadze). Aeneolithic monuments on the territory of Abkhazeti are found in various geographic areas: on the seaside terraces

(Guandra, Machara, Psou), caves (Okumi, “Ochazhni”) on the mounds (Atara, Guad-Ikhu).

There are no traces of open constructions, but semi-dug out dwellings are implied on the seaside monuments.

Aeneolithic monuments of Abkhazeti have evident traces of Neolithic traditions. Among stone tools scrapers, “Pick” type tools, “Sokhumi” and “Sochi-Adler” type hoes, whetstone, hand-grinders, etc. are distinguished. Bone and horn was rarely used. In numerous objects of flint the completed form of tools are not seen. Though in “Okumi” and “Ochazhni” lamellae, geometric microlithes and spearheads are still found.

The pottery is handmade, of blackish-pink colour. The vessels have flat bottom, sometimes they have imprints of matt or a leaf. In ornaments corn-form decoration and dimples prevail. On the surfaces of the vessels there are traces of correction with parallel lines.

Aeneolithic materials of Abkhazeti are like synchronic monuments of Rioni-Kvirila basin (Dzudzuana, Samele Klde, Darkveti, Tetri Mghvime, etc.). But along with similarities there are differences too, that give some reason to distinguish two local regions in Aeneolithic culture of Western Georgia. North-West Colchis (Abkhazeti) and Rioni-Kvirila basin according existing C_{14} the monuments of Abkhazeti are dated to the 4th millennium B. C. and even to the 5th millennium with calibration.

The 3rd millennium B. C. is the chronological frame of early Bronze Age in Abkhazeti. The settlements of Ochamchire, Pichori (VIII-VII layers), Machara (III layer), Guandra (Б), Akhra-kapsh and Pall caves, dolmens (small and middle-sized) belonged to the developed and final stages of the Early Bronze Age.

Two types of settlements were recorded: seaside ones with half dug-out dwellings (Machara, Guandra, Gumista) and artificial mounds with wooden architecture (Pichori, Ochamchire).

In the stone industries and in pottery aeneolithical traditions were still preserved.

Side by side with local traditional ceramics there appeared comparatively small group of dark-polished wares which indicated to the closest contacts with Eastern Transcaucasia of that time (Trialeti early barrows and early Bedeni).

Well developed economy, high level of land farming (two wooden ploughs from Pichori), high level of metallurgy (moulds and objects connecting with metallurgical process from Pichori) and new forms of animal husbandry gave rise to new productive forces and relationship which, naturally, reflected on the character of society and archaeological materials.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ო ა ზ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

ABBREVIATIONS

- აკც** – არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი.
- ენიმკის მოამბე** – ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. თბილისი.
- თსუ** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- იიშ** – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. თბილისი.
- კაემ** – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.
- კაკ** – კავკასიურ-აზლოდმოსავლური კრებული, თბილისი.
- მაცნე – ისტორიის... სერია** – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი.
- მსკა** – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
- მსკი** – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი.
- სას** – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.
- სდსძ** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი.
- სიგკ** – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
- სსმაე** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. თბილისი.
- სმამ** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი.
- სსმშ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.
- ქსე** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი.
- ძიებანი** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. თბილისი.
- ძმ** – ძეგლის ძეგობარი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. თბილისი.
- АГМ** – Абхазский Государственный музей. Сухуми.
- АИНГС** – Археологические исследования на Новостройках Грузинской ССР. Тбилиси.
- АО** – Археологические открытия. Институт археологии. Москва.
- АСГЭ** – Археологический сборник Государственного Эрмитажа. Ленинград.
- ВГМГ** – Вестник Государственного музея Грузии им. С. Джанашиа. Тбилиси.
- ВДИ** – Вестник древней истории. Институт всеобщей истории. Москва.
- ГАИМК** – Государственная академия истории материальной культуры. Москва.
- ГИМ** – Государственный исторический музей Москва.
- ИАИЯЛИ** – Известия Абхазского института языка, литературы и истории им. Д. Гулия. Сухуми.
- ИАК** – Известия Императорской археологической комиссии. Санкт-Петербург.
- ИАБНИИ** – Известия Абхазского научно-исследовательского института.
- ИА АН РФ** – Институт археологии АН Российской Федерации.
- ИГАИМК** – Известия Государственной академии истории материальной культуры. Москва–Ленинград.
- КСИА** – Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института археологии. Москва.
- КСИИМК** – Краткие сообщения Института истории материальной культуры. Москва.
- ММА** – Материалы по археологии Абхазии, Тбилиси, 1979.
- МАГК** – Материалы по археологии Грузии и Кавказа. Институт истории им. И. а. Джавахишвили академии наук Грузии. Тбилиси.
- МАК** – Материалы и исследования института археологии АН СССР. Москва
- МИА** – Материалы и исследования по археологии СССР. Москва.
- НИТ** – Наука и техника
- ПАИ** – Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси.
- РА** – Российская археология. Институт археологии. Москва.
- СА** – Советская археология. Институт археологии. Москва.
- САИ** – Свод археологических источников. Археология СССР. Москва.
- САНГ** – Сообщения АН Грузии.
- СЭ** – Советская этнография
- ТАИЯЛИ** – Труды Абхазского института языка, литературы и истории. Сухуми.
- ТГЭ** – Труды Государственного Эрмитажа. Санкт-Петербург (Ленинград).
- AS** – Anatolian studies.
- BSA** – The annual of the British school of Athens
- OG** – Ostbeierche Grenzmarken
- RE** – Pauly-Wissowa. Kroll, Realenziklopadie des Altertumswissenschaft.
- RLO** – Der Romische limes im Osterreich.